ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი

წელიწადი მეექვსე

№ VI

ივნისი, 1899

ტფილისი
სტამბა ყოვ.მბრ.ძმრთ.ამხანაგობისა ТИП.ГРУЗ.ИЗД.Т—ВА.
1899

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюня 1899 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
I—ნავარდობა.—ნაწილი მეორე.—I, II, III, IV, V და VI.—მოთხრობა **მელანიასი**	. . . .	1
II—*** ლექსი, **ვ. რუხაძისა.**	. . . . .	32
III—**სტუდენტი ანაფორით.**—I, II, III და IV.—(ძველი სტუდენტის ნაამბობიდან), **ბოტკაპენკოსი,** თარგმ. **ვლ. ედილაშვილისა.**	. . . . .	33
IV—**ქალაზანა.**—I, II.—რომანი იტალიის ცხოვრებიდან **ე. ვოინიჩისა,** თარგმანი.	. . . . .	67
V—**დამონებულნი.**—XVIII, XIX, XX, XXI, XXII და XXIII.—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, **ივ. ვაზოვისა,** თარგმანი (გაგრძელება)	. . . .	91
VI—**მასხარა პამფალონი.**—XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII და XIX.—მოთხრობა **ნ. ს. ლესკოვისა,** თარგმანი **ზ. ხ.—ისა** (გაგრძელება).	. . . . .	135
VII—**გადმოსახლებულების დაბინავება საქართველოში.**—(ისტორიული წერილი.)—III, IV.—**ალ. ე—ძესი** (დასასრული)	. . . . .	1
VIII—**ომერ-ფაშა სამეგრელოში.**—III.—**კ. ა. ბოროზდინისა,** თარგმანი **თ. ს.—სი.** (დასასრული).	. . .	16

IX — ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება . . . 27

X — ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება. 41

XI — შინაური მიმოხილვა. — ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების კრება. — თავ. ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ბანკის საქმეში. — ბ-ნ კალისტრატე ჩიკვაიძის დანაშაული. — ბ.ბ. ლოლუას, თოფურიას და ჯორჯიკიას საქციელი კრებაზე. — იმერეთის სამღვდელოების კრება. — † ი. პ. სტარიცკი. 59

XII — ბიბლიოგრაფია — I. О народномъ врачеваніи въ Закавказскомъ краѣ, д-ра И. И. Пантюхова. 1899 г. — II. Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа, д-ра И. И. Пантюхова. 1899 г. 75

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნავარდოგა

(მოთხრობა)

ნაწილი მეოთხე *)

I

სახლი

ანანოს ქოხი ერთ დროს კარგა ხნობით კარებ-გამოკეტილი იდგა. ეზოს ქოხისას ახლა უფრო დაედო სანახიროს ფერი. დიდყურა და ხმა-მაღალა ცხოველები, მანამ დაცხებოდა, ეზოში სძოვდნენ, ხოლო როცა დაცხებოდა, შედიოდნენ გვერდებ-გამონგრეულ ქოხში და განისვენებდნენ. გზაზედ მიმავალ-მომავალმა ხალხმა ახლა ამ სურათს შეაჩვია თვალი. მაგრამ, რადგანაც ერთი დრო არავის შერჩენია, არც ქოხის დროებით მცხოვრებლებს შერჩათ. რაც იმათ ქოხში სიცხის დროს სიამოვნება ნახეს სულ ერთბაშად ამოჰშხამდათ.

ანანოს სახლ-კარმა და ეზო-ყურემ ერთ მშვენიერ დროს უცბად ფერი იცვალა. ეზოს შემოევლო მაღალი ძეძვის ღობე, ღობეში ერთგან დატანებული ჰქონდა შესავალი, რომელსაც დიდი ალაყაფის კარები ება. კარები იხურებოდა მარტო ღამ-ღამობით, დღისით კი, რაკი ცაში ნათელი ჩავარდებოდა, ხშირ ბინდამდის სულ ღია რჩებოდა და განუწყვეტლივ შედიოდა შემოღობილში ურემი ურემზე ხე-ტყითა და სხვა მასალით და-

*) იხ. „მოამბე“ № V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული; ანუ ქვა-აგურითა და ქვიშით მძიმედ დატვირთულნი დიდყურა ცხოველები შედიოდნენ ხვნეშა-მორთული იორღით და სრულიად ველარა სცნობდნენ თავიანთ უწინდელს სათოხარიკოს.

შიგ მოლობილშიაც დიდი მოძრაობა და ყვირილ-ღრიანცელი იყო. „ბიჭო, ჩქარა კირი მოუტა!.. აგური მიუტანეთ!.. ჰა, აბა ხელი გაძარით მარდად“!... ისმოდა ხშირად ეს სიტყვები და სხვაც ბევრი ამისთანა. ამ სიტყვებს გაიძახოდა მომუშავეთა თავს მდგომი, ესე ორმოცი თუ ორმოც და ხუთი წლის სუფთად ევროპიულ ტანისამოსში ჩაცმული კაცი, რომელსაც ხელში გაშლილი ქოლგა ეჭირა. ხან ერთგან მივიდოდა, ხან მეორეგან და ამხნევებდა მუშებს ზოგს ტკბილი სიტყვით, ზოგს ყვირილით,— ვისთანაც რომელი გაუვიდოდა. ხანდისხან მივარდებოდა კირის ამრევებს, რომელნიც, მისი შეხედულობით, ზლაზვნით მუშაობდნენ, გადააგდებდა ქოლგას, გამოართმევდა ნიჩაბს და ეტყოდა: „აი ასე უნდა აურიო“ და სამ-ოთხ ჯერ კირში გარევის შემდეგ ქაქანით აძლევდა ნიჩაბს ისევ მუშას, თუმცა არა რწმუნდებოდა მაში, რომ კირის თუნდაც მარდად არევით კაცის დაღლა შესაძლებელი იყო.

რაკი კალატოზები წელში აიმართნენ, კიბისა და ქვა-აგურის მზიდავები ველარ ასდიოდნენ და ამის გამო უფრო მოსდიოდა ზიზღი ზედამხედველს და უყვიროდათ მუშებს. ერთი კალატოზთაგანი, როცა დაითავხელებდა ხოლმე თავისუფალ წუთს, მაშინვე ბაიათს შემოსძახებდა ხოლმე. ბაიათის გაგონებაზედ თითქოს ლახვარი ეცა გულშიო, ისე დაიღრიჯებოდა ხოლმე ზედამხედველი და გულში ამბობდა: „აი ზახრუმალი და ხმის წყვეტა!“ იმას ასე ეგონა, ერთი ამოძახილით მთელი საათის სამუშაოს მოსცდაო. ამისთვის გაიგონებდა თუ არა ბაიათს, მივარდებოდა კირისა და ქვა-აგურის მზიდავებს და უყვიროდათ: „თქვე მუდრეგ-ტიალებო, ფეხი გადადგით, ნუ კი იზლაზნებით! ღმერთი არა გაქვთ!... ფული მომიცია, შვილო, მუქთად ხომ არა მშველით! იქნება თქვენა ფიქრობთ, რაკი ნისიებში და ვალში ვშველით, ვიცუღლუტოთ, არა უშავს-რაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვე ასეთ-ისეთებო, პირიქით უნდა მადლობას მეუბნებოდეთ, რომ ნაღდი ფულის მაგივრად მუშაობას გჯერდებით, თქვენ კი მადლობის მაგივრად უმადურობას იჩენთ. ხელი გაანძრიეთ, ვერა ხედავთ ოსტატები მიცდებიან!

საკალატოზო მუშაობას თან სადურგლო მუშაობა მოჰყვა ისეთივე სისწრაფით, როგორი სისწრაფითაც პირველი დასრულდა. ვინც კი მოდიოდა ქალაქში და ხედავდა დიდს ორ-სართულიან სახლს იმ ადგილზედ, სადაც რამდენისამე ხნის წინად ქოხი იყო წამოსკუპებული, გაოცებით პირჯვარს იწერდა და გუნებაში ამბობდა: „დიდება შენთვის ღმერთო, დედამიწიდან ამოძვრა ე სახლი თუ რა მანქანამ გააკეთა ასე ანაზდეულადაო“.

იყო მიზეზი, რამაც გამოიწვია გაცხარებული მუშაობა და მოკლე ხანში შენობის დასრულება. სახლი მზადდებოდა საქორწინოდ. პატრონი ახლად ნაშენები სახლისა ახლად იყო დანიშნული და ჯვარს ვერ იწერდა იმის გამო, რომ საკუთარი სახლი არა ჰქონდა. სხვისა სახლში არა კისრულობდა ქორწილის გადახდას, თუმცა სასიმამროც და ბევრი სხვა მეგობრებიც დიდის სიამოვნებით უთმობდნენ სახლს. „რად მინდა თავი ცოცხალი,—ამბობდა იგი,—თუ ჩემს საკუთარს სახლში არ მივიწვევ ჩემს ნათესავებს და მეგობრებს! შეძლება რომ არა მქონდეს, კიდევ სხვა არის. შეძლება მაქვს და ჩემი ჭერი და ჩემი სახლის ანგელოზი გავახარო“! ქორწილის დახანებაც აღარ უნდოდა. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ საჩქაროდ აშენდა სახლი ქოხის ადგილას. მართალია, მის პატრონს სხვა სახლიკა ჰქონდა მამა-პაპის აშენებული, მაგრამ რაღა საკადრისი იყო იგი სახლი ახლანდელი პატრონისათვის, რომელიც სამაგალითო ქორწილს აპირობდა; იმ სახლში კი ოც კაცზე მეტი არ ეტეოდა. არც აპირობდა მამა-პაპეული სახლის გადაკეთებას, ანუ ხელის შეხებას, რადგანაც უჩინარ ადგილას იყო აშენებული. გარდა ამისა იგი ამბობდა: „მამაპაპეული სახლი ეგრე ხელ-შეუხებელი უნდა მქონდესო, რომ ვუყუროო და მეც კარგად დავინახო ჩემი ყაირათობა და კაცობაო და სხვამაცაო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსვლოდა ახლად აშენებულ სახლის პატრონს, როცა შეუდგა იგი კაი სასახლის ძებნასა და სყიდვას. ხოლო სასახლე ჯერ არა ჰქონდა ნაშოვნი, როცა თითქმის მთელი მასალა სახლისა შეპირებული ჰქონდა სხვა-და-სხვა სოფლებში იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოეტანათ ყოველიფერი, როცა კი შეუკვეთავდა. ამ გარემოებამ ძრიელ შეუწყო ხელი სახლის მარდად აშენებაში.

II

პატრონი სახლისა

ანანოს სახლებზე ბევრს ჯიბე-გაჭიკნილ ვაჭარს ეჭირა თვალი. როცა ფარლალალა ეზოში ხედავდნენ დიდყურა ცხოველების თოხარიკს, გულის ტკივილით იტყოდნენ ხოლმე: „აფსუს, რომ მაგ ეზოში თქვენს მაგიერად დარბაისელი ვაჭრები დაფა-ზურნით არ ატარებენ დროებას“! „ავი ძაღლი არც თითონა სჭამს და არც სხვას აჭმევსო, რომ იტყვიან, სწორედ ამ ქოფაკი ანანოს საქმეაო; არც თითონა აქვს შეძლება, რომ კაი სახლი გაიკეთოს და აქაურობა დაამშნოიანოს, არც იმას უთმობს, ვისაც შნო აქვს ამისთანა ანტიკა რამის მოხმარებისა.“ „მე უნდა ჩამივარდეს ეს სასახლე ხელში, რომ მეჩვენებინა, რას გავაკეთებდი ამ ადგილას.“ ბევრი იძახოდა, თუ თვით ამ სიტყვებს არა, დაახლოვებით კი ამას და არც ანანოს აძლევდნენ მოსვენებას. ხან ერთი ევაჭრებოდა, ხან მეორე, მაგრამ ანანო ძრიელ უარზე იდგა და სანდროსაც ამაგრებდა, მანამ ცოცხალი ჰყვანდა. იმის სიკვდილის შემდეგ ხომ თითონვე დარჩა სრული მფლობელი და კიდეც გადასწყვიტა არ გაუყიდოს სასახლე თავის პაწაწა მიხაკოს, რაც უნდა დიდი გაჭირება დასტეხოდა თავს. იყო კიდეც დიდს გაჭირებაში, მუშტრებმაც უფრო მოუხშირეს ამ გაჭირების დროს, მაგრამ ვერავინ დაათქმევინა გაყიდვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამეტნავად ორი მუშტარი ჰყვანდა ანანოს თავიდან ბოლო-უცილებელი. თითქმის ძალზე ედგნენ და ყოველ ნაირ საშუალებას ხმარობდნენ, ოღონდ კი ჩაეგდოთ ხელში ეს სასახლე ან ერთსა და ან მეორეს. ეს ორი ვაჭარი-ბაზაზები ისეც დაჯაბრებულები იყვნენ ვაჭრობაში; უნდოდათ ერთი ერთმანეთი დაეცალათ და ყოველთვის ან იმას ცდილობდნენ, რომ ერთს მეორისათვის ზარალი მიეცა, ან კიდევ ისეთი საქმე ჩაედინა, რაც მეორეს თვალებში გაეჩხირებოდა. იმათ მეტოქობას ის მოჰყვა, რომ სასახლის ფასმა ერთი-ორად აიწია, მაგრამ ანანომ შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი—პირი ვერც ერთმა ვერ დააკვრევინა გასასყიდად, ხოლო უპასუხებდათ: „მაშ, მაშ, სწორედ ჩემ პაწაწა მიხაკოს გავუყიდი სასახლეს!“

ალექსეი მელიქიჩსაც, როგორც იწოდებოდა ქოხის ადგილას აშენებული სახლის პატრონი, იგივე ზედამხედველი და თავსმდგომი მუშებისა, შეუვარდა ანანოს სასახლეზედ გული, როცა გაიფიქრა სახლის აშენება. მაგრამ თავის დღეში ვერ ჩაიგდებდა ხელში ამ სასახლეს,—არც მისცემდა იმოდენა ფასს, რასაც სხვები აძლევდნენ,—მოულოდნელ შემთხვევას და მოხერხებას რომ არ გაეხადნა იგი კანონიერ მფლობელად ანანოს სასახლისა, როგორც ბოლოს თვითონვე იკვეხოდა.

როგორ მოიპოვა იგი სასახლე ალექსეი მელიქიჩმა, გულახდით უამბო ყველას თვისი დაქორწინების შემდეგ. ქორწილის მესამე დღეს მან დაჰპატიჟა სიდედრ-სიმამრი, ხეჩასპერი, ნათესავები, ახლო ნაცნობები და ის ორი ბაზაზი, რომელნიც მოქიშპეობდნენ ერთმანეთში საზოგადოდ და ანანოს სასახლეზე კერძოდ. გათავდა სადილი, მამაკაცნი გამოვიდნენ ფართო აივანზე, რომლიდანაც მთელი ქალაქი ხელის გულივითა ჩანდა ახლად განათებული სახლებით. უწინარეს ყოვლისა შემოდგომის შებინდების სურათმა შეიპყრო ყურადღება სტუმარ-მასპინძელთა რამდენსამე ხანს. ზოგს აღუძრა გულში ამ სურათმა სიამოვნების გრძნობა, ზოგს სიმშურნისა. მხოლოდ ნებით იყო, თუ უნებლიედ ყველას გულიდან ერთ ნაირად აღმოხდა კმაყოფილების გამომხატველი სიტყვები: „იშვ, ამ სანახაობას“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც სურათის მონაბერ გრძნობა-შთაბეჭდილებათ-გა-
დუარეს, ისევ შეუდგნენ საქმეს—დროების გატარებას. დუდუკი
ტკბილად უკრავდა; სველ-სველი ხელიადები და თეფშებზედ
დადგმული ღვინით სავსე სტაქნები წინ ეწყოთ. სიამოვნებისა-
გან თავბრუ დახვეულმა მასპინძელმა აიღო ხელში ჭიქა და
წარმოსთქვა: „ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ანგელოზი, რო-
მელი ანგელოზიც კაცს უწინამძღვრებს და კეთილ გზაზედ
დააყენებს“! დალია და მიუბრუნდა სიმამრს: „ერთი უნდა გი-
ამბო, ყაზარ ყარამანიჩ, როგორ ჩავიგდე ხელში ეს სასახლე
და როგორ დავსეი ცარიელზე გიქოცა და სარქისაც—თა-
ნაც ანიშნა სტუმრად მყოფ ბაზაზებზე. არა განა სასახლეს
უფრო უკეთეს სხვაგან ვერ ვიშოვნიდი, მაგრამ ჯიბრის საქმე
იყო რაღა! ერთი უნდა მეცადნა ჩემი თავი, თუ რასაც სხვე-
ბი ვერ ახერხებენ ფულით ან საქმით, მე მოვახერხებდი თუ
არა! და აი მოვახერხე კიდეც, როგორცა ხედავთ და ძრიელ
ადვილადაც.“

„ახლა ბ—ს სკოლა აკურთხეს.“—დაიწყო ალექსეი მე-
ლიქიჩმა.—„ეშმაკურ-ქაჯურად,—მაგრამ რა ეშმაკურ-ქაჯურად,
უფრო მოგება ვნახე,—აკი იქ არ დავესწარი! როცა კურთხევა
გათავდა, მამაჩეჩეს ხელში ქაღალდი და მითხრეს, სკოლის სა-
სარგებლოდ ფული უნდა შაჰწირო და ამ ქაღალდზე მოაწე-
როვო. მე უარზე შავდექი. მე რა საქმე მაქვს-მეთქი, მე სომე-
ხი ვარ-მეთქი და სკოლა ქართველებისაა და ფულიც ქართ-
ველებმა შაჰწირონ და თავში ქვაც ითხლიშონ-მეთქი!—ამ სო-
ფელში ვაჭრობდა მამაშენიო, შეხ კიდევ მაგოდენა გაცემუ-
ლობა გაქვსო. და როგორ შეიძლებაო, რომ ერთი მანეთით
მაინც არ შეეწიოვო.—რა თანხები მოგიციათ-მეთქი ან მამი-
ჩემისათვის, ან ჩემთვის, რომ უკანა მთხოვთ-მეთქი! მადლო-
ბელს არა ხართ-მეთქი, რომ იმოდენა ფული ჩაგვიყრია ბ დაგვი-
ტრიალებია მეცა და მამაჩემსაც ამ სოფელში და ნაღდი ფუ-
ლის მაგიერად ბჟიტს დაგჯერებივართ-მეთქი! მაინც არ მო-
მეშვნენ. იმდენი ქნეს, რომ ერთი მანეთი ამაგლიჯეს, მაგრამ
იაფად კი არ დაუსვი, ბარე ოცი თამასუქი მეტი დავაწერინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩიტელს ერთ ქართველს ორი მანეთი ვასესხე. მომავალ გაზაფხულზე ერთი ურემი კირი უნდა ჩაებარებინა ჩემთვის ამ ორ მანეთში. თუ კირს ვერ ჩამაბარებდა თავის დროზე, ერთი თუმანი ფული უნდა დაებრუნებინა ჩემთვის, რომელიც ვითომ და ჩემგნით იმავე თავით ნაღდად მიიღო. ამისი ბარათი უნდა დამეწერინებინა უჩიტელისათვის. შავედი სკოლაში იმ დროს, როცა შეგირდებს ასწავლიდა და მანამ გაათავებდა სწავლებას, მეც ჩამოვჯექი სკამზე და ყურს ვუგდებდი. ააყენა ერთი შეგირდი და წააკითხა: დათვმა და ლომმა ერთი მკვდარი კურდღელი იპოვნესო და მოუვიდათ ჩხუბიო.იმდენი იჩხუბესო, რომ დაქანცულები აქეთ-იქით მიეყარნენო. ამ დროს მელა შორიდან უყურებდა იმათ ჩხუბსაო და როცა ისინი დაეყარნენ მიწაზე დაქანცულებიო, იხელთა, დასტაცა კურდღელს პირი და მოკურცხლაო. ამის გაგონებაზე უცბად გამიარა თავში ფიქრმა: მოდი ერთი მეც მელასავით მოვექცევი და გიქოსა და სარქისას ხელს დავაბანინებ ანანოს სახლებზე-მეთქი.—აქ ისევ ანიშნა სმენად გადაქცეულ სტუმრებს გიქოზე და სარქისაზე, რის შემდეგაც ყველამ, თითქმის ერთ ხმად წამოიძახეს: „როგორია, გიქო და სარქის“!—ამ ფიქრმა—გააგრძელა ალექსეი მელქიჩმა საუბარი უფრო თამამად—ისე გამახარა, რომ იმ ჩემ მოვალე ქართველს მერე, როცა ვადა გაუვიდა, ორი მანეთი ვაჩუქე. კირი დროზე ვერ ჩამაბარა და თუმნის მაგიერად რვა მანეთი დავაწერე ზედ თავის სარგებლით, რადგანაც ვერც ფული ჩამაბარა. სოფლიდან რომ მოვედი, პირდაპირ სურბ-კარაპეტში გავწიე; დავანთე სანთლები, დავიწერე პირჯვარი და მიხაკასაკენ გავექანე. აბა რა ბიჭი პირველადვე სასახლის გაყიდვაზე არ გავამაგრებდი! ისე გავამაგრე, როგორც ქვითკირი! ღვთის წინაშე, კაი ბიჭი კი იყო, აფსუს რომ ქართველი იყო. სომეხი ვერ ივაჭრებდა ისე მოფიქრებით და მოხერხებით, როგორც ისა ვაჭრობდა. არც გავაფუჭებდი სურბ-კარაპეტის მადლმა, რომ ქართველი არა ყოფილიყო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანარჩენზედ კი გაჩუმდა, რადგანაც ყველამ დაწვრილებით იცოდა, როგორც გააფუჭა მიხაკა და გამოაცალა ხელიდან სასახლე ადგილი.

III

მკვდრეთით აღდგენილი

მარმარამ მოინელა შვილის სიკვდილი. ამოიდო თავისებურად იღლიაში საწვრილმანოს ყუთი და გაუდგა სოფლებს, სადაც გაცემულობა ჰქონდა. თან ვაჭრობდა, თანაც გაცემულობას ანაღდებდა. ვაჭრობისა და ნისიების საქმეში ისე ერთობოდა მარმარა, რომ შვილის სიკვდილს სრულიად დავიწყებას აძლევდა. მხოლოდ ზამთრობით, როცა გახურებულ ბუხარ წინ ტახტზე მოკეცილი იჯდა ხოლმე და გასასყიდ წინდებსა ქსოვდა, ბევრჯერ მოაგონდებოდა ხოლმე შვილის უბედურება; გაერთობოდა ფიქრებში და გაშტერებით შეჰყურებდა ბუხარში გაღუდღუდებულ ცეცხლს, წინდების ქსოვას კი შეაჩერებდა ხოლმე. ამგვარად ფიქრებში წასვლა და საქმის შეჩერება დასჩემდა მარმარას და მაშინაც კი ემართებოდა ეს, როცა შვილზედ სრულიად არა ფიქრობდა. ამისთანა მდგომარეობაში იყო იგი ერთხელ ზამთარში უბედურების მეორე წელს. იქნებოდა რვა-ცხრა საათი ღამისა, როცა ვიღაცამ შეაღო მისი სახლის კარები. კარების დარახუნებაზე მარმარა ფიქრებიდან გამოერკვა; მიიხედა კარებისაკენ და, რა დაინახა ლეკური ქუდითა და ტყავით სახლში მომავალი კაცი, მაშინვე ფეხზე წამოდგა და დაუყვირა: „აქ რა გინდა ამ დროს, ლეკო, შე რჯულძაღლო!... სად მოხვალ, რო მოხვალ?!“ რის პასუხადაც მიიღო: „ნუ გეშინიან, დედაჯან, მე ვარ შენი აღალო“! ამ პასუხმა უფრო მეტად შეაშინა მარმარა და ინსტიქტიურად დაიწყო უკან-უკან დაწევა, რადგანაც დაუპატიჟებელი სტუმარი მიდიოდა მისკენ პირდაპირ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას მიედ-მოები... ვიღაცა ხარ!... დაიკარგე აქედან, თორემ ისეთი ყვირილი მოვრთო, რომ მთელი ქალაქი შევყარო!... მე დიდი ხანია ჩემს აღალოს გამოვესალმე!... მარმარა გულის დამძიმებით და სვენებ-სვენებით ამბობდა ამ სიტყვებს და სრულიად არ ეყურებოდა ლაპარაკი სახლში შემოსული კაცისა: „მაიცა, დედიჯან, დამშვიდდი და ყოველიფერს გაიგებ“—ეუბნებოდა იგი.—შემდეგ მოიხადა ქუდი, გადიძრო ტყავი და უთხრა: „აბა შემომხედე, თუ შენი აღალო არა ვარ!“ მაგრამ დამშვიდების მაგიერად მარმარა უფრო აღელდა და შიშის თავზარი დაეცა, რა იცნო თავისი შვილის სახე. იმას თავში გაუელვა ფიქრმა, რომ მისი აღალო გაცოცხლებულა, მკვდრეთით აღმდგარა და, მაშასადამე, იგი ქრისტიანი სულ აღარ იყო, იგი იყო ეშმაკეული და ეშმაკთანა ჰქონდა საქმე. ამ გვარი ფიქრის შედეგი ის იყო, რომ მარმარა თვალების დახამხამებას, ხმის ამოღებას და ადგილიდან დაძვრას ყველარ ახერხებდა, თითქოს გულმაც კი ძგერა შესწყვიტა მის მკერდში. დაუპატიჟებელი სტუმარი კი იდგა იმის წინ და იმეორებდა: „დამშვიდდი, დედაჯან, ნუ გეშინიან, მე არავის მოუკვლავარ, ჩემი ამხანაგები დახოცეს მარტო, მე ღმერთმა და ჩემმა სალოცავებმა ცოცხალი გადამარჩინეს; მე მარტო ტყვედ წამიყვანეს ლეკებმა და ახლა გამოვეპარე.“ რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა ეს სიტყვები, რომ მარმარას სმენამდის მიეღწიათ. ბოლოს ესეც მოხდა და სურათიც შეიცვალა. მარმარას პირის-სახეს ნაცრის ფერი შეეცვალა ატლასის ფერად—ძალზე აელანძა და აუვარვარდა ისე, რომ თითქო ცეცხლი მოედოვო. მოიკრიბა ძალლონე, ერთი იკივლა და აღალოს კისერზე მოექნა: „ეს რა ესმის ჩემს ყურებს, თქვენი ჭირიმეთ, და რასა ჰხედავენ ჩემი თვალები“!.. ამ სიტყვების წარმოთქმა შესძლო მარტო, დანარჩენ სათქმელ სიტყვებს წინ გადაეღობნენ გულ-უხვი ცრემლით ქვითინი და დაუსრულებელი კოცნა-ხვევნა.

მოიოხა მარმარამ შვილის კოცნა-ხვევნით გული და გამოვარდა გარეთ, რათა შეატყობინოს მეზობლებს მისდამი მოვლენილი ღვთის წყალობა და მხოლოდ ახლა გაიგო, თუ რამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ხანს იყო შებოჭილი ელდისა და სიხარულისაგან. ყველა მის მეზობლებს სანთლები ჩაექროთ და გულიანად ეძინათ. „ქა, ეხლა არ შებინდდა, ასე ჩქარა რას მისძინებია ხალხს!“ ცოტა არ იყოს გულნატკენად შემობრუნდა მარმარა სახლში, რადგანაც სხვებს ვერავის განუზიარა თავისი სიხარული· ერთი კიდევ გადაეხვია აღალოს და მერე მოუტანა ვახშამი, რაც კი თავისი სისაწყლისა ებადა რამე.

აი რა უამბო აღალომ დედას და უამბობდა ყველას, ვინც კი ჰკითხავდა თავ-გადასავალს: „საწყალ მოსესას—ღმერთმა აცხონოს, ცოდო არ იყო იმისი სიკვდილი!—ძრიელ უყვარდა ჩამოხდომა და დასვენება იმ მუხის ქვეშ, სადაც ლეკვები დაგვეცნენ. თუ აქედან გავივლიდით ცარიელები, უთუოდ ამ მუხის ქვეშ უნდა დაგვესვენა, პური გვეჭამა; საქონელი მოგვიდიოდა ჭარ-ბელაქნიდან და ერთ ღამეს აქ უნდა დაგვეყენებინა. მერე რა უშიშარი ადგილი იყო! ვინ წარმოიდგენდა, რომ ის რჯულძალლი ლეკები დაგვეცემოდნენ იქ! როცა მივდიოდით აქედან იმ ოხრადა და შავად დასარჩენ დღეს, ჩამოვხდით მუხის ქვეშ პურის საჭმელად. ამ დროს ერთი მეძროხე წამოგვადგა თავს და ისიც პურის საჭმელად მოიწვია მოსესამ. ის იყო პურის საჭმელად ვსხდებოდით, რომ ერთი საშინლად დამტკივლა მუცელმა და მაშინვე ტყის პირისაკენ გავექანე. შევედი თუ არა ტყეში, ათს შეიარაღებულს ლეკს ზედ კი წავაწყდი. თოფები ფეხზედ შეყენებული ჰქონდათ და ჩვენთვის დაემიზნათ. თურმე ელოდებოდნენ ის რჯულძალლები იმ დროს, როცა შევიდოდით შუა პურის ჭამაში და მაშინ დაეშინათ ჩვენთვის თოფები და ამოვეჟლიტენით. ისე დავიფანტე შიშისაგან, გატეხილს ვამბობ, რომ ვერც გაქცევა გავბედე და ვერც დაყვირება, შიშისაგან პირში ენა ჩამიეარდა. ახლა ამასთან თოფებიც ჩემკენ გამოიშვირეს და მომაძახეს: კრინტი არ დასძრა, თორემ აქავე გაგაქრობთო. მტაცეს ხელი და შემბოჭეს მაგრად, ხელ-ფეხი თოკით გამიკრეს და პირშიაც ხელსახოცი ჩამჩურთეს. რა უყვეს ჩემს ამხანაგებს, აღარაფერი გამიგია: გონება მქონდა მიხდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე შიშისაგან, ცალკე ხელფეხის სიმწვავისაგან—ძალზედ გამიჭირეს თოკი იმ ურჯულოებმა; მხოლოდ თოფის ხმა მესმოდა ხშირად, როცა მე გულწასული ვეგდე. ჩემ შესახებ ორ ნაწილად გაიყვნენ: ერთნი ამბობდნენ მოვკლათო, მეორენი და მათთან ბელადიც;—ნუ მოვკლავთო, წავიყვანოთ ტყვედა და ვიმსახუროთო. გზაზედ ის ურჯულოები, როცა დავიღლებოდი და ვერ მივდიოდი, წამითავაზებდნენ კისერში და მეუბნებოდნენ: კარგა იარე, თორემ ლორივით დაგკლავთ და შენც შენს ამხანაგებს მოგწევთო. ამითი დავრწმუნდი, რომ ჩემი ამხანაგები დახოცეს. იმედი მქონდა, იქნება ვინმე გადარჩა-მეთქი, მაგრამ ჩემი თავიც კი მოუმგლოვებია დედა-ჩემს, არამც თუ სხვა ვინმე გადაერჩინათ მოამბედ მაინც იმ რჯულზედ ხელ აღებულთ. ან მე რაღა კეთილი დამაყარეს, მეც სიკვდილი ბევრით მევრჩივნა იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც მე მომაყენეს. ისე გადამიყვანეს პირ იქით დაღისტანში, რომ ნაწილი არ მოუწვდიათ ჩემთვის, შე ლორო, უნდა მშიერი იყო, სუმბუქად იაროვ. მიმიყვანეს თუ არა თავიანთ სოფელში, მაშინვე ერთ ბნელ ორმოში ჩამაგდეს და ვეგდე შიგ მთელი ერთი წელიწადი მშიერ-მწყურვალი. ორმოდან რომ ამომიყვანეს, მიმსახურებდნენ; თანაც მცემდნენ და მემუქრებოდნენ; მოგკლავთ, თუ ჩვენ რჯულს არ მიიღებო. ისეთი უდიერი ტანჯვა-ვაება მომაყენეს, რომ, ღმერთო, შეგცოდე! — დაიწერდა ხოლმე პირჯვარს—ველარ გაეუძელ და დავყევი იმათ სურვილს; მივიღე იმათი რჯული, მხოლოდ გარეგნობით. აბა გულით კი როგორ ვუღალატებდი ჩემ რჯულს და ქრისტეს ჯვარს როგორ დავგმობდი! გულში ისევ ღმერთს ვადიდებდი; იმათ კი ისე ვაჩვენებდი თავს, რომ ვითომც მოვიქეცი იმათ რჯულზე. დამნიშნეს ერთ ლეკის გოგოზე, მეც უარი არ ვუთხარი. მინდოდა იმათთვის თვალები ამეხვია. ე ლეკური ლაპარაკიც ძრიელა მშველოდა. ყველამ გული დაამშვიდა და დარწმუნდა ნამდვილად, რომ მე ჩემ რჯლს გადავუდექი და იმათსას მტკიცედ შევუერთდი; ამისათვის უწინდებურად თვალ-ყურს აღარ მადევნებდნენ, მეც ეს მინდოდა. ლეკის გოგოც განგებ შეიყვარე და ამითი უფრო ავუბი იმათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალები. ერთ მშვენიერ ღამეს ვიხელთე, ავდექი, დავიწერე პირჯვარი და გამოვუდექ გზას. მხოლოდ გზებს ვერიდებოდი და ნადირსავით სულ ტყე-ტყე დავდიოდი. სწორედ თვე ნახევარი ვიარე, მანამ გადმოვაღწევდი პირ-აქეთ საჩვენოში. რაკი გადმოვედი, ღმერთმა უშველოთ, ყველანი, ვისაც კი მივმართავდი, ხელს მიწყობდნენ სასმელ-საჭმლით; ამგვარად მოვაღწიე ღვთით შინამდის. მიშველა იმ ღმერთმა, რომელსაც შევცოდე და გადვუდექი გარეგნობით, თუმცა გულით კი ვეველრებოდი. მაგრამ მაინც ცოდვილად ვთვლი ჩემ თავსა და უნდა მოვინანიო, გამოვისყიდო ჩემი ცოდვები კეთილი საქმეებით, ისევ, რასაკვირველია, ღვთის დახმარებით".

თითქმის ორი თვე იარა აღალომ ტყვის ტანისამოსით ქალაქში გულხელ დაკრეფილმა. როცა უამბობდა ვისმე თავს გადასავალზე და გაათავებდა, ბოლოს დაუმატებდა ხოლმე: კიდევ კარგი, რომ დედა-ჩემს გაცემულები აქვს და ცოტაოდენი ფულიც მოუგროვებია, თორემ დაღუპვისა და სათხოვარ გზაზე უნდა დავმდგარიყავიო". შეიცვალა შემდეგში ტყვეობის ტანისამოსი დიდის გაჭირებით, როგორც თვითონ ამბობდა, და წავიდა იმ სოფლებში, სადაც იმის დედას გაცემულობა ჰქონდა. წაილო თან თამასუქები და ვისაც ჰქონდა ხელში ფული, ართმევდა ვალს, ვისაც არა, აცვლევინებდა თამასუქებს და თავის სახელობაზე აწერინებდა. მოვალეებს ერთობ ძრიელ გაუხარდათ აღალოს უვნებელად სახლში დაბრუნება, ულოცავდნენ წმინდის გულით, ღმერთს მადლობასა სწირავდნენ, რომ აღარ უყურებდნენ იმის დედის ქვრივოხრულ საცოდაობას და უარის უთქმელად უსრულებდნენ სურვილს.

მოიმჯობინა აღალომ სოფლებში საქმე თუ არა, დაჰკრა ფეხი და გასწია ტფილისში; სამი წელიწადი პირი აღარ უქნია შინათკენ. რას აკეთებდა ამ დროს იგი ტფილისში, არავინ მისმა მეზობელთაგანმა არ იცოდა. მხოლოდ ხმები ისმოდა, რომ იგი ერთ ვიღაცა სირაჯს გაჰხდომოდა ამხანაგად; მერე თვითონ დაენარჩუნებინა სირაჯის დუქანი და ძრიელ წარმატებით და მოგებით ვაჭრობდა. ასეთი ხმები მოდიოდა აღალოზედ მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო ქალაქში. ხოლო სამი წლის შემდეგ თვითონაც გამოცხადდა ამავე ქალაქში ისეთი ყოფით, რომ ველარავინა სცნობდა. უწინარეს ყოვლისა მისმა ძვირფასმა ტანისამოსმა და ქამარ-ხანჯალმა მიიქცია ყველას ყურადღება. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. აღალომ ისეთი საქმე ჩაიდინა ამავე დროს, რომელმაც მთელი მოქალაქეების თითით საჩვენებელი და სალაპარაკო გაჰხადა იგი. ნათლიღების დღეს ოც და ათი თუმანი შესწირა, რაც თავის დღეში არ ენახათ ტერტერებს, და ჯვრის ხეჩასპეროობა თვითონ დაინარჩუნა. „ღმერთს ერთხელ შევცოდე, რჯულს გადვუდექი და მთელ ჩემ სიცოცხლეში იმას უნდა ვეცადო, რომ ეს ცოდო გამოვისყიდო; გადავწყვიტე ყოველ წელს შევწირო ღმერთს, რასაც და როგორც შემაძლებინებს,“—ამბობდა ხოლმე აღალო.

IV

განსამართლება

შემოდგომის ბურუსმა მოიცვა მთა-წმინდისა და ნარიყალას მთები. ბურუსი თან-და-თან იწევდა ძირს, რათა ჩაწოლილიყო ქალაქში და მოებერა მოქალაქეთათვის მოწყენილობა. ხოლო ვისაც რაიმე მიზეზით შერყეოდა სიმშვიდე სულისა და სევდა გულს ულრღნიდა და ნაღველს უსიებდა, მათ ტაროსი თავისი დაღვრემილობით უორკეცებდა მოწყენილობას.

ამ უკანასკნელთ რიცხვს ეკუთვნოდა აღალო მანუქოვი, ახლად დაბრუნებული კახეთიდან და დაღვრემილი სახით ქუჩაში მიმავალი.—ეს იყო იმ წელს, რომლის დასაწყისშიაც წმ. ჯვრის ხეჩასპრობით გაანცვიფრა თვისი მეზობლები და ნაცნობნი სანინლანში.

გავყვეთ აღალოს, რომელიც ისეთ ნაირად მიეშურებოდა გზას, თითქოს გაურბის მთებიდან ჩამოწოლილ ბურუსსაო.

ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ბიჭს, რომელიც აღალოს გამოჰყვა დუქნიდან, იღლიაში ამოედო ღვინით სავსე კაი მოზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილი ტიკჭორა. ამათ გასწიეს პირდაპირ ქალაქის ძველი-ბა-
წილისაკენ. აქ აღალომ შეუხვია ერთ ვიწრო ქუჩაში. შეაღო
ქუჩის კარები და შევიდა პატარა ეზოში. ხუთი ნაბიჯის გადა-
დგმით მიუახლოვდა პატარა სამ-საფერხულიან ქვის კიბეს. ავი-
და კიბეზე, შეაღო სქელი, ყადაღის თავებით მოჭედილი კარე-
ბი და პირდაპირ დიდსა და ბარაქიან დარბაზში გადადგა ფეხი.
თუ დავენდობით მაღალ სპილენძის შანდალში გაკეთებულ ქო-
ნის სანთლისა და პატარა ჭრაქის სინათლეს, რომელნიც ახ-
ლად აენთოთ კედლებ გაულესავი დარბაზის გასანათებლად,
მისი მორთულობა დაახლოვებით ამ ნაირი იყო: დარბაზის ერთ
მხარეს, მარჯვნივ, თავით-ბოლომდის შეკრული იყო ტახტი.
დაფენილი ქეჩით, ქეჩის ზემოდან კედლის სიახლოვეს, ჯე-
ჯიმით და ჯეჯიმის ზემოდან ვიწრო ნაალით. ტახტის თავით
კედელში დატანებული ჰქონდა განჯინა, ბოლოში კედელ-
სა ჰქონდა მიკრული ფიცრული, ბუღაურებით აჭრელებული
წალო. მარცხნივ კედლის ნახევრამდის—დაწყებული უკანა კედ-
ლიდან—გამწკრივებული იყო სამ პირად თაროება, რომლებზე-
დაც ელაგა: ჯამ-ჭურჭელი ქაშანურისა და სპილენძის თასები—
მაღლა თაროზე; ხელადები, საღვინეები, ღვინის სასმელი ჩა-
რექები, ჭიქები და გოზაურები—საშუალო თაროზე; მესამე
თაროზე ელაგა სპილენძეულობა — ქვაბები, სინები, ლაგნები,
საწვნე ქაფქირი, თუშ-ფალანგი და თუნგები. მარჯვენა კედელზე,
ირმის ჩხაზე, ეკიდა: ორი თოფი, ორი დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი,
შეეერცხლილები ყველა, ოთხი წყვილი შეეერცხლილი და ვერ-
ცხლისავე ჯაჭვებით გადაბმული სხვა-და-სხვა სიდიდის ჯიხვები
და ყანწები, ორი წყვილი შეეერცხლილივე კულა. უკანა კე-
დელში ბარაქიანი ბუხარი იყო, რომელშიაც ცეცხლი გუზ-
გუზებდა და ზედ შემოდგმული ქვაბიდან გადმონადენ ცხიმიან
წვენს შხიპ-შხიპი გაჰქონდა. ბუხრის პირამდის მიტანილ ტახტზე
იდგა დიასახლისი, რომელიც ხან გადაჰხდიდა ხოლმე ქვაბს სა-
ფარებელს, ხან ხურავდა.

დღისით სანათურად ორი პატარა სარკმელი ჰქონდა და-
ტანებული დარბაზს: ერთი ბანში, მეორეც მარცხენა კედელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტის შუა ადგილას იჯდა სახლის პატრონი მოკეცილი ისე, რომ ცალი მუხლი ქვეშ ედო და მეორე ზემოდან გადედო; ფეხთ მარტო თეთრი წინდები ეცვა, ხოლო ტანზე— შავი პრუნელის ახალუხი, ორი ლინკილოთი მარტო კუჭთან შეკრული და შავი შალის შალვარი; თეთრი პერანგის საყელო ჩამოეხსნა, რათა სიმსუქნისაგან დაჯირჯვლებულს და ბალნით დაფარულ მის გულ-მკერდს სიგრილე ეგრძნო; ქუდი კალმუხისა მუხლზე ედო, ქუდს დაჰბჯენოდა მარცხენა ხელით, ხოლო მარჯვენათი დაყრდომოდა მარცხენას და ასე ათამაშებდა კრიალოსანს.

— ბარილიუს, პარუმ ჰიოვანე!

— ასტუბარი, ჩემო აღალო! მაგრამ ეგ რა არი, ყურში ჩავისხა, თუ პირში? ანიშნა ტიკჭორაზე, რომელიც აღალოს ბიჭმა მიაყუდა თაროსთან და თითონ გავიდა გარედ.

— შენ დალევა შეიძელ და ჩქარა ნუ მოგვიხუცდები, თორემ ღვინოც და ჩვენც შენი ჭირი სანაცვლონი ვართ; ღვინოს, რამდენიც გნებავს, ბოგართმევ, ოღონდ შენ არ მოგვიხუცდე. რა მე და რა სხვა, ყველანი მოვალენი ვართ! ჩვენ უშენოდ არ ვარგივართ, უსტაბაშო, და ვერც გაშოვდგებით, თუ შენ დაგვიბერდი... მერე ასეთი ღვინოები მომიტანია, როგორც წამალი. ამ ლაპარაკში აღალო იოვანეს ახლო ტახტზე ჩამოჯდა, ქუდი მოიხადა და მუხლის თავზე დაიდო.

— არ გაიგე, უსტაბაშო, რა ბიაბრობა მომაყენა იმ ულმერთო და ნამუსზე ხელ-აღებულმა თადეოზის შვილმა?—დაიწყო ისევ აღალომ—დღეს ჩვენი მამაცა და პატრონიც შენა ხარ. თუ შენ არ გვიპატრონებ, სულ ერთიანად დავიღუპებით. ამაზე მეტი უბედურება-ღა იქნება, რაც მამა-პაპით დაწესებული და დადებული ჩვეულება იყო, მოშლას უპირობენ. ასეთი უპირობა და უსვინიდისობა ჩაიდინა შენმა კოტე თამაზიშვილმა, რომ მართლა შენი მოწონებული! ცოდო არ არის ის იმ მამის შვილია, როგორც აქებენ თამაზს! ამოვიღე, შენი ჭირიმე, ღვინოები; ურმები მივატანინე, კიდევ კარგი, არ დამედო ჯერ ურმებზე. უსწორდებოდი. ამოვარწყვევინე საპალნე ოც და ცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ჩაფით და ბოლოს ანგარიშის დროს, როგორც წესია, საპალნეზედ თითო ჩაფს დასხმას მივედი. შადგა ერთ აშარზედ: მე რად დაგისხამო! დასხმა არ არის, საპალნე ოც და თორმეტი ჩაფია და მე კი ოც და ცამეტი ჩაფით მოგიწყეო! ვა, კნიაზო მეთქი, მამა-პაპით დადებულია საპალნე ოც და ცამეტი ჩაფით და ჩვენ ხომ ვერ მოვშლით-მეთქი მამაპაპის ჩვეულებას: დასხმაც ხომ მამა-პაპის შემოღებულია, ჩვენი მოგონილი ხომ არ არის-მეთქი, რად არღვევ მამა-პაპის ჩვეულებას-მეთქი. ცოდო არ არის, რომ ამისთანა კაი ჩვეულება მოიშალოს-მეთქი; ხომ ღმერთი გადაგახდევინებს-მეთქი. იცი ახლა ამის პასუხს რას მეუბნება: თუ დასხმა გინდოდა, ჩაი-შაქარს მომიტანდიო.—ჩაი-შაქარი წესად არ არის დადებული, მე წესის მიმდევარი კაცი ვარ-მეთქი და რაც არის დადებული წესად ის მოგართვი-მეთქი. აი გაოხრდეს, რომ იმას „მოგართვი“ ვუთხარი!—ერთი წყვილი კაი თართის დოში მივუტანე იმ ოჯახ-დასაქცევს და კაი ხიზილალა. ჩაი-შაქრის მოტანა არ არის წესად და არც საპალნეზე მეთოთხმეტე ჩაფის დასხმა არის წესადაო. შენ ისიც გეყოფაო, რომ შენი ჩაფით ამოიწყე ღვინო და არა ჩემი ჩაფითაო. გესმის, რას მეუბნება! კნიაზო, სირაჯხანაში ხომ არა ვყიდულობ, რომ რვა ხელადიანი ჩაფით ამომეწყო. ქვევრიდან ვიღებ მღვრივე ღვინოს და წესიც ისეა, რომ ცხრა ხელადიანი ჩაფით ამოვწყო-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ის თავისას არ იშლიდა და მე ჩემსას. მე საპალნე დასხმით ოც და თოთხმეტი ჩაფით ვიანგარიშე და დავუთვალე ფული, რამდენიც ერგებოდა. მერე ხუმრობა ხომ არ იყო, შუაში ერთი საპალნე თამაშობდა. ის ამ ერთი საპალნის ფასსაცა მთხოვდა, მაგრამ მე უარზედ ვიდექი. ახლა რა ქნა. ფული უკანვე გადმომიყარა, დაუძახა ბიჭებს და უბძანა: მოხსენით რუმბებს პირი და ქვევრებზე მიუშვითო. გადავუდექი წინ. ეგ როგორ შეიძლება-მეთქი. ვის გაუგონია, ან ვის ჩაუდენია ამისთანა უსვინიდისობა, რასაც შენა შვრები-მეთქი. სირცხვილი არ არის შენთვის, კნიაზო, რომ ერთ ჩაფ ღვინოზე მაგეებსა შვრები-მეთქი. ერთ ჩაფ ღვინოზე კი არა, ერთ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალნე ღვინოზე არის ლაპარაკიო. მოხსენით, ბიჭო, რუმბებს პირი, რაღას უყურებთო, დაუჭყივლა. ვხედავ თავისას არ იშლის: მეც დავუჭყივლე: როგორ თუ რუმბებს პირი მოხსენითო! აქ ონაობა ხომ არ არის, ეაჭრობაა-მეთქი. აბა ერთი გაბედოს ვინმე და ხელი ახლოს-მეთქი და მოვეჭიდე რუმბებს, მაგრამ მეცა გაცოფებული კოტე, მკრა ხელი და კინაღამ კისერი არ მომატეხინა. საწყალი ბიჭები ხომ ცემით დამიხოცეს. ერთობ გულ-მუცელი ამერია, მაგრამ რას ვიზამდი! იმოდენა ბიჭები შემომარტყა გარს და ძალა იმათკენ იყო. ახში კი გადავუხდი! ჩაასხმევინა ღვინო ისევ ქვევრებში. გადმოგვიყარა ცარიელი რუმბები. ახლა ეს თავქარიანი მეურმეები მომეხვივნენ. ვთქვი, ვაი თუ წაქეზდნენ და ამათაც ბიაბრუობა მომაყენონ-მეთქი; მოცდენის ფასი მივეცი და გავისტუმრე. ცოტა ზარალი კი არ მომცა იმ უსინიდისომ! ახლა ვუთხარ: კნიაზო, ბეი დამიბრუნე-მეთქი. რის ბეიო, ღვინოები ამირივ-დამირიე და ბეისაც კითხულობო. შენ ბეის იგრე ველარა ნახავ, როგორც შარშანდელ თოვლსაო. შენი დოშები კი თბეში იხალეო და გადმომიყარა დოშებიც და ხიზილალაც. ამაზე მეტი უბედურება-ღა იქნება?! ცალკე ამოდენა ზარალი, ცალკე ბეის დახუთვა, ცალკე ბიაბრუობა. წამოვედი ცარიელი და ნონიკოს ღვინოები ვიყიდე. მაგრამ რა! იქაც ვცახცახებდი შიშით. ამანაც ისეთი დღე არ დამაყენოს-მეთქი. ეჰ, ღმერთმა უშველოს, ის სულ სხვა ნამუსის კაცია—ღვთის ნათლულია სწორედ. ხმა, კრინტი არ ამოუღია არც ჩაი-შაქარზე, არც დასხმაზე. მარანში არც კი შემოსულა, როცა ღვინოს ვიღებდი. აბა ნამდვილი თავადიშვილი ის არის! ჩემ სულს რომ გადავდგომოდი და ღვინის ამომღებისათვის ერთი ორიოდე მანეთი მეჩუქებინა, ოც საპალნეს ხუთმეტ საპალნედ ვათქმევინებდი. მაგრამ ეს არ ვიკადრე, რა არის მენდობა-მეთქი! იმ ასეთ-ისეთმა თადეოზის შვილმა კი, გაუწყდეს თავადიშვილობა, ისეთი უსვინიდისობა ჩაიდინა. კიდევ კარგი ნინიკოს არა ჰქონდა ჯერ გაგებული. თუმცა ის კი არ მოახდენდა იმისთანა საქმეს, მაგრამ სხვა, ვინც გაიგებს, წაქეზდება და ყველა ისეთ დღეს დაგვაყენებს, თუ არ გვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონებ, რომ ბარემ ყელები დაგვჭრა და გადაგვყარო, ის გვირჩევნია. მაშინ ხელი უნდა ავიღოთ ვაჭრობაზედაც და აღებ-მიცემობაზედაც.

— ახლა რა უჯიათობა იყო შენი, რომ ერთი პატარა თავი შაქარი და ჩაი არ მიუტანე. ღმერთი აღარ არის, ჩვენ ჩვენთვისა ვთქვათ, სულ სამი მანეთი ხომ არც კი გაგივიდოდა და ამ სამ მანეთში ერთი საპალნე ღვინო უნდა წამოგეღო,—უთხრა იოვანემ ღიმილითა და ხვენეშით.

— ეგ მართალია, უსტაბაშო, მაგრამ იცი სად წავა, ჩაი-შაქარს რომ დავაჩვიოთ! დღეს თუ ჩაი შაქარს მოგვთხოვენ, ხვალ სხვა რამეს, უფრო ძვირფასს მიგვატანინებენ. მოდი შენ ახლა და ფული მოიგე! დალალები ხომ არა ვართ, შე დალოცვილის შვილო, რომ ჩამოვიტანოთ ვიღაც ტუტუცი ქართველი თავადიშვილის ღვინო, გავუყიდოთ, სადალალო ავიღოთ და დღე-დღეულად ვიცხოვროთ! შენ პატივის ცემა გინდა, ჩვენ ცხოვრება გვინდა, თანხას მიმატება უნდა, ვენაცვალე იმათ მადლს—პირჯვარს იწერს—წელიწადში ოც-ორმოც თუმანს საყდრებსა ვწირავ; ტერსაკა მუდამ იმას გაიძახის, შვილო, ეკკლესიები არ დაივიწყოთო, რაც ბევრს შესწირავთ, მით უფრო შეგიწირავთ ღმერთიო და ერთიორად ფულს მოგაგებინებთო. ჩვენი სომხობის მშველელი და გამაძლიერებელი ეკკლესიებია და უფრო ვაჰარშაპატიო. ეცადეთო, რომ ყოველ წლივ გზავნოთ ეჩმიაძინში შესაწირავიო. ხომ იცი, თუ ერთი ორას-სამასი თუმანი მაინც არ იქნება, ნაკლები აბა როგორ გაიგზავნება ეჩმიაძინში! საიდან იქნება ან ერთი, ან მეორე, ან მესამე, თუ ყაირათობა არ გავწიეთ და ოსტატურად არ დავიჭირეთ ხელში ქართველები? თუ გინდა, რომ ქართველებს მხარი დაუჭირო და ჩვენი თავი იმათ ანაცვალო, ეგეც შენი ნებაა!—დააბოლოვა აღალომ ხელების გაშლითა და წყრომის კილოთი თვისი საუბარი.

მთელი საუბრის დროს იოვანე შეუცვლელი სახით იჯდა და ათამაშებდა კრიალოსანს, ხოლო ლაპარაკის გათავებისას წარბები შეათამაშა, მის სახეს დარბაისლური გამომეტყველება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეცა, თავი მაღლა აიღო, კრიალოსანის თამაში შეაჩერა და წარმოსთქვა: „ყოჩაღ, ჩემო აღალო, ყოჩაღ! მე სულ სხვანაირი კაცი მეგონე, ახლა კი კარგად გაგიცან, ვინცა და რაც ყოფილხარ. მე პირში გეტყვი, ბევრი არ გამოვა ჩვენ სომხობაში შენისთანა ახალგაზდა მოვაჭრე. ვაჭრობის უნარი, რომლითაც შენ ღმერთს დაუჯილდოვებიხარ, ნუ ააცდინოს სუბსარქისის მადლმა ნურც ერთს ჩემს მოძმესა და მოკეთეს, მაგრამ მე შენი უფრო ის მომწონს, რომ ეკკლესიებისთვის ყოფილხარ გამსჭვალული. მართალი არ არის განა, რაც ტერსაკას უთქვამს და ამბობს ყოველთვის ისა თუ სხვა? როცა ჩვენი სომხობა არაფერსა ზოგავს ეკკლესიებისათვის, ეკკლესიებიც ჩვენი მწყალობელნი არიან; ვაჭრობაშიაც გვეხმარებიან და სხვა საქმეშიაც. ვისაც ჩვენი ტერტერების დარიგება ესმის და იმათ სიტყვასა და დავალებას ასრულიბენ, აბა განგებ ყური უგდე, თუ ღმერთიც იმათ არა შველოდეს! რამ გიშველა შენ თითონ და რამ გაგხადა ასე მოკლე დროში ფულის პატრონად?—იმან რომ ღმერთი არ დაგვიწყებია და ეკკლესიები გყვარებია, ღმერთიც გშველის და გიმართავს ხელს ვაჭრობაში. კაი გამოცდილი კაცი ვერ მოახერხებს იმას, რაც შენ მოგიხერხებია და ახერხებ ღვთისა და ეკკლესიების შეწევნით, რასაკვირველია.

— ჰო და აბა მაგის მთქმელი ამართლებ თადეოზის შვილს?—წამოიძახა გახარებულმა და წაქეზებულმა აღალომ.

— ვამართლებ განა? მე ჩვენში ვთქვი ასე. საჯაროდ რა მათქმევინებს ამას, რაც უნდა მართალი იყოს ღვინის გამყიდველი და მტყუანი სირაჯი. როგორ გავამართლებ გამყიდველს! კაცი ამ ხელობაში დავბერდი და მე არ ვიცი ჰამქრის საქმე? საქმით გაჩვენებ, როგორ ვაკუნტრუშებ შენ კოტეს. ბევრს აღარაფერს გეტყვი.

— ჰოო, დალოცა ღმერთმა დედიშენის ძუძუ! ერთი ჯავრი ამომყარე კოტესი და მერე რაც გინდა მამთხოვე: თუ არ შეგისრულო, მაშინ პირში ჩამაფურთხე, ფუი შენ კაცობასათქო. იცოდე, თუ იმის ჯავრს არ შემაჭმევ, პირობას გაძლევ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მომავალ წელს უთუოდ მირვნის კურთხევაზე წავალ ეჩმიაძინში და ერთი ორას-სამას თუმანს სარგებლობას მივცემ ეჩმიაძინის მონასტერს.

— შენ კაცობასთან კი რა საქმე მაქვს—უთხრა ღიმილით იოვანემ,—მაგრამ ე ჭაშნიკი რომ ცოტი მოიტანე, ეგ კი ვერ არის კაი საქმე. რა იყო, შე კურთხეულის შვილო, ცოტა მოზდილი ტიკჭორა გეშოვნა!

— ვა, უსტაბაშო, რა დაუთალაბში მე ვვაჭრობ, დუქანი აქ არა მაქვს! როცა შენი სურვილი იყოს, მიირთვი, რამდენიც გნებავს. მაშ რისთვის გვინდა ჩვენი ცხოვრება, თუ არა ჩვენი შნოსათვის და ჩვენი კეთილის მყოფელის სიამოვნებისათვის!

ამითი გათავდა საუბარი იოვანესი და აღალოსი საქმეზე. ბოზბაშის ქვაბმა ბუხარში ადგილი დაუთმო მწვადებს; უსტაბაში და აღალოც შეუდგნენ ჭაშნიკის სინჯვას, თანაც მუსაიფობდნენ ვაჭრობის საგანზე.

მეორე დღეს განგებ გაგზავნილმა გზირმა დაუარა მთელ სირაჯებს, გამოუცხადა უსტაბაშის გარდაწყვეტილება: „რომელი სირაჯიც კი გაჰბედავს და იყიდის თადეოზის შვილის ღვინოს, საამქროდ გარდახდება სამასი თუმანიო.“

დიდი ბოდიშის მოხდა და ფეშქაშების გაცემა დასჭირდა კოტეს, მანამ, ორი წლის შემდეგ, უსტაბაშა იოვანე აუხსნიდა მარანს.

V

ძალის მოშოვება

მას შემდეგ, რაც თადეოზისშვილმა, კოტე მორბედაძემ, ბიაბრუობა მიაყენა, რცხვენოდა თუ სხვა რამ მიზეზით, აღალოს ორი წელიწადი ტფილისიდან ფეხი არსად გაუდგამს. მესამე წელს კი წამოვიდა სანინლანში,—ისიც ღვინისთვის კი არა, სულ სხვა განზრახვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსვლის უმალვე აღალო გაემართა იმ სოფლებისაკენ, სადაც გაცემულობა ჰქონდა და შეუდგა ვალების აკრეფას. „ახლა კი ჩამაბარეთ ჩემი საქონელი, არ ეყო აქამდის ჩემ ფულებს თქვენ ხელში ყოფნა?“ ეუბნებოდა იგი მოვალეებს. ბევრმა მისცა, თუ სულ ვერა, ნაწილი მაინც; ბევრმა თამასუქი გამოუცვალა და უფრო მომეტებულმა უარი უთხრა: ზოგმა უქონლობისა და შეუძლებლობის გამო, ზოგმაც სულ უარი განაცხადა მიცემაზე.

ერთმა შეზარხოშებულმა მოვალემ შეურაცხყოფაც მიაყენა: „ვინა ხარ, ან ვის დაჰკარგვიხარ? რა მართებს შენი? მე დიდი ხანია ჩემი ვალი მოვიშორე!“ და დედ-მამა უშვერის პირით უხსენა.

აღალოს უნდოდა იქვე წაეგდო წიხლ-ქვეშ და კვირტის გორგალივით ეგორებინა, მაგრამ მამასახლისმა, რომელიც უკან დასდევდა და ვალების აკრეფაში ეხმარებოდა, არ გაუშვა იგი; თვითონ გადამეტებით გადაახდევინა თავზე მოვალეს. ხოლო ამ გვარ გადახდევინებას აღალომ დასძინა მუქარა: „თუ ვერ გაცნობო თავი, მაშ მე კაცი არ ვყოფილვარ!“ ღვინით გამობრუჟულმა გლეხმა მაინც ვერ მოითმინა და თამამად და იმედიანად უპასუხა: „რაც შენ ჩემგან წაალო, შენ კ—პა დედასთან დაიკვეხე!“ აქ კი ძლივს შეიმაგრეს ვეფხვივით განრისხებული აღალო; იქნება კიდეც გასხლტომოდათ ხელიდან და კარგები აეყვანინებინა ყბედი და პირაოში მოვალესათვის, ეს უკანასკნელი რომ არ გაესტუმრებინათ სახლისაკენ.

ერთმა სხვა მოვალემაც გამოიჩინა აღალოს წინაშე ურჩობა ვალის გადახდაში, თუმცა სიტყვითი შეურაცხყოფა არ მიუყენებია მისთვის. აი ამ ორ მოვალეზედ შეიტანა აღალომ საჩივარი მომრიგებელ მოსამართლესთან. იგი იმდენად იყო მიხვედრილი ახლად შემოღებული სასამართლოების წეს-წყობილებას, რომ შეეძლო თამამად გამოეყენებინა ეს წეს-წყობილებანი თავისი ხრიკების და განზრახვის გასაყვანად და შესასრულებლად. ამისთვის სრულიად დარწმუნებული იყო, რომ შესაფერად დასჯიდა ურჩსა და შეურაცხმყოფელ მოვალეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ამ უკანასკნელთ არ ეგემათ ჯერ, თუ რა ხილი იყო მომრიგებელი მოსამართლე, ან რას ნიშნავდა უწყებები მოსამართლისა, რომელთა მიღებაც სიცილად არ ეყოთ. ამასთანავე გადასწყვიტეს ფეხი არ დაედგათ სასამართლოს კარზე. „თუ გვმართებს რამე, მოვიდეს და წაიღოსო!“ მათ დაუსწრებლად გარდაწყვეტილების პირსაც არ მიაქციეს ყურადღება და არ შეიტანეს ვადაზე პასუხი. ხოლო, როცა ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, აღალომ მიიღო აღმასრულებელი ფურცლები და ბოქაულითა და მამასახლისით წაადგა თავს იმ „მამაცსა და გულად ვაჟბატონებს“,—ასე დანათლა ისინი აღალომ,—მაშინ კი დაფაცურდნენ და თავს ბალანი აეშალათ. ახლა მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ ეს ხუმრობა აღარ იყო; აღალო უხდიდა სამაგიეროს, როგორც დაიკვეხა. თუ მაშინ იცინოდნენ და აინუნში არ მოსდიოდათ დამუქრება აღალოსი, რომელიც ბრაზით გულზე სქდებოდა, ეხლა ცხარე ცრემლით სტიროდნენ, ხოლო აღალო სიამოვნებდა მათი ტანჯვით და თავისი გამჭრიახობით და ძლიერებით. ნამეტნავად ერთი მათგანი იხრაკებოდა უცეცხლო ცეცხლში. ბარათი აღალოს სახელობაზე იყო დაწერილი, ვალი კი მისმა დედამ ჩაიბარა—ორი მანეთი-ღა დარჩა მოვალეზე. აი რისთვის შეელაპარაკა შეზარხოშე-ული მოვალე აღალოს და უთხრა—„მე ჩემი ვალი დიდიხანია მოვიშორეო.“ მაგრამ აღალომ უჩივლა მთელი თამასუქით და მომრიგებელმა მოსამართლემაც დააკისრა სრული ვალი—საში თუმანი. მოვალეს ბათილამაც კი არა ჰქონდა აღალოს დედისაგან მიცემული და, თუნდაც ჰქონოდა, ახლა გვიანღა იყო.

როცა ბოქაულმა საქონელი აუწერა და უყიდდა უკვე გასტუმრებულ ვალში, გულხელ დაკრეფილ მოვალეს მუშტისტელა ცრემლები სცვივოდა თვალებიდან და ამბობდა: „ან ღმერთი არსად არის, ან სამართალი?! ამისთანა უცოდო მადლობა იქნება, რომ მე თქვენ მიშვრებით! ერთხელ გატყავებულს მეორედ ტყავს მაძრობთ, ამისთანა ცეცხლი გინახავთ! რი სახარების მადლმა, ორი მანეთი-ღა დარჩა ჩემზედ, ოცო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რვა მანეთი ჩავაბარე თითონ მაქთაღინას. სამება გამიწყარეს, ოჯახი დამეღუპოს, თუ მაგ სამ თუმანშიაც სამი მანეთის ნაფასები მქონდეს წამოღებული. დღესავით მახსოვს, ერთი შოლტი ქალმანი წამოვიღე, ორი ლიტრა მარილი, დედაჩემს კიდე ორი სტილი საპონი წამოეღო. ცხონებულმა მელქომ როცა დუქანი მოშალა, სამი მანეთი უანგარიშა მამაჩემს და სარგებლით დააწერა. იარა ამ სამმა მანეთმა და სამ თუმნად გაღაიქცა. მაგრამ, რა სამი თუმანი, როცა აღალომ ჩემ სახელზე გადმოიტანა ვალი, აი თუნდა გამამტყუნოს, აქა ბრძანდება, რვა მანეთი ნაღდად მივეცი და სამი თუმნისაც ბარათი. ამ სამი თუმნიდან ოც და რვა მანეთიც მაგის დედას მივეცი და ეხლა რომ ისევ მახდევინებთ ერთხელ გადახდილ ვალს, ღმერთი არა გაქვთ, ან პირჯვარს არ იწერთ?“

— შენ ზღაპრებს კი ნუ მოჰყე! ეს პატიოსანი პრისტავი საქმისთვის მომიყვანია, საქმე უნდა გავაკეთოთ. ან ჩემი ფულები ჩამაბარე, ან არა და ეხლავე გაგეყიდება ხარები.

— შენც გეხვეწები, აღალო, და პრისტავსაც: ნუ დამღუპავთ ერთ საწყალ კაცს. თუ შევცდი და გაწყენინე, რა ვქნა, ნასვამი ვიყავი და გთხოვ მაპატიო; სხვანაირად გადამახდევინე. ორი მანეთი, მართალია, მევალება შენი; იმას, სადაც იქნება, მოვთხრი და ეხლავე მოგართმევ თავისი კუთვნილი სარგებლით.

— ჯერ შენ ეს უნდა იცოდე, რომ მე შენი აღალო არა ვარ. მე ალექსეი მელიქიჩს მეძახიან. მეორეც ესა—აკი გაპატივე, რის პატიობაც შეიძლებოდა. რაც შენ წყენა და შეურაცხყოფა მომაყენე, რომ არ მეპატივებინა, ახლა სატუსაღოში იჯდებოდი, მაგრამ მე მამიჩემის სულს ვაპატივე და არ გადაგახდევინე. და რაც ეხლა შენა გხდება, ეს მაგიერის გადახდევინება კი არ არის, როგორც შენა გგონია და ჰყბედობ, გმართებს და მე ჩემსას გთხოვ. მომცემ ხომ რა კარგი; არ მომცემ და ხარები აქ არიან. ბატონო პრისტავო, გთხოვთ გაუყიდოთ ეს ხარები და მე ჩემი ჩამაბაროთ. თქვენგნით მიცემული ვადა გავიდა. ამას ყური არც კი გაუბერტყნია და არა ცდილა ფულის შოვნისათვის, ამას ხუმრობა ჰგონებია, როგორც ეტყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი ჭირიმე, ბატონო პრისტავო, ნუ დაჰლუპავ ჩემ ცოლსა და შვილს. ემ უღელ ხარზე ვკიდივართ მთელი იმოდენა ოჯახი.

— მე რა საქმე მაქვს, ჩემო ძმაო, ან მე რა შველა შემიძლიან! ყოველიფერი შენი ბრალია. გამოცხადდებოდი სუდში, როცა დაგიბარეს, მოახსენებდი სუდიას, რაც საბუთები გქონდა და ის გადასწყვეტდა—მტყუანი იყავ თუ მართალი. ეხლა აღარაფერი ეშველება საქმეს, заочное рѣшеніе ძალაში არის შესული; ბევრიც რომ იტოკო, გადაგხდება ვალი. ჩემგნით რა შელავათიც შეიძლებოდა, მოგეცი. როცა ხარები აგიწერე, ვადა დაგიდე და გითხარი: თუ ამ დრომდის არ იშოვნი ფულსა და არ გაუსწორდები მოვალეს, ხარები გაგეყიდება-მეთქი— გამოგიცხადე ასე თუ არა?

— ჰო, შენი ჭირიმე, გამომიცხადე, მაგრამ რა ვქნა, ყველაფერი უცოდინრობითა და სიბრიყვით მომივიდა და გთხოვთ შემიბრალოთ და მაპატიოთ, ნუ დამიღუპავთ ცოლ-შვილს.

— ეხლა იმის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, ჩემო ძმაო, რომ კანონი შევასრულოთ და არც შემიძლიან არ შევასრულო.

დაიწყეს საჯაროდ ვაჭრობა უღელი ხარისა და სწორედ იქამდის ასწიეს იმათი ფასი, რამდენიც აღნიშნული იყო აღმასრულებელ ფურცელში—ბოქაულის დასაჯილდოებელის ზედმისვლით. ამ ფასში დაინარჩუნა ხარები სოფლისავე მამასახლისმა. ასევე გადაახდევინა აღალომ მეორე თავზედ მოვალესაც.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი დანარჩენმა მოვალეებმა, თავს ზარი დაეცათ. დაფაცურდნენ ყველანი და ზოგი ფულს მოურბენინებდა, ზოგი ეხვეწებოდა თამასუქის გამოცვლას. ისე მოაწყო აღალომ გაცემულობის საქმე, როგორც სურდა. თავისდა საბედნიეროდ ახალი წესიც მოიგონა თამასუქებით ვალის გაცემისა: სარგებელს არ აცხადებდა თამასუქებში, როგორც წინად იგიც და სხვებიც შვრებოდნენ; იგი სარგებელს თავნზედ მიდიოდა, როგორც ბოლოს ვექსილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყეს წერა, კიდეც იკვეხოდა აღალო, მე ვასწავლე ყველას ეს წესიო და აწერდა უსარგებლოდ დანიშნულ ვადამდის. რაც უნდა დიდი სარგებელი აეღო, ვერავინ შეუტყობდა. ამგვარი წესის შემოღებამ ძრიელ ხელი შეუწყო აღალოს და სარგებლობაც დიდი მოუტანა: რამდენსაც სთხოვდა სარგებელს, უარს ვერავინ ეუბნებოდა, ოღონდ არ ეჩივლა და ბოქაული არ მიეყვანა მის კარზე.

ამასაც არ დასჯერდა აღალო. იმან გადაჩხრიკა თამასუქების ყუთი და ბევრი გაბათილებული თამასუქი იპოვნა. ამ თამასუქებით მის დედ-მამას გადაეხდევინებინათ ვალი, მოვალეებს კი არც დაეხევინებინათ, არც დაეხსნათ. მხოლოდ, რადგანაც ათი წლის ვადა გასული ჰქონდათ, დამწვრები იყო და აღალომ კარგად იცოდა, რომ კანონი არ შეიწყნარებდა. მაგრამ ბევრი აღარ ახანა და შიშის ზარით დაფეთიანებულთ დაეცათ ამ გაბათილებული და დამწვარი თამასუქების პატრონებს. მომეტებული ნაწილი თამასუქებში მოხსენებულ პირთა ცოცხლები აღარც კი იყვნენ; ხოლო რადგანაც შიგ მოხსენებული იყო, „ჩვენმა შვილებმა და შვილისშვილებმა გადაიხადონ ჩვენი ვალი, თუ ჩვენ ვერ გადავიხადეთო“, ცოცხლებს მიმართა ამგვარი სიტყვებით: „ხომ გაგიგონიათ, სოსიას და ფიდას რა დღე დავაყენე, რადგანაც გამიჯიუტდნენ და ბიაბრუობა მომაყენეს. ამას იქით ვინც გამაჯავრებს, იმაზედ უარესს დავმართებ და ვინც ტკბილად მომირიგდება, იმათთან მეც სიტკბოს და კაი კაცობას გამოვიჩენ. რამდენიმე თამასუქი მიეგდო მამაჩემს ისეთ ადგილას, რომ ვერც დედა-ჩემმა და ვერც მე ვერ მივაგენით აქამდის. ახლა ვიპოვნეთ და იმათში თქვენი თამასუქიც აღმოჩნდა,“ ეუბნებოდა, ვისთანაც საქმე ჰქონდა, „თუ არ მაჩივლებთ, მეც არ შემაწუხებთ და თქვენ თავსაც, ხომ რა კარგი; თუ მაჩივლებთ და ისიც თქვენი ნება იყოს. მართალია, შევწუხდები სასამართლოში სიარულით, მაგრამ თქვენ უფრო ძრიელ შეგაწუხებთ, და თუ შინაურულად მოვრიგდებით, მაშინ საქმის გათავება ჩემს სვინიდისზე მოაგდეთ. გადაიხდით ეხლვაე ვალს, იმას დაგჯერდებით მარტო, რაც თამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუქში სწერია, სარგებელს არ გამოვუდგები—ან როგორ ამოუხვალთ იმოდენა სარგებელს, რამდენიც შედგება, ჩემს ღმერთს რომ გადავუდგე და გიანგარიშოთ; ვერ გადაიხდით ახლა და—თამასუქი გამომიცვალეთ. ისევ იმას დაგაწერთ, რაც თამასუქში სწერია; ერთი წლის სარგებელსაც გაპატიებთ, რადგანაც თქვენც ცოდონი ხართ, განა არ მესმის, რომ თქვენ დავიწყებული გაქვთ ეგ ვალი, რაკი აქამდის არავის უთხოვნია თქვენთვის. რომ ეთხოვნა ვისმე, აქამდის როგორმე მაიშორებდით.

— მართალია, არ გვახსოვს მაგისთანა ვალი,—ეუბნებოდნენ შვილნი და შვილისშვილნი ვალის ამღებთა,—მხოლოდ ის კი გაგვიგონია, რომ მართებიათ და მოუშორებიათ. ვინ იცის, იქნება არ მოუშორებიათ მართლა, თორემ თამასუქს დახევდნენო. ხოლო ვინც ცოცხლები იყვნენ, ისინი დაჭეშმარიტებით ეუბნებოდნენ, რომ მიცემული გვაქვსო, მაგრამ თამასუქების გამორთმევა დაგვავიწყდაო. მაინც რა გაეწყობა, ჩვენ იქამდის არ მიგიყვანთ, რომ გაჩივლოთო.

ყველანი დასთანხმდნენ თამასუქების გამოცვლას. აღალომაც აასრულა თავისი დაპირება: დააწერათ მარტო ის, რაც თამასუქებში ეწერა და თითო წლის სარგებელიც აპატივათ—ამას ჩავდივარ მამი-ჩემის სულის გულისათვისაო. როცა ახალი თამასუქები ჩაიწყო ჯიბეში, აღალომ წყრომით უთხრა მოვალეებს: დახე რა სიკეთე გიყავით და თქვენ მადლობასაც არ მეუბნებითო. იცოდეთ ამის შემდეგ, რომ ძალაცა და სამართალიც ჩემ ხელში არის. ეს კარგად შეიგენით და ყურებიც გამოიბერტყეთ, არ გამაჯავროთ და არც გამალაპარაკოთ,—ეუბნებოდა აღალო რიხიანის კილოთი მოვალეებს.

VI

მაგიერის გადახდა

რაკი აღალომ გაცემულობის საქმე სასურველად დააბოლოვა, ძრიელ კარგ გუნებაზე იყო და მოინდომა ერთი საუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთესო დროება გაეტარებინა თავის სწორ-ამხანაგებთან. გარდა იმისა, რომ იგი თავის ნასიამოვნებ გულს სხვერპლს მიუძღვნიდა, უნდოდა კიდეც ამ დროების გატარებით თავი გამოეჩინა და გასცნობოდა კარგად მეზობლებს, რომელნიც ვერ იცნობდნენ დაშორების გამო.

წადილი მალე და დაუბრკოლებლივ შეისრულა აღალომ. საგანგებო მეჯლიში გამართა, საგანგებო სტუმრებიც მოიწვია; სუფრას, თუ მომზადებას, თუ ქცევას აღალოსას, როგორც მასპინძლისას, გულს მოდგინება და გულუხვობა არ აკლდა. ყოველი ესე ტკბილი დუდუკით იყო შემკული.

მოქეიფენი ეშხ'ში იყვნენ შესულნი, როცა ერთ სტუმარს შემოუტანეს ამბავი: კნიაზ კოტე გეძახის საჭირო საქმისათვისაო.

— ვინ კნიაზ კოტეა, რას ამბობ?—მიუბრუნდა ამბის მომტანს აღალო.—რა დროს საქმეა ეხლა?—და მუხლებზე ხელი დაადო ასადგომად მომზადებულ სტუმარს.

— თადეოზის შვილიო,—მიიღო აღალომ პასუხად.

— წავიდეს, მისი ასე და ისე! ის რა ღირსია, რომ იმის გულისათვის გარედ გახვიდე და ქეიფს მოსცდე!—უთხრა აღალომ სტუმარს. კაცი რომ იყოს, სუფრაზე არ მოვიწვევდი! მაგრამ ეგ კაცი კი არა, ძაღლზე უარესია!—ამ სიტყვებზე აღალოს გული ისე აუტოკდა, რომ მისი ძაგა-ძუგი ახლო მსხდომარეთ ესმოდათ.—ეჰ შენთვის იჯექი და დროება გაატარე. თუ საჭირო საქმე აქვს, არსად წავა, დაე გიცადოს კარზე მურიკასავით.

ყოველი ეს სიტყვები გაიგონა კოტემ, რადგანაც კარებს ახლო იდგა და შემოუძახა გარედან:—ნეტა ვინა თავხედობს და ვინ მიჰქარავს მაგისთანებს?

ამის თქმა იყო და აღალოს უცბად ფეხზე წამოდგომა. თვალის დახამხამებაში გადმოხტა სუფრაზე; გამოვარდა კარში და ისე მოულოდნელად ეცა კოტეს და წაუშინა მუშტები, რომ იგი ამ მოულოდნელობისაგან გაშეშდა და ვერც ხელი გამოიღო და ვერც ხმა ამოიღო. როცა გონს მოვიდა, კიდეც გაიშველეს სუფრიდან წამოშლილმა ხალხმა. ახლა წაივლო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემ ხელი ხანჯალზე, მაგრამ გვიან-ღა იყო: მოჩხუბარნი ძრიელ შორი-შორს ეჭირათ გამშველებელთ,—ლანძღვა-გინებით-ღა იოხებდნენ ერთმანეთზე გულს.

— ეხლა მეც მიცანი, ვინა ვყოფილვარ!—ეუბნებოდა კოტეს აღალო.—ეს ბოლმა ხომ გავხეთქე! წადი ახლა და საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვი! არა, შენ გეგონა, დედაჩემი ორი შაურის ტყემალი იყო, რომ იმისი ლანძღვა შემერჩინა შენთვის! შენს სახლში რომ დიდი გული გქონდა და ბიჭების იმედით ჰყოყლოჩინობდი, აბა ეხლა გამობძანდი, ეს ბურთი და ეს მეიდანი, გავშინჯოთ ერთმანეთი! მაგრამ მგონია კი გაიღე გემო ჩემი მუშტებისა.

კოტე გულზე ხელს იცემდა და აღალოსაკენ იწევდა, ხოლო გამშველებელთ მაგრა ჩაეჭიდნათ ხელი და არ უშვებდნენ.

კარგა ხანი დასჭირდათ გამშველებელთ მოჩხუბრების დაშოშმინებაზე. შუაკაცებიც გაჩნდნენ, რომელთაც აქავე მოინდომეს მათი შერიგება. შემოეხვივნენ კოტეს და მოსვენება აღარ მისცეს: „კნიაზო, რაც იყო—იყო; შერიგდით, შერიგდით. საჩივლელად საქმეს ნუ გახდითო. კოტე დიდს უარზე იდგა. აღალო კი გაიძახოდა: წავიდეს მაგისი ასე და ისე! ეგ კაი კნიაზი და მე ეს ალექსეი მელიქიჩ მანუქოვი და ეს ჯიბეც ჩემთან ერთად,—დაიკრა ჯიბეზე ხელი,—ერთი ფულის ძალა უნდა დავანახვო მაგას და!... რაც მაგან მე დამაკლოს, თავის ცოლთან დაიკვეხოს! ხოლო შუაკაცნი თავისას არ იშლიდნენ.

მეორე დღეს ეს ორი მოჩხუბარი ისხდნენ ერთად ისევ იმ სალხინო სახლში და იმავე ამქარში; შეექცეოდნენ ტკბილად დუდუკზე და ხშირად ჰკოცნიდნენ ერთმანეთსა; თანაც ერთმანეთსა სთხოვდნენ შენდობასა და პატიებასა, რაც მათში წინა დღეს მოჰხდა. გუშინდელი მოსისხლე მტრები დღეს გულითად მეგობრებად გარდაიქცნენ. არა თუ მარტო დღეს, შემდეგშიაც დიდ ხანს გასტანა მათ შორის კეთილმა განწყობილებამ. ერთიცა და მეორეც ცდილობდნენ ერთმანეთისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრული სიყვარული გამოეცხადებინათ და გულითადი ხამსახური გაეწიათ.

მეგობრული განწყობილების დამტკიცება პირველად აღალოსა ხვდა. კოტე მოსულიყო სანინლანში ხუთმეტიოდე თუმნის სასესხებლად. როცა აღალომ გაიგო ესა, უთხრა: „ვა, კნიაზ ჯან, ეხლა მე შენ სხვაგან გაგზავნი ფულისათვის!“ ამოიღო ჯიბიდან და იქავე დაუთვალა ხუთმეტი თუმანი უბარათოდ. მოქეიფე ხალხს თვალები აუჭრელდათ, როცა იმან ჯიბე-უბიდან დასტა-დასტად ამოალაგა ათ-თუმნიანი ბილეთები. ამ დროს იგი ყველას თვალში მილიონის პატრონად გადაიქცა, ხმაც ასე დაუარდა და აღალოც ამ ხმას ეძებდა. ხოლო კოტე ისე მოხიბლა მისმა ქცევამ და გულში ისე მრავლად აღუძრა სამადლობელი გრძნობანი, რომ ამის მეტი ველარა მოახერხა-რა: „მაშ კაცი ნუ ვყოფილვარ, თუ მეც არ გადაგიხადო!“

ერთი კვირის შემდეგ აღალომ „მირონი შეიტანა“ კნიაზ კოტეს სახლში. ღმერთს მადლობასა სწირავდა კოტე და ძრიელ საბედნიეროდ სთვლიდა იმ გარემოებას, რომ შეესწრო იმ დროსათვის მოსანათლი ბავშვი, რომელმაც მეგობრობა მტკიცედ დააკავშირებინა „ყოვლად პატიოსან და საყვარელ კაცთან“, როგორც იგი უწოდებდა აღალოს. ამის შემდეგ აღალო სასურველ და სანატრელ სტუმრად გარდაიქცა თავადი კოტეს სახლისთვის, მაგრამ იმას სტუმრობისათვის არ ეცალა.

აღალოს ფულების ღობალმა გასჭრა, თუ მისგან ოჯახში შეტანილმა მირვნის მადლმა იმოქმედა, იმ წელს თ. კოტე მორბედაძეს დიდი მოსავალი მოუვიდა ღვინისა,—რაღა თქმა უნდა, რომ იგი ძრიელ გახარებული და გულ გახსნილი იყო. დაიდუღა თუ არა ღვინოებმა, კოტემ დაიბარა აღალო, უჩვენა რამდენიმე ქვევრი და უთხრა:

— აბა, ალექსეი მელქიჩ, რომელი ქვევრებიც გინდა დაბეჭდე, თუნდა ამ საათშივე ამოიღე ერთი ურემი ღვინო (სამი საპალნე) შენს თხუთმეტ თუმანში, რომლითაც ისეთ დროს გამიმართე ხელი, რომ თხუთმეტ ათას თუმნად მიღირდა.

— ვა, კნიაზჯან, აბა, რასა ბრძანებ! მეც არა ვთქვი, რამე სხვა საქმისათვის მიბარებს-მეთქი. ასე მცოდნოდა, აქ ფეხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვდგამდი! განა ჩვენში მაგისთანა ანგარიშები უნდა იყოს! ეჯ სულ მეტია.

— არა, ჩემო ალექსეი მელიქიჩ, მეც კაცი ვარ და მინდა კაცთან კაცურად მოვიქცე—ამ დროს ერთი ყურთმაჯი კაბისა მხარზე გადიგდო—შენ მენდე, პატივი მეცი და მე შენი პატივის ცემა ისე უნდა ჩავატარო!

დიდს უარზე იდგა აღალო, მაგრამ მაინც დასცალა კოტემ; აღალომ დაბეჭდა ორი საუკეთესო ქვევრი და შემდეგ მიჰმართა კოტეს:

— კნიაზო, იცი რა? ეშმაკი ღმერთმა დასწყევლოს, რომ ჩვენში უთანხმოება და უსიამოვნება ჩამოაგდო; აღებ-მიცემობა და ვაჭრობა მოგვისპო ერთმანეთში. იმ ოხრად დასარჩენს დღეს მეც დიდი ზარალი მომეცა და თქვენც. მოდი, ყველაფერი დავიწყებას მივცეთ და ისევ აღვადგინოთ ერთმანეთში ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. მე ყოველთვის ღვინო მინდა, თქვენ ღვინის გაყიდვა. იმედია, ეხლა აღარაფერი შუღლი და უსიამოვნება არ გამოგვერევა, რადგანაც ნათელ-მირონები ვართ. მხოლოდ ამას კი გთხოვ: არც შენ დამეხათრო ვაჭრობაში, არც მე დაგეხათრები. ვაჭრობამ ხათრი არ იცის,—ვაჭრობა ამოღებული ხმალივით უნდა იყოს.

— მაგას რა ემჯობინება, ჩემო ნათლია კაცო!—შეიგდო მხარზე მეორე ყურთმაჯიც კაბისა—მე გასასყიდად არ მინდა ჩემი ღვინოები, მა რად მინდა! შენზე უკეთეს ვიღას მივყიდი? თუნდაც მეტ-ნაკლები წავიდ-წამოვიდეს ერთი-ერთმანეთში, მაინც დაკარგული არ იქნება.

მორიგდნენ ურემს ოც და ათ თუმნად და აღალომ დაბეჭდა ყველა ქვევრები. ფულიც ჩააბარა კოტეს, რამდენიც, სთხოვა და თან დაატანა: „თუ ვიყვარდე, ნათლიმამ, ფულზე ნუ დამეხათრები, იქნება ღვინოების ამოღება დავაგვიანო, მხოლოდ შენ რამდენიც გინდა ფული და რა დროსაც გინდა, მოიკითხე და მიირთვი,

ღვინის ამოღების დროს წინანდებულად არ მოიქცა აღალო. მოუტანა ნათლი მამას სამი თავი შაქარი, ჩაი, დოშები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზილალა, გელაქნურები, ხმელი ხილი და ლიმონები. მაგრამ დასხმასაც კი საზღვარი არა ჰქონდა.

როცა გაუსწორდა ღვინის ფასში და ეთხოვებოდა წასასვლელად, კიდევ გაუმეორა აღალომ კოტეს; თუ გიყვარდე, კნიაზო, და ჩემი ხათრი გაქვს, ნუ დამზოგავ; რამდენიც გნებავდეს, მომკითხე ფული, არც ბარათი მინდა შენი და არც სხვა რამ. როცა კაცს პირი აქვს, ბარათი რაღა საჭიროა. ბარათი უპიროპის იარაღია. დღეს ჩვენ მეგობრები ვართ და მეგობრობაზედ უფრო მტკიცე კავშირი ჩვენში ნათელ-მირონობა არის. მე შენ სახლში მირონი შემომიტანია და ამ მირვნის ხათრით მოვალე ვარ ყოველისფრით გემსახურო და გასიამოვნო.

ამის შემდეგ ნათლია და ნათლიმამა ისეთ განწყობილებაში იყვნენ, რომ მინავ ნუ გასტყდები და ღვინოვ ნუ დაიღვრებიო. დიდ სიკეთესაც კი უშვრებოდა ალექსეი მელიქიჩი კოტეს. რა დროსაც კი ან რამდენიც კი მოუნდებოდა ფული, ან თითონ მიდიოდა, ან ბიჭსა გზავნიდა და ყოველთვის უარის უთქმელად მოსდიოდა. ერთი სიტყვით, ნათლია ნათლიმამისთვის აზინად გადაიქცა, მაგრამ არც ნათლიმამა რჩებოდა ქვეშ. ატივისცემით სახლში მიღებასა და უხვ მასპინძლობას როდი აკმარებდა იგი აღალოს; იგი იმასა ცდილობდა, რომ სიკეთისათვის მაგიერის გადახდა ღვინოების იაფად მიყიდვაში და მიწყვაში გამოეჩინა.

მ. ლ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

როს აწმყოსგან დაჩაგრული
მომავლისგან ველი შვებას,
მაშინ იმედ-მოტემული
ვგრძნობ ზეციურს ნეტარებას.

და მთლად გრძნობა-მორეული
სულით ვტკბები, გულით ვხარობ;
საიმედო მომავალსა
ველოდები და ვნეტარობ.

მაგრამ ამ დროს იდუმალი
ხმა ჩამძახებს: «იცი ესო:
სანამ ბეტრე მოვიდოდა,
ბავლეს ტყავი გაძვრესო».

და წამს იმედ-დაკარგული
ვეძლევი მე მწუხარებას,
სული მეწვის, გული მიკვნესს
და ვწუევლი ჩემ დაბადებას.

ვ. რუხაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტი ანაფორით

(ძველი სტუდენტის ნაამბობიდან)

პოტაპენკოსი

1

უნივერსიტეტის კურსის შესრულებას ორი წელიწადი-ღა მიკლდა და ეს ორი წელიწადი ერთ პროვინციის უნივერსიტეტში გავატარე.

საზაფხულოდ სოფელში კერძო გაკვეთილები მქონდა; ამ გაკვეთილებს მალე მოვრჩი და ქალაქში ათ აგვისტოს ჩამოვედი. ჩემი ამხანაგები ჯერ არ ჩამოსულიყვნენ. მხოლოდ უნივერსიტეტში იყო ოთიოდ კაცი, რომელთაც ზაფხულის მაგიერ ეხლა, ენკენისთვეში უნდა დაეჭირათ ეგზამენები. მე იმათ იშვიათად შევხვდებოდი ხოლმე, რადგან ყველა მათგანს თავიანთი საქმე ჰქონდა—ეგზამენისთვის ემზადებოდნენ.

ქალაქში ვერაფრით გავერთე. ჩემი ერთად-ერთი გასართობი საგანი თეატრი იყო, მაგრამ თეატრის კარი საზოგადოებისთვის ჯერ არ გაღებულიყო. ცხელოდა საშინლად; ქუჩებს განუწყვეტლივ მტვერი ასდიოდა. ვერსად ვერ მოვახერხე წასვლა და ამიტომ ძალაუნებურად უნივერსიტეტში დავხეტიალობდი. თანაც იმედი მქონდა, სტუდენტები ეხლა კი ჩამოლაგდებიან და ნაცნობ ამხანაგებს მალე შევხვდები-მეთქი.

მაგრამ ამხანაგები არსად სჩანდნენ. უნივერსიტეტში შემოდიოდნენ მორცხვად და გაუბედავად უცნობი პირნი. ესენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად ჩამოსულები იყვნენ, უნივერსიტეტში შესვლას ეხლა აპირობდნენ.

ამ ახლად ჩამოსულთ შორის სემინარიელებიც ბევრნი იყვნენ. იმათ უნდა ეგზამენები დაეჭირათ უნივერსიტეტში შესასვლელად. სემინარიელებს ადვილად იცნობდით გარეგანი შეხედულობით და ტანისამოსით. ისინი ძალიან გაუბედავად იქცეოდნენ; ტანზედ ეცვათ სემინარიიდან გამოყოლილი გრძელი სერთუკები. ახლად ჩამოსულთაგანი მე არავინ გამიცვნია, როგორლაც ვერ მეხერხებოდა. უსაქმობამ, ცოტა არ იყვეს, გამაბეზრა და ორიოდეჯერ აუდიტორიაში შეველი ეგზამენების საცქერლად. მაინც და მაინც ამითაც ვერ გავერთე. ისე რომ, ეჭვი არ არის, მესამედ მე აუდიტორიაში ღარ შემოვიდოდი, თუ რომ აქ ერთი საინტერესო შემთხვევა არ მოხდარიყო.

ზემო სართულში ეგზამენები სწარმოებდა; მე მარტოდმარტო ქვემოდ დავეხეტიალებოდი. არ სჩანდა არსად არც კარის კაცი, არც მოსამსახურე. ერთ კუთხეს რომ მივატანდი, მერე მეორისაკენ ვბრუნდებოდი. ამავე დროს კარებისაკენ ვიცქირებოდი, აცა, იქნება ნაცნობი ვინმე შემოვიდეს-მეთქი. ამ ყოფაში რომ ვიყავ, უცებ კარები გაიღო და გამოჩნდა ადგილისა და გარემოების შეუფერებელი ადამიანი. ეს იყო სასულიერო წოდების პირი,—მხოლოდ რა ხარისხისა, ის ველარ გავიგე. ტანთ ეცვა გრძელი, ფართო-სახელოებიანი ანაფორა; თავზე დაძველებული შავი ქუდი ეხურა; მხრებზე გრძელი თმა ჩამოჰფენოდა. ამ კაცს ქერა წვერი ჰქონდა და ბანლიანი პირისახე. ისე რომ ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ რამდენი წლისა იქნებოდა იგი. ქუდი, ანაფორა და თმა მტვრით ჩამოგინგლოდა; ეტყობოდა, ნამგზავრი იყო.

ახლად შემოსულმა გარშემო ყურება დაიწყო, თითქო ეძებს ვისმეო.

მე კარგა შორს ვიდექი და ეს კაცი რომ დავინახე, გავშტერდი. თანაც შორიდან ყურება დავუწყე, აცა რას იზამსმეთქი. ის ერთბაშად შეკრთა და მე გავსწიე იმისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მაშინვე ის ვიფიქრე, ეს უთუოდ ნათესავია ერთ-ერთ ახლად ჩამოსულ სტუდენტ-სემინარიელისა-მეთქი. ერთი შეხედულობით სოფლის მღვდელს წააგავდა.

— ვინა გნებავთ, მამაო?—შევეკითხე მე.

ჩემ სიტყვებზე იმას გაეღიმა და ქუდი მომიხადა.

— არა,—მიპასუხა ბოხი ხმით,—ის... არავინ მინდა, მხოლოდ უნდა გამეგო... თუ შეიძლებოდეს, მითხარით, ეგზამენებს სად იჭერენ აქ?..

— ეგზამენებს?—შევეკითხე—ეგზამენები რადა გნებავთ?

— მინდა ისე... მეც, რა ჰქვიან... უნდა დავიჭირო ეგზამენი...

მე გავოცდი.

— როგორ თუ ეგზამენი? განა თქვენ... ეს ხომ უნივერსიტეტია!

— ვიცი,—მიპასუხა მან,—ვიცი რომ უნივერსიტეტია... მეც სწორედ უნივერსიტეტი მინდა.

— მოითმინეთ... მე ვერ გავიგე; უთუოდ თქვენი ნათესავი იჭერს ვინმე ეგზამენს და იმის ნახვა თუ გინდათ.

— ეჰ, არა,—გაცხარებით წარმოსთქვა მან,—მე თითონ უნდა დავიჭირო ეგზამენი.

— როგორ, რა ამბავია?

— აი რაშია საქმე: მე თხოვნა მივეცი, რომ სტუდენტად მიველეთ... ეს, რასაკვირველია, არა ჩვეულებრივი შემთხვევაა, რადგან ანაფორა მაცვია... მაგრამ ეს არაფერი... ნება გვიბოძეთ გაგეცნოთ: სოფელ ბოგოდუხოვის მთავარი, ევმენიდოვი გახლავარ... თქვენ სტუდენტი ბძანდებით?

— უკაცრავად! მე არ ვიცოდი, თუ სასულიერო პირებსაც შეეძლოთ უნივერსიტეტში შესვლა.

— რატომ არ უნდა შეგვეძლოს? ჩვენ რა სხვაზე ნაკლები ვართ? მაგრამ უკაცრავად, ეგზამენებს სად იჭერენ? ცოტა არ იყვეს, დამიგვიანდა. სამოცი ვერსია ჩვენ სოფლამდის. დილით რიჟრაჟზე წამოვედით, მაგრამ გზაში ღერძი გაგვიტყდა და იმან დაგვაგვიანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და მთავარი მაღლა კიბეზე ავედით და ვაჩვენე აუდიტორია, საცა ეგზამენები სწარმოებდა. რომ მივდიოდით, ათასნაირი ეჭვები მებადებოდა ამ კაცის შესახებ. ვფიქრობდი: რა ამბავია, აქ ეშმაკობა ხომ არაფერი უნდა იყვეს-მეთქი. მაგრამ მთავარი ბეჯითად მიაბიჯებდა, თანაც ნაღვლიანობდა, ვაი თუ ველარ მივუსწრო ეგზამენებს და ისე დავრჩეო.

— მამაო, რა ფაკულტეტი გაქვთ ამორჩეული?—ვკითხე მე.

— მათემატიკისა...

ამ სიტყვებზე მეტად გავოცდი.

— მაშ თქვენ, ალბად, სემინარია გაგითავებიათ!

— არა, სემინარია არ გამითავებია, ფილოსოფიის კლასი შევასრულე,—წინად ესე უწოდებდნენ; შემდეგ ღვთის-მეტყველების კლასში გადავედი, მაგრამ აქ უსიამოვნობა მომიხდა... მე და ინსპექტორი ერთმანეთში ვერა ვრიგდებოდით და სწავლას თავი დავანებე. ამ დროს მთავრის ადგილი იყო დაცლილი; მე ავდექი, ცოლი შევირთე და სამსახურს შევუდექი. მაინცა და მაინც, შეგირდობის დროს მათემატიკა ძალიან მიყვარდა და ცხოვრებაშიც რომ გამოვედი, ამ საგანს თავი არ გავანებე. ამ რამდენისამე წლის წინად მთავრობამ ბრძანება გამოსცა: ვისაც საზოგადო განათლება მიულია, შეუძლიან, თუ ეგზამენს დაიჭერს, უნივერსიტეტში შევიდესო. მეც ვიფიქრე: მოდი შევალ უნივერსიტეტში-მეთქი. საზოგადო განათლება მიმიღია, მართალია, ანაფორა მაცვია, მაგრამ ვითომ რაო, რას დამიშლის-მეთქი. ავდექი, ჩვენს მთავრობას ქალალდი მივეცი, უნივერსიტეტში მინდა შევიდე-მეთქი. ამის თაობაზე არქიელმა თავისთან დამიბარა. ჯერ ისე გვერდელად შემომხედა. ვიფიქრე, რაღაც ამბავია ჩემ თავს-მეთქი. მერე დამიწყო გამოკითხვა: როგორ, რისთვის, საიდან დაგებადა ეგ სურვილიო და სხვა. მე, რასაკვირველია, ყველაფერი ვუამბე. ვუთხარი: მათემატიკა ჩემი სატრფიალო საგანი არის, მთავრობიდან ესეთი განკარგულება გამოვიდა და მეც მინდა ვისარგებლო ამ განკარგულებითა-მეთქი. „მერე რა აზრით გინდა სწავლა, რა მიზანი გაქვსო“—მკითხა ყოვლად სამღვდელომ. მე ვუპასუხე: ის აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს, თქვენო მეუფებავ, რომ ჯერ ერთი საგანს შევისწავლიო, მეორეც სასულიერო უწყების სასწავლებელში მათემატიკას ვასწავლი. ჩვენ საზოგადოდ მათემატიკის მასწავლებელი არა გვყავს, აკადემიელებმა მათემატიკა ნაკლებად იციან. ამიტომ, სასურველია ჩვენივე კაცი გვყავდეს მათემატიკის მასწავლებლად ჩვენს სასწავლებლებში, თორემ ეხლა ძალა-უნებურად ან გიმნაზიიდან ვიწვევთ მათემატიკის მასწავლებლებს ან კიდევ რომელიმე სხვა საერო სასწავლებლებიდან"... ყოვლად სამღვდელო დაფიქრდა, დაფიქრდა და მითხრა: „მართალსა ლაპარაკობ, უფალმან წაგიმართოს ხელი, რახან სწავლა გინდა, ისწავლე; მხოლოდ სამრევლოს რას უზამ?"

— „სამრევლოს, რასაკვირველია, თავი უნდა დავანებო!" — „ოჯახს? დიდი ოჯახი გაქვს?" — „ცოლი მყავს და სამი შვილი"-მეთქი. — „მერე იმათ რას უზამ?" — „ცოლსა და შვილებს სიმამრთან ვიყოლიებ." — „მერე შენ რითი იცხოვრებ?" — როგორც იქნება, ვიცხოვრებ-მეთქი, თქვენო მეუფებავ, იქ ერთი ნაცნობი ბერი მყავს და იმასთან ვიცხოვრებ, თქვენო მეუფებავ. ოთხი წელიწადი უნდა ვიყო უნივერსიტეტში, მეტი ხომ არა, რა ბევრია." ერთი სიტყვით, არქიელმა მომიწონა ეს საქმე. ამის შემდეგ სადაც ჯერ არს, თხოვნა გავგზავნე. იქაც რალაც ეჭვით შეხედეს ჩემ თხოვნას; რამდენიმე ხანი ქალალდები სჩხრიკეს. მერე სასულიერო მთავრობას შეეკითხნენ. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ დაბრკოლება არსაიდანა მაქვს. ფილოსოფიური კლასი გათავებული მქონდა, მაშასადამე იმ განკარგულების წინააღმდეგი აღარაფერი იყო. — როგორ მეტყოდნენ უარს? — მართლაც მალე ქალალდი მომივიდა: უნდა უნივერსიტეტში გამოცხადდე და ეგზემენი დაიჭირო ბერძნულში, ლათინურში და მათემატიკაშიო. მეც, აგერა, გამოვცხადდი.

ამ დროს დავუახლოვდით აუდიტორიას, სადაც ეგზამენს იჭერდნენ მათემატიკაში. მთავარი შევიდა და მეც, ცნობის მოყვარეობით გატაცებული, თან შევყე.

სასულიერო პირის დანახვამ აუდიტორიაში ყველანი გააოცა. სკამებზე რამდენიმე ყმაწვილი კაცი ისხდა. ერთი დაფას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან იდგა და გულმოდგინედ რაღაც თეორემას ამტკიცებდა. პროფესორი სტოლთან იჯდა და უგემურად ყურს უგდებდა ყმაწვილი კაცის ლაპარაკს. აქ ეგზამენები ფორმალურად სწარმოებდა, სამზე ნაკლებ ნიშანს არავის უწერავდნენ. სემინარია დამთავრებულები ფილოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტზე აპირობდნენ უნივერსიტეტში შესვლას; ხოლო მათემატიკას ძალიან გაუფრთხოდნენ. ამიტომ იმათგან უფრო ლათინურისა და ბერძნულის ენის ცოდნასა თხოულობდნენ. რაც შეეხება მათემატიკას კი ამ საგანში მხოლოდ ისე იჭერდნენ ეგზამენს. პროფესორი კეთილი კაცი იყო და იმათ ნაკლებ ცოდნას გულგრილად უყურებდა. ზოგჯერ სულ უბრალო ამოცანებს ეუბნებოდნენ სემინარიელებს, მაგრამ იმის გაკეთებაც კი უძნელდებოდათ. პროფესორი მაინც ეუბნებოდა: არა უშავს-რაო, და სამებს სწერდა.

აუდიტორიაში რომ შეეედით, ყველამ თვალები დაგვაჭყიტა. პროფესორმა თავი მაღლა აიღო. დაფასთან ვინც იდგა, იმანაც ლაპარაკი შესწყვიტა და ცარცი იქვე ახლო დააგდო.

— აქ დავსხდეთ,—ვუთხარ მთავარს და სკამზე მივუთითე.

მთავარი ჩამოჯდა და მეც გვერდზე მოვუჯექი. გავიდა სამიოდ წუთი. პროფესორმა დაფასთან მდგომარე გამოისტუმრა:

— მამაო, ვინა გნებავთ?—ჰკითხა ევმენიდოვს.

მამა ევმენიდოვი წამოდგა, ტანში გასწორდა და თმებზე ხელი ჩამოისვა.

— მე ეგზამენზე გიახელით, ბატონო პროფესორო!—უპასუხა მან.

— ჰო, აქ ეგზამენს იჭერენ,—უთხრა პროფესორმა:—მაგრამ თქვენ გნებავთ ვინმე, თუ ისე ყური უნდა დაუგდოთ?

— არა, ბატონო პროფესორო! მე თითონ ეგზამენის დასაჭერად მოვედი.

— თქვენა? თქვენ გინდათ ეგზამენი დაიჭიროთ?—ჰკითხა გაკვირვებით პროფესორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ბატონო პროფესორო,—უპასუხა მამა ევმენიდოვმა.

— მაშ, სტუდენტობა გინდათ?

— დიახ, თხოვნა გავგზავნე და პასუხიც მომივიდა. უნდა ეგზამენებზე გამოცხადდეთო. მეც, აგერა, გამოვცხადდი.

— ჰო, უნივერსიტეტში გნებავთ შემოხვიდეთ, ჰა?.. ეს პირველი შემთხვევაა, რომ სასულიერო წოდების პირი სტუდენტი იყვეს.

— მაგისი რა მოგახსენოთ. ერთი ხელობა, მართალია, დამაბრკოლეს... მაგრამ ყოვლად-სამღვდელოს მივმართე და იმან ნება მომცა.

— რომელ ფაკულტეტზედა გსურთ?

— მათემატიკისა!—პროფესორს გაეღიმა.

— ძალიან კარგი!—სთქვა მან.—ეგზამენი გინდათ დაიჭიროთ? დაფასთან მიბრძანდით.

მთავარმა პირდაპირ დაფასკენ გასწია; ხოლო პროფესორმა უკანიდან სიცილით თვალები გაადევნა, რითაც იქ მყოფთ აგრძნობინა, რომ დაფასთან ამ წუთში, სასაცილო ამბავი რამ მოხდებაო. პროფესორისათვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს სოფლელი, მზისგან გარუჯული კაცი, გძელ თმიანი და გძელ ტანისამოსიანი,—რამე ცოდნას გამოიჩენდა მათემატიკაში. ის, უეჭველია, ასე ფიქრობდა: ვიღაც ოხერია, სისულელეს მოუვლია და მათემატიკისა არა გაეგებარაო. პროფესორი მაგიდასთან მივიდა.

— აბა, მამაო, გააკეთეთ ეს ამოცანა... და თან წაიკითხა ულბრალო ამოცანა.

მამა ევმენიდოვმა დაფაზე დასწერა, რაც საჭირო იყო; შემდეგ უკან მიიხედა და პროფესორს დააშტერდა.

— ეს სულ ადვილი ამოცანაა, ბატონო პროფესორო.—უთხრა მან.—ამას ზეპირადაც გავაკეთებ.

— აბა, გააკეთეთ!—უთხრა პროფესორმა.

— აი ამ საათში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ მამა ევმენიდოვი ერთ წუთას დაფიქრდა, თავისთვის გონებაში რაღაც გამოიანგარიშა და შემდეგ აღსნა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ამოცანა.

— მართალია!—უთხრა პროფესორმა.—სჩანს, მამაო, მათემატიკა გცოდნიათ. აბა ეხლა ეს გააკეთეთ, ეს უფრო ძნელია...

პროფესორმა წაიკითხა რთული ამოცანა. იქ მყოფთ ამ გამოცანის გაკეთების თავი არც ერთს არა ჰქონდა და ამიტომ იფიქრა, აბა ეგ ამ ამოცანას როგორ გააკეთებსო.

ევმენიდოვმა, რაც უთხრეს, დასწერა.

— მამაო,—უთხრა პროფესორმა,—იკისრებთ ამის გაკეთებას?

— რატომ, გავაკეთებ.—უთხრა მთავარმა.

ევმენიდოვმა დაიწყო კეთება, პროფესორმა ჯერ უცქირა, უცქირა, მერე დაუახლოვდა და უთხრა:

— სწორეა, სწორედ ეგრეა, არ მეგონა, მამაო, თუ ეგრეთი მათემატიკოსი იყავით.

— მე მათემატიკა მიყვარს,—სთქვა ევმენიდოვმა და თან ამოცანას აკეთებდა.

— სიყვარული სხვა არის და ცოდნა სხვაა!—სთქვა პროფესორმა.—აი ეს ყმაწვილები,—განაგრძო დაცინვით,—ეჭვი არ არის, მათემატიკა ამათაც ეყვარებათ,—ცოდნით კი არ იციან...

აუდიტორიამ ერთბაშად გაიხმაურა. მამა ევმენიდოვმა კი ამ დროს ამოცანის გაკეთება შეასრულა და ცარცი თავის ადგილას დასდო.

— მშვენივრად გააკეთეთ, მამაო! გთხოვთ არ იწყინოთ ჩემი ეჭვიანობა! გარწმუნებთ, ეს პირველი შემთხვევაა... მე მეგონა სამღვდელო პირებმა მარტო წირვა-ლოცვა იციან და სხვა არაფერი-მეთქი. სიამოვნებით მოგეგებებით ამისთანა სტუდენტს მათემატიკის ფაკულტეტზე. მამაო, გეომეტრიაც იცით?

— როგორ არა! ვიცი. ტრიგენომეტრიაც ვიცი.

— საკვირველია! სად შეისწავლეთ ყველა ეს?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო პროფესორო, ამას სემინარიაში ვწავლობდით. მართალია, მათემატიკას იქ ისე კარგად არ ასწავლიან, უბრალო საგნად მიაჩნიათ... მაგრამ ვისაც უყვარს, თავისითა სწავლობს... მეც მიყვარდა ეს საგანი და ვატაცებითა ვწავლობდი.

— განა რამდენი ხანია, რაც სემინარიიდან გამოხვედით?

— ესე, რვა წელიწადი იქნება.

— მერე აქამდე არ დაგავიწყდათ?

— არა, 'შინ ვმეცადინეობდი... იცი, რა მოგახსენოთ, ზოგჯერ ჩამრჩებოდა გონებაში რომელიმე ამოცანა და ისე, საქმეში რომ ვიყავ გართული, ან ვმღვდელთ-მსახურებდი,—უცებ გამოვიყვანდი ხოლმე იმ ამოცანას. მე ძალიან მივდევ ამ საგანს. ხანდისხან დავდივარ ისე ჩემთვის ბაღში და თავში ტეორემა მიტრიალებს. ზოგჯერ ესეც მომსვლია: ვდგევარ ჩემთვის საყდარში და იმ დროს, როდესაც ერთი ასამაღლებელიდან მეორეზე გადავდივარ, ამოცანა გამომიცვნია... ბევრჯელ კიდევ გამეჩხირებოდა გონებაში რომელიმე რიცხვი და ველარ ვიშორებდი....

— მაშ თქვენ მათემატიკის ნიჭი გქონიათ...

— არ ვიცი, იქნება ეგრეც იყვეს...

— მაგრამ, უკაცრავად, მამაო, მე ეჭვი კი არა მაქვს, მხოლოდ ისე მეინტერესება გავიგო, როგორ გააკეთებთ ერთ ამოცანას. აბა სცადეთ.

პროფესორმა უთხრა ამოცანა, რომელსაც აუდიტორიაში მყოფთ ვერც თავი გაუგეს, ვერც ბოლო. მამა ევმენიდოვი სწერავდა ამოცანას და თან დრო-გამოშვებით პროფესორს შემოსცქეროდა.

— გეყურებათ, რაშია საქმე?—ჰკითხა პროფესორმა.

— მეყურება, ბატონო პროფესორო, მხოლოდ ვერ გავაკეთებ... ეს უმაღლეს მათემატიკას ეკუთვნის.

— მაინც სცადეთ.

— ვცდი. უმაღლეს მათემატიკიდან ცოტა რამ წამიკითხნია... მიკეთებია კიდეც, მხოლოდ რაც უმთავრესია, იქ მეშლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა უშავს-რა, დაიწყეთ, მე შეგეშველებით.

— დავიწყებ...

ევმენიდოვმა ამოცანის გაკეთებას მიჰყო ხელი. სახეზედ ეტყობოდა, რომ ყოველ სიტყვას ღრმად უფიქრდებოდა. პროფესორი ნელ-ნელა ეშველებოდა და საქმე წინ მიდიოდა. მაგრამ აგერ მთავარი გაჩერდა, ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

— ძნელია, ბატონო პროფესორო, ძალიან ძნელია!— სთქვა მან და ცარცი ძირს დააგდო.—რაც არ ვიცი, იმას ვერ ვიკისრებ...

— ეს ხომ სავალდებულო არ არის... მე მხოლოდ ისე ცნობის-მოყვარეობით... თქვენ მათემატიკის ნიჭი გაქვთ. ამისთანა სტუდენტთან მეცადინეობა სწორედ სასიამოვნოა...

მე თქვენ ხუთს დაგიწერავთ.

— გმადლობთ!—სიამოვნებით წარმოსთქვა ევმენიდოვმა და პროფესორს თავი დაუკრა.—შემიძლიან ეხლა წავიდე?

— დიაღ, ეხლა ყველანი წახვალთ, ეგზამენები გათავდა.

ევმენიდოვმა ხელმეორედ თავი დაუკრა და თავის ადგილზე წამოვიდა. პროფესორმა ხელი დაავლო ქაღალდს, რომელზედაც ნიშნებსა სწერავდა, გამოეთხოვა იქ მყოფი და გამოვიდა.

ამის შემდეგ მე და ევმენიდოვს მთელი აუდიტორია გარს შემოგვეხვია.

ევმენიდოვს აქეთ-იქიდან ეკითხებოდნენ: სადაური ხართ, სადა სწავლობდით და ან ცოლშვილი გყავთ თუ არაო. ვიდრე ქუჩაზე გამოვიდოდით, ევმენიდოვი ყველამ გაიცნო. გაიცნეს ერთმანეთი აგრეთვე სტუდენტებმაც.

II

— მადლობა უფალსა,—ამბობდა მამა ევმენიდოვი,—როდესაც ქუჩაზე გამოვედით და თან ჩემსკენ იხედებოდა.—მადლობა უფალსა, რომ მოვუსწარი, ყველაზე ბოლოს მე დავიჭირე ეგზამენი... პროფესორი ძალიან კეთილი კაცი ყოფილა, კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი მოლაპარაკე. ეხლა ლათინური და ბერძნულია საქმე. ბერძნული კიდევ არაფერი, როგორც იქნება გამოვალ, ლათინური მაშინებს: ლათინური იმ თავითვე ნაკლებად ვიცოდი.

— ნუ გეშინიან! — ამშვიდებდნენ სხვები; — ადვილია.

— ზოგისთვის ადვილია, მაგრამ ზოგისთვის კი არა. თქვენზე თვალი შეჩვეული აქვთ და ერთბაშად ყველანი კარგად გამოდიხართ. მაგრამ მე, ანაფორიან კაცს, რამწამს დამინახავენ, გაოცდებიან... მაშინვე იმას იფიქრებენ: ანაფორა აცვია, ჩვენ ამისთანა არავინა გვყოლიაო. გარდა ამისა, ეჭვით შემომხედვენ: სოფლიდან ჩამოსულ მთავარს რა ეცოდინებაო და ჩინჩში ჩამიდგებიან... არა, ლათინურის ძალიან მეშინიან...

— თქვენ საით მიბრძანდებით, მამაო, — ჰკითხა ევმენიდოეს ერთმა სტუდენტმა, როდესაც მთავარმა მარცხნივ მხარეს გაუხვია, ხოლო სტუდენტებმა კი მარჯვნივ.

— სახლისკენ... — უპასუხა ევმენიდოვმა.

— სახლში რა გინდათ, წამობრძანდით ჩვენთან, აქ ერთი „ტრახტირია", ერთად ვისადილოთ.

მამა ევმენიდოვმა ღიმილით თავი გაიქნია.

— არა, ეგ არ შემშვენის. მე შეიძლება ამას შემდეგ სტუდენტიც ვიყვე, მაგრამ ჩემი ხარისხი მაინც სხვა არის. მშვიდობით ბატონებო... ლათინურში ეგზამენი როდის გვექნება? — სტუდენტებმა აუხსნეს, რომ დანარჩენი ეგზამენები ამ სამ დღეს ში იქნებაო.

— მადლობა ღმერთსა! მაშ ბევრს ხანს არ დამიგვიანდება. თქვენც „ტრახტირში" მიბრძანდებით? — მკითხა მან.

— გნებავთ, თქვენკენ გამოვივლი... წელან ვისაუზმე; მე ჯერ არც კი მშიან.

— მაშ წავიდეთ; აქაური ამბები მიამბეთ... მეც აქვე, ერთ ქუჩაზე ვცხოვრობ.

მე დავეთანხმე; შემდეგ ამხანაგებს გამოვეთხოვე და ერთად წავედით.

— იცი, რა უნდა გითხრათ, — მეუბნებოდა გზაში მამა ევმენიდოვი, — თუმცა ჩემთვის ყველა ამხანაგები ერთნი არიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ თქვენზე თითქო უფრო გული მომენდობა; ამიტომ უნდა გამოგიტყდეთ და გითხრათ, რომ ჩემი საქმე ძალიან ცუდად არის, შემდეგში არ ვიცი როგორ იქნება.

— რა ამბავია, ასეთი რა გაწუხებთ?—ვკითხე მას.

— ისა რომ არ ვიცი შემდეგში რა იქნება. ვინ იცის ეგზამენებზე კარგად გამოვალ თუ არა. ლათინური ძალიან მაფიქრებს.

— ნუ შიშობთ, მამაო,—ვამშვიდებდი მე.—თქვენ მათემატიკის ფაკულტეტზე აპირობთ უნივერსიტეტში შესვლას და რაკი ამ საგანში ისახელეთ თავი, ამიტომ სხვა საგნებში ისე სასტიკად აღარ მოგექცევიან. თქვენ თითონ კარგად იცით, რომ მათემატიკისთვის ბერძნული და ლათინური საჭირო არ არის.

— მართლა რომ ეგრე იყვეს, კარგი იქნება, თორემ ჩემი საქმე ვერ არის კარგად. მე, იცით, მრევლში ისევ მთავრად ვითვლები. ადგილისთვის პირდაპირ თავის განებება არ შეიძლებოდა. ერთიც ვნახოთ ეხლა ეგზამენში ჩამჭრან,—მაშინ ხომ უადგილოდ უნდა დავრჩე. ამიტომ ეხლა თუმცა აქა ვარ, მაგრამ ჩემი მღვდელი კი ძალიან სასტიკი კაცია, ძველებური აზრებისა. მე რომ იმას პირველად ჩემი სურვილი გამოვუცხადე, უნივერსიტეტში შესვლა მწადია-მეთქი, ხელები გაიქნია და კინალამ განმაკანონა. მაგისთანა აზრებისათვისაო, — მითხრა მან,—მე შენ საღამოს ლოცვაზე საქვეყნოდ ასჯერ მუხლს მოგაყრევინებო. რამდენი ვეჩიჩინე ამის შესახებ, რამდენი არ ვუთხარი რომ ამ ჩემ სურვილში არავითარი ცოდვა არ არის-მეთქი,— მაინც ვერ დავაჯერე. ამის შემდეგ ჩამიდგა ჟინში. წინად კარგად მიცქეროდა, კარგი განწყობილებაცა გვქონდა ერთმანეთში. მაგრამ მერე, რაკი-ლა გაიგო, რომ ხელ-ახლად სწავლა მოვინდომე და მერე ისიც მათემატიკის და ისიც საერო სასწავლებელში, აღარ მისვენებდა. ზოგჯერ ვდგევარ ისე ჩემთვის ხოროზე და ვგალობ, ისე, როგორც კვლავ მიგალობნია: რვა წლის განმავლობაში, რასაკვირველია, წირვა-ლოცვის წესს შევისწავლიდი, ის კი სდგას საკურთხეველში და ბუზღუნობს: „ეგ ეგრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის, ცუდადა გალობ, შენ სულ შენი მათემატიკა გაგონდებაო“... ჩამაცივდებოდა, აღარ მისვენებდა, ეგრე არ არის, ეგრე არ არისო.... „ჩამოეცალეთ ,ვითომ ესეც მეცნიერი უნდა გახდეს, შეშვენოდეს მაინცა, ვის გაუგონია, ანაფორიანი კაცი და მეცნიერიო“. მე კი, ღმერთმანი, ვერ გამიგია, განა ანაფორა კაცს სწავლას დაუშლის? ეხლა რომ ეგზამენის დასაჭერად მოვდიოდი, რამდენიმე დღით დავეთხოვე: იმან ისევ თავისებურად დამიწყო: „წადი, წადი, მაგრამ თუ რამე საქმე გამოჩნდა, ჯარიმას გადაგახდევინებო“. საკვირველია, ღმერთმანი, რაღაც ბოროტებით გაიმსჭვალა ჩემს წინააღმდეგ. მე კი იმისთვის არა დაშიშავებია-რა, ყოველთვის თანხმობით ვცხოვრობდით. აი რა არის ძველი აზრების კაცი, ვერაფერს ვერ შეასმენ! რას ვიზამ, უნდა ავჩქარდე. სტუდენტადაც რომ მიმიღონ, ჯერ ისევ სამრევლოში უნდა წავიდე, ყველაფერი, როგორც წესი და რიგია, ჩავაბარო მოძღვარს და მერე გამოვიდე სამსახურიდან. ქალალდის მოსვლას კი უნდა მოვუცადო, თორემ წინდაწინ რომ წამოვიდე, იქაურობას აიკლებს.

— ეხლა თქვენ მარტო ბრძანდებით აქა?—ვკითხე მე.

— არა, მარტო არა ვარ. ჩემი მეუღლე ძალიან სწუხდა. მე აქ ვერ გავძლებ, ვიდარდებო, არც ძილი მომივა, არც საჭმელს ექნება ჩემთვის გემო; სულ იმის ფიქრში ვიქნები, ვაი თუ რამე შეგემთხვესო. რას ვიზამდი, წამოვიყვანე ცოლიც და შვილებიცა. მადლობა ღმერთსა კიდევ, ერთი ნაცნობი ბერი გვყავს, და იმასთან შევიხიზნეთ. აგერ ეს ქუჩაა, მგონი, ჩვენი ქუჩა.

მივედით, სადაც ისინი იდგნენ.

— თქვენ არ შემობრძანდებით? ჩემ მეუღლეს გაგაცნობთ, ბერსაც, ძალიან კარგი კაცია.

მე თანხმობა განვუცხადე ევმენიდოვს. რადგან მეინტერესებოდა როგორც იმის ოჯახობის გაცნობა ისე ბერისაც. ბერები იშვიათად მენახა; ბერების სამყოფო და მონასტრები კი სრულებით არა მქონდა ნახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევედით ეზოში. პატარა ოთახები ერთი-ერთმანეთზე იყვნენ გამწკრივებულნი. აქა-იქ კიბეებზე ერის კაცები ჩამომჯდარიყვნენ. სასულიერო პირის დანახვაზე ყველანი ფეხზე წამოდგნენ და გზა მოგვცეს.

ბალკონი გავიარეთ და ერთ ოთახში შევედით. ამ ოთახს სამი ფანჯარა ჰქონდა. შიგ იდგა ორი ტახტი, მაგიდა და რამდენიმე სკამი. კუთხეში ხატები ეკიდა; ხოლო ზედ კედლებზე ჩამოკიდული იყო წმინდანების სურათები და აგრეთვე ათონის მთის სურათი. ტახტზე იჯდა ახალგაზდა დედაკაცი და ხელებით პაწკია, ორი წლის გოგოს აქანავებდა. ბალღს ეძინა. ორი იმაზე ცოტა მოზდილი ბავშვი ფანჯარასთან იდგნენ და ეზოში იყურებოდნენ.

— გმადლობთ შენ შემოქმედო!—წარმოსთქვა მხიარულად ევმენიდოვმა, როცა ცოლს დაუახლოვდა.—მათემატიკაში ეგზემენი კარგად დავიჭირე. თან, აგერ, სტუდენტიც წამოვიყვანე. მაგრამ თქვენი გვარი რომ არ ვიცი,—მითხრა მე.

მე ჩემი გვარი ვუთხარი და მამა ევმენიდოვის ცოლს ხელი ჩამოვართვი, ეს იყო ახალგაზდა, მაგრამ დაღვრემილი ქალი. პირისახე ოდნავ გადალესილი ჰქონდა; ეტყობოდა ბევრი მწუხარება გამოუვლია ცხოვრებაში. ქმრის სიტყვებზე იმან ხმაც არ ამოიღო. მე შევატყე რომ, ის გულ-გრილად ისმენდა ქმრის სიტყვებს, იმისი საქმე თითქო არ მოსწონდა, თითქო ეჭვიანობდა და უიმედობდა.

— განა თქვენ მოხარული არა ბრძანდებით, რომ თქვენმა ქმარმა ეგზამენი დაიჭირა?—ვკითხე მას, როდესაც მამა ევმენიდოვი ბერის მოსაყვანად გავიდა მეორე ოთახში და ჩვენ მარტო დავრჩით.

— არა, რატომ... დიაღაც კარგია, მაგრამ ვინ იცის, გამოვა რამე?

— ვითომ რა მიზეზებია, რატომ არ გამოვა?—ვკითხე მე.

— რა ვიცი. ამისთანა შემთხვევა თავისდღეში არა ყოფილა და რაღა ეხლა იქნება? ეხლა, აბა, მრევლი მაინცა გვყავს; ცოტა შემოსავალი გვაქვს, მაგრამ ღარიბულად ხომ ვცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობთ. სწავლა რომ დაიწყოს, მრევლი უნდა დავკარგოთ... და შემდეგ კიდევ ვინ იცის რა იქნება... ერთიც ვნახოთ უნივერსიტეტში ვერაფერს გახდა, მაშინ უნდა სულ ახლად ეხეტიალოს „კონსისტორიებში“, არქიელს ფეხ ქვეშ უნდა ჩაუვარდეს და ბლალოჩინებს ეხვეწოს, რომ ხელ-ახლად ადგილი მისცენ.

ეს კიდევ არაფერი. მე უნდა ჩემ დედ-მამასთან ვიცხოვრო. ის კი აქ მარტო უნდა იყვეს გამოყრუებული. ჩვენ შორს ვიქნებით და ან კი რითი უნდა იცხოვროს?

— რატომ ვერ იცხოვრებს? განა არ შეიძლება აი აქ ბერებთან იყვეს...

— რისთვის, მაგათ რად უნდა დააწვეს კისერზე; ნათესავია იმათი თუ რა არის?.. არა, ღმერთმანი, მე არ გამეგება, რას მოასწავებს ეს საქმე.

— მაშ თქვენ, როგორც გეტყობათ, თანაგრძნობას არ უწევთ თქვენს ქმარს? მხარს არ აძლევთ?

— მე რა... მე იმას არაფერსაც არ ვეუბნები. ერთხელ როგორღაც მომიხდა და ვუთხარი, უნდა დაფიქრდე, საქმე კარგად უნდა ასწონ-დასწონო-მეთქი,—ამაზე იმან ისეთი სიტვები მითხრა, რომ, სწორედ გითხრა, შემეშინდა. ეგ არის შენი თანაგრძნობაო. მე სიკეთეს ვეძებ და შენ კი არ გინდა ეს შეისმინო, შენ ჩემი მეუღლე ხარ, ჩემი ცხოვრების მეგობარი და იმის მაგიერ რომ მხარი დამიჭირო, მაგ გვარად მელაპარაკებიო... ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ ცუდად გახდა და ტირილი დაიწყო. იმის შემდეგ აღარაფერს გვეუბნები. რაც უნდა, ისა ქნას, ბოლოს თითონვე ინანებს...

ამ დროს ოთახში შემოვიდა მამა ევმენიდოვი და თან შემოჰყვა ბერიც. ეს ბერი იყო შუა ხნის კაცი; მაღალი და მოსული ტანისა; ჰქონდა ლამაზი სახე, შავი წვერ-ულვაში, დიდრონი მშვიდი თვალები და ხუჭუჭი თმა. იმის დანახვამ ჩემზე მშვენიერი შთაბეჭდილება იქონია, მეტადრე მომეწონენ იმის მშვიდი და წყნარი თვალები, რომელნიც მეტად ალერსიანად გამოიყურებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერი დამიახლოვდა და ღიმილით ხელი გამომაწოდა.

— ძალიან სასიამოვნო გახლავთ თქვენი გაცნობა. იმედია, რაკი კარგად გავიცნობთ ერთმანეთს, ხშირად მობრძანდებით ხოლმე. ახალგაზდა ხალხი მე ძალიან მიყვარს. მეტადრე მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა. აგერ ჩვენი მამა მთავარიც ხელ-ახლად იწყებს სწავლას. კარგი საქმეა, წინააღმდეგობა აქ არაფერია... სწავლა ყველასთვის საჭიროა. ჩვენც გვყავს რამდენიმე სწავლული ათონში. ერთი ექიმია, მაგალითად, ძალიან ნასწავლი კაცია; ლექსებსაცა სწერავს... მხოლოდ, რასაკვირველია, სასულიერო შინაარსისას... დაბეჭდილიც არის ის ლექსები, როდისმე გაჩვენებთ. მამაო მთავარო, აბა, ყმაწვილ კაცს გავუმასპინძლდეთ. უკაცრავად კი ნუ ვიქნებით,—მომმართა მოკრძალებით:—მცირედი საჭმელი გვექნება, როგორც ბერებს შეშვენის, მაგრამ არა უშავს-რა... აი ეხლავ...

კარებთან მივიდა, პატარაზე გამოაღო და დაიძახა:

— ექვთიმე, ექვთიმე!

— აქ გახლავართ, მამაო მიხეილ!—მოისმა ყმაწვილი კაცის ხმა.

პატარა ხანს უკან ოთახში შემოვიდა ექვთიმე. ეს იყო ახალგაზდა მორჩილი. ტანთ გრძელი ანაფორა ეცვა, რომლის სახელოებიც გადაეკეცნა. ალბად ამ ჟამად საქმიანობაში იყო გართული. მამა მიხეილმა ექვთიმეს მიმართა.

— ექვთიმე, საუზმე მოგვიტანე. ღვინო არ დაგავიწყდეს ათონისა... აი, ბატონო სტუდენტო, ათონის ღვინო ხომ არსად დაგილევიათ?

ექვთიმემ ნელ-ნელა დაიწყო ჭურჭლისა და საჭმელების შემოზიდვა. შემოიტანა თევზი, ხიზილალა, ზეთის ხილი. შემდეგ მოტანილ იქმნა ერთი ბოთლი ათონის ღვინო და ათონური თხილი.

— ეხლა კი ვისაუზმოთ,—სთქვა მამა მიხეილმა.—იქნებ არაყს მიირთმევთ?—მკითხა მე. არაყი აკრძალული არა გვაქვს, მონასტრებში ბევრნი სვამენ... მამა მთავარიც ამაზე მგონი უარს არ იტყვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვთიმე, მოგვიტანე.

— ჩვენ თითონ კი არა ვსვამთ, — განმარტა მამა მიხეილმა, — ისე სტუმრებისთვის ვინახავთ.

ექვთიმეს ჩქარა არაყი შემოიტანა და ისევ გავიდა. მამა ევმენიდოვის მეუღლემ პატარა ქალი ტახტზე მიაწვინა. შემდეგ ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ. მხოლოდ ბავშვები ცალკე ისხდნენ და ჭკვიანად შეექცეოდნენ საჭმელს.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დღეს მეტად გემრიელად ვისაუზმე. ყველა იქ მოტანილი საჭმელები ძალიან მომეწონა, გემრიელად მეჩვენა. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, მამა მიხეილი იყო. იმისი გამომეტყველი სახე და სიამოვნებით სავსე ხმა თითქო ყველაფერს გემოს აძლევდა და სიმხიარულესა ჰფენდა.

— ღმაწვილო, — მეუბნებოდა იგი ალერსიანად, — ახლა ზეთის ხილი მიირთვით; თქვენ სულ თევზს მიირთმევთ. თევზი აქაურია; ზეთის ხილი კი პირდაპირ ათონიდან არის მოტანილი. ზეთის ხილის ხეები ჩვენში ძალიან ბევრია. იქ თითქის ყველა ბერის სენაკის წინ მშვენიერი ზეთის ხილის ხე არის გაშლილი, თავისი ფართო ტოტებით.

თხილიც მიირთვით, ბატონო; ეს თხილი საკუთარი ჩვენი ხელით არის მოკრეფილი. ხოლო რაც შეეხება ღვინოს, — უნდა მოგახსენოთ, რომ მაგისთანა ღვინოს აქ ვერსად შეხვდებით; ტკბილია, თანაც სურნელოვანი... ეგ ღვინო ნაკურთხია, ისე როგორც თვით ჩვენი ქვეყანაა ნაკურთხი.

III

შემდეგი სამი დღის განმავლობაში მამა ევმენიდოვი რამდენჯერმე შემხვდა. როდესაც უნივერსიტეტში მოვიდოდა, უწინ მე მომძებნიდა ხოლმე.

ეგზამენებისა ძალიან ეშინოდა. მათემატიკის ეგზემენზედ რომ თამამადა ჰგრძნობდა თავსა, ეხლა შიშობდა და გაუბედავად შედიოდა აუდიტორიაში, სადაც ლათინურსა და ბერძნულ ენებში ეგზამენები უნდა დაეჭირათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად მინდა ეს ოხერი ლათინური?—ამბობდა ხოლმე მამა ევმენიდოვი.—ვინც მათემატიკასა სწავლობს, იმას რაში ეჭირვება? ჩემთვის საჭირო არ არის!. რომ ჩავიჭრა კი—სირცხვილია. ჩემ მღვდელს ეგ-ღა უნდა. აქედან რომ დამარცხებული წავიდე, დაცინვით ამიკლებს.

მე ვამხნევებდი ევმენიდოვს. შევიყვანდი ხოლმე აუდიტორიაში და ვაჩვენებდი თუ რა კეთილად ექცეოდნენ მოეგზამენეთ პროფესორები და რა ადვილადა ჰკითხავდნენ.

მახსოვს, როდესაც ევმენიდოვი გავიდა პროფესორთან ეგზემენის დასაჭერად, პროფესორმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია. ალბათ იმისი ამბავი ყველამ გაიგო.

— მამაო, რამდენი წელიწადი იქნება, რაც სემენარიიდან გამოხვედით?.—ჰკითხა პროფესორმა ევმენიდოვს.

— რვა წელიწადი იქნება!—მიუგო ევმენიდოვმა.

— მაშ დაგავიწყდებოდათ ლათინური?

— რასაკვირელია, მაშინდელი ცოდნა სხვა იყო...

— მაშ, აბა, რას გადათარგმნით? ამოირჩიეთ თქვენ თვითონ, რაცა გნებავდეთ...

შემდეგში ევმენიდოვი მეუბნებოდა:

— რა მომიეიდა, როგორ მოვტყუვდი. რომ მცოდნოდა, თუ ეგრე იქნებოდა საქმე, ერთ ხუთიოდ სტრიქონს მაინც დავისწავლიდი კარგად. მაგრამ სულ ვერ მოვედი ფიქრზედ. მე სულ ერთნაირად ვიცოდი, ე. ი. ცუდად.... ამიტომ ავდექი და, რაც მომხვდა, ის დავიწყე. დავიწყე და მოვყე ნელ-ნელა... ვნახოთ პროფესორს ელიმება. ვიფიქრე, ალბათ კეთილი თვალით მიცქერის-მეთქი. ამით ძალიან წავხალისდი, თითქოს რაღაც მეტი ცოდნა შევიძინე და, წარმოიდგინეთ, ზოგი ისეთი სიტყვები მოვიგონე, რომელნიც წინად არ მახსოვდა... დიაღ, აი რასა ნიშნავს, როდესაც ადამიანს წაახალისებენ და ალერსიანად ექცევიან.

LYG 0"-S 1935 hc 28/IV ج.ب.

მამა ევმენიდოვმა რომ ისე სამაგალითოდ დაიჭირა მათემატიკაში ეგზამენი, ეს ყველა პროფესორებმა გაიგეს და ამიტომ ყველა მათგანი ადვილად ეპყრობოდა. სხვა ეგზამენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მართალია, ადვილი არ იყო, ევმენიდოვისთვის ეგზამენების გაადვილება იმაზე მეტად, როგორც, მაგალითად, სხვა სემინარიელებს უადვილებდნენ, მაგრამ ერთი მოსაზრების გამო არ შეიძლებოდა უფრო და უფრო ადვილად არ მოჰპრყობოდნენ ევმენიდოვს ეგზამენში. ევმენიდოვი რვა წელიწადი ყოფილიყო სოფლად. ამ რვა წელიწადში დაცოლშვილებულა, რამდენი რამ გამოუცდია, და ნახეთ, რომ ისეთი უნარი შერჩენოდა სწავლისადმი, რომ სამსახურისთვისაც თავი დაენებებინა, მრევლისთვისაც და უნივერსიტეტში წამოსულიყო. ეს ამბავი ყველასთვის საგულისყურო იყო. მამა ევმენიდოვმა თვისი ანაფორით, თვისი მოქმედებით ყველას სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მესამე დღეს ევმენიდოვი გახარებული მოდიოდა ბერების სამყოფ სახლებისაკენ. იმას უკვე გამოუცხადეს, რომ სტუდენტად მიგიღეთო.

—ჰე, სტუდენტიც ხომ გავხდი,—მხიარულად ეუბნეოდა ცოლს:—ეხლა ჩვენი მღვდელი ველარ დამცინებს. ასე იყო თუ ისე, მე ჩემი გავიყვანე.

— მე რა უნდა ვუყო ეხლა?—უთხრა საყვედურით ცოლმა: — სამშობლოში უნდა წავიდე?,

— არა, ჯერ მოიცა, მარო, არქიელსა ვნახავ. ასე მიბრძანა, როცა ეგზამენებს მორჩე უნივერსიტეტში, შემომიარეო. ვნახოთ ერთი რას მეტყვის.

მამა ევმენიდოვი იმ დღესვე წავიდა არქიელთან და მეც თან წავყე. ის რომ იმასთან შევიდა, მე კარზე ვუცდიდი და, როცა გამოვიდა, მაშინვე იმისკენ გავექანე. ევმენიდოვს სახე ულიმოდა; თან ჩემსკენ მოდიოდა და შორიდანვე მეუბნეობოდა:

— რანაირი სიამოვნებით მიმიღო არქიელმა... აი, ეტყობა, რომ გონიერი და შესმენილი კაცია... გამოვიდა თუ არა, სიცილი დამიწყო: „რაო, მამაო ევმენიდოვ! უნივერსიტეტიდან ხომ არ გამოგცოცხეს?“ ‘ითხრა მან,—არა, თქვენო მეუფეგავ,—ვუპასუხე,— კი არ გამომცოცხეს სტუდენტად მიმიღეს.—„ჰხედავ! სჩანს დიდი ცოდნა გამოგიჩენია“.—არა, თქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო მეუფებავ, დიდი ცოდნა კი არა, მაგრამ ყველანი კი გავაკვირვე ეგზამენზედ. იმიტომ რომ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა სემინარიელებმა მათემატიკა ნაკლბად იციან.—„ვიცი! მართილია,—სთქვა არქიელმა.—აი ეხლა შენ რომ პროფესორად იქნები, შენ კარგად ასწავლე სემინარიელებს, ჰა?“—ვეცდები-მეთქი, თქვენო მეუფებავ,—ვუპასუხე მე.—„მაშ ეხლა შენ მთავარი აღარა ხარ, სტუდენტი ხარ, არა?“—არა, თქვენო მეუფებავ, მთავარიცა ვარ და სტუდენტიც.—გაეცინა. დამიწყო გამოკითხვა ცოლ-შვილზე, ჩვენ მღვდელზედ.—„თქვენი მღვდელი ძველებური კაცია, როდის გაათავა იმან სემინარია... მაშინ ისევ ძველებური ბურსა იყო... დიაღაც ახალი აზრებისა საიდგან იქნება?—მაგრამ ეს არაფერი, ახლა შენ რითი უნდა იცხოვრო?“—როგორც იქნება, ვიცხოვრებ, ცოლს სიმამრთან გავგზავნი.—„მერე ეგ ადვილი მოსახერხებელია?“—რასაკვირველია, ადვილი არ არის, იმას უიმისოდაც დიდი ოჯახი აწევს თავზე, მაგრამ რა ვუყოთ, როგორც იყვეს, საქმე გაიჭირვოს; როცა კურს გავათავებ, გადავუხდი.—„არა, ეგ ეგრე არ იქნება, ეგრე რომ იცხოვრო, გული გულის ალაგას არ გექნება. შენ გარემოებაზედ დაიწყებ ფიქრს და სწავლას მოსცდები. მე ჩემ თავზე გამომიცდია: როდესაც არქიმანდრიტად ვიყავ მონასტერში, არაფერი საზრუნავი და საფიქრებალი არა მქონდა-რა, ბევრს წიგნებს ვკითხულობდი. მარტო ღვთის მეტყველობას კი არა, სხვა საგნებსაც დავუწყე სწავლა... იცით, გეოგრაფია შევისწავლე, ეხლაც ძალიან მიყვარს გეოგრაფია... შემდეგ კი, როცა ეპარქია ჩამაბარეს და არქიელი გავხდი, საქმე ბევრი დამაწყდა და წიგნში აღარც კი ჩამიხედნია. შენი საქმე უნდა სხვანაირად მოხერხდეს. ერთი ეს მითხარი, სამრევლოდან შემოსავალი რა გქონდა.?“—მე, რაც სათქმელი იყო, ვუთხარი.

— ნახევარი იმ შემოსავლისა გეყოფა ცოლშვილით რომ იცხოვრო? შენ ხომ ეხლა სტუდენტი ხარ, მაშასადამე სტუდენტურად უნდა იცხოვრო, ე. ი. ღარიბად.

— რატომ, ვიმყოფინებდი, თქვენო მეუფებავ,—ვუპასუხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ ჩვენ ასე მოვახერხოთ, და შენმა მღვდელმა იქ რაც-დენიც უნდა იჯავროს!—აქ ერთი მთავარი მყავს—ბერი, კარგი კაციც არის—წყნარი, ამასთან ხანში შესულია.—მოდი ის გავგზავნოთ შენს ადგილას და, რაც აიღოს, ნახევარი შენ, ნახევარი იმას. რას იტყვი ჰა?"

— ძალიან კარგი იქნება, თქვენო მეუფებავ, ძალიან კარგი—და ძლიერ მდაბლად თავი დავუკარი.

— ჰო და მაშ ეგრე იყვეს.

მაშინვე ქაღალდი დასწერა და გაგზავნა, საცა წესი და რიგი იყო.!

ამის შემდეგ მამა ევმენიდოვის სახლი მთლად გამოიცვალა. იმისმა ცოლმა რომ გაიგო ქმრის ამბავი, გულიდან ჯავრი გადიყარა და მოღრუბლული სახე გაუმხიარულდა.

— ეგრე ძალიან კარგია,—ამობდა ის,—როგორც იქნება ვიცხოვრებთ იმ შემოსავლით.

ევმენიდოვის ცოლს შემდეგ ხმაც აღარ ამოუღია ქრმის წინაღმდეგ. იმის უკმაყოფილების მიზეზი იმ თავითვე ის იყო, ულუკმა-პუროდ დავრჩებიო. ის ხშირად ამობდა ხოლმე:

— რას ბრძანებთ, ოთხი წელიწადი მამაჩემთან ცხოვრება ადვილია! იმოდენა ოჯახი თავს აწევს; მერე საუბედუროდ, სასმელს ეტანება... რომ დაითრობოდა—უყურე, დამიწყებდა საყვედურსა და კიცხვასა... მე კი ამას ვერ ავიტანდი... ხუმრობა ხომ არ არის რვა წელიწადი ჩემი საკუთარი ოჯახი მქონდა. ეხლა ღარიბად ვიქნებით, მაგრამ რა ვუყოთ, საკუთარი სახლი მაინც გვექნება, როგორც იქნება, ვიცხოვრებთ.

შემოვიდა მამა მიხეილი. ევმენიდოვმა იმასაც უამბო თავისი ამბავი.

— მაშ ჩვენთან დარჩით,—ეუბნებოდა მამა მიხეილი.—აი ამ ოთახში ბრძანდებოდეთ, მეტი რად გინდათ. ღმერთმანი სასიამოვნო იქნება თქვენი აქ ყოფნა. თუმცა ჩვენ ბერები ვართ და თქვენ კი არა, მაგრამ რა ვუყოთ. აი რამდენია ასეთი ხალხი ჩვენს ეზოში. ღმერთმანი კარგი იქნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მამაო მიხეილ, დიდადა გმადლობთ, თქვენი შეიწროება გვეძნელება. გარდა ამისა სტუმრად ყოფნა დიდ ხანს ვის გაუგონია? რამდენიმე დღით შეიძლება, სასიამოვნოც არის, მაგრამ დიდ ხანს რომ ვიყვეთ, შეიძლება უსიამოვნება რამ დაგვებადოს... მერე თვითონვე სინანულში შეხვალთ.

— ეჰ, რა უსიამოვნობა შეიძლება ბერებთან, მერე ისიც ათონელებთან.... ვწუხვარ, ღმერთმანი, ძალიანა ვწუხვარ... ბავშვებმა რომ ჩვენ ეზოში სირბილი დაიწყეს, აქაურობა თითქოს გამხიარულდა... აი ეს ყმაწვილიც ივლიდა ჩვენთან, ერთმანეთს უფრო კარგად გავიცნობდით. შემდეგში კიდევ, ვინ იცის, იქნება ეგეც ბერად შემდგარიყო.

მე გამეცინა. ბერად წასვლას არას დროს არა ვფიქრობდი და მამა მიხეილმაც ეს სიტყვები, რასაკვირველია, ხუმრობით წარმოსთქვა.

მამა მიხეილმა მე ძალიან დამაინტერესა. ამიტომ ვიდრე ევმენიდოვი იმასთან იმყოფებოდა, ხშირად მივდიოდი ხოლმე მათთან. მამა მიხეილს ცოტად თუ ბევრად დავუახლოვდი.

ის იყო ორმოც წლისაზე მეტი. მამა ამისი ყოფილიყო გამოჩენილი ქალაქის ვაჭარი. მე მინდოდა გამეგო, თუ რამ აიძულა მამა მიხეილი ბერად წასულიყო, ეს ყველაზე მეტად მეინტერესებოდა. ის ბერული მიმართულების კაცი არ იყო. სხვა ბერებივით ღმერთზე იშვიათად ლაპარაკობდა და მღვდელთმსახურების შესრულებაც არ უყვარდა ძალიან. აქ კი, ამ ადგილას, მხოლოდ იმიტომ იმყოფებოდა, რომ მიეღო თუ რასმე შესწირავდნენ ათონის მთას. ერთხელ, როდესაც მარტოკა დავრჩით მე, მამა მიხეილი და ევმენიდოვის ცოლი, სიტყვამ მოიტანა და ვკითხე მამა მიხეილს:

— რა მიზეზით შესდექით ბერად, მამაო მიხეილ; მაინც რამ გაიძულათ? ალბად ბერობა ძალიან მოგწონდათ.

მე ვიფიქრე, მამა მიხეილი ამის პასუხს არ მომცემს, გაუძნელდება-მეთქი. ეს იმისი საიდუმლოა და არავის გაუმხელსმეთქი. მაგრამ იმან თავისუფლად მიპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ი ქვენ როგორცა ფიქრობთ, ეგრე არ გახლავთ საქმე; ბერობა ვგრე რიგიდ არ მოიწონდა, მე უფრო საერო კაცი ვიყავ, ვიდრე საბერო; გართული ცხოვრება მიყვარდა, მაგრამ ჩემი ბერად შედგომის მიზეზად სიყვარული გამიხდა.

— სიყვარული?—გაკვირვებით ჩავეკითხე.

— დიაღ, ერთი ქალი შემიყვარდა. ის იყო თავადიშვილი, თანაც განათლებული. ის ჩემი შესაფერი არ იყო... მე განათლება არ მიმიღია; მხოლოდ მასწავლეს ის, რაც ვაჭრობისთვის არის საჭირო: დავთრებში ჩაწერა... ანგარიში...

— მერე უარი გითხრათ იმ ქალმა?

— არა, უარი არ უთქვამს, მე ძალიან გაუბედავი ვიყავ. ეთქვათ, ისე გამბედაობა არ მაკლია, მაგრამ იმ ქალს რომ დავინახავდი, შიში ამიტანდა ხოლმე. თქვენ იქნება არც კი დაიჯეროთ და მე ერთხელაც არ მითქვამს იმ ქალისთვის, რომ ისე გაგიჟებით მიყვარდა. მე ვგრძნობდი, რომ ის ჩემი შესაფერი არ იყო; მაგრამ მას შემდეგ კი, რაც ის შემიყვარდა, აღარაფერი სიამოვნება არ მიგრძვნია ამ ქვეყნად იმ ხანებში. მე ისეთი მაღალი გრძნობით ვიყავ გატაცებული, რომ სხვა ქალის შერთვა შეურაცხყოფად მიმაჩნდა, ჩემთვისაც და იმისთვისაც. ამავე დროს მშობლებმა მოინდომეს ჩემი ცოლის შერთვა. ამომირჩიეს ერთი ქალი. კარგი ქალიც იყო, მაგრამ რა გამოვიდა, მე ის არ მიყვარდა. ჩემ გუნებაში ასე ვფიქრობდი: ეგ ქალი რომ შეეირთო, ბედნიერი ცხოვრება არ გვექნება, მაგასაც გავაუბედურებ-მეთქი. ამიტომ ავდექი და ყოველისფერი ვუამბე იმ ქალს. ის მადლობელი დამრჩა... გავიდა, ესე, ორი თუ სამი წელიწადი მას შემდეგ, ვფიქრობდი, გავერთობიდ ყველაფერი გადამავიწყდება-მეთქი. მაგრამ ტყუილად. მე ის ქალი ვერ გადავიიწყე. მაშინ კი ეთქვი: მე აქ აღარ მეცხოვრება-მეთქი. ავდექ და წაველ ბერად. კარგადაც მოვიქეცი ძალიან...

— როგორ კარგად, გადაიიწყეთ ის ქალი?—ვკითხე.

— არა, იმას როგორ გადავიიწყებ. ის ეხლა ჩემ გულში ანგელოზად არის გადაქცეული. დიდიხანია აღარა გამიგია-რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზე, არ ვიცი, როგორი ქალი დადგა ცხოვრებაში. მაგრამ ეს სულ ერთია. გონებაში მე ის ისეთნაირადა მყავს წარმოდგენილი, როგორსაც ვიცნობდი და თუ სხვებს, როგორც ამბობენ, თითო ანგელოზი ჰყავთ ცაში,—მე მაშინ ორი ანგელოზი უნდა მყავდეს.

მამა ევმენიდოვი ბერებთან ცხოვრებაზე უარზე იდგა. იმას უნდოდა ცალკე ეცხოვრა იმ შემოსავლით, რომელსაც ახლად დანიშნულ მთავრისაგან მიიღებდა ყოველ წლივ.

— მე ხომ ეხლა სტუდენტი ვარ, შენ კიდევ სტუდენტის ცოლი,—ეუბნებოდა მხიარულად მამა ევმენიდოვი თავის ცოლს,—მაშასადამე, სტუდენტურად უნდა ვიცხოვროთ. სტუდენტები კი, როგორც გამიგონია, ძალიან ღარიბადა სცხოვრობენ. ერთმა სტუდენტმა მიამბო: იმ ხანში, რაც უნივერსიტეტში ვწავლობდი, სულ ერთ ოთახში ვიდექიო. ეს ოთახი სიგანით ორი არშინი იყო და შიგ კიდევ ერთი კრაოტის და სკამის მეტი არაფერი მედგაო. მადლობა ღმერთსა, ჩვენ ხომ ისე არ ვიქნებით, ცოტაოდენი სახლის სამკაული ხომ გვექნება.

მამა ევმენიდოვი, ამ დღეებში, ძალიან მხიარულად იყო. რაკი-ღა ეგზამენები კარგად დაიჭირა და არქიელმაც ალერსიანად მიიღო,—ამიტომ წახალისდა და გამხიარულდა.

ერთხელ, როდესაც მე, მამა მიხეილი და ევმენიდოვის ოჯახი ერთად ვიყავით შეკრებილი, მოგვესმა ფეხის ხმა და შემდეგ კარის რაკუნი. შემოვიდა ექვთიმე.

— რა გინდა?—ჰკითხა მამა მიხეილმა.

— ვილაც ბერი გახლავთ, მთავარსა ჰკითხულობს.

— ბერი?

— დიაღ, არქიელის ბერი ვარო...

— ჰო, ეს ის იქნება,—სთქვა მამა ევმენიდოვმა,—შეიძლება აქ შემოვიყვანოთ, მამაო მიხეილ?

— რატომ, რატომ? ექვთიმე, უთხარი.

ოთახში შემოვიდა ბერი. ეს იყო ხანში შესული კაცი; ჰქონდა დაჭმუჭვნილი სახე და თხელი წვერი. ბერი შემოსვლის უმალ ერთ ადგილს შეჩერდა; შემდეგ დაიწყო აქეთ-იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცქერა და რა შეამჩნია კუთხეში ხატი სამჯერ პირჯვარი გადაიწერა და იქ მყოფთ თავი დაუკრა.

— არქიელმა გამომგზავნა, —სთქვა მან, —ახალი სამსახური დამინიშნა.

— დიაღ, დიაღ, —უთხრა ევმენიდოვმა, —მობრძანდით, მამაო დიაკონო. თქვენ ჩემ ადგილას იქნებით გამწესებული!

— დიაღ, მათმა მეუფებამ ეგრე მოისურვეს! —სთქვა წყნარად ბერმა და მაგიდის მახლობლად სკამზე ჩამოჯდა.

მაგიდაზე საჭმელები ისევ ელაგა.

— არ ინებებთ? — უთხრა მამა ევმენიდოვმა, — ბერული საჭმელი გახლავთ, —მამა მიხეილი სხვას არაფერს გვაჭმევს.

— ბერმა პირჯვარი გადაიწერა და მიჰყო ხელი ზეთისხილს.

— ჩვენს მონასტერშიაც ძალიან ეტანებიან ზეთის ხილს, — სთქვა მან, —კარგი საჭმელია.

— თქვენ რომელ მონასტრიდანა ბრძანდებით? —შეეკითხა მამა მიხეილი.

— მე სულის წმინდის მონასტრიდან გახლავართ. აქედან ოცი ვერსი იქნება. წინად მე იქ ვიყავი, მაგრამ არქიელმა მერე აქ, თავისთან გადმომიყვანა. ოთხი წელიწადია არქიელის ეკკლესიაში ვმსახურობ. —რა უნდა მოგახსენოთ, მამაო, —მიჰმართა ევმენიდოვს, —თქვენი სამრევლო როგორი გახლავთ! ამის შესახებ მათ მეუფებას არა უბრძანებიათ-რა.

— სამრევლოს არა უშავს-რა, —უპასუხა მამა ევმენიდოვმა: —საქმე ბევრი გექნებათ. მხოლოდ მღვდელი ძალიან სასტიკი კაცია. ამას ეხლავ გეუბნებით.

— რა ვუყოთ, რომ სასტიკია, —მიუგო ბერმა, —ბერი უნდა ყველას მორჩილობდეს, რაც სასტიკი კაცი იქნება, ისა სჯობიან, —მორჩილობა უფრო დაფასდება.

— მართალია, მაგრამ თუკი ზედ გადელევი, ეგ რაღა გამოვა! მოუხეშავი რამ კი არის. ხანდახან ისეთ სისულელეს ჩაიდენს, რომ ვერც წარმოიდგენთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა უშავს-რა,—ამობდა დამშვიდებით ბერი,—მე ბევრ-გან ვყოფილვარ, ბევრი რამ გამომიცდია... მაგრამ რა უნდა მოგახსენოთ, მამო, შემოსავალი როგორია იმ სამრევლოში?

ევმენიდოვმა ცალი თვალით შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: ბერი და შემოსავალსაც კითხულობსო.

— შეხვედრაზეა.—მიუგო ევმენიდოვმა.—თუ კარგი წყლიწადია, ას თუმანზე მეტს აიღებთ.

— მარტო ჩემ წილად?—იკითხა დაინტერესებულმა ბერმა...

— რას ბრძანებთ, მამაო?—სუყველანი ერთად ას თუმანს. ეგრეთი შემოსავალი რომ მარტო მთავარსა ჰქონდეს, მაშინ ქალაქელი დიაკვნებიც სოფლად წამოვიდოდნენ. მთელი შემოსავალი ორად იყოფა, ეგრეა არქიელისაგან ნაბრძანები

— დიაღ, დიაღ... ეგეც კარგია, მადლობა უფალსა. მე მაგას იმიტომ გეკითხებოდით, მამაო მთავარო, რომ არქიელთან უფასოდა ვმსახურობ, მარტო სახლს მაძლევენ და საჭმელს... ტანთსაცმელზედ კი ჩემთვის არავინ ფიქრობს, ანაფორა სულ ზედ შემომაცვდა, თეთრეულიც... ამიტომ გეკითხებოდით.

ამ დროს მე ევმენიდოვს შევხედე და იმის თვალებიდან ეს ალმოვიკითხე:„ ცბიერობ, მამაო, გეტყობათ, ფული გყვარებიათ“.

ბერმა საუზმე გაათავა, ზეზე წამოდგა პირჯვარი გადაიწერა და მამა მიხეილს თავი დაუკრა. შემდეგ მიუბრუნდა ევმენიდოვს და უთხრა:

— როდის უნდა გავემგზავროთ, მამაო მთავარო?—ან რა გზით შეიძლება წასვლა?.

— წასვლა ადვილი გახლავთ. ხვალ მე თვითონ ვაპირობ წასვლასა, მღვდელს უნდა ჩავაბარო, რაც რამ მაბარია ეკკლესიისა; ერთად წავიდეთ. ცოლ-შვილს აქ დავტოვებ მამა მიხეილთან და ჩვენ ერთად გავემგზავროთ.

ბერი რომ ფეხზე წამოდგა, ეტყობოდა, შინ წასვლა უნდოდა, მაგრამ აღარ წავიდა. ალბად ჩვენი საზოგადოება მოეწონა. ან იქნებ ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამ დროს ექვთიმემ გაჩაღებული სამოვარი შემოიტანა. ეს სამოვარი საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ბერებთა სამყოფელოში მცხოვრებთათვის; ამ ქალაქში დღე ხან ერთ ოთახში შეჰქონდათ ადუღებული და ხან მეორეში. მაგიდიდან თეფშები აალაგეს და იმათ მაგიერ ჩაის ჭიქები მოიტანეს. მაგიდას შემოვუსხედით.

ჩვენი ახლად გაცნობილი ბერი მშვიდობიანი შეხედულობის კაცი იყო, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ბევრი ტანჯვა გამოეარა.

— რა წოდებისა ბრძანდებით?—ვკითხე მას.

— გლეხი გახლავართ, ჩემო ბატონო,—მიპასუხა მან,—სახელმწიფო გლეხი, საბატონო არას დროს არა ვყოფილვარ, მაგრამ უსიამოვნობა კი ბევრი გამომივლია.

— ბერად რად შემდგარხართ?

— ბერული ხასიათისა გახლავართ. ღმერთი მიყვარდა და ღმერთმაც არ დამკარგა. ბერობაში წერა-კითხვა შევისწავლე. ამიტომ მონასტრის წინამძღვარმა მთავარ-დიაკვნობა მომცა. იქ რომ დავრჩენილიყავ, მღვდელ-მონაზნობასაც დამპირდა, მაგრამ, აბა, აქ წამოვედი და უეჭველია, მთავარ-დიაკვნობაში უნდა გავატარო ჩემი დღენი.

ნახევარ საათის შემდეგ ბერი სახლში წავიდა; თანაც პირობა მისცა მამა ევმენიდოვს, რომ ხვალ დილით მოვალ და ერთად წავიდეთ სამრევლოშიო.

მეორე დღეს მამა ევმენიდოვი და ბერი დილით ადრე გაუდგნენ თავიანთ გზას.

IV

ერთი კვირის შემდეგ მამა ევმენიდოვი სოფლიდან დაბრუნდა; რაც საჭირო იყო, უკვე ჩაებარებინა მღვდლისათვის.

— საკვირველია კაცია!—ამობდა იგი მღვდელზე.—რაც იქ ვიყავ, სულ დაბღვერილი მიცქეროდა. წამოსვლის დროს ხელზე სამთხვეველადაც აღარ მიმიშვა! რაკი უნივერსიტეტში შევდივარ, იმას ჰგონია, უწმინდური გახდაო. აი რა არის ძველებური კაცი რომ იქნება. ვერ შეუსმენია აქამდის, რომ საღმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო მსახურებაც და მეცნიერებაც ღმერთისაგან არის დაარსებული.

ევმენიდოვმა დაიქირავა ორი ოთახი თავისი სამზარეულოთი, გადაზიდა ავეჯეულობა, დაიწყო ახალი ცხოვრება. იმისი ცოლი, სოფელთან შედარებით, აქ უფრო კარგად მოეწყო და წინანდებურად აღარ ბუსხუნობდა.

— რას ბრძანებთ,—ამბობდა იგი,—სად აქ და სად იქ. იქ ათასი საქმე მაწვა: ეს ძროხა მოწველე, ეს ქათმებს აჭამე, ეს ღორს აჭამე და სხვა-და-სხვა. აქ კი ყველაფერ ამას მოშორებული ვარ, წახვალ ბაზარში და რასაც გინდა იშოვი, ყველაფერი გასასყიდია. ეს კიდევ არაფერი,—ამბობდა გატაცებით,—აქ ფილაქანი გვაქვს. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ ვიტანჯებოდით სოფელში. ერთი უბედური ფეჩი გვქონდა, სულ მუდამ ხრჩოლავდა: საჭმელს ვერა ვხარშავდით ხოლმე. ფილაქანზე კი დადგამ ქვაბს და თითონ იხარშება საჭმელი. აბა, რამდენად ადვილია ქალაქში ცხოვრება!..

მამა ევმენიდოვი თავის ცოლშვილით უნივერსიტეტის მახლობლად დასახლდა. ამიტომ უნივერსიტეტში ადვილად დაიარებოდა და ერთი ლექციაც არ გამოუშვია. მათემატიკა ეხლა წინანდელზე მეტად შეუყვარდა; გზაზე რომ დადიოდა, სულ რაღაც ტეორემებზე ფიქრობდა. უმაღლესი მათემატიკაც ადვილად შეითვისა და ეს ძალიან უხაროდა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მათემატიკა ძალიან სახალისო რამ არის,—ამბობდა ხოლმე ევმენიდოვი,—არა მგონია, ქვეყანაზე ისეთი ძნელი, მაღალი და ღრმად დამაფიქრებელი საგანი რამ იყვეს, როგორც უმაღლესი მათემატიკაა.

ევმენიდოვისთვის რომ შეგეხდნა, როდესაც ქუჩაში წყნარი ნაბიჯით მიაბიჯებდა და ან უნივერსატეტში დაიარებოდა, ადვილად შეამჩნევდით, რომ ის კმაყოფილი იყო თავის ცხოვრებით.

იმისი კმაყოფილება და ბედნიერება ამხანაგებთან დამოკიდებულებაშიაც იხატებოდა. ის ყველას ერთნაირად ეექცეოდა, ყველასთან კეთილი იყო და ცდილობდა სუყველასთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახური გაეწია. სამაგიეროდ ამხანაგებსაც უყვარდათ ევმენიდოვი და ერთად დროს ატარებდნენ.

მხოლოდ ეს იყო, სტუდენტებმა ერთ რამეში ვერ დაიყოლიეს ევმენიდოვი. სტუდენტები ძალიან ხშირად დაიარებოდნენ ერთ მახლობელ „ტრახტირში“, აქა სადილობდნენ და დროს ატარებდნენ. „ტრახტირში“ კარგ საჭმელებს ვერ ამზადებდნე, მაგრამ იაფი იყო ყველაფერი. გარდა ამისა სტუდენტები აქ მეტად თავისუფლადა ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს. სტუდენტებს უნდოდა ევმენიდოვიც ეტარებინათ აქ და ამიტომ ხშირად ეუბნებოდნენ:

— შემობრძანდით. რატომ არ შემოხვალთ? განა აქ გასაკიცხი რა არის? ჩვენს მეტი იქ არავინ იქნება, ვილაპარაკოთ, თან დაისვენეთ კიდეცა.

— დასასვენებელი რა მჭირს. შინ მოსვენებითა ვცხოვრობ, ცოლი არაფერს მიშლის და შვილები...

— ეგ მართალია, მაგრამ ამხანაგებთან ყოფნა მაინც სხვა არის..

— ჰო... ამხანაგებთან ყოფნა ფრიად სასიამოვნოა, მხოლოდ ამ ნაირ ტანისამოსიანს „ტრახტირში“ არ შემშვენის.

— ეს რა „ტრახტირია“ მერე,—ეუბნებოდნენ ამხანაგები.—ვითომც სტუმრად მოსულხარ ჩვენთან. ჩვენს მეტი იქ ვინ იქნება?

ევმენიდოვს ამხანაგების წყენა არ უნდოდა და ამიტომ მე მეკითხებოდა, როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაშიო. ჩემის აზრით „ტახტირში“ შესვლა არაფერი წინააღმდეგი იყო და ამისთვის ვურჩიე შეესრულებინა ამხანაგების თხოვნა. ბოლოს, როგორც იყო, გადასწყვიტა შესულიყო სტუდენტებთან. გამიძღოლა წინ და ორთავემ უჩუმრად თავი ამოვყავით სტუდენტების ოთახში. სტუდენტებს ძალიან გაეხარდათ. აქეთ-იქიდან შესთავაზეს ზოგმა რა, ზოგმა რა, მაგრამ ევმენიდოვმა ყველაფერზე უარი სთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩაის დავლევ, სხვას კი არაფერს,—ამბობდა იგი,— ეს შეიძლება სხვა რამეც დალიოს კაცმა, აქ კი—წესი არ არის. არ შემიძლიან, სრულებით მიჩვეული არა ვარ...

— ამის შემდეგ ხშირად დადიოდა ევმენიდოვი „ტრახტირში“, მხოლოდ ჩაის მეტს არას ეკარებოდა. სტუდენტები „ტრახტირში“ მომეტებულად სხვა-და-სხვა საგანზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ; ევმენიდოვიც ყურს უგდებდა.

— ღვთის წინაშე, ბევრი რამ არ მეყურება იმათი ლაპარაკიდან,—მეუბნებოდა ევმენიდოვი. იმათი სალაპარაკო სულ მილი და სმიტია. მე კი არაფერი წამიკითხავს არც მილისა და არც სმიტისა. გამიგონია კი, რომ ორთავენი გამოჩენილი მწერლები არიან, მაგრამ წაკითხვით, აბა როდის წავიკითხავდი... ძალიან სასიამოვნოა, როცა ისინი კამათობენ. მთელი წელიწადი რომ უცქირო, არ მომწყინდება... თვალები თითქოს გაუბრწყინდებათ ხოლმე, აქეთ-იქიდან ზარივით ხმა გაისმის... იმ დროს ისინი მიყვარან...

გავიდა ერთი წელიწადი. ევმენიდოვის ტანისამოსს ყველამ თვალი შეაჩვია. ის ეხლა თითქოს უნივერსიტეტის კუთვნილება შეიქმნა. ამხანაგებმა ისე შეაჩვიეს იმას თვალი, რომ ერთი დღე რომ არ მოსულიყო უნივერსიტეტში, ეხამუშებოდათ და ერთი ალიაქოთი შეუდგებოდათ ხოლმე.

ერთს კვირას ევმენიდოვი ძალიან დაღვრემილი იყო. მე ეს წინადვე შევამჩნიე და ვკითხე:

— თქვენ თითქოს რაღაზედაც დარდობთ, აგერ, რამდენიმე ხანია!

— მართალია, ვერა ვარ ჩემ ლონეზე,—მიპასუხა მან.

— რა მიზეზია, ხომ არაფერი შეგემთხვათ?

— არა, რა უნდა შემთხვეოდა?—ეხლოლოდ აი რა არის: წინად, წირვა-ლოცვის დროს ეკკლესიაში რომ ემსახურობდი, იმაზედ ვდარდობ.

— წირვა-ლოცვაზედ აკი ეხლაც დადიხართ!

— არა, მე მაგ აზრით არ მოგახსენებთ. წირვა-ლოცვაზე, რასაკვირველია, მუდამ დავდივარ,—ისე როგორ იქნება?.. მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ საქმე რაშია: სრული რვა წელიწადი მრევლში ვიყავ და მუდამ კვირა-უქმეს ეკლესიაში ვმსახურებდით. ისე რომ მიჩვეული ვიყავ წირვა-ლოცვაზე სამსახურს: აქ კი აგერ რამდენი ხანი გავიდა აღარსად მიწირნია...

— მერე, განა არ შეგიძლიანთ, რომელიმე აქაურ საყდარში სწიროთ?

— რა მოგახსენოთ,—როგორ არ შეიძლება! მხოლოდ უფროსმა მღვდელმა ნება უნდა მომცეს—თხოვნა უნდა და მეზარება. იცით, იმათ თავიანთი მთავრები ჰყავთ—ისინი რომ გაიგებენ, მაშინვე სხვანაირად იფიქრებენ. ეჭვიანი ხალხია. მე ვამბობ ისევ არქიელსა ვთხოვ, რომ იმისავე ეკლესიაში წირვაზე მოვეხმარო.

ევმენიდოვი წავიდა არქიელთან და სთხოვა, რის განზრახვაც ჰქონდა. არქიელმა სიამოვნებით მიიღო ევმენიდოვი და დიდადაც მოიწონა იმის სურვილი.

— აი,—უთხრა მან,—სჩანს შენი მღვდელი სტყუოდა, მტყუანი ყოფილა. იმას ეგონა, რაკი სტუდენტი ქნება, მაშინვე ერის კაცივით სხვა-და-სხვა აზრებს გაჰყვებაო. ის კი არა თუ აგერ ისე ვერ გაგიძლია,—მღვდელთ-მსახურობა მოგიწადინია... სჩანს, როდესაც ადამიანი სასულიერო მიმართულებისაა, რამდენიც უნდა ისწავლოს საერო საგნები, მაინც-ისევ ის ხასიათი შერჩება... სასიამოვნოა, ფრიად სასიამოვნოა. როცა გინდათ, ჩემს ეკლესიაში წირვა-ლოცვის დროს შეიმოსენით.

მომავალ კვირა დღეს არქიელის ეკლესია სავსე იყო მლოცველებითა. აქავე ერთ ადგილას შეჯგუფულიყვნენ სტუდენტები. ესენი მოსულიყვნენ იმისთვის, რომ ევმენიდოვისთვის ყური დაეგდოთ, თუ როგორა სწირავდა ევმენიდოვმა მშვენივრად სწირა; იმისი წირვა მარტო მლოცველებს კი არა, ბერებსაც მოეწონათ.

— ჰოო, ეხლა კი მოვისვენე,—ამბობდა შემდეგ ევმენიდოვი.—ისე არ შეიძლება, ყველას თავისი სფერა და ცხოვრება აქვს. როგორც, მაგალითად, თევზმა უსათუოდ წყალში, უნდა იცხოვროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ, რაკი-ღა არქიელმა ნება დართო, კიდევ რაედენჯერმე მოეხმარა წირვა-ლოცვაზე არქიელის ეკკლესიაში მოსამსახურე პირთ.

მახსოვს ერთი შემთხვევა. ჩვენ მოგვიკვდა ამხანაგი,—ისიც ევმენიდოვისაებ მათემატიკოსი იყო. მოკვდა რაღაც უცნაურად. ორი კვირის წინად ვიდრე მოკვდებოდა დიდ მონაწილეობას იღებდა იგი სტუდენტების კამათობაში, როდესაც „ტრახტირში“ შეიყრებოდნენ ხოლმე. მთელ ოთახში ზარივით გაისმოდა იმისი ხმა და თვალებიც ცეცხლივით ჰქონდა ანთებული. ლაპარაკში ხანდახან ხრინწი მოერევოდა ხოლმე და ახველებდა კიდეც, მაგრამ ვინ რას მოიფიქრებდა, რომ ეს კაცი ისე მალე გამოესალმებოდა წუთი სოფელს.

უცებ ჩავარდა ლოგინად და უცებ მოელო ბოლო. დასაფლავებაზე ყველა ამხანაგები დაესწრნენ. როდესაც ცხედარი უნივერსიტეტის საყდარში მოასვენეს, ევმენიდოვმა მაშინვე რექტორი მოძებნა.

— ნება მომეცით მეც შევიმოსო,—უთხრა მან რექტორს,— ერთადა ვწვალობდით, ერთ სკამზე ვისხედით... უნდა შევავედრო ღმერთს...

რექტორმა თავის მხრივ სთხოვა ღვთის მეტყველების პროფესორს მღვდელს, რათა მიეცა ნება ევმენიდოვისათვის იმასთან ერთად მღვდელ-მსახურებისა. პროფესორმა ნება მისცა. ევმენიდოვი შეიმოსა. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადუხადეს.

შემდეგში ევმენიდოვი მეუბნებოდა:

— რომ მომაგონდება, ის რომ ამ რამდენიმე დღის წინად გვიმტკიცებდა, ჩვენი სიცოცხლე საქვეყნო საქმეს უნდა შევწიროთო,—გული ამიჩუყდება ხოლმე. იმის ამგვარი ლაპარაკი, ანდერძს რომ ვუგებდით, მაშინაც მომაგონდა და არ დაიჯერებ, ცრამლები ველარ შევიკავე.

მართლაც, იმ დროს საკვირველი შემთხვევა მოჰხდა საყდარში. ეს შემთხვევა უნივერსიტეტში მყოფთ დიდ ხანს არ დაჰვიწყებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვიდა ევმენიდოვი საყდრის შუა ალაგას, სადაც ვეფხო-ილგა და დაიწყო კითხვა, რაც საჭირო იყო. წარმოიდგინეთ, კითხვის დროს უცებ ხმა შეუწყდა, გული აუჩუყდა და ცრემლები წამოუვიდა. ამ ამბავმა ისე იმოქმედა საყდარში მდგომ პროფესორებსა და სტუდენტებზე, რომ იმათაც ტირილი დაიწყეს.

ამ შემთხვევის შემდეგ ამხანაგები უფრო დაუახლოვდნენ ევმენიდოვს; ისე უცქეროდნენ მას, როგორც კარგ დიდი ხნის მეგობარს.

მე და ევმენიდოვი ერთმანეთს მალე დავშორდით. მე იმაზე ორი წლით ადრე გავათავე უნივერსიტეტი და გამოვეცალე იქაურობას.

რამდენისამე წლის შემდეგ მომიხდა ჩამოსვლა იმ ქალაქში, რომელშიაც ვწავლობდი. რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა ევმენიდოვი მოვძებნე. იმას უნივერსიტეტი უკვე გაეთავებინა. გათავების დროს პროფესორებს ლაპარაკი ჰქონოდათ: ეს კაცი ღირსია სახელმწიფო ფულით უმაღლესი მეცნიერების უფრო კარგად შესასწავლად საზღვარ გარედ გაიგზავნოსო. მაგრამ ამ აზრის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყო; ანაფორით შემოსილი კაცის გაგზავნ ვერა ხერხდებოდა. ღვთის წინაშე, თითონ ევმენიდოვსაც აღარ უნდოდა სწავლის გაგრძელება.

— არა, ესეცა კმარა,— ამბობდა ის,— ღმერთმა ისეთი ბედნიერება მომანიჭა, რომ იმის ღირსიც არ ვიყავ... სწავლის გაგრძელება ჩემთვის შეუძლებელია... ცოლშვილი მყავს... ხნითაც ყმაწვილი აღარა ვარ... უმაღლეს მეცნიერებას რომ შეუდგეს კაცი, უნდა მიჰყვეს კიდეცა, სულითა და გულით უნდა მიეცეს იმ საგანს; თუ არა, რა იქნება? მე, რასაკვირველია, შემეძლო მიყოლა, თავ-დავიწყებამდის მივყვებოდი... მაგრამ აბა, რაღა დროსია... გარემოებაც სულ სხვა ნაირი მაქვს.

ევმენიდოვს მათემატიკის მასწავლებლობა მისცეს, იმავე ქალაქის სემინარიაში. მალე მღვდლადაც აკურთხეს, მაგრამ მრევლში სამსახური არ მოინდომა,— აქ ირჩია. აქ თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და შემოსავლითაც კმაყოფილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნეტარებაში ვარ, ღმერთმანი, ნეტარებაში,—მეუბნებოდა ევმენიდოვი,—ეხლა, იცით, წიგნების კითხვაც დავიწყე, დრო ბევრი მაქვს. ან კი რატომ არ უნდა ვიკითხო, გაჭირება არ მადგია, ოჯახში არა მიჭირს-რა. მერე იცით ვისი თხუზულება წავიკითხე? გახსოვთ, მაშინ რომ სულ მილზე და სმიტზე ლაპარაკობდნენ... უნდა კი მოგახსენოთ, სმიტი დავიწყე, მაგრამ ძალიან გაზვიადებულად არის დაწერილი, ვერ დავძლიე... მილი კი გავიგე...

ევმენიდოვი შეხედულობით გამოცვლილიყო... წვერებში ჭალარა გამორეოდა და თავზე თმა შესთხელებოდა. მხოლოდ ხასიათი, რაც უნივერსიტეტში ჰქონდა, სტუდენტობის დროს,—ისევ ის შერჩენოდა. ის იყო მეტად გულ-კეთილი და ყველასი ერთნაირად პატივის მცემელი.

ევმენიდოვი ხშირად იგონებდა უნივერსიტეტში გატარებულ დროს.

— ეჰ,—ამბობდა ხოლმე ის,—იმაზედ უკეთესი დრო ჩემ სიცოცხლეში არა ყოფილა... რა ხალხი იყო!.. სულ ახალ-გაზდები, გულ-წრფელები, პირდაპირები და სიცოცხლით სავსენი!.. სასიამოვნო იყო იქ ყოფნა... ისეთი ხალხი აღარსად შემხვედრია. მართალი უნდა გითხრათ, თვითონ ისინი მინახავან ცხოვრებაში, იქ რომ ისეთი ყოჩაღები იყვნენ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ცხოვრებას გამოუცვლია, ისეთები აღარ იყვნენ სრულებით... რად ხდება ესე ნეტავი?—მეკითხებოდა იგი დაღვრემილის თვალებით,—რად დაეცემიან ხოლმე ყმაწვილი კაცნი მერე და მერე?.. ალბათ ცხოვრების ბრალია, ჰა?—თქვენ რას იტყვით?

„ლომონ" 1935 [illegible]

ვლ. ედილაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრაზანა

რომანი იტალიის ცხოვრებიდან

ე. ვოინიჩისა

ნაწილი პირველი

I

არტური იჯდა ქალაქ პიზის სასულიერო სემინარიის სამკითხველოში და ათვალიერებდა ხელთნაწერ ქადაგებებს.

ივნისის საღამო იყო და სიცხის ბული იდგა; სარკმელნი ფართოდ დაღებული იყო და დარაბები ნახევრად ჩამოფარებული სიგრილისათვის. სემინარიის რექტორმა, კაპელლანმა*) მონტანელლიმ ერთს წუთს შესწყვიტა წერა და სიყვარულით დაუწყო ცქერა დაბლა დახრილ პატარა თავს, რომლის თვალებიც მაგიდაზე დაგროვილ ქაღალდებს ჩასცქეროდა:

— ვერ იპოვნე, ჩემო კარგო? არა უშავს-რა, მე ხელახლავ დავსწერ იმავეს. ალბად კაბადონი სადმე გადავარდა და დაიკარგა, შენ ტყუილად გაგსარჯე.

მონტანელლის ხმა დაბალი იყო, მაგრამ წკრიალა და წმინდა ვერცხლივითა. ამიტომ მის საუბარს დიდი მომხიბლველი ძალა ჰქონდა. ხმა მისი ნამდვილი ორატორის ხმა იყო, მდიდარი კილოს მიმოხვრით. მხოლოდ არტურთან მუსაიფის დროს ამ ხმას მეტი სინაზე ეტყობოდა.

---

*) კათოლიკეთა მღვდელი კარის ეკკლესიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მამაო,—მიუგო არტურმა,—უეჭველად ვიპოვნი. უთუოდ აქ სადმე დასდებდით, თქვენ ვეღარ შესძლებთ მის აღდგენას.

ყმაწვილმა დაიწყო ქალალდების თვალიერება. მონტანელლიმ განაგრძო მუშაობა. გარედან მოისმოდა ბუზის ზარმაცი ბზუილი და მოსაწყენი გაგრძელებული ძახილი მეხილეებისა: fragola! fragola! *)

— „კეთროვნების განკურნებაზე",—აი, აქ არის!

არტური ადგა და გაიარა ოთახში სუბუქის ნაბიჯით, რომლითაც შინაურები ბეზარს მოჰყავდა ხოლმე. არტური იყო ნაზის, სუსტის აგებულობისა და უფრო მე-XVI საუკუნის იტალიელის სურათს წააგავდა, ვიდრე ჩვენის საუკუნის მეოცდა ათე წლების შუათანა საზოგადოების ინგლისელ ჭაბუკს. იმისი გარეგანი შეხედულობა, დაწყებული მოგრძო წარბებიდანა და მომცრო ტუჩებიდან პაწაწა ხელ-ფეხამდე მეტად ნაზი იყო. როცა იჯდა, ვაჟურად ჩაცმულ ლამაზ პატარა ქალს უფრო ჰგავდა. მაგრამ როცა ზეზე წამოდგებოდა და სიარულს დაიწყებდა, იმისი მრხევი ტანი, იმისი მოძრაობა მოგაგონებდათ მოშინაურებულ ვეფხს, რომელსაც ბრჭყალები მოჰკვეცია.

— ნუ თუ იპოვნე? რა მეშველებოდა უშენოდ, არტურ? არა, მეტს აღარ დავწერ, წავიდეთ ბაღში და ახლა მოგეხმარები შენს საქმეში. მაჩვენე, სად არის ის, რის ახსნაც გინდოდა.

ორივე გამოვიდნენ მყუდრო, დაჩრდილულ მონასტრის ბაღში. სემინარიას ეჭირა შენობა ძველ დომინიკელების მონასტრისა. ორასის წლის წინად ეს ოთხკუთხიანი ეზო შენახული იყო დიდის სისუფთავით. როზმარინა და ლავანდა **) იზრდებოდა კოპწიად შეკვეცილ ბუჩქებზე. ეხლა ის თეთრად შემოსილი ბერები, რომელნიც ოდესმე უვლიდნენ ამ ეზოს მცენარეებს, დიდიხანია უკვე განისვენებდნენ შავ მიწაში, ყველასაგან მივიწყებულნი. მაგრამ სურნელოვანი მცენარენი, მაინც კიდევ ჰყვაოდნენ და იფურჩქნებოდნენ სუბუქ ზაფხულის დღეებ-

*) მარწყვი.
**) მცენარენი არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, თუმცა ალარავინ არ აგროვებდა და ალარ ინახავდა იმათ თესლეულს, სხვა-და-სხვა წამლების მოსამზადებლად. შეკონილი გარეული ბალახები ავსებდნენ ნაპრალებს ეზოს ფიქალებსა და ჭის შორის; იმათ შუა ამოსულიყო უბრალო ჩადუნა ბალახი. ვარდები დამგზავსებოდა ტყის მცენარეებს; იმათი გრძელი, ერთმანეთზე გადახლართული ღეროები მიწაზე მოძრაობდა. ბოსტნის კვალზე ალის ფრად ჰყვაოდნენ დიდრონნი ყაყაჩონი. მაღალ ღეროიან ყვავილებს დაეხარათ თავები დაბურულ ბალახებზე და დაძველებული იმათი უნაყოფო ნეშოები გახლართულიყო თავდანებებულ, გაოხრებულ სქელ ფოთლიან ხის შტოებში, რომლებიც ზანტად და მძიმედ თავს დაბლა ჰქინდრავდნენ. ერთ კუთხეში იდგა უზარმაზარი, კოშკის მზგავსი, მუქი მწვანე მაგნოლიის ხე, თეთრი ყვავილებით მოფენილი. მაგნოლიის ქვეშ იდგა უბრალო ხის სკამი, რომელზედაც ჩამოჯდა მონტანელლი. არტურს შესწავლილი ჰქონდა ფილოსოფია უნივერსიტეტში და ეხლა რომ ძნელი გასაგები რამ შეხვდა წიგნში, მიმართა მოძღვარს ასახსნელად. მონტანელლი მიაჩნდა ყველაფრის მცოდნედ, თუმცა ეს ყმაწვილი არასოდეს არა ყოფილა მის მოწაფედ სემინარიაში.

— ახლა მე წავალ, თუ არაფერში დაგჭირდებით,—სთქვა არტურმა, როცა მონტანელლიმ აუხსნა, რის გაგებაც უნდოდა.

— მე მუშაობა ალარ მინდა, მაგრამ მსურდა კი აქ ვყოფილიყავ, თუ შენც დრო გექნებოდა.

— დრო დიალაც მაქვს.

ყმაწვილი მიეყრდნო ხეს ზურგით და დაუწყო ცქერა სქელ მუქ მწვანიან ფოთლებში. ახლად გამომკრთალ ვარსკვლავთ, დამშვიდებულ ცაზე მოციმციმეთ. თვისის ოცნებითა და რაღაც იდუმალობით სავსე ლაჟვარდის ფერ თვალებით, რომელიც შავს, მოგრძო და ხშირ წამწმებ ქვეშიდან გამოიცქირებოდა, არტური პირ-წავარდნილი დედა იყო. დედა იმისი კორნვალიის გვარისა იყო გასათხოვრობისას. მონტანელლიმ გვერდზე მიიბრუნა თავი, რომ ალარ ეცქირნა იმისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაქანცულის შეხედულობა გაქვს შენა, ჩემო კარგო,

— რა გაეწყობა!

არტურის პასუხს მართლა დაქანცულობის კილო გამოჰკრთა და ეს მოძღვარმა იმ წამსვე შეატყო.

— ასე ჩქარა არ უნდა დაბრუნებულიყავ სკოლაში, ძალიან დაიღალე ავადმყოფის მოვლით და უძილოდ გატარებულ ღამეებით. მე უნდა მომეხერხებინა, რომ, მანამ კარგად არ დაისვენებდი, ლიგორნოდან არ წამოსულიყავ.

— ოჰ, მამაო, რა გამოვიდოდა მაგით? დედი-ჩემის შემდეგ მე არ შემეძლო დარჩენა იმ საზარელ სახლში. იულია იქამდის მიმიყვინდა, რომ ჭკუაზე შემშლიდა.

იულია იყო ცოლი არტურის უფროსის ძმისა. და სულ იმას ცდილობდა, რომ მოსვენება არ მიეცა მისთვის და მუდმივის ჩხვლეტით გაემწარებინა მისი სული.

— მე სრულიადაც არ მინდა, რომ შენ ნათესავებთან სცხოვრობდე,—მორიდებით მიუგო მონტანელიმ;—ვიცი, რომ ეს შენთვის ძალიან მავნებელი იქნება. მაგრამ ამას კი ვწუხვარ, რომ არ მიიღე თხოვნა შენის მეგობრისა, ინგლისელ დოქტორისა; ერთი თვე რომ შენ იმის სახლში გაგეტარებინა, კარგად დაისვენებდი და ბევრად უფრო გულმოდგინედ დაუბრუნდებოდი შენს საქმეს.

— არა, მამაო, არა. ვარენები, მართალია, გულკეთილნი და თავაზიანები არიან, მაგრამ იმათ მე ვერ მიცნეს. იმათ ვებრალები, ამას მე კარგად ვხედავ, ვამჩნევ სახეზე; ვიცი, დამიწყებენ იმედების ძლევას და დედა-ჩემზე ლაპარაკს; ამით ფიქრობენ ჩემს დამშვიდებას. გემმა კი ამას არ იზამდა. ჩვენ ჯერ ისევ ბავშვები ყოფილვით, რომ იმან მაშინაც იცოდა, რის თქმაც საჭირო არ იყო. მაგრამ ეჰ, მარტო ესეც არ არის მიზეზი...

— მაშ რა არის, შვილო?

არტურმა მოსწყვიტა რამდენიმე ყვავილი და დაუწყო მთრთოლვარე ხელით სრესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ვერ ვიტან ქალაქის ცხოვრებას,—დაიწყო მან სიჩუმის შემდეგ.—იქ არის ის დუქნები, სადაც ჩემს ბავშვობაში სათამაშოებს მიყიდდნენ ხოლმე; იქ არის წყლის პირი, სადაც მე იმასთან ერთად ვსეირნობდი, მანამ მძიმე ავადმყოფი შეიქნებოდა. საითაც უნდა წავიდე, ყველგან ერთი და იგივე მიდგას თვალ-წინ. ბაზარში პატარა გოგოები მოდიან და ყვავილების კონას მთავაზობენ, თითქო ეხლა მე ესენი მესაჭიროებოდეს! სასაფლაოც იქ არის... ოჰ, უნდა იქიდან წამოვსულიყავ, მეტად მიმძიმს იმ ადგილების ცქერა...

მან სიტყვა ველარ დაასრულა და ყვავილების ფურცქვნას მოუხშირა. ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე. არტურმა გაოცებით თავი მაღლა აიღო; უკვირდა, რომ მონტანელლი ხმას არ იღებდა, არასა ჰკითხავდა. მაგნოლიის შტოებ ქვეშ ჩამობნელდა და გარშემო ყოველი საგანი ბუნდად მოჩანდა, მაგრამ სინათლე იმდენად კიდევ იყო, რომ შეიძლებოდა შეგემჩნიათ მონტანელლის პირისახეზე მომაკვდავის ფერი, რომელიც ამ ლაპარაკის დროს დასდებოდა. იმას ჩაეღუნა თავი და ათრთოლებულის მარჯვენა ხელით სკამის ნაპირს დაყრდნობოდა. გაოცებულმა არტურმა მოიხედა მისკენ, ასე ეგონა, უეცრივ მივუახლოვდი რაღაც ღვთიურს ძალასაო.

— ღმერთო!—გაიფიქრა მან,—რა წვრილმანი და მეტისმეტი თავმოყვარე ვარ მე ამასთან შედარებით. ჩემი მწუხარება რომ თვით ამისი მწუხარება იყოს, ამაზე მეტად მაშინაც ველარ შესწუხდებოდა.

ამ დროს მონტანელლიმ მაღლა აიღო თავი და მიიხედ-მოიხედა გარშემო.

— მე არ ვეცდები, რომ უთუოდ ეხლა დაბრუნდე,—უთხრა მან ალერსით,—მაგრამ უნდა მომცე სიტყვა, რომ კარგად დაისვენებ ზაფხულში, როცა საორთვეოდ დაგითხოვენ. ჩემის ფიქრით, უმჯობესი იქნება შენთვის, რაც შეიძლება, შორს წახვიდე ლიგორნოდან. მე არ შემიძლიან და არც მინდა წარმოვიდგინო, რომ შენს ჯანს არ გაუფრთხილდები.

— თქვენ სადღა წახვალთ ზაფხულში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე უნდა ჩემი მოწაფენი წავიყვანო მთებში, როგორც ჩვეულება მაქვს, და იქ დავაბინაო. მხოლოდ აგვისტოს შუა რიცხვებში უნცროსი გამგე დაბრუნდება და მაშინ ვეცდები გავემგზავრო ალპიის მთებზე. შენც გინდა წამოხვიდე ჩემთან? მთებზე სიარულით ვისიამოვნებდით და ამასთანავე ალპიის ხავსებსაც შევისწავლიდით...

— ოჰ, მამაო!—არტურმა სიხარულით ტაში შემოჰკრა „აღფრთოვანებულ უცხოელივით.“—როგორც იულია იტყოდა ხოლმე.

— მე მზადა ვარ გავცე ყოველივე, ოღონდ კი თქვენთან წამოვიდე! მაგრამ არ ვიცი...—არტური გაჩერდა.

— მაგრამ რა? შენ ფიქრობ, რომ მ—რ ბერტენი არ მოგცემს წამოსვლის ნებას?

— რასაკვირველია, იმას არ იამება, მაგრამ ძნელად თუ მოახერხებს ამ შემთხვევაში ხელის შეშლას. მე ეხლა თვრამეტის წლისა ვარ და შემიძლიან თავისუფლად ვიმოქმედო. ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ხომ მარტო მამითა ვართ ერთნი; მაშ მაინცა და მაინც მე ამას რად უნდა ვემორჩილებოდე? ის ყოველთვის ავად ექცეოდა ჩემს დედას.

— ეგ ეგრეა, მაგრამ თუ ის მტკიცედ წინააღუდგება შენს სურვილს, მგონი ემჯობინება, არ მოიქცე იმის უნებურად. თორემ, შესაძლოა, შენი მდგომარეობა იმის სახლში უფრო სამძიმო შეიქმნეს, თუ რომ...

— შეუძლებელია, ამაზე უმძიმესი რომ შეიქმნეს,—მიუგო აღშფოთებულმა არტურმა.—მე იმათ ყოველთვის ვეჯავრებოდი და ყოველთვისაც საზიზღარი ვიქნები მათთვის, რაც უნდა გავაკეთო. ან კი რად უნდა იყოს ჯემსი წინააღმდეგი, რომ მე თქვენთან, ჩემს მოძღვართან, ერთად წამოვიდე სამოგზაუროდ?

— ის ხომ პროტესტანტია, მაგრამ მაინც მისწერე და მოვუცადოთ პასუხს. შენ მომთმენი იყავ, შვილო! ეს სულ ერთია, ვუყვარვართ ხალხს თუ არა, ჩვენ მაინც უნდა ყველას კარგად ვეპყრობოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძღვრება მონტანელლისა იყო ისეთი მშვიდობიანი და გულის მომალბობელი, რომ არტური არც კი გაწითლდა, და ამოოხვრით მიუგო:

— მართალია, ეს მეც ვიცი, მაგრამ მეტად სამძიმო კია.

— ძალიან მეწყინა, რომ სამშაბათს საღამოს არ მოხველ ჩემთან.—მონტანელლიმ უეცრივ შესცვალა საგანი ლაპარაკისა. მე მქონდა სიები არეცოდან და მსურდა მეჩვენებინა შენთვის.

— სიტყვა მქონდა მიცემული ერთის სტუდენტისთვის, რომ იცის სახლში კრებაზე დავსწრებოდი და იქ მიმელოდნენ.

— რა კრება იყო?

არტური ცოტად დაიბნა ამ კითხვაზე.

— ნამდვილი კრება არ იყო,—უთხრა მან ცოტა არე-ვით.—გენუიდან ჩამოვიდა ერთი სტუდენტი და იმან წარმოსთქვა სიტყვა, ლექციის მზგავსი.

— რის შესახებ?

არტური შეყოყმდა.

— ვიცი, იმის სახელს თქვენ არა მკითხავთ,—არა, მამაო? მე იმას სიტყვა მივეცი...

— არას გამოგკითხავ და, თუ სიტყვაც მიგიცია რაიმე საიდუმლოს შენახვისა, ნურას მეტყვი. მაგრამ, მგონი, რომ დრო არის, შენ სანდოდ მიგაჩნდე.

— რასაკვირველია, მამაო. ის ლაპარაკობდა ჩვენზე, ჩვენს მოვალეობაზე, ხალხის შესახებ და თვით ჩვენ შესახებ—იმაზე... თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, რა უნდა ვაკეთოთ, რომ მოვეხმარნეთ...

— მოვეხმარნეთ? ვისა?

— საწყალ ხალხს... და...

— და?

— იტალიას.

ორივ დიდხანს იყვნენ გაჩუმებულნი.

— მითხარ, არტურ,—მიჰმართა მონტანელლიმ ყმაწვილს სერიოზულის კილოთი,—დიდიხანია, რაც შენ მაგაებზე ფიქრი დაიწყე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელ წარსულ ზამთარს ფიქრად ესა მქონდა.

— დედა-შენის სიცოცხლეშივე, და იმან ამ ამბისა არა იცოდა-რა?

— არა; მაშინ გატაცებული არა ვყოფილვარ ამ აზრით.

— ეხლა კი ხარ გატაცებული?

არტურმა კიდევ მოსწყვიტა ყვავილი ბუჩქიდან.

— აი, როგორ მოხდა ეს საქმე, მამაო,—დაიწყო მან და თვალები დაბლა დახარა.—როცა პირველად ვემზადებოდი უნივერსიტეტში შესასვლელად წარსულ შემოდგომაზე—ხომ გახსოვთ?—ბლომად გავიცანი სტუდენტები. ზოგიერთმა მათგანმა დამიწყო ლაპარაკი საქმის შესახებ და მაძლევდნენ წიგნებს საკითხავად. მე ეს მაინცა და მაინც არ მეხალისებოდა და სულ იმას ვცდილობდი დედასთან ხშირად ვყოფილიყავ. დედა-ჩემი ხომ სულ მარტო იყო ჩვენს სახლში, როგორც საპყრობილეში. იულიას ერთი სიტყვა კმაროდა, რომ დედა-ჩემი მოეკლა. როცა დედა მძიმე ავადმყოფი შეიქმნა, მე სრულიად გადამავიწყდნენ სტუდენტებიც და იმათი წიგნებიც, მას შემდეგ, თითონვე მოგეხსენებათ—აღარც ჩამოვსულვარ პიზაში. მაშინ რომ მე ეს საქმე ფიქრად მქონოდა, დედას არ დავუმალავდი. მერე, რაკი დავინახე, დედა-ჩემი ესალმებოდა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, თქვენც კარგად იცით, განუშორებლივ დედასთან ვიყავი უკანასკნელ ჟამამდის. ხშირად ღამეებს უძილოდ ვათენებდი და გემმა ვარრენი მხოლოდ დღისით მოდიოდა, რომ მე დამეძინა და დამესვენა. ჰო და, აი, ეს მოხდა იმ უძილოდ გატარებულ ხანგრძლივ ღამეებში. ჩემი ფიქრი დასტრიალებდა წიგნებსა და იმას, თუ რას ამბობდნენ სტუდენდები, ვფიქრობდი, მართალი იყვნენ ისინი თუ არა და ან რას იტყოდა ჩვენი მაცხოვარი ამაზე...

— დაჰკითხებიხარ როდისმე მაცხოვარს?

მონტანელლის ხმას სიმტკიცე აკლდებოდა.

— ხშირად ვლოცულობდი, მამაო, და თანაც ვეკითხებოდი, როგორ მოვქცეულიყავ, ან და ვევედრებოდი, დედასთან ერთად მეც მოვმკვდარიყავ. მაგრამ პასუხი ვერა მივიღე-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ კი ერთი სიტყვაც არ გითქვამს ჩემთვის მაგის შესახებ, არტურ, მე მეგონა, რომ შენ ნდობა გქონდა ჩემი.

— მამაო, თქვენც იცით, თუ როგორი ნდობაც მაქვს მე თქვენი! მაგრამ არის ისეთი რამეც, რისი თქმაც არავისთან არ შეიძლება. მე ვგონებ, რომ არავის არ შეუძლიან ჩემი დახმარება ამ საქმეში, არ შეგიძლიანთ არც თვით თქვენ, და არ შეეძლო არც ჩემს დედას! მე თითონ უნდა შევიტყო პასუხი თვით ღმერთისაგან. აქ საქმე ხომ მთელს ჩემს სიცოცხლესა და ჩემს სულს შეეხება!?

მონტანელლი გვერდზე მიბრუნდა და წყვდიადს გაუშტერა თვალები. ბინდი იმის სახეს გამჭვირვალობას აძლევდა და თითონ მოქურუშებულ მოჩვენებად მოსჩანდა ჩამობურულ მწვანე მიდამოს შორის.

— მერე?—წყნარად ჰკითხა მან.

— მერე ის გარდაიცვალა. უკანასკნელი სამი დღე და ღამე უძილოდ გავატარე იმის საწოლთან.

არტური შეჩერდა ცოტა ხანს, მაგრამ მონტანელლი ხმას არ იღებდა. არტურმა განაგრძო ნელის ხმით:

— იმ ორ დღეს, გასვენების წინად მე აღარაფრის ფიქრი აღარ შემეძლო და მერე ავადაც გავხდი; ხომ გახსოვთ, აღსარებისთვის რომ ვეღარ შევიძელ მოსვლა?

— ჰო, მახსოვს.

— ჰო და, ერთ ღამეს მე ავდექ და შეველ დედას ოთახში. ოთახი ცარიელი იყო, მხოლოდ გარდამოხსნა ესვენა ბაქანზე. მე გავიფიქრე, ეგებ, ღმერთი შემეწიოს-მეთქი, დავიჩოქე და ასე დავყავ გათენებამდის. როცა გონს მოველ,—არა, მამაო, რა საჭიროა, არ შემიძლიან ავხსნა, რაც მოხდა, არ შემიძლიან გამოვთქვა, რაც იქა ვნახე. თითონ მეც არ მესმის... მაგრამ ვიცი კი, რომ ღმერთმა პასუხი მაღირსა. და ვერ გავბედავ, არ დავემორჩილო ღვთის ბრძანებას.

რამდენსამე ხანს ისინი ჩუმად ისხდნენ სიბნელეში. ბოლოს მონტანელლი მობრუნდა და მხარზე ხელი დაადო არტურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემო შვილო!—უთხრა მან,—მე არ ვამტკიცებ—ღმერთმა დამიფაროს,—რომ ის შენს სულს არ დაჰლაპარაკებოდეს. მაგრამ გაიხსენე ის შენი მაშინდელი დროის გარემოება, როდესაც ეგ მოხდა და ნუ მიიღებ ავადმყოფობისა და მწუხარებისაგან გამოწყეულს ბოდვას—იმის ღვთაებრივს მოხმობადმოწოდებად! და თუ მართლა იყო ნება ღვთისა, მოეგო შენთვის პასუხი სიკვდილის უფსკრულიდან, მოიფიქრე, გესმის კი კარგად იმის სიტყვები? რა არის ის საქმე რაც შენ გარდასწყვიტე იმ საათს?

არტური ზეზე წამოდგა და უპასუხა წყნარად, თითქო კატეხიზმოს სიტყვებს იმეორებსო:

— ის საქმეა შევწირო ჩემი სიცოცხლე იტალიას, ვეცადო განვათავისუფლო მონობისა და მწუხარებისაგან, განვდევნო იქიდან ავსტრიელები, რომ გარდაიქცეს თავისუფალ რესპუბლიკად და არ იცნობდნეს არავის უფროსად, გარდა იესო ქრისტესი!

— არტურ, დაფიქრდი, რას ამბობ! შენ ხომ იტალიელი არც კი ხარ.

— ეგ სულ ერთია, მე ვნახე ეს ქვეყანა და მას ვეკუთვნი.

მონტანელლი ერთის ხელით დაეყრდნო ხის შტოს და მეორე თვალებზე ჩამოიფარა.

— ჩამოჯექ ცოტა ხანს, ჩემო შვილო!—სთქვა მან ბოლოს. არტური დაჯდა. მოძღვარმა ორივ ხელები გამოართვა და მაგრად დაუჭირა.

— არ შემიძლიან დღეს შენ ცილობა და კამათი დაგიწყო,—უთხრა მან.—ეს ისე მოულოდნელად მოხდა... არ მოველოდი; დრო და ხანი უნდა, რომ ეგ საქმე მოვიფიქრო. ჩვენ კიდევ მოვილაპარაკებთ ამის შესახებ უფრო გარკვევით, მაგრამ ეხლა მე მსურს, რომ შენ მხოლოდ ეს გაიგო: თუ შენ რაიმე უბედურება შეგემთხვა, თუ შენ მოკვდი, ეგ ამბავი განგმირავს, დაამიწებს ჩემს გულს.

— მოძღვარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მომითმინე, რომ დავასრულო, რისი თქმაც მინდა. მე ერთხელაც მითქვამს შენთვის, რომ შენს მეტი მე არა მყავსრა ამ ქვეყნად. მე მგონი, რომ შენ სრულად და სავსებით არ გესმის, რას ნიშნავს ჩემი სიტყვები. ძნელი გასაგებიცაა ეს სიყმაწვილეში. მეც ვერ გავიგებდი, არტურ, შენოდნობას. შენ თითქო საკუთარი შვილი ხარ ჩემი—გესმის? შენ ხარ ჩემი თვალის ჩინი, წადილი და სურვილი ჩემის გულისა. მე მზადა ვარ მოვკვდე, ოღონდ კი შენ აგაცდინო შემცდარის აზრის სამსახური, ცრუ ნაბიჯის გადადგმა და დავიცვა შენი სიცოცხლე. მაგრამ ეხლა არა შემიძლიან-რა. არ გთხოვ არავითარ პირობას, გევედრები მხოლოდ დაიხსომო ეს ჩემი სიტყვები და ფრთხილად იყო. კარგად მოიფიქრე ყოველივე, ვიდრე ძნელად გადასადგმელს ნაბიჯს გადასდგამდე. მოიქეც ასე, თუ ჩენი გულისთვის არა, დედი-შენის სიყვარულისათვის მაინც, რომელიც ეხლა ცაშია.

— მე მოვიფიქრებ, მამაო, ილოცეთ ჩემთვის და იტალიისათვის!

ყმაწვილი კაცი დაეშვა მუხლებზე ხმა-ამოუდებლივ და მონტანელლიმაც გაჩუმებულმა დაადო თვისი ხელი არტურს თავზე. ერთს წუთს შემდეგ არტური წამოდგა, ემთხვია მოძღვარს ხელზე და ნელის ნაბიჯით გაემართა ნამიან მწვანეზე. მონტანელლი დარჩა მარტო მაგნოლიის ქვეშ; მოძღვარი გაუნძრეველად იდგა სიბნელეში თვალებ-გაშტერებული.

ღმერთმა მოავლინა შურის ძიება ჩემდამი, ვთარცა დავითისადმი, — ფიქრობდა იგი. მე შეურაცხვყავ საკურთხეველი მისი და წაბილწულ ხელს მეჭირა სხეული იესო მაცხოვრისა...

ის იყო მომთმენი აქამდის—ახლა კი გათავდა, „რამე თუ შენ შეასრულე იგი იდუმლად, მე კი შევასრულებ ამას ცხადად წინაშე იზრაილის შთამომავალთა და წინაშე მზისა. შვილი, შენ მიერ შობილი, უნდა მოკვდეს.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ჯემს ბერტენს სრულიად არ მოსწონდა, რომ იმისი ახალგაზდა ძმა მიდიოდა მონტანელლთან ერთად, მერე ისიც „შვეიცარიაში სახეტიალოდაო.“ მაგრამ ის ვერ დაუშლიდა მოგზაურობას საბოტანიკო აზრით ღვთისმეტყველების მოხუცებულ პროფესორთან ერთად. არტური ვერ მიხვდებოდა დაშლის ნამდვილ მიზეზს და ასეთს დაშლას ჩასთვლიდა ულმობელ საქციელად, მტარვალობად. დაშლის მიზეზად დასახავდა სარწმუნოების სხვა-და-სხვაობას მაშინ, როდესაც მისი გვარი ამაყობდა ყოველგვარ სარწმუნოების შეწყნარებითა. ამ ოჯახის ყველა წევრნი პროტესტანტები იყვნენ და კონსერვატორები იმ დროიდანვე, როცა ამ ასის წლის წინად, ლონდონსა და ლივორნოში გემის პატრონ ბერტენისა და იმათის შვილების ფირმამ პირველად დაიწყო მუშაობა. იმათის აზრით, ინგლისელნი ღირსეულნი კაცნი უნდა სამართლიანად მოჰქცეოდნენ პაპისტებსაც კი. ამ ოჯახის უფროსს ქვრივობა რომ მოსწყინდა, ითხოვა ფრანგის ლამაზი ქალი, თავისი უნცროს შვილების ამზრდელი. იმისი უფროსნი ვაჟნი, ჯეკსი და ტომასი, დაემორჩილნენ ღვთის განგებას, თუმცა დედი-ნაცვლის სახლში ყოლა, რომელიც წლოვანებით იმათივე ხნის იყო, სამძიმოდ მიაჩნდათ. მამის სიკვდილის შემდეგ, უფროსის ძმის დაქორწინებამ უმეტესი არეულობა ასტეხა უიმისოდაც აწეწილ-დაწეწილ ოჯახში. მაგრამ ორივე ძმა პატიოსნად ექცეოდნენ დედინაცვალს, ვიდრე ცოცხალი იყო და იცავდნენ იულიას დაუნდობელ ენისაგან. ცდილობდნენ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, რამდენადაც კი შეგნებული ჰქონდა, არტურის წინაშე. მაინცა და მაინც არა ცდილობდნენ გამოემჟღავნათ სიყვარული მისი და იმათი დიდსულოვანება არტურისადმი იყო მხოლოდ ის, რომ აძლევდნენ ბლომად ფულს და სრულს თავისუფლებას, ისე ეხარჯა ის ფული, როგორც სურდა. ეს იყო მიზეზი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტურმა მიიღო წერილის პასუხად სახარჯო ფულის ასაღებად ჩეკი და ნება-რთვაც, მთაში წასვლისა, თავისუფალი დრო ზაფხულში, როგორც გინდა, ისე გაატარეო. არტურმა აღებულის ნახევარი დახარჯა: მაშინვე საბოტანიკო წიგნები იყიდა და მცენარეთა გასახმობი ხელსაწყო შეიძინა. მერე გაემგზავრა მოძღვართან ერთად ალპიის მთებში სამოგზაუროდ. მონტანელი ასეთი მხიარული და უდარდელი არტურს დიდი ხანია აღარ ენახა. ის მძიმე შთაბეჭდილებანი, რომელიც წინედ, ბალში მუსაიფის დროს, აწუხებდა, თან და თან მოეშორებინა თავიდან. ახლა ბევრად უფრო დამშვიდებით უცქეროდა ყოველსავე საგანს. არტური ჯერ იმდენად ახალგაზდა და გამოუცდელი იყო, რომ იმის გარდაწყვეტილების შერყევა არ გაძნელდებოდა. ეჭვი არ იყო, რომ კიდევ შეიძლებოდა იმისი შველა ტკბილის, ალერსიანის ჩაგონებით და აცილება იმ გზისა, რომელზედაც ახლად გადადგა მან ნაბიჯი.

მონტანელლს და არტურს აზრადა ჰქონდათ რამდენისამე დღით ჟენევაში დარჩენილიყვნენ. მაგრამ გადატკეცილ გზებისა და დამტვერიანებულ ბალების პირველ დანახვაზედვე არტურს სახე მოელუშა. მონტანელლიმ შეხედა მშვიდობიანის ღიმილით.

— არ მოგწონს აქაურობა, ჩემო კარგო?

— სწორედ არ ვიცი. აქაურობა სრულიად არა ჰგავს იმას, რის ნახვასაც მე მოველოდი. თუმცა ტბა მშვენიერია და მომწონს იმისი გარშემოზღუდული მიდამო, სანაპირო ბორცვები.

ისინი იდგნენ რუხოს კუნძულზე. არტური ანიშნებდა ერთად ჩამწკრივებულს მთებს, რომლებიც მკაცრად იცქირებოდა შორიდან, სავოის მხრიდან.

— მაგრამ, — განაგრძო არტურმა, — თითონ ქალაქი კოხტაა და სუფთა, პროტესტანტული. თითქო მეტის-მეტი კმაყოფილიაო, ისე გაიყურება. არა, მე არ მომწონს ჟენევის ქალაქი, იულიას მაგონებს. — მონტანელლის გაეცინა.

— საბრალო ბავშვო! რა დიდი საქმეა მერე! ჩვენ ხომ ჩვენდა სასიამოვნოდ ვართ აქა, მაშასადამე არაფერს არ შეუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიან ძალა დაგვატანოს, რომ უთუოდ აქ დავრჩეთ. თუ არ გვესიამოვნება, წავალთ კიდეც აქედან. გინდა, დღეს ტბაზე გავისეირნოთ და ხვალ კი მთებში წავიდეთ?

— თქვენ რომ გინდოდათ აქ დარჩენა?

— ძვირფასო ჩემო ბავშვო, მე ეს ადგილები არა ერთხელ მინახავს. ჩემთვის სასიხარულო ის იქნება, რომ შენ რითიმე გასიამოვნო. შენ სად ისურვებდი წასვლას?

— თუ თქვენთვის მართლა სულ ერთია, მე მინდა მდინარეს ავყოლოდი და იმის სათავემდე მივსულიყავი.

— მდინარე რონას?

— არა, ავრას. ისეთის სიჩქარით მოსჩქეფს!

— მაშ, აბა, წავიდეთ შამუნიაში.

ეს დღე გაატარეს ტბაზე აფრებიან ხომალდებით სეირნობაში. საუცხოო ტბამ ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა არტურზე, ვიდრე ნაცრისფერ მღვრიე ავრამ. ის აღიზარდა ხმელთა შუა ზღვის ნაპირს და მიჩვეული იყო ლურჯის ზღვის ციმციმს. მაგრამ იმას საშინლად უყვარდა ჩქარი მდინარეობა, სასტიკი და აქაფაბული მდინარე. ეს იყო იმისთვის გამოუთქმელი, დაუსრულებელი სიამოვნება.—სულ სდუღს და გადმოდისო,—იტყოდა ხოლმე ამგვარ მდინარეზე არტური.

მეორე დღეს გაემგზავრნენ შამუნიაში. არტური აღტაცებული იყო ვაკე და გატკეცილ გზებზე მოგზაურობით. მაგრამ როცა ისინი დაადგნენ დაკლაკნილ მიმოხვეულ გზებს კლიუზიის სიახლოვეს, და უზარ-მაზარი დასერილი ქედები გარს შემოერტყნენ, არტური ძალიან ჩაფიქრდა. სენმარტენიდან დაწყებული წყნარის ნაბიჯით მიდიოდნენ ზევით-ზევით ღამის გასათევად მიყრუებულ, განცალკევებულ სასტუმროში, ან პატარა მთა-გორიან სოფლებში. არტურზედ მოქმედებდა ბუნების გარეგანი სანახაობა, და პირველ წყალვარდნილის შეხვედრამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ სასიამოვნო იყო იმის დანახვა. მაგიერად, როცა თოვლიან მთებს მიუახლოვდნენ, აღფრთოვანება მისი ოცნებად გადაიქცა და ჩაფიქრდა. მონტანელლს წინად არ შეუმჩნევია მისთვის ასეთი მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს რაღაც იდუმალი ნათესაობა იყო ამ ყმაწვილსა და მთებს შორის. მთელის საათობით იჯდა ხოლმე გაუნძრევლად განცალკევებულ, ჩამობურულ ცაცხვის ტყეში და გამოსცქეროდა იქიდან მზის მიერ განათებულ ქვეყანას და გაბრწყინვალებულს ქედებს. მონტანელლი შეჰყურებდა დაღონებით და თან შურით.

— მე მინდა, რომ ჩემთვისაც დაგენახვებინა ის, რასაც შენ ჰხედავ, არტურ,—უთხრა მან ერთხელ, როცა წიგნის კითხვის დროს აიხედა და არტური ისევ ისე, ბალახში მხარ-თეძოზე წამოწოლილი დაინახა, როგორც ერთის საათის წინად იყო. ყმაწვილი ფართოდ გახელილ თვალებით იცქირებოდა ცხრა თვალის მზით გაელვარებულ მტრედის ფერ სივრცეში. მოგზაურებმა გადაუხვიეს დიდ გზას, რომ ღამე გაეთიათ პატარა სოფელში, იქავე წყალ-ვარდნილ დიოზის სიახლოვეს. როდესაც მზემ გადიხარა ულრუბლო ცაზე, ისინი ავიდნენ ტყით შემოსილ კლდეზე, რომ დამტკბარიყვნენ ალპიის მთების ელვარებით და ციცაბო გუმბათებიან, ჯაჭვივით გაბმულ მომბლანის მთების ცქერით. არტურმა აიღო მაღლა თავი, იმისი თვალები სავსე იყო იდუმალის გაოცებით.

— რასა ვხედავ, მამაო? ვხედავ დიდს, თეთრს არსებას მტრედის ფერ სივრცეში, რომელსაც არა აქვს არც დასაბამი და არც დასასრული. ვხედავ როგორ მოელის ის საუკუნიდან საუკუნემდე სულის წმინდის მოახლოვებას. ვხედავ ამას ბუნდად.

— მეც ვხედავდი ოდესმე, ყოველსავე მაგას.

— ეხლა კი აღარ ხედავთ?

— აღარაოდეს. მე ეხლა სულ სხვა რამესა ვხედავ.

— რასა?

— მე, ჩემო კარგო? მე ვუყურებ ლურჯ ცას და თოვლიან მთებსა. ეს არის ყოველივე, რასაც მე ვხედავ, როდესაც ზევით ვიცქირები. მხოლოდ, როცა ძირს დავიხედავ, მაშინ სულ სხვასა ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტურმა დაიჩოქა და გადიხარა უფსკრულისაკენ, სადაც დაბურული უზარმაზარი ცაცხვები გამწკრივებულნი იდგნენ მდინარის ნაპირს დარაჯებივით. წითლად გაღაჟღაჟებული მზე უეცრივ შთაინთქა ქედებს იქით და მასთან ერთად სიცოცხლეც გაჰქრა დედა-მიწის პირიდან. მთის ქვეშ, ვაკე ადგილზე გამოჩნდა რაღაც ბნელი და შემაძრწუნებელი მოჩვენება, რომელიც თითქო რაღასაც იმუქრებოდა. გადმოდრეკილი კლდეები დასავლეთის შიშველა მთებისა გავდა ვეშაპის კბილებსა, რომლებიც თითქოს მზად იყვნენ დასცემოდნენ მსხვერპლს და გადესროლათ უფსკრულში, სადაც გადაჭიმული იყო ტყით დაბურვილი ვაკე ადგილი. ცაცხვის ხეები ემგზავსებოდნენ რიგზე დამწკრივებულ, ხმლებ-ამოღებულ ჯარის-კაცთა და თითქოს ჩურჩულებდნენ: „დაგვესხენით თავსაო“. სიბნელეში მდინარე გაშმაგებული ღრიალებდა და ჰქუხდა. გააფთრებული ეხეთქებოდა საპყრობილეს მსგავს კლდიან ნაპირებს დაუსრულებელის თავგანწირულებით.

— მოძღვარო! — არტური წამოდგა აკანკალებული და მოშორდა უფსკრულს.—იქ თითქო ჯოჯოხეთია.

— არა, ჩემო შვილო, იქ ისეა, როგორც ადამიანის გულში.

— იმ ადამიანის გულში, რომელიც ცხოვრობს სიკვდილსა და სიბნელის ჯურღმულში.

— იმათ გულში, რომლებიც ყოველ დღე გვერდზე გაგივლიან და გამოგივლიან ხოლმე.

არტური მთლად ცახცახებდა, ჩრდილს რომ უცქეროდა დაბლა; თეთრი ბურუსიანი ღრუბელი იკრიბებოდა ცაცხვთა შორის, ახმიანებულ მდინარის ზემოდ, როგორც საბრალო მოჩვენება, რომელსაც არ შეუძლიან მშვიდობის დამყარება.

— შეხედეთ!—წამოიძახა უეცრად არტურმა,—ხალხმა, რომელიც სიბნელეში დადიოდა, დაინახა გაჩაღებული სინათლე! ალმოსავლეთის თოვლიანი ქედები ანთებულიყო მზის გადმონაშუქ სინათლით. როდესაც წითელ შუქიანი ელვარება ჩაქრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტანელლი მობრუნდა და ხელის შეხებით გამოარკვია ფიქრში წასული არტური.

— წავიდეთ, ჩემო კარგო! სინათლე ჩაქრა, თუ კიდევ დიდხანს დავრჩით აქ, გზა დაგვებნევა სიბნელეში.

— ეხლა ისევ თითქო ცხედარია,—სთქვა არტურმა და თვალი მოაშორა სიბნელეში მბზინავ თოვლიან, აჩრდილის მზგავს ქედებს.

დაეშვნენ დაბურულს ხეებისაკენ სასტუმროში მისასვლელად და იქ დადგნენ ღამის გასათევად.

როდესაც მონტანელლი შევიდა ოთახში, სადაც არტური ვახშმად ელოდა, შენიშნა, რომ ყმაწვილს სრულიად მოუშორებია თავიდან ის მოჩვენებანი, რომელნიც სიბნელეში გარს ეხვევნენ. ყმაწვილი კაცი სრულებით გამოცვლილიყო:

— ოჰ, მამაო, მოდით აქ, მოდით ჩქარა და დაინახათ ეს სასაცილო ფინია! ერთი შეხედეთ, როგორ თამაშობს უკანა ფეხებზე.

არტური ისე იყო გატაცებული პატარა ძაღლის თამაშობით, როგორც ალპიის მთების ელვარებით. სასტუმროს პატრონი, ლოყებ ღაჟღაჟა ქალი, თეთრის ფეშტამლით, იდგა დინჯ შემოყრილი და ილიმებოდა არტურს რომ ფინიასთან მოთამაშეს ჰხედავდა.

— ეტყობა, საზრუნავი ცოტა აქვს, რომ ასე გატაცებულია ფინიასთან თამაშით,—უთხრა მან თავის ქალს, თავიანთ ენაზე.—მერე რა ლამაზი ბავშვიც არის!

არტური გაწითლდა პატარა მოწაფესავით. ქალმა შეატყო, გაიგო, რაცა ვთქვით, გაეცინა იმის მორცხობაზე და გავიდა ოთახიდან.

ვახშმად საუბარი ჰქონდათ მხოლოდ ეკსკურსიის გეგმის შესახებ, მთებზე მოგზაურობასა და საბოტანიკო ეკსპედიციების თაობაზე. ცხადად ეტყობოდა, რომ ათასმა ლანდებმა, ცუდმა სიზმრებმა, რომელიც იმას მოევლინა მთებში, არ დააკარგვინა არც სიმხიარულე და არც მადა. მეორე დილით მონტანელლიმ რომ გაიღვიძა, არტური სადღაც გამქრალიყო. წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო მზის ამოსვლამდე მთებში, რომ მოხმარებოდა გასვლარას თხების გარეკაში. მაგრამ საუზმე ახლად დაწყებული იყო, რომ არტური შემოვარდა ოთახში თავშიშველი. მხარზე შეესვა პატარა, სოფლელი გლეხის გოგო, სამის წლისა და ცალ ხელში ერთად შეკრებილი მრავალი ტყის ყვავილები ეჭირა.

მონტანელლიმ შეხედა ღიმილით და გაიფიქრა: რა საოცარი ცვლილებაა პიზაში და ლიგორნოში ჩაფიქრებულსა და აქ სიცოცხლით სავსე არტურს შორის!

— სად იყავ, ჩემო ცელქო? მთა-მინდორში დახტოდი მშიერი?

— ოხ, მამაო, რა კარგი იყო! მთები საუცხოვოა მზის ამოსვლის დროს. ნამი მთებზე ისეთი სქელია, ისეთი... აი ნახეთ!—მან გამოიწვდინა ფეხი და აჩვენა ნამისაგან დასველებული, ტალახიანი ფეხსაცმელი.

— ჩვენ წავიღეთ თან პური და ყველი, ვიშოვნეთ თხის რძე—უჰ, რა კარგი ყოფილა! თუმცა ეხლაცა მშიან. და აი, ამასაც უნდა ვაჭამო, პატარა ანნეტს.

— გინდა თაფლი?

დაისვა ბავშვი მუხლებზე და მოეხმარა ყვავილების ერთად შეკვრაში.

— არა, არა,—ჩაერია მონტანელლი,—მე არ მინდა, რომ გაცივდე. გაიქეცი, ტანისამოსი გამოიცვალე.

— მოდი ჩემთან ანნეტტ!—სად შეჰხვდი ამ ბავშვს?—ჰკითხა არტურს მონტანელლიმ.

— იქ, სოფლის განაპირას. მაგისი მამა ის კაცია, გუშინ რომ ჩვენ ვნახეთ,—სოფლის მექალამნე. შეხედეთ, საუცხოვო თვალები აქვს, არა? ჯიბეში კუ უძევს და კაროლინას ეძახის.

როცა არტური დაბრუნდა ტანისამოს გამოცვლილი საუზმედ, ბავშვი მონტანელლის უჯდა კალთაში და მხიარულად ტიტინებდა, თავის კუს შესახებ, რომელიც ხელის გულზე ეჭირა გადაბრუნებული, რომ ბატონს მონტანელლს კარგად დაენახა იმისი დახლართული ფეხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეხედეთ! —ეუბნებოდა ძლიეს გასაგების ენით, — შეხედეთ კაროლინას ფეხსაცმელებს!

მონტანელლი ეთამაშებოდა ბავშვს, თავზე ხელს უსვამდა, უამბობდა საოცარს ზღაპრებს და ულოლიავებდა იმის კოროლინას.

სასტუმროს პატრონი, მოსული სუფრის ასალაგებლად, შესდგა გაოცებული ბავშვის დანახვაზე, რომელსაც ძირიანად გადმოებრუნებინა ჯიბეები პატივცემულ ანაფორიან ბატონისათვის.

— ღმერთი თითონ ასწავლის ბავშვებს კეთილ ხალხის ცნობას, —სთქვა მან. —ანნეტს ეშინიან უცხო ხალხისა, აქ კი, დახეთ, სრულიად არ უცხოვობს ამ ღირსეულ მამას. —აი, ტუტუცი! დაიჩოქე, ანნეტტ, სთხოვე კეთილ ბატონს ლოცვა-კურთხევა, მანამ წაბრძანდებოდეს. მაგისი ლოცვა-კურთხევა ბედნიერება იქნება შენთვის.

— არ ეგონა, თუ ასე შეგეძლოთ ბავშვებთან დროს გატარება, —უთხრა არტურმა ერთის საათის შემდეგ, როცა ისინი დასეირნობდნენ მზისაგან გაბრწყინვალებულ ხაევრდივით მწვანეზე. ბავშვი თვალს არ გაშორებდათ. იცით, მე ვფიქრობ რომ....

— რასა?

— მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა.... მე მგონი არ არის კარგი, რომ ეკლესია უკრძალავს სამღვდელოთ ცოლის შერთვას, ვერ გამიგია კარგად, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. ბავშვების აღზრდა ისეთი ძნელია და უმთავრესი აზრი აღზრდისა ის არის, რომ სიყრმიდანვე კეთილ საზნეობრივ გავლენის ქვეშ იზრდებოდნენ პატარა არსებანი. მე მგონია, რამდენადაც მაღლა სდგას წოდება კაცისა და რამდენადაც უფრო წმინდაა იმისი ცხოვრება, იმდენად უმეტესად შეუძლიან ამისთანა კაცს იყოს ნამდვილი მამა. დარწმუნებული ვარ, თქვენ რომ არ აღგეთქვათ უცოლობა და მეუღლე გყოლოდათ, თქვენი შვილები იქნებოდნენ ძალიან...

— სუ!....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტანელლიმ ეს „სუ“ სწრაფად და ჩურჩულით წარმოსთქვა, რამაც კარგა ხნის სიჩუმე გამოიწვია.

— მოძღვარო,—დაიწყო ისევ არტურმა დაღონებით, მონტანელლის დაღვრემილ სახეს რომ შეხედა.—განა მე ცუდი ვთქვი რამე? იქნება ვტყუვდებოდე, მაგრამ არ შემიძლიან დავფარო და არ წარმოვთქვა ის, რაც ფიქრად მომდის.

— შეიძლება, შენ სრულიად არ გესმოდეს აზრი იმისა, რაცა სთქვი.—უპასუხა მონტანელლიმ ტკბილის ხმით,—შენ სულ სხვა თვალით დაუწყებ ცქერას ამ საგანს, რამდენიმე წლის შემდეგ. მანამდის კი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ; ის ემჯობინება.

ეს პირველი დარღვევა იყო სრულის ჰარმონიისა მთელს იმათ იდეალ-მოსილ, საუცხოვო მოგზაურობის დროს. შამუნიიდან ისინი გაემგზავრნენ მარტინს, სადაც გაჩერდნენ დასასვენებლად, რადგან ძალიან ჩამოცხა. ისინი დასხდნენ სასტუმროს აივანზე. საიდანაც საუცხოვო დასანახი იყო მთები. არტურმა ამოიღო საბოტანიკო კოლლექციები და დაიწყო მსჯელობა ბოტანიკის შესახებ იტალიურს ენაზე. იქავე ახლოს იჯდა ორი ინგლისელი მხატვარი. ერთი იმათგანი ხატავდა და მეორე ხმა-მაღლა ლაპარაკობდა. არტურს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ უცხოელნი გაიგონებდნენ იმის ლაპარაკს.

— ვილლი, დაანებე მაგ პეიზაჟების თხუპვნას თავი,—უთხრა ერთმა ამხანაგს,—და დახატე აი, ეს იტალიელი ყმაწვილი, რომელიც აღტაცებაში მოდის რაღაც ხავსების ნაკუწებით. შეხედე იმის ისარივით მოხრილს წარბებს! მიეც იმას ხელში მიკროსკოპის მაგიერ ჯვარცმა, შემოსე, მთიულის ტანისამოსის მაგიერ, რომაელთა *) ტოგით, და გამოვა ნამდვილი ქრისტიანი პირველის საუკუნოებისა!

— კარგი ქრისტიანია! მე მაგ ყმაწვილის გვერდით ვიჯექ სადილად და ისეთსავე აღტაცებაში მოჰყავდა შემწვარ ჩიტს,

*) უწინდელ რომაელთა თეთრი სამოსელი, რომელიც მთელის ნაჭრისაგან არის შემდგარი და რომლის წამოსხმის დროსაც მარჯვენა მკლავი შიშველი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეხლა მტვრიან ბალახებს მოჰყავს. მაგისი, სახე ზეთის ხილის ფერი, მშვენიერია, მაგრამ მამა მაგისი ორჯელ მაგაზე უკეთესია.

— მამა?

— ჰო, მამა, იმის პირდაპირ რომ ზის, ნუ თუ ვერ შენიშნე? გასაოცარი სახე აქვს.

— აი, შე გამოჩერჩეტებულო, ფრანგების მღვდელიც ვერ გიცვნია.

— მღვდელი? აი, ეშმაკმა წაიღოს! მართლა მღვდელი არ ყოფილა. მე კი დამავიწყდა — „აღთქმა უმანკოებისა", და სხვ... და სხვ...

— ჰო, კარგი, ვიყვნეთ მოწყალენი და ეს ყმაწვილი იმის ძმისწულად ჩავთვალოთ.

— რა სულელები არიან! — წასჩურჩულა არტურმა მონტანელლის, მომღიმარის თვალებით. — თუმცა კარგია იმათ მხრივ, რომ მე და თქვენ ერთმანეთს გვამგზავსებენ. მართლაცა და, ჩემთვის სასურველიცაა, რომ თქვენი ძმისწული ვიყო; მამაო, რა მოგვიდათ? როგორ გაფითრდით!

მონტანელლი წამოდგა და შუბლზე ხელი გადისვა.

— თავს ბრუ დამეხვა, — სთქვა მან ჩახლეჩილის ხმით, — ალბად დიდ ხანს ვიყავ მზეზე დღეს. წავალ ცოტა ხანს წამოვწვები. ეს მხოლოდ სიცხისაგან მომდის, ჩემო კარგო!

ორის კვირის შემდეგ, რომელიც გაატარეს ლიუცერნის ტბაზე, დაბრუნდნენ იტალიაში. ილბალზე დარიც კარგი დაუდგათ და სიამოვნებით იმოგზაურეს. მაკრამ პირველ მოგზაურობის მომხიბლველი შთაბეჭდილება კი გაჰქრა ახლა.

მონტანელლს სულ ის ფიქრი აწუხებდა, რომ მანამ ისინი ერთად მოგზაურობდნენ, უნდა არტურთან „უფრო გაგებით ელაპარაკნა". ავრაში განგებ არ ეხებოდა იმ საგანს, რაზედაც მაგნოლიის ქვეშ ილაპარაკეს.

ულმობელობა იქნება ჩემის მხრივ, — ფიქრობდა მონტანელლი, — რომ ჩავამწარო არტურს ალპიის მთების მშვენიერ მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეობით გამოწვეული აღტაცება; ჩემი გამომჯლავნებული ლაპარაკი აუცილებლად სამძიმო იქნება მისთვის! მხოლოდ მარტინში ჩამოსვლის პირველ დღიდან ყოველ დილას სულ ამას ფიქრობდა: იმას ხვალ მოველაპარაკებიო. დაბინდდებოდა და საღამოსაც იმასვე იმეორებდა:—მოველაპარაკები ხვალაო. იმათი მოგზაურობა თავდებოდა კიდეც და ის კი იმეორებდა: ხვალ! ხვალაო! შემაძრწუნებელი წინად-გრძნობა, რაღაც უხილავი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც უნდა ჩამდგარიყო მათ შორის, აშინებდა მონტანელლს და სდუმდა. ბოლოს, მოგზაურობის გათავების უკანასკნელ დღეს, მონტანელლი მიხვდა, რომ, თუ ეხლა არ მოველაპარაკე, სხვა დროს სულ ველარ მოვახერხებო. იმ ღამეს ჩამოხდნენ ლუგანოში და მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ პიზას. მონტანელლის უნდოდა გაეგო ყოველივე თუ არა, ის მაინც, იმისმა საყვარელმა არტურმა, რამდენად შესტოპა იტალიის პოლიტიკის მორევში.

— წვიმამ გადიღო, ჩემო კარგო,—უთხრა მან მზის ჩასვლის შემდგომ,—და თუ ტბის ნახვა გვინდა, უნდა ავჩქარდეთ. წამოდი, მე შენთან ლაპარაკი მინდა...

გაიარეს მდინარის ნაპირი, მივიდნენ მიჩუმებულ—მყუდრო ალაგს და ჩამოსხდნენ ქვითკირის დაბალს კედელზე. იმათ პირდაპირ ამართულიყო ბუჩქი ჯიგრის ფერის ვარდებით. რამდენიმე დაგვიანებული, მაღალ-ღეროიანი კუკური გადმოხრილიყო, წვიმის წვეთებით დამძიმებული. მწვანე ტბის ნაპირად სცურავდა პატარა თეთრ-აფრებიანი ნავი. ეს ნავი ისეთი სუბუქი და ადვილად გასატეხი მოსჩანდა, როგორც ვერცხლის ყვავილების კონა, წყალში ახლად გადაგდებული. მონტე-სალვადორის მაღლობზე რომელღაც ქოხის ფანჯარა მოსჩანდა. ვარდებს დაეხარათ თავები და სთვლემდნენ ენკენისთვის ღრუბლიან ცის ქვეშ. წყალი კი ქანაობდა, ხვდებოდა ნაპირზე მიყრილ-მოყრილ კენჭებს და ციმციმებდა.

— დღეს უკანასკნელი შემთხვევა მაქვს, მშვიდობიანად მოგელაპარაკო—დაიწყო მონტანელლიმ.—შენ ეხლა დაუბრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდები სკოლას, მუშაობას და შენს მეგობრებს. მეც ამ ზამთარს ბევრი სამუშაო მექნება. მე მინდა კარგად გავიგო, თუ როგორია ჩვენი ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება,—და ამ გვარად, თუ შენ,—მღვდელი შეჩერდა და ისე განაგრძო უფრო ნელა;—თუ შენ გრძნობ, რომ შეგიძლიან მენდობოდე წინანდებურად, მინდა მითხრა გადაჭრით, უფრო გაგებით, ვიდრე იმ საღამოს სემინარიის ბაღში, თუ რამდენად შორს წახვედი.

არტური წყალს დასცქეროდა, წყნარად უსმენდა და ხმას არ იღებდა.

— მე მინდა ვიცოდე,—განაგრძო მონტანელლიმ,—აღთქმა ხომ არა გაქვს დადებული, ან სხვა რამ პირობა?

— რა ვთქვა, ძვირფასო მამავ, მე არა მაქვს-რა სათქმელი. ჩემი თავი მე არ შემიბოჭავს, მაგრამ ვარ კი შებოჭვილი.

— ვერა გამიგია-რა.

— რა აზრი აქვს აღთქმას? ის ვერ შეჰბოჭავს ადამიანს. კაცი თუ მტკიცედ ეკიდება საქმეს, მით თითონ უკავშირებს თავის თავს საქმეს. და თუ გულითადი მისწრაფება არა აქვს, აღთქმა ვერ შეიძლებს იმის შებოჭვას,

— შენ ის გინდა სთქვა, რომ ეგ საქმე, ანუ გრძნობა მტკიცე და შეურყეველია? არტურ, მოიფიქრე, რასაც ამბობ.

არტური მობრუნდა და შეჰხედა პირდაპირ თვალებში მონტანელლს.

— მოძღვარო, თქვენ მეკითხებოდით, შემიძლიან თუ არა გენდობოდეთ. თქვენ კი მენდობით? თუ რამ სათქმელი იყოს, მე კიდეც გეტყოდით, მაგრამ ამ საგანზე ლაპარაკს არავითარი აზრი არა აქვს. მე არ დამვიწყებია და არც არასოდეს დავივიწყებ, რაც თქვენ იმ საღამოს მითხარით. მაგრამ უნ და კი ვიარო ჩემის გზით, გავყვე იმ ნათელს, რომელსაც მე ვხედავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტანელლიმ მოსწყვიტა ვარდი ბუჩქიდან, შემოჰგლიჯა ერთი მეორის მიყოლებით ყველა ფურცლები და გადისროლა წყალში.

— შენ მართალი ხარ, ჩემო კარგო... ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე. მართლაცა და, ბევრი სიტყვები აღარას გვიშველის, სულ ერთია, წავიდეთ შინ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამონებულნი

რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან

ივ. ვაზოვისა

XVIII *)

პოლიტიკა და თეატრი

წარმოდგენის შემდეგ მესამე თუ მეოთხე დღეზე განკის საყავეში, როგორც ყოველთვის, დილიდანვე ხალხის ტევა არ იყო. აქ იკრიბებოდნენ ყველანი, როგორც მოხუცი, ისე ახალგაზდა; აქა ჰქონდათ ლაპარაკი საზოგადო საქმეთა შესახებ, აქ უნდა განეხილათ ევროპის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახები კითხვები,—ერთი სიტყვით, ეს საყავე პატარა პარლამენტსა ჰგავდა. მაგრამ ახლა „გენოვევას“ წარმოდგენა ჰქონდათ სალაპარაკოდ და ეს ყველაზე მეტ მასალას აძლევდა იქ დამსწრეთ. ბევრს რასმე ამბობდნენ წარმოდგენის დარბაზში ნამღერებ სარევოლიუციო სიმღერის შესახებ და ყველანი ერთი-მეორეს გაცხარებით ებაასებოდნენ. ახლა, როცა ყველანი დამშვიდდნენ, ზოგიერთებმა ოგნიანოვის საქციელს დაუწყეს კიცხვა. ოგნიანოვს პიესის გმირის გრაფის სახელი შერჩა, როგორც ეს საზოგადოდ იმ სცენის მოყვარე მოთამაშეებს ემართებათ ხოლმე, რომელთაც თამაში მაყურებლებს საშინლად მოეწონებათ; ამნაირადვე, ფრატიუს თავისი სახელი

*) იხ. „მოამბე“ 1899 წ. № V.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გოლოსი“ შერჩა, და ჯერ ამ დილასაც კი მოხუცნი ტრუ-ლის თვალით უყურებდნენ და გულმოსულნი იყვნენ მაზედ,— გენოვევას ისე უდიერად რად მოექცაო?

ერთმა დედაბერმა ქუჩაში გააჩერა და უთხრა:

— შვილო, ერთი ეს მითხარ, ასე რად მოიქეცი? ცოდვა არ არის!

ამ დროს საყავეში პატივცემული მიჩო ბეიზადეტი შემოვიდა, და ლაპარაკის საგანი პოლიტიკა შეიქნა ყველასათვის.

მიჩო ბეიზადეტი მოხუცებული, დაბალი, შავგვრემანი კაცი იყო. როგორც ყველა მისი ხნის მოხუცი, მიჩო უსწავლელი იყო, მაგრამ ცხოვრებამ და სხვა-და-სხვა ტანჯვა-განსაცდელმა ჭკუა-გონება განუვითარა. შავი, ცოცხალი, მოძრავი და ჭკუით სავსე თვალები გამხმარსა და დანაოჭებულ სახეზე უბრწყინავდა. ერთი უცნაური ხასიათი ჰქონდა და ამ ხასიათისა გამო ყველასათვის თითით საჩვენებელი გახდა: საშინლად უყვარდა პოლიტიკის შესახებ ლაპარაკი და მეორეც ისა, რომ დარწმუნებული იყო—დღეს არა, ხვალ დაემხობა ოსმალეთიო. რა თქმა უნდა, ამასთან, რუსების თავგამოდებულ მომხრედ ითვლებოდა და ხანდიხან იქამდე მივიდოდა საქმე, რომ ადამიანს სიცილს მოჰგვრიდა მისი ყურება. ყველას ახსოვდა მისი საქციელი ერთს ეგზამენზე. ერთმა მოსწავლემა სთქვა, სებასტოპოლის ომში მტრებმა რუსები დაამარცხესო.—„შენ სცდები, შვილო, არ შეიძლება, რომ რუსები დამარცხდნენ; მასწავლებლისათვას რაც ფული მიგიცია, უკანვე გამოართვი, ტყუილად დრო დაუკარგვინებია შენთვის,“—უთხრა გაბრაზებულმა მიჩომ. მაგრამ ამ დროს მასწავლებელი მივიდა მიჩოსთან, გადაუშალა ისტორიის სახელმძღვანელო და დაუმტკიცა, რომ რუსები ყირიმის ომში დამარცხდნენო. მაშინ მიჩომ ყვირილი დაიწყო, ისტორია სტყუისო. და რადგან მაშინ სასწავლებლის მზრუნველი იყო, მასწავლებელი დაუყონებლივ დაითხოვა ადგილიდან.

ბუნებით ნერვიანი იყო მიჩო, თუ ვინმე მის და ან მისის რწმენის წინააღმდეგ რასმე იტყოდა, მაშინათვე თოფის წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალსაეით იფეთქებდა. აპილპილდებოდა, მოწინააღმდეგეს მი-ვარდებოდა, ილანძღებოდა. განკოსთან მიჩო მხიარული შემოვიდა და ძლევამოსილი სახით წამოიძახა:

— ისევ ჩვენებმა გაიმარჯვეს!

— როგორ?—დაიძახეს სიხარულის ხმით იქ დამსწრეებმა.

— ლიუბობრატიჩსა და ბეჟო პეტროვიჩს რამდენიმე ათასი ოსმალო აუკუწნიათ,—სთქვა ბაი მიჩომ. ახალ ამბავს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა, რომ იქ მყოფნი დიდხანს დაეტკბო სასიამოვნო ამბის სმენით.

— ვაშა! გაუმარჯოს!—დაიძახა რამდენმამე ერთხმად.

— პოდგორიცაც აუღიათ,—განაგრძო ბაი მიჩომ.

ყველანი ისე გაოცდნენ, თითქო პოდგორიცა კი არა, ვენა აუღიათო.

— თავისნებით მებრძოლნი და თოფ-იარაღი რამდენიც გინდა, იმდენი მოდის ავსტრიიდან.

— მართლა?!

— ბოსნიაში ხელახლა იფეთქა ცეცხლმა, სერბიაც ჩუჩუნებს და ჯარებს ამზადებს. თუ სერბია ადგა, ჩვენც ფეხზე დაგვაყენებს. მაშინ—ბოლო მოელება ჩვენს ბატონებს...

— ჯანდაბას მათი თავი და ტანი!

— ავსტრია თავისთვის უნდა იდგეს, ამიტომ რომ გორჩაკოვი პეტერბურგიდან უბრძანებს: გაჩერდი, დეე ერთმანეთს ეძინძგლავონ, ეს მათი შინაური საქმეაო. წესი აეგებათ, წესი...

ყველამ ყურები სკქვიტა და კეთილშობილურის სიამოვნებით ისმენდნენ ჩორბაჯი მიჩოს ნაამბობს.

— რამდენი სულია დახოცილი?—ჰკითხა ნიკოდიმმა.

— ოსმალები? აკი გითხარი, ათასობითაა დახოცილი-მეთქი! ჩაგდე ორი, სამი, ათი ათასი,—სულ ერთია, შეცდომა არ მოგივა. ვაშა, გერცოგოვინელნო! ბიჭებიც იმათთანა უნდა!

— საუცხოვოა, თუ მართლა ასეა.

— გეუბნები, მართალია-მეთქი.

— მერე სად გაიგე ეს ამბავი?—ჰკითხა ჩორბაჯი მარკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სანდო კაცისაგან გავიგე, ჩემო კარგო! კირ გიორგი-იზმირლიატს ამ სამის დღის წინად კარლოვოს მეაფთექემ, იანაკი დაფინისმა, უამბო, ეს ამბავი ტრიესტის გაზეთშია დაბეჭდილიო.

— არა მჯერა, გერცოგოვინელებს დიდის საქმის გაკეთება შეეძლოთ... იბრძოლებენ, იბრძოლებენ, სანამ არ დაიღლებიან. რა ბევრნი ისინი არიან?—სულ ერთი მუჭა ხალხია,— სთქვა პავლაკიმ, და სხვებმაც თანხმობის ნიშნად თავები დაუკანტურეს.

— აკი გითხარი, პავლაკი, რამდენია გერცოგოვინელები?—ერთი მუჭა ხალხია. ოსმალებს იმათი არ შეეშინდებათ,— სიტყვა ჩაურთო ჰაჯი სმიონმა და თან სწორება დაუწყო მარცხენა ფეზე ჩაცმულ წინდასა.

ჩორბაჯი მიჩომ გაცხარებულად უპასუხა:

— შენ, პავლაკე, მაპატივე, და შენც ჰაჯი, არაფერი გაგებათ... პოლიტიკაში „არაფრისაგან“ „რაღაც“ გამოდის... თვითონ გორჩაკოვმა სთქვა, გერცოგოვინია ისეთს ნაპერწკალს ისვრის, რომ მთელს ოსმალეთის სახელმწიფოს უშველებელ ცეცხლად მოედებაო.

— ჩემის აზრით, ამას დერბი იტყოდა,—ჩაერია ლაპარაკში საქმის მცოდნე კაცის სახით ფრატიუ.

ჩორბაჯი მიჩომ კოპები შეიკრა.

— დერბი, როგორც ინგლისელი, სულთნის საწინააღმდეგო სიტყვებს ვერ იტყოდა... ვიცით, რაც არის ინგლისის პოლიტიკა: ოსმალეთში ყველაფერი მშვენივრადაა, ოსმალეთში— ყველაფერი ჰყვაყისო. მე შენ გეუბნები—დერბი ამაებს არ იტყოდა-მეთქი.

— ასეა, ფრატიუ, ასეა, არ უთქვამს,—კვერი დაჰკრა ჰაჯი სმიონმა.

— როცა ცეცხლი იფეთქებს და ცარგრადს გადაჰბუგავს, მაშინ სამარადისოდ მოვწყდებით ამ ურჯულოებს,—სთქვა ივანჩო დუდომ, მეწაღემ, რომელიც, უნდა გამოვტყდეთ, პოლიტიკაში ხამი იყო.

ქართული ბიბლიოთეკა

— ჩვენ სხვა ცეცხლის შესახებ ვლაპარაკობთ, ივანჩო, — უთხრა სერიოზულის სახით პავლაკიმ.

— ნამდვილი ცეცხლი ჯერ წინაა, როცა აინთება ბოლგარეთი, — შენიშნა ფრატიუმ.

— ბოლგარეთი რად-ღა უნდა აენთოს? არა ხამს, ბოლგარეთი ცეცხლში ჩავარდეს. ჩვენ ჭკუიანად უნდა ვისხდეთ. ხომ დაინახეთ, ზაგორაში რა ღვთისრისხვა დატრიალდა? — წარმოსთქვა პირქუშად ჩორბაჯი დიმომ.

— შენ, ფრატიუ, ასე იმიტომ ამბობ, — უთხრა დონჩო ფურნაჯიატმა, — რომ როცა ასეთი ამბავი მოხდება, რუმინიაში გაიქცევი და იქ დაიწყებ ყვირილს: გამაგრდით! და აქ ჩვენ თავებს დაგვჭრიან...

— ამას ნუ მეუბნები. ბაი დიმომ ადამიანის ფასი იცის...

— სცდები, მე აქ დავრჩები და მსხვერპლსაც შევსწირავ ქვეყანას.

— ცეცხლი თუ ასანთებია, დეე ახლავე აენთოს. ოსმალეთი განა სამეფოა? იმას ცეცხლი ახლაც უკიდია, კვამლი არა სჩანს თორემ. ეს სამეფო კი არა, ნაგავია, ნეხვია...

— ფიქრი ნუ გაქვთ, დიდხანს არ დაგვჭირდება ლოდინი, — სთქვა ბაი მიჩომ, — გადაწყვეტილია, ოსმალეთი უნდა დაემხოს.

— აგრეა, აგრე, — ჩაერია ლაპარაკში მღვდელი სტავრი, — მათი აღსასრულის დღე დადგა. საითკენაც არ მიიხედავ, — დიდი და პატარა — სულ ამის შესახებ ლაპარაკობენ. ცოლებსა და ქალებსაც კი ეს გახდომიათ სალაპარაკოდ. თქვენ მათი სიმღერები უნდა გაიგონოთ. წინად სულ სტიროდნენ, ვიშვიშებდნენ, ახლა კი სიმღერებში ის-ღა გესმით — თოფები იცლება, ხმლები ელავენ, ოსმალები იჟუჟებიანო და სხ. მისთანები. ყმაწვილკაცები კი მთელი დღე მონასტრის ველზე არიან: თოფები უჭირავთ და სროლას სწავლობენ. ჩემ განკოს დამბაჩებისა და თოფებისათვის საიდანღაც თავი მოუყრია და, ბავშვებს სკოლიდან დაითხოვს თუ არა, ჩაუჯდება და იარაღს ეალერსება. ვკითხე, ესენი რად გინა, შვილო-მეთქი? „მალე საჭირო იქნება, მამილო,“ — მიპასუხა, — „მალე ისეთი დრო და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება, რომ თოფები ოქროს ფასად გაიყიდებაო.“ ჩვენ მოგრის კი დარჩეს და, ამ ბუნდ დროებას უეჭველად რამე მოჰყვება. ღმერთო, შენ დაგვიფარე!

გულ-კეთილი სტავრო მართალს ამბობდა. სტეფჩოვის აზრით, რაც ოგნიანოვი გაჩნდა, ეს რამდენიმე თვეა, ყმაწვილკაცობას რაღაც მოძრაობა დაეტყო, ეს მოძრაობა თან-და-თან იზრდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ენკენისთვეში ამბოხება მოხდა ძველ-ზაგორაში.

ლხინისა და დროს-გატარების დროს ახალ-გაზდები პატრიოტულ სადღეგრძელოებსა სვამდნენ და გამოჩინებულად ლაპარაკობდნენ ამბოხების შესახებ; მონასტრის მიდამოში მთელი დღე თოფებს ისროდნე და ახალ-გაზდობა ნიშანში სროლას სწავლობდა. სარევოლუციო სიმღერები მოდა'ში შემოვიდა და ყველგან მღეროდნენ: სახლებში, ღამის თევაში, ქუჩებში. გამვლელ-გამომვლელს ყოველს ნაბიჯზე ესმოდა, როგორ იმღეროდნენ ქალები:

„ნუ სტირ, საცოდავო დედავ,
ნუ ნაღვლობ და ნუ ღვრი ცრემლსა,
რომ გაიდუკად ვიქეცი,
გაიდუკად, მეამბოხედ!“

ან და პატივცემული დედა რამდენისამე შვილებისა გატაცებით მღეროდა:

„გასწით წინ, ძმანო მებრძოლნო,
უერთგულევით დროშებსა:
ჩვენ ეხლა უკვე აღარ ვყმობთ,
არცა ვმორჩილებთ ჩვენს მტრებსა“.

მაგრამ ამ პლატონურ სიტყვებს ოსმალები დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ იმიტომ, რომ სძულდათ ბოლგარები და მათი სიმღერებიცა. რაც სექტემბერში ბოლგარელნი მეამბოხენი ძველს-ზაგორაში დამარცხდნენ, ოსმალთ გამოიღვიძეს და ბოლგარების თავზე ღეთის რისხვა დაატრიალეს.

ხევებში სულ რამდენიმე თოფი დაიცალა და ამისთვის ოსმალებმა უსულ-ღმერთოდ დაუშინეს სეტყვასავით ტყვიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლგარეთის მშვიდობის მოყვარე მცხოვრებლებს; ბოლგარელი ქალები სარევოლუციო სიმღერებს რისთვის მღერიანო და ყველას ნამუსი აჰხადეს, ბავშვები ამოჟლიტეს. ოსმალები ჟლეტავდნენ უიარაღო მგზავრებს, სწვავდნენ მცხოვრებთა კარმიდამოსა, ტყვედ მიჰყავდათ, ვისაც მოახელებდნენ, ნადავლს პოლიციელებს უყოფდნენ. მთელი ფრაკია ჰკვნესოდა და ჰგმინავდა ოსმალების მხეცობისა და ძალ-დატანებისაგან.

ბაი მარკო ბევრ რაშიმე ეთანხმებოდა ბაი მიჩოს, მაგრამ აჯანყების შესახებ სულ სხვა აზრისა იყო.

თვით ფიქრი აჯანყების შესახებ სისულელედ მიაჩნდა და ყოველ საშიშ სიტყვისათვის, რომელსაც ოგნიანოვისაგან გაიგონებდა, ამ უკანასკნელს საშინელს საყვედურს ეუბნებოდა, თუმცა ოგნიანოვი ძალიან უყვარდა და ყველგან და ყველასთან ხელს აფარებდა და ეხმარებოდა,

— ეს თავქარები, მონასტრის მიდამოებში საბრძოლველად რომ დაწანწალებენ, სრულებით არ მაკვირვებენ, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, ჭალარა-შერთული ადამიანები როგორ აჰყოლიან მათს ფეხის ხმასა!... სახუმარო საქმე კი ნუ გგონიათ ცეცხლთან თამაში! როგორ, ხუთი საუკუნე მეტია სახელმწიფო არსებობს, მთელს ქვეყნიერებას თავზარსა სცემს, და ახლა, რამდენსამე ბიჭ-ბუჭებს კაჟიანის თოფებით უნდათ დაამხონ?! ჩვენ შიგ ჯოჯოხეთში ვზივართ. აჯანყებაო? ღმერთმა დაგვიფაროს, თორემ სუყველანი დავიღუპებით!... ქვა-ქვაზე აღარ დარჩება აქ!...

დალაქი განკო გამოეხმაურა:

— ბაი მარკო მართალს ამბობს, აჯანყება ყველას წაგვწყმენდავს სულითა და ხორცით...—ეს რომ სთქვა, განკომ ჭერს შეხედა, რომელზედაც ეწერა—ვის რამდენი ემართა მისი.

ბაი მარკოს საყვედური მიჩოს ეწყინა და გულმოსულმა უთხრა:

— შენ, მარკო, ჭკვიანურად ლაპარაკობ, მაგრამ შენზე უფრო ჭკვიანებიცა გვყავს და ისინი ამბობენ, ყოველივე ეს ახდებაო, ოსმალეთს ასე, თუ ისე, ბოლო უნდა მოეღოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენის წინასწარმეტყველებისა მე არა მრწამს-რა,— უთხრა ბაი მარკომ და წარმოიდგინა მარტინ ზადეკი, რომელსაც მიჩო ისე ენდობოდა, როგორც „მამა ჩვენ“-ს.—არამც თუ შენი ზადეკა, თვით სოლომონ ბრძენი რომ მოვიდეს და მითხრას, მაინც არ დავიჯერებ, რომ ჩვენ რისამე გაკეთება შეგვიძლია.. ხოლო ბავშვური თამაშობისა მე არა მრწამს-რა.

— მარკო, თუ კი ეს ღვთისაგან არის ნაბრძანები?—უთხრა მღვდელმა სტავრიმ.

— დმერთმა გვიბრძანა, მამაო, ჭკუიანად ისხედითო. თუ მართლა ღმერთმა გადასწყვიტა ოსმალეთის დამხობა, ჩვენისთანა ჭიებს არ მიანდობს ასეთის საქმის ასრულებას.

— ღმერთი ვისაც მიანდობს, ახლაც ვიცით, ჩემო მეგობარო!—უთხრა პავლაკიმ.

— პაპა ივანეს, პაპა ივანეს! *)—დაიძახა უმრავლესობამ.

მიჩოს სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. საჩქაროზე დაიწყო ისევ ლაპარაკი:

— მე რაღას ვამბობ? მე ვამბობ და მესმის კიდეცა, რასაც ვამბობ. ჯერ ჩვენ დავიძვრით და მერე რუსები მოგვყვებიან თვით წმიდა სოფიომდე. **) იმათ დაუკითხავად როდის რა გვიქნია? ლიუბობრატიჩს ამათგან რომ არა ჰქონოდა ზურგი მომაგრებული, განა შეეძლო ეს ქოფაკები ათასობით აეკუწა? მითქვამს და დამიჯერეთ: ოსმალეთის დღენი დათვლილია, როგორც დღენი ჭლექიანისა. ეს გადაწყვეტილია, წინ არა უდგასრა... ვისაც არა სჯერა, ყური მიგდეთ ისევა: „სტამბოლი, სულთნის სატახტო ქალაქი, ისე იქმნება აღებული, რომ ერთი წვეთი სისხლი არ დაიღვრება“...

ბაი მიჩო ისე შეეიდა ლაპარაკის ეშხში, რომ ზეზე წამოიჭრა და დიდის აღელვებით ხელების ქნევა დაიწყო.

---

*) ბოლგარეთში იმედი ჰქონდათ—რუსები განგვათავისუფლებენ ოსმალთა მონობისაგანო და „პაპა ივანეს“ ეძახდნენ თავიანთს მომავალ განმათავისუფლებელთ.

**) სტამბოლში ტაძარს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს როდის უნდა ასრულდეს?—ჰკითხა მღვდელმა სტავროს.

— მე თქვენ მოგახსენებთ—ჩქარა-მეთქი, მოახლოვდა ჟამი.

სწორედ ამ დროს კარი შემოიღო და შემოვიდა ნიკოლაი ნეტკოვიჩი; ახალი ნომერი გაზეთ „საუკუნე"-სი, ის-ის იყო, მისვლოდა და ხელში ეჭირა.

— ნიკოლა, ახალი რა სწერია? — ჰკითხეს რამდენმამე ერთად;—წაგვიკითხე, წაგვიკითხე!

— აბა ერთი ყური დავუგდოთ, ბევრს ოსმალოს გააგდებინა თავი ლიუბობრატიჩის დანამა?—წარმოსთქვეს სხვებმა მოუთმენლად.

— აკი გითხარით, ათასი-მეთქი! აბა აქ დაჯექი, ნიკოლა,— და ბაი მიჩომ თავის გვერდით დაუცალა ალაგი.

ნიკოლაი ნეტკოვიჩმა გაზეთი გაშალა.

— ჯერ გერცოგოვინელების აჯანყების ამბავი წაგვიკითხე.—უთხრა მიჩომ.

ბუზის ფრენას გაიგონებდნენ, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა. ნეტკოვიჩმა გაზეთის კითხვა დაიწყო. ყველამ ყურები სცქვიტეს, რომ კლიოში გამარჯვებულთა ამბები მოესმინათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ დამარცხების ამბავი კი გაიგონეს: არამც თუ პოდგორიცა არ აუღიათ, პირიქით მთელი რაზმი ლიუბობრატიჩისა მტერს დაუმარცხებია და თვითონ ლიუბობრატიჩი ავსტრიაში გაქცეულა.

ყველამ ყურები ჩამოჰყარეს. სახეზე მწუხარება და უნუგეშობა გამოეხატა სათითაოდ ყველას. თვითონ ნეტკოვიჩიც აღელდა და ხმა ჩაუწყდა.

მიჩო ბეიზადეტი, რომელსაც ერთბაშად ოფლი წამოასკდა სახეზე, გაფითრდა და, სიბრაზისგან აკანკალებულმა, დაიძახა:

— სიცრუვეა, სიცრუვე, სიცრუვე, ასეთი ზღაპრები თავიანთ ბალღებს უამბონ და ისინი დააჯერონ! ლიუბობრატიჩმა ისინი დაამარცხა, მიწასთან გაასწორა. ამ გაზეთს არაფერი დაუჯეროთ!

ბაი მიჩოს სიტყვებმა ცოტათი დაამშვიდა საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩოს სიტყვები უფრო იმიტომ დაუჯდათ ჭკუაში, რომ გული-გულში ნატრობდნენ—ასე ყოფილიყო საქმე. იმათის აზრით, გაზეთში რაც ეწერა, ტყუილი უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ცუდის მეტი კარგი არაფერი ეწერა. ასე და ამ გვარად, ამ გაზეთის არავის სჯეროდა. მაგრამ, როცა ამავე გაზეთმა აუწყა ყველას, ლიუბობრატიჩმა გაიმარჯვაო, ეჭვი არავის შეუტანია—ტყუილიაო.

თუმცა მიჩომ ანუგეშა, მაგრამ გინკას სტუმრები მაინც დალონდნენ. ლაპარაკს თავი ანებეს, ყველას მძიმე ლოდსავით შემოაწვა რალაცა გულზე. თვით ბაი მიჩო ცუდს გუნებაზე დადგა. ბრაზობდა თავის თავზე, გაზეთზე, მთელს ქვეყანაზე, იმიტომ რომ ვერავინ უთხრა, „კლიოში“ აწერილი ამბავი მართალიაო. ამიტომ ცეცხლი მოიკიდა, როცა პეტრარკი შიიკოვმა დაჩუმებულის ხალხის წინაშე დაცინვის კილოთი წარმოსთქვა:

— როგორც ეტყობა, ბაი მიჩო, შენი გერცოგოვინის ნაპერწკალი ნაპერწკალადვე დარჩება და მეტი არაფერი გამოვა... შენ მე მიგდე ყური: ოსმალეთი ცოცხალი და უვნებელი დარჩება ამ წელიწადსაც, მერმისსაც და კიდევ ერთს საუკუნეს... ჩვენ კი მანამდე ვატყუებთ ერთმანერთს შენის წინასწარმეტყველობით, სანამ არ დავიხოცებით.

— შიიკა,—დაუყვირა გაშმაგებულმა მიჩომ,—შენ ხის გოგრას ამის გაგება არ შეუძლია, გაჩუმდი! შენისთანა პირუტყვებს ჯოხით თუ გააგებინებს რასმე ადამიანი.

ჩხუბი ასტყდა, მაგრამ სტეფჩოვის შემოსვლამ ამ ჩხუბსაც და ოსმალეთის დამხობის შესახებ საშიშო ლაპარაკსაც ბოლო მოუღო.

ისევ გაჩუმდნენ ყველანი. სტეფჩოვის შემოსვლა ყველასა სწყინდა, ყველანი უხერხულად ჰგრძნობდნენ თავს. სტეფჩოვი დაჯდა, ზოგიერთებს თავი დაუკრა და დიდ-კაცურად დაუწყო ლოდინი, რას იტყვიანო. იმას ეგონა, რომ ოგნიანოვსა და სოკოლოვს დასცინიანო. მაგრამ არავის უთქვამს-რა ამის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, იქნება, იმიტომ, რომ არა იცოდნენ-რა, იქნება იმიტომაც, რომ ყურადღება არავის მიუქცევია.

ბაი მიჩო გულ-მოსული გავიდა საყავედან; მის შემდეგ რამდენიმე სხვა სტუმარიც გავიდნენ. ამავე დროს ორი ახალი სტუმარი შემოვიდა: ოგნიანოვი და სოკოლოვი. დასხდნენ თუ არა, ჰაჯი სმიონი ოგნიანოვს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— გრაფო, საშობაოდ ახალს კომედიას რასმე არ წარმოადგენთ?

— „გენონევა“ კომედია კი არა, ტრაგედია არის,—შენიშნა ფრატიუმ;—კომედია ისეთს წარმოდგენასა ჰქვიან, სადაც იცინიან, ხოლო ტრაგედიას ისეთს ეძახიან, სადაც სატირელი და სამწუხარო სურათებია... ჩვენ ტრაგედია ვითამაშეთ, მე ტრაგიკული როლი მქონდა...—მრავალ-მნიშვნელოვანის ხმით განუმარტა ფრატიუმ.

— ვიცი, ვიცი, მე თვითონ რამდენჯერ მინახავს ასეთი წარმოდგენები ბუხარესტში; ეჰ, შენ რა კარგად წარმოადგინე შეშლილის როლი!

— ფრატიუ, ჯვარი გწერია და ნამდვილი შეშლილი იყავი... გრძელმა და აჩეჩილმა თმამაც ბევრი გიშველა,—შეაქო ჰაჯი სმიონმა.

ამ დროს ივანჩო იოტა შემოვიდა და ისიც ჩაერია ლაპარაკში.

— რა არის, თეატრის შესახებ ლაპარაკობ?—ჰკითხა ივანჩომ.—ამ სამის წლის წინად კარლოვოს თეატრში ვიყავი, როცა... არ მახსოვს, რას თამაშობდნენ... ჰო! „ივანე გაიდუკი“.

— „ივანე კაციკალია!“—გაუსწორა ფრატიუმ.

— ჰო, ისეა, ისე... კაციკალია. მაგრამ ჩვენთან უკეთესად ითამაშეთ... ჩემი ლალა მთელი ღამე ძილში იძახდა: „გოლოს! გოლოს!“ და შიშისაგან მთელის ტანით კანკალებდა...

ფრატიუმ ქედ-მაღლურად შეხედა, თუმცა ეამა კი მისგან ქების გაგონება.

— ჰო, ჰო, მეც იმას ვეუბნები გრაფს, კიდევ დასდგი რამ კომედია-მეთქი... ღმერთმანი, ეხლა უფრო უკეთესად ითამაშებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სიმღერა სხვა რამე სთქვი,—უთხრა ჰაჯი სმოლნმა, რომელმაც ჯიბეებში დაუწყო ხელებს ფათური, რომ წინანდელი საყვედური დაევიწყებინებინა და გული მოელბო როგორმე.

— „გენოვევა“ კომედია კი არა, ტრაგედიაა,—მკაცრად უთხრა ხელ-ახლა ფრატიუმ.

— დიაღ, დიაღ, ტრაგედია... ერთის სიტყვით—წარმოდგენა გააკეთეთ.

— დიაღ, ეს კომედია იყო, რომ ხალხს ეცინებოდა,—სიტყვა ჩაურთო კუთხეში მიმჯდარმა სტეფჩოვმა და გესლიანად გაიღიმა.

ოგნიანოვმა სოკოლოვთან ლაპარაკი შესწყვიტა და უთხრა:

— მეშინიან, ძმაო, ისევ სასაცილოდ არ ამიღონ...

სტეფჩოვს ხელში გაზეთი ეჭირა და სულ შიგ ჩასცქეროდა თავ-აუღებლად.

— სასაცილოდ ვინ აგიღებს, ვერავინ გაგიბედავს!—უთხრა პაპა ნესტორმა,—გენოვევა კიდევ წარმოგვიდგინე... ბავშვებს ძალიან გულით უნდათ მისი ნახვა. ჩვენი კენკა მაშინ ავად იყო და ვერა ნახა. ეხლა იმას-ღა გაიძახის: მამილო, გენოვევა მაჩვენე, გენოვევა მაჩვენეო.

— კარგი, პატა ნისტორ, მხოლოდ დასტვენისა მეშინიან,—უპასუხა ოგნიანოვმა და თვალები ისარივით დააშტერა სტეფჩოვს.

— განსაკუთრებით, როცა სტვენის ხმა ნეხვიდან გამოდის,—დაუმატა გესლიანად სოკოლოვმა.

სტეფჩოვს გული მოუვიდა და გაწითლდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და გაზეთს თვალი არ მოაშორა. ატყობდა, ოგნიანოვს თვალები ჩემსკენ აქვს მოშტერებულიო და იმის შიშით თავ-ტანი ეკარგოდა. ოგნიანოვს თვალები საოცრად ენთებოდა.

— მეც შენსავით მინდა, პაპა ნესტორ, „გენოვევას“ ნახვა,—ბანი მისცა ჩონუ დაიჩინოვმა.—მხოლოდ გოლოსის როლი კირიაკმა აიღოს, იმას უფრო უხდებაო. ფრატიუ თუმცა ბრაზობს, მაგრამ მაინც კაი კაცია: ტყუილად ლანძღავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გულუბრყვილო და თან გესლით სავსე ქათინაურისა სტეფჩოს საშინლად შერცხვა. ამავე დროს ქება ფრატიუსაც ეწყინა...

ოგნიანოვმა და სოკოლოვმა ძალაუნებურად გაიღიმეს. გაიღიმა აგრეთვე ჰაჯი სმიონმაც, რომელიც ვერ მიხვდა, რა სთქვეს.

სტეფჩოვმა თავი მაღლა აიღო და გულმოსულად შეხედა ოგნიანოვსა და სოკოლოვს.

— დიაღ,—წარმოსთქვა მან ძალდატანებულის გულგრილობით, თუმცა ბრაზისაგან ხმა უკანკალებდა,—იმედი მაქვს, ლოზენგრადელი ბაი ოგნიანოვი მალე ტრაგედიასაც გვაჩვენებს. ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ ტრაგედიის დროს არავინ გაიცინებს, და ყველაზე ნაკლებ—თითონ.

სტეფჩოვმა უფრო ტკეპნით სიტყვა „ლოზენგრადელი“ (ოგნიანოვი ამმობდა, ლოზენგრადელი ვარო) წარმოსთქვა. ოგნიანოვმა ეს შენიშნა და სახეზე ფერი ეცვალა. მაინც რიხიანი კილოთი უთხრა:

— საცა სკენის უკან ისეთი გაწვრთნილი მაშინისტები, მე მინდა ვთქვა — ჯაშუშები, როგორც სტეფჩოვი, გვყავს, საკვირველი არ იქნება, თუ ტრაგედიაც დავინახეთ.

ეს რომ უთხრა, ზიზღით შეხედა. სოკოლოვმა თავის ამხანაგის ტანისამოსის სახელოს ჩამოსწია:

— თავი დაანებე,—ჩურჩულით უთხრა.

— საზიზღრებს არ შემიძლიან მათი საზიზღრობა მოვუთმინო,—წარმოსთქვა ოგნიანოვმა ხმა-მაღლა, იმდენად ხმა-მაღლა, რომ სტეფჩოვს გაეგონა.

ამ დროს ბოიჩომ საყავეს კარებთან მუნჩო დაინახა. მუნჩო თვალს არ აშორებდა ბოიჩოს, თავს უქნევდა და მეგობრულად ულიმოდა. სულელს კეთილი, მშვიდი და ბედნიერი სახის გამომეტყველება ჰქონდა. ბოიჩოს ადრეეაც არა ერთხელ შეუნიშნავს, რომ მუნჩო გულმოდგინედ და ალერსიანად მიყურებსო. მაგრამ ვერც კი გაეგო ამ მეგობრობის მიზეზი. როცა ბოიჩოს თვალები მუნჩოს თვალებს მოხვდა, სულელს სახეზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტარების ღიმილი გადაეფინა და თვალები გაუგებარისა და უაზრო აღტაცებით გაუბრწყინდა. საყავეში თავი შემოჰყო, ოგნიანოვისაკენ დაიხარა და თან მთელის სახით გაიღიმა და თანაც გაბმით წარმოსთქვა:

— რუს-ი-ან!—ამის თქმაზე თითი კისერში გამოისვა, თითქო ის უნდა აჩვენოს, როგორა ღადრიან ადამიანს კისერსაო.

ყველანი გაოცებით უყურებდნენ მუნჩოს.

ოგნიანოვიც გაოცდა. ამ ნაირი ქცევა მუნჩოსაგან პირველი არ იყო.

— გრაფო, მუნჩო რაღას გელაპარაკება?—ჰკითხეს ზოგიერთებმა.

— მეც არ ვიცი,—უპასუხა ღიმალით ოგნიანოვმა,—ძალიან უყვარვარ.

ეტყობოდა, მუნჩო მიხვდა, რომ დამსწრენი გაოცებულნი შესცქეროდნენ და მისი ვერა გაეგოთ-რა, შეეცადა უკეთესად აეხსნა, რისთვის უყვარდა ოგნიანოვი. ჯერ ყველას მიმოავლო თვალები სულელურად, თითით ოგნიანოვი ანიშნა და უფრო ხმა-მაღლა დაიძახა:

— რუს-ი-ან!—მერე ხელი ჩრდილოეთისკენ დაიქნია და უფრო მძლავრად დაუწყო თითით ყელს გამოღადვრა.

მუნჩოს საქციელმა ძალა-უნებურად შეაშინა ოგნიანოვი: იფიქრა, იქნება, ღმერთი გაწყრა და როგორმე ნახა და იგრძნო მუნჩომ, რაც მოხდა პაპა სტოიანის წისქვილშიო. კანკალით შეხედა სტეფჩოვს, მაგრამ ისევ დამშვიდდა, როცა დაინახა, რომ სტეფჩოვმა ზურგი შეაქცია და ვილასთანაც ჩურჩული დაიწყო, მუნჩოსათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

ამ დროს სტეფჩოვი წამოდგა, მუნჩო კარებს მოაცილა და გავიდა, თან ოგნიანოვს ბოროტისა და შურისძიებით სავსე თვალებით შეხედა.

სტეფჩოვს სიბრაზისაგან ცეცხლი ეკიდებოდა. ჩემი თავმოყვარეობა ეს რამდენჯერ შემილახა ოგნიანოვმა და მე კი ჯერ შემთხვევა არა მქონია მაგიერი გადამეხადნაო. უნდოდა შური ეძია ბოიჩოსი, მაგრამ იდუმალად, ამიტომ რომ მასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩინებით ბრძოლისა ეშინოდა. როცა თეატრში საერთო-ლიუციო სიმღერა გაიგონა, სთქვა, ეს არის, ახლა ვიყრი გულის ბუხარსაო, ამაზე უკეთესი იარაღი არ მინდაო; დააბეზღა კიდეცა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ჩემთან როგორ გაბედავდა ოგნიანოვი მეამბოხეთა სიმღერა ემღერნაო,—სთქვა ბეიმ, და სტეფჩოვის ნათქვამი არ დაიჯერა. სტეფჩოვიც არ აუხირდა. მაგრამ რამდენისამე დღის უკან ერთი კარგი ამბავი გაიგო: შემთხვევით გაიცნო ერთი ლოზენგრადიდან მისული კაცი და იმან უთხრა, ამ ქალაქში თავისდღეში არა ყოფილა ისეთი ვინმე, რომ ბოიჩო, ან ოგნიანოვი რქმეოდესო. ძაფის წვერი ხელში ჩავიგდეო, სთქვა სტეფჩოვმა, და ახლა ბევრს რასმე გავიგებ ახალსაო. ალბად, ფიქრობდა სტეფჩოვი, ოგნიანოვს თავისი სახელი და გვარი მოგონილი აქვსო, და, მგონია, საბუთიცა მაქვს ამისიო. ოგნიანოვს სოკოლოვი ჰყავს მეგობრად და ეს კაცი ხომ, დიდიხანია, მოუსვენარ კაცად არის ცნობილიო. უეჭველია, ამ ორ კაცს რაღაცა უდევს გულში, მაგრამ რა? რა თქმა უნდა, სასიკეთოს არას ჰფიქრობენო. ამ ფიქრებში გართულმა სტეფჩოვმა ინსტიქტიურად იგრძნო, რომ ოგნიანოვმა პეტკანჩევის ქუჩაზე მომხდარ ამბისა, არ იქნება, რამე არ იცოდესო; სწორედ მაშინ გაჩნდა ოგნიანოვი ქალაქში, სწორედ ოგნიანოვის მისვლის შემდეგ დაიწყეს ქალაქში მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაო. კირიაკმა გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ფარდა აეხადნა ოგნიანოვის საეჭვო ცხოვრებისათვის და ამისათვის სავსებით მოიშველია თავისი ბოროტი და შურიანი გული... მოკლე ხანში სტეფჩოვმა ახალი საბუთები ჩაიგდო ოგნიანოვის გასაბმელად ხაფ·ნგში.

XIX

შ ი შ ი

ოგნიანოვის თავზე საშიშო ღრუბლები თავს იყრიდა. მაგრამ თვითონ ვერაფერს ამჩნევდა, ეჭვი არაფრისა ჰქონდა. მთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ექვს თვეს სცხოვრობდა ბელაია-ცერკოვში უშიშრად და უდარდელად და ამ გარემოებამ მეტის-მეტად გაათამამა, იმ ზომამდე გაათამამა, რომ გაფრთხილებაც კი მეტ ბარგად მიაჩნდა. მისის დარდისა და ფიქრის საგანი—თავის ხალხის კეთილ-დღეობა და ასაჯანყებლად მომზადება იყო. ასეთს ფიქრში გართულს, დროც კი არა ჰქონდა ისეთის წვრილმან რისთვისმე ეფიქრნა, როგორიც, მისის აზრით, პირადი კეთილდღეობა იყო. ყველა გრძნობაზე ნაკლებ—შიშის გრძნობა ჰქონდა განვითარებული.

მაგრამ ეხლა ცოტათი შეეპარა შიში და საყავედან გამოსვლის დროს ექიმს უთხრა:

— შენ როგორა ფიქრობ, სტეფჩოვი თავის მუქარით დაგვაკლებს რასმე?

— სტეფჩოვი შენზე კბილებს ილესავს, და ამ საზიზღარს რამე რომ შესძლებოდა, აქამდე ხელს არ დაგაკლებდა. მარტო სასაცილო ლექსის მოგონებას არ დასჯერდებოდა.

— მუნჩოს ქცევა რაღასა ნიშნავს? ცოტა არ იყოს, მეფიქრება.

ექიმმა გაიცინა.

— ბავშვი ნუ ხარ.

— მართალია, მუნჩოზე ლაპარაკი არც კი ღირს, მაგრამ სტეფჩოვი, სტეფჩოვი! ჩემი ამბავი ხომ არაფერი იცის?

— აბა საიდან ეცოდინება? ალბად, ჰაჯი როვოამა მოგვიგონებდა ახალს რასმე. ხომ იცი, ეს ჭორიკანა დედაკაცი ისე ერთს საათსაც ვერ გასძლებს, თუ რამე არ მოიგონა.

— არა, ეს კუდიანი საშიშოა. საცა სხვას დანახვა ან გაგონება შეუძლია, ის სუნით გაიგებს ხოლმე. ის აძლევს დარიგებებს სტეფჩოვს, იგივე აწვალებს და სულსა ჰხდის საწყალ რადას...

— არ გახსოვს, შენც მოგიგონა, ჯაშუშიაო? გეუბნები— უბრალო ენა-ტარტარა დედაკაცია-მეთქი.

— მაგრამ შენზე რაცა სთქვა, ხომ მართალი იყო... იცი? სტეფჩოვს ხვალ დილას ნიშნობა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმს ფერი ეცვალა.

— ლალკასა ნიშნავს?

— ჰოდე.

— შენ საიდან გაიგე?

— რადასაგან .. ჰაჯი როვოამა, რა თქმა უნდა, მაჭანკალია. ხოლო მძახლებად ჰაჯი სმიონი, ეს ყველგან არსი, და ალაფრანკა არიან.

ექიმი თავს ვერ იმაგრებდა მღელვარებისაგან და ფეხს მოუჩქარა. ოგნიანოვმა გაოცებით შეჰხედა.

— ექიმო, შენ ჩემთვის არ გითქვამს, რომ გული თავისუფალი არა გქონდა.

— მე ლალა მიყვარს,—წარბ-შეკვრით უპასუხა ექიმმა.

— იმანაც იცის, რომ გიყვარს?

— იმასაც უყვარვარ... ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სტეფჩოვზე მეტად მოვსწონვარ. მხოლოდ არა მგონია, რომ თავდავიწყებით ვუყვარდე. — ეს რომ სთქვა, სოკოლოვს ძალაუნებურად სახე წამოუჭარხლდა.

შენს საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ლალას, შენ რომ გგონია, იმაზე მეტად უყვარხარ, — კარგად ვიცი ეს ამბავი,—უთხრა ოგნიანოვმა და თანაგრძნობით დაუწყო ყურება ექიმს.

— შენ საიდან იცი? — ჰკითხა ექიმმა და უარესად გაწითლდა.

— რადამ მითხრა, ხომ იცი, მეგობრები არიან. ლალკას რაც გულში აქვს, რადას ყველაფერს ეუბნება. შენ ვერ წარმოიდგენ, რამდენი ცრემლი დაღვარა საბრალო ქალმა, როცა შენ კარლოვოში წაგიყვანეს და ან რა რიგ ცას ეწია სიხარულით, როცა გაგათავისუფლეს! რადა ყველაფერსა ხედავდა.

— საწყალი გოგონა,—ჩაილაპარაკა ყრუდ ექიმმა,—თავს მოიკლავს, თუ იმას მიათხოვეს...

— რატომ აქამდინ არ დანიშნე?—ჰკითხა გულმტკივნეულად ოგნიანოვმა.

ექიმმა გაოცებულის თვალებით შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა არ იცი, რომ იმის მამას თვალის დასანახად ეკ-ჯავრები?

— მაშ მოიტაცე!

— ახლა? როცა ხალხი უნდა ავაჯანყოთ? შეიძლება ამ ორის წლის უკან მოხდეს აჯანყება, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ხვალაც მოხდეს ეს ამბავი, ვინ იცის? ასეთს არეულ დროს აზრადაც არ მოვდის—ცოლი შევირთო... ცოდვა არ არის, საწყალი ქალი ჩემი გადამკიდე, დაიღუპოს?

— მართალი ხარ,—ფიქრის შემდეგ უთხრა ოგნიანოვმა,—აი ამ მოსაზრებით ვერც მე ვბედავ რადაზე ჯვარი დავიწერო; ეს გარემოება რომ არ მიშლიდეს ხელს, ამ საუცხოვო ობოლს ქალს ათას ტანჯვა-წვალებისაგან ვიხსნიდი და გავაბედნიერებდი... ღირსია ბედნიერებისა—მეტად კარგი რამ არის, ძმაო! ახლა კი თავს იკლავს, ხელ-ფეხ შეკრულია, თავისი ბედი ჩემს ბედს გადააბა... საწყალი!

ოგნიანოვს სახე მოელრუბლა.

ხედავდა, ექიმს ძალიანა სტანჯავს ლალკას მდგომარეობაო, და მისის ტანჯვით თითონაც იტანჯებოდა.

— ეს საზიზღარი დუელში უნდა გამოვითხოვო! უნდა მოვკლა!... თუ მზე არ დავუბნელე, სხვებს დაღუპავს!—ცეცხლივით იფეთქა ერთბაშად ოგნიანოვმა.

ორივე მეგობარი სახე-მოღუშულები იდგნენ.

— გინდა, წავალ და საყავეში სილას გავარტყამ?

— იმასაც ისე მოინელებს, როგორც ბევრი სხვა მოინელა... ამ კაცმა სირცხვილ-ნამუსზე, დიდიხანია, ხელი აიღო... გარდა ამისა, ამით საწადელს ვერ ვეწევით.

— მთელს ქალაქში თავი მოეჭრება.

— იურდან დამიანდსა რომ ჰკითხო, სილა კაცისათვის სასირცხვილო სრულებით არ არისო.

— მაგრამ თავის საცოლოს თვალში თავს შერცხვენილად ჩასთვლის.

— ლალკას ვინ რასა ჰკითხავს! გარდა ამისა, მამის სიტყვა კანონად მიაჩნია,—უპასუხა დაღონებული სახით ექიმმა და ხელი გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიდიხარ? არ დაგავიწყდეს, საღამოს მღვდელ სტავრასთანა ვართ დაპატიჟებულნი.

— არა, მე იქ წასვლის გუნებაზე არა ვარ, შენ მარტო წადი.

— არა, ორივე ერთად უნდა წავიდეთ. დავპირდით. მღდელი სტავრო, მართალია, დიდი ჭკუის პატრონი კაცი არ არის, მაგრამ პატიოსანია... იმასთან, შეიძლება, რამე გზას დავადგეთ.

— კარგი, გელოდები.

ესა სთქვეს და მეგობრები ერთმანეთს გაშორდნენ.

ოგნიანოვი სასწავლებელში წავიდა. ოთახში მარტო მერდვენჯიევი დახვდა, რომელიც დიდი გულმოდგინებით კითხულობდა რაღაც ოსმალურს წიგნს. ოგნიანოვმა გამარჯვებაც არ უთხრა. იმ თავითვე შეეზიზღა ეს კაცი, რომელსაც ერთი ხელით საარშიყო ლექსების წიგნი დაჰქონდა და მეორე ხელში ოსმალური გრამმატიკა ეჭირა. მისმა წერილმა, რადასთან გაგზავნილმა, აგრეთვე სტეფჩოვის წინ მლიქვნელობამ ეს გრძნობა ზიზღისა უფრო გაუძლიერა. ოგნიანოვი აღელვებით დადიოდი ოთახში და თუთუნის კვამლს ბოლქვა-ბოლქვად უშვებდა პირიდან.

ექიმთან ნალაპარაკევი თავიდან არა შორდებოდა და მგალობელს ერთი ბეწო ყურადღებასაც არ აქცევდა; მაგრამ ამ დროს მაგიდაზე თვალი მოჰკრა გაზეთ „დუნაი“-ს უკანასკნელ ნომერს. ეს გაზეთი მხოლოდ ერთი ცალი მოდიოდა ქალაქში და იმასაც მერდვენჯიევს უგზავნიდნენ მისნი მფარველნი ოსმალონი.

ეს გაზეთი ნახევარი ოსმალურად იბეჭდებოდა და ნახევარი—ბოლგარულად. ოგნიანოვმა ბოლგარულ ნაწილს უგულოდ გადაავლო თვალი და, ის იყო, უნდა წასულიყო, მაგრამ მსხვილის ასოებით დაწერილმა ამბავმა ერთბაშად მიიპყრო მისი ყურადღება. მღელვარებისაგან თავს ძლივას იკავებდა, მაგრამ მაინც შემდეგი წაიკითხა:

„დიარბექირის ციხიდან ტუსაღის გაქცევა. ივანე კრალიჩი, ქალაქ ვიდინოელი, დუნაის თემისა, 28 წლისა, მაღალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავთვალებიანი, გრუზა თმიანი, შავგვრემანი, 1868 წელს მოშ-ხდარ ამბოხებაში მონაწილეობას იღებდა, ამისათვის მიუსაჯეს საუკუნო დამწყვდევა დიარბექირის ციხეში და იქიდან გამოიქ-ცა ამ წლის მარტში; ახლა მისის დიდებულების სულთანის სამპყრობელოში იმალება; მთავრობა ეძებს და ამ გაქცეულის ნიშნებიც იმან გამოაცხადა. მაშასადამე, ფადიშაჰის ერთგულნი ქვეშევრდომნი ვალდებულნი არიან, თუ არ უნდათ სასტიკად დაისაჯნენ ურჩობისათვის კანონის მიერ, უჩვენონ მთავრობას ან მიჰგვარონ ხსენებული გამოქცეული დამნაშავე, თუ ნახეს სადმე და იცნეს, რათა ღირსეულად დასჯილ იქმნეს იმპერა-ტორის სამართლიან კანონის თანახმად.“

ოგნიანოვმა თავს ძალა დაატანა, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა: სახე გამოეცვალა, ტუჩები გაუფითრდა. სრულებით მოულოდნელი იყო მისთვის ამ ამბის წაკითხვა. უცბად მგა-ლობელს შეხედა. მერდვენჯიევი არც კი განძრეულა, სულ წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. ეტყობოდა, ოგნიანოვს მღელვარება ვერ შეამჩნია და, ალბად, ეს სტატია საინტერესოდ არ ეჩვენა და ყურადღება არ მიაქცია. ოგნიანოვს ცოტ-ცოტად დაუბრუნ-და გულის სიმშვიდე. პირველადვე ის იფიქრა—ეს საშიში სა-ბუთი უნდა გავაქროვო. თავს ძალა დაატანა, დაივიწყა მგა-ლობლისადმი ზიზღი და გამოეხმაურა.

— ბაი მერდვენჯიევ, — უთხრა დამშვიდებულის კოლო-თი,—ეს ნომერი ხომ არ წაგიკითხავთ? თუ წაიკითხეთ, მათ-ხოვეთ. სახლში წავიღებ და იქ გადავათვალიერებ. საინტერესო ახალი ამბები სწერია.

— ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ შეგიძლიათ წაიღოთ,— უპასუხა ზლაზვნით მგალობელმა და ისევ გაერთო წიგნის კი-თხვაში.

ოგნიანოვმა საბედისწერო ნომერი „დუნაი“-სა ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. უხაროდა, ეს ერთად-ერთი ნომერი მოდის ბელაია-ცურკოვში და ამასაც მე გავაქრობო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX

ხაფანგი

კირიაკ სტეფჩოვმა დღეს საყავეში ბრძოლის ველი იმიტომ დასტოვა, რომ მერე ისევ დაჰბრუნებოდა ამ ველს, უფრო საიმედო იარაღით აღჭურვილი.

მთელი არსება მისი მოიცვა სიძულვილმა. მთელი ცხოვრება ბოროტების მეტი არა უქნია-რა, ასე რომ მის გულში სათნოებას მეტად ცოტა ადგილი ეჭირა. ახლა კი ამ კაცის სიძულვილმა ეს მცირედი პატიოსნებაც განუდევნა გულიდან. ახლა თვალში ამოიღო ოგნიანოვი და იმას-ღა ცდილობდა— დაეღუპნა ეს კაცი, მისი ხსენება გაექრო. საშუალებაცა ჰქონდა გულის ნადების ასასრულებლად. რა ჭორები არ გაავრცელა ოგნიანოვის შესახებ, რა არ მოუგონა, მაგრამ ამან ვერაფერი უშველა; პირიქით, ბოიჩომ ეს ცილისწამებანი და ჭორები ძლევამოსილობით გააქარწყლა და საზოგადოების თვალში უფრო ამაღლდა, გული მოიგო ყველასი, ყველანი მისი მომხრენი შეიქმნენ. განსაკუთრებით, „გენოვევას“ წარმოდგენის ღამეს დარწმუნდა კირიაკი, რომ საზოგადოება ოგნიანოვს ექომაგება და იმას უჭერს მხარსაო. სტეფჩოვის ალაგას მიხალაკი ალაფრანკა რომ ყოფილიყო, დამშვიდებული სინიდისით გასცემდა ოგნიანოვს, თანაც იტყოდა, სიკეთესა ვშვრებიო. კირიაკი კი, თუმცა სულმდაბალი იყო, მაინცა ჰგრძნობდა, რომ ასეთი საქციელი საზიზღარია, არავინ მოუწონებსო; დიაღ, ჰგრძნობდა, მაგრამ მაინც თავი ვერ შეიმაგრა. შურისძიების წყურვილი ახრჩობდა, გონებას უკარგავდა. გადასწყვიტა ოგნიანოვის დაღუპვა, მაგრამ ისე კი, რომ არავის გაეგო მისი სისაძაგლე...

— დიაღ, ამ მაწანწალის გვარი ოგნიანოვი არ არის და არც ლოზენგრადელია,—ეს ერთი; მეორედ, ეს იყო, პეტკანჩევის ქუჩაზე რომ გამოეკიდნენ პოლიციელნი, აკრძალული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებიც იმისი იყო... ექიმი სოკოლოვი სწორედ იყო ამ ბეის ცოლთან... ჰაჯი როვოამა მართალს ამბობს... ამის შესახებ ცოტა რამ პოლიციელმა ფილუმაც მითხრა... აღკრძალული წიგნები ბეის ცოლმა გამოსცვალა... როგორ—ის კი არ ვიცი... მესამეც, მაგრამ ამასაც მალე გავიგებთ... იმისთვის ყველაზე უარესი ის იქნება—დიარბექირის მაგიერ სახრჩობელაზე აგზავნონ... შევმუსრავ, გავაქრდბ ამ უკადრისსაო!

სტეფჩოვმა მერდვენჯევს პირობა მისცა, საქალებო მონასტერში გნახავო, და ახლა იქითკენ მიდიოდა.

— შენ მართალი გითქვამს,—უთხრა კირიაკმა როვოამას, როცა მის ოთახში შევიდა.

— ღმერთმა გიშველოს, კირიაკ, მე კი მეგონა, ცოტათი ავაცდინე ნიშანსა-მეთქი,—ხუმრობით უპასუხა მონაზონმა, რომელიც კარგად ვერ მიხვდა, რის შესახებ ელაპარაკებოდა სტეფჩოვი.—უკან ვინ მოგდევდა, რომ საბერველივითა ქშინავ?

— ეს-ეს არის, ოგნიანოვს წავეჩხუბე...

— ამ წყეულმა ყმაწვილმა სულ გადარია ჩვენი სულელი რადა...—უთხრა გაკაპასებულმა მონაზონმა,—რაღაც აღკრძალული ლექსები მისცა გასაზეპირებლად... სწორედ ღვთის რისხვა დატრიალდა! ახლა მოხუცი, თუ ახალგაზდა ამ ლექსებსა მღერიან... საცაა, მთელს ქვეყანას მოედება ცეცხლი. ერთნი სწვალობენ, წელებზე ფეხს იდგმენ, ჭიანჭველებსავით მუშაობით სულს ირთმევენ, მეორენი კი მოდიან, პირველთა მონაგარს ანაცარმტუტებენ და ქარს აძლევენ... მერე იტყვიან კიდეცა—ადამიანებიცა ვართო! ადამიანები კი არა—ავაზაკები ჯ ჩამოსახრჩობები არიან... ჩვენი რადაც იმათში ერევა!... წმიდაო დედაო ღვთისაო! ან-და იმ ღამეს, რა საზიზღარი სიმღერებსა მღეროდნენ თეატრში; ნეტავ ვიცოდე, ოსმალოს მთავრობას სძინავს თუ რა ემართება?

— მე ოგნიანოვს ძალიან წავეჩხუბე და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავაქრო,—წარმოსთქვა ბრაზ-მორევით სტეფჩოვმა, მაგრამ მოაგონდა, უჭკუობა რამ იქნება ასეთს ენაჭარტალა მონაზონს მივენდოვო. და დაუმატა:—ესე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი, პოლიცია გამოიძიებს და გაიგებს ყველაფერს... მხოლოდ თქვენ კი არსადა სთქვათ!

— ნუ თუ არ მიცნობ?!

— გიცნობ და კიდევაც იმიტომ გეუბნები, არსადა სთქვა-მეთქი.

ამ დროს გარედან ნაბიჯის ხმა შემოისმა. სტეფჩოვმა სარკმელში გაიხედა და სიხარულით წამოიძახა:

— მერდვენჯიევი მოდის! აბა რა ჰქენი?—ჰკითხა სტეფ-ჩოვმა მგალობელს.

— დათვი ხაფანგში გავაბით,—უპასუხა მერდვენჯიევმა.

— როგორ? რა გითხრა?

— გაყვითლდა, ხუთას ნაირად ფერი ეცვალა, კანკალი აუვარდა... ის არის!

— მერე და რაღა გითხრა?

— წასაკითხად მათხოვეო. პირველად მთხოვა გაზეთი, თო-რემ მანამდე არც გაზეთი უთხოვნია, არც ჩემთვის ხმა გაუ-ცია.

სტეფჩოვი ტანში გასწორდა და სიხარულისაგან ტაში შე-მოჰკრა.

— რა იყო?—ჰკითხა გაოცებულმა ჰაჯი როვოამამ.

— და იჭვიც არა აქვს, რომ განსაცდელი მოელის?—ჰკი-თხა კირიაკმა.

— სულაც არა... მე თავი მოვიკატუნე, ვითომ წიგნსა ვკითხულობდი და ვერაფერსა ვხედავდი, ის კი არა—ყველა-ფერი დავინახე: დათვს ვითომ ეძინა, მაგრამ ყურები დაცქვე-ტილი ჰქონდა,—დაუმატა ამაყად მერდვენჯიევმა.

— ყოჩაღ! ამბავიც ოსტატურად არის დაწერილი. ეტყო-ბა, საუცხოვო რედაქტორი ჰყავს გაზეთსა!

— მხოლოდ შემდეგშიაც არ დამივიწყოთ... მომეხმარეთ და ადგილი რომ განთავისუფლდება, მე არ ამცდეს.

— არხეინად იყავი.

მგალობელმა ხელით გადაუხადა მადლობა, ოსმალურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მგონია, ურიგო არ იქნება, იმ პოპოვსაც მოვდოთ რამე შარი... შენ ისე გიყურებს, როგორც მგელი, ისიც კრალიჩის ხროვისაგან უნდა იყოს გამოსული.

— კრალიჩი ვილაა?—ჰკითხა ხელახლა ჰაჯი როვოამამ, გაკვირვებულმა,—ამდენი ამბავი ყოფილა და რატომ მე არაფერი ვიცოდიო!

სტეფჩოვმა პასუხი არ გასცა მონაზონს. ფიქრებში გართული, გონება დაფანტულსავით იყურებოდა სარკმელში.

— იცი? გუშინ სამოსწავლო საბჭოს კრება ჰქონდა,— უთხრა მერდვენჯიევმა.

— ვინ და ვინ დაესწრო?

— ყველანი იყვნენ... მიხალაკიმ წინადადება შეიტანა, ოგნიანოვი სკოლიდან დავითხოვოთო. მაგრამ სხვები გამოექომაგნენ. ყველაზე მეტად მარკო ივანოვმა გამოიდო თავი... გადასწყვიტეს ბოლოდ, იმ სიმღერისათვის შენიშვნა მივცეთო. ერთის სიტყვით, არაფერი გამოვიდა.

— ბაი მარკოს ეს კრალიჩი შეუყვარდა, მაგრამ, როცა იქნება, ინანებს... ნეტავ ვიცოდე, ამ ხეპრეს რა უნდა! მიჩომ რალა სთქვა?

— ბაი მიჩოც ოგნიანოვის მომხრეა.

— აბა მე კი არ ვიცოდი!... ძაღლი ძაღლის ტყავს დახევს! მიჩოც, საცა შევა, მთავრობასა ლანძღავს, მარკოსავით.

— ეტყობათ, წერას აუტანიათ,—ჩაერია მათს ლაპარაკში ჰაჯი როვოამა.

— გრიგორი? პენკოვი?

— ისინიც ოგნიანოვს ეტმასნებიან.

— მაშ შეჩვენებული ვიყო, თუ იმათ სკოლა არ დავახურვინე... მაშ ულვაშები არ მსხმია, თუ მათი სკოლა მხოლოდ ბუებისა და ღამურების საცხოვრებლად არ გავხადე!— დაიყვირა გაშმაგებით სტეფჩოვმა და სენაკში აჩქარებულად ბოლთის ცემა დაიწყო.

— ისე, ისე, მღვდელი ალაგმე, თუ გინდა მრევლი დამშვიდდეს! ამ სკოლიდან ვრცელდება გარყვნილი და საწინააღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგო ლექსები,—ბანი მისცა მონაზონმა;—მაგრამ ერთი ეს მითხარ, კირიაკ, ე კრალიჩი ვილაა?

— კრალიჩი? მეფე, მომავალი მეფე ბოლგარეთისა,—უპასუხა დაცინვით სტეფჩოვმა.

მერდვენჯიევმა ქუდი ხელში დაიჭირა და კარი გააღო.

— მაშ ჩემი საქმისა არ დაგავიწყდეს, კირიაკ,—უთხრა მუდარის კილოთი მგალობელმა. საწყალ მერდვენჯიევს ეგონა, რომ ოგნიანოვს მხოლოდ დაითხოვენ მასწავლებლობისაგან და იმისი ადგილი მე დამრჩებაო.

— ეს გადაწყვეტილი საქმეა...

სტეფჩოვი მარტო დარჩა მონაზონთან, რომ მეორე მძიმე საქმის გამო მოჰლაპარაკებოდა, სახელდობრ ლალკის დანიშვნის შესახებ... ბინდისას კირიაკი კონაკში წავიდა.

პიპერკოტის ქუჩაზე სტეფჩოვს მიხალაკი ალაფრანკა შემოხვდა.

— საით?—ჰკითხა მიხალაკიმ.

— იცი? „დუნაიმ“ ოგნიანოვს ნიღაბი ახადა: მთელი მისი ცხოვრებაა აწერილი შიგ! დიარბექირიდან გამოქცეული ყოფილა და ეხლა ყველგან დაეძებენ... ხატსა და ჯვარზე დავიფიცავ, რომ ის არის... სახელიც სხვა რქმევია...

— ეხლა რაღას ჰფიქრობ, კირიაკ? ოგნიანოვი—საშიში კაცია, ის უდანაშაულოებსაც ჩაითრევს და დაჰღუპავს... მე გუშინვე ვუთხარი სხვებს, ეს კაცი დავითხოვოთ, ჩვენთვის გამოუსადეგარია-მეთქი. ეხლა სადღა მიდიხარ? დაუყოვნებლივ ბეის გამოუცხადე, რომ იმან მოუხერხოს რამე...

— ეს ჩემი საქმე არ არის, მე გაზეთიც არა მაქვს, გაზეთი მერდვენჯიევთან არის და იმან იცის ყველაფერი,—უპასუხა სტეფჩოვმა; უნდოდა, მე არ დამწამონ ოგნიანოვის გაცემაო, და ცბიერულად მერდვენჯიევს ახვევდა ყველაფერს თავზე, იმისი სახელიც განგებ ახსენა.

— გამოუცხადე, გამოუცხადე ბეის, ამით დიდს სამსახურს გაუწევ მოქალაქეთ,—განიმეორა მიხალაკიმ სრულიად ბუნებრივის სახით, თითქო სტეფჩოვს ბაზარში გზავნის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზის ყიდვას ავალებსო.—დიაღ, ხვალ კი მე და ჰაჯი პაპი იურდანთან მივდივართ... კვანძი გამონასკულია.—ეს უთხრა და მიხალაკიმ ხელი ხელზე მოუჭირა.

— მერსი, მერსი.

სრულიად ჩამობნელდა. სტეფჩოვმა და მიხალაკიმ ერთ ხანს კიდევ იჩურჩულეს ბნელაში და ერთმანერთს გაშორდნენ.

სტეფჩოვი გზას დაადგა და თავისი საყვარელი ოსმალური სიმღერა შემოსძახა. აქედან პირდაპირ კონაკში მიდიოდა.

XXI

სტუმრად მღვდელ სტავრასთან

საუცხოო საღამო იყო, როცა ოგნიანოვი და სოკოლოვი მღვდელ სტავრის სახლში სტუმრად წავიდნენ.

მღვდელი სტავრი თითქმის ქალაქის განაპირას სცხოვრობდა. ორთავე მეგობარმა ჩუმად გაიარეს რამდენიმე ბნელი ქუჩა. ორივე თავ-თავიანთს ფიქრებში იყვნენ გართულნი. ოგნიანოვმა გაზეთი „დუნაი“ დახია და ამიტომ ცოტათი დამშვიდდა. მერდვენჯიევი მეორედაც დაინახა და მის სახეზე საეჭვო ვერაფერი შეამჩნია. მაინც იჭვი შეეპარა გულში და ეს მოსვენებას არ აძლევდა. ექიმი, რა თქმა უნდა, ოგნიანოვზე ნაკლებ არ იყო დადარდიანებული.

რაც უფრო შორდებოდნენ ქალაქის შუაგულს, ქუჩებზე მოძრაობა თანდათან სწყდებოდა. ვიწრო და მრუდე ქუჩებზე არცარავინ მიდიოდა და არცარავისი ხმა ისმოდა. მხოლოდ ძაღლების ყეფა ხშირდებოდა.

— შეხე, ვილაცაა!—უთხრა ექიმმა და კაცის ჩრდილი ანიშნა, რომელიც კედელს ეფარებოდა. იმავ წუთას უცნობი გაიქცა კიდეც.

— შეეშინდა! მოდი, დავეწიოთ და გამოვკითხოთ,—გამარჯვება რისთვის არ გვითხრა,—უთხრა ოგნიანოვმა და უცნობს გამოუდგა.

ექიმს თავისი დარდი აწუხებდა და გაქცევის გუნებაზე სრულებით არ იყო, მაგრამ ისიც დაედევნა ოგნიანოვს.

უცნობი ძალიან ჩქარა მირბოდა. ეტყობოდა, კაი კაცი არ იყო, ან და ჰფიქრობდა, ცუდი კაცები მომდევენო. ძალიან ჩქარა გაუსწრო თავის მდევრებს იმიტომ, რომ თუ გამბედაობა მკლავებს ფრთას ასხამს, შიში ფეხებს აქცევს ხოლმე ფრთებად. მეგობრებმა დაინახეს, ქარს მივსდევთო და თავი დაანებეს. უცნობმა რომელიღაც ჭიშკარში თავი შერგო და მიიჩქმალა. ორივე მეგობარმა გაიცინეს.

— ამ საწყალს კაცს რისთვის მივსდევთ?—ჰკითხა ექიმმა.

— მე მეგონა, სტეფჩოვის ჯაშუშია-მეთქი... საღამ-საღამოობით დაცინვის ლექსებს ჰფანტავენ ქალაქში. ახლა მინდოდა ქურდი ქურდობაზე დამეჭირა.

სოკოლოვმა ისევ ფიქრებს მისცა თავი.

— სადღა მიდიხარ, ექიმო? მღვდლის სახლი ხომ აქ არის!— დაუძახა ოგნიანოვმა და ჭიშკარი დაარახუნა.

გონება-დაფანტული ექიმი დაბრუნდა.

ჭიშკარი გაიღო და სიბნელეში გამოჩნდა მღვდელ სტავრის ტანი.

— ირეკდით და განგელოთ! შემოდით! ექიმო! გრაფო!— მიეგება მხიარულად მღვდელი სტავრი.

როგორც უკვე ვთქვით, ოგნიანოვს გრაფის სახელი შერჩა; მხოლოდ ბეი ეძახდა კონსულს. თეატრში საზოგადო თანაგრძნობა მოიპოვა გენოვევის ქმარმა და, რადგან ქმრის როლს ოგნიანოვი ასრულებდა, ხალხი იმას წარმოდგენის შემდეგაც თანაგრძნობით ეკიდებოდა. ქუჩაში რომ დაინახავდნენ ბავშვები ოგნიანოვს, დაუწყებდნენ ძახილს: „გრაფ, გრაფ"; და მისცვივდებოდნენ,—თავზე ხელი გადაგვისვი და მოგვიალერსეო. მღვდელი სტავრი პირველში ოგნიანოვის წინააღმდეგი იყო, მაგრამ წარმოდგენის შემდეგ იმის მომხრე შეიქნა.

ზევითა ოთახიდან სალამურის ხმა გამოდიოდა. როცა მღვდელმა სტუმრები შეიყვანა, ოთახში უკვე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. სტუმრებმა, სხვათა შორის, დაინახეს კანდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიც, ნიკოლა ნეტკოვიჩიც და უსინათლოც. განჩომ, მღვდელ სტავრის შვილმა და ბოიჩოს მეგობარმა, კიდევ მოიტანა არაყი და მეზე,—მწვანილისაგან გაკეთებული საჭმელი,—რომელსაც ზეითუნის ზეთი ჰქონდა მოსხმული და სქლად წიწაქა-მოყრილი. სალამურის ხმა შესწყდა.

— კოლჩო,—დაუძახა ნიკოლა ნეტკოვიჩმა,—კიდევ დაუკარი.

კოლჩომ ისევ აიღო სალამური ხელში და რამდენიმე ევროპიული სიმღერა საუცხოვოდ დაუკრა.

— ეი, მოიტათ არაყი და მეზე, რომ სალამურს ხმა მოვუვიდეს; მე კი სულ დაგავიწყდით,—უთხრა ბრმამ და სალამური გვერდზე გადასდო.

— ბარაქალა, კოლჩო! ვისაც თავისი თავი ახსოვს, იმას სხვაც არ ივიწყებს,—უთხრა მღვდელმა.

კოლჩომ ხელი მოუსვა და ჰკითხა;

— ბაი ოგნიანოვი, შენა ხარ? გმადლობ... ყველანი გრაფს გეძახიან, მაგრამ, ერთის მცირედის მიზეზის გამო მე არ შემეძლო თეატრში გრაფად დამენახე.

სტუმრებმა სიცილით ერთმანერთს გადახედეს.

— ბაი კოლჩო, ერთი ბერების საგალობელი გვიგალობე,—სთხოვა ოგნიანოვმა.

კოლჩომ დიდებულად დაიჭირა თავი, ჩაახველა, ხმა ჩაიწმინდა და დაიწყო გალობა. თანაც ცდილობდა მიებაძნა მოხუც დიაკვან ჰაჯი ათანასესათვის:

— აკურთხე, უფალო, მონანი შენნი: ქალბატონი სერაფიმა და მშვიდი ქერუბიმა; შავგვრემანი სოფიო და ბამბიქულა რიპსილია; ბუთხუზა მაგდალინა და მიკნავებული ირინე; ქალბატონი პარასკევა—უმზაკვრო ქალწული, და ჰაჯი როვოამა—უცოდველი ქალბატონი...

კოლჩომ ყველა მონოზნები ჩამოსთვალა. თვითეულ მათგანს სულ წინაალმდეგი თვისება და ხასიათი მიაჩემა, ვიდრე ჰქონდათ.

საზოგადოება სიცილით იჭაჭებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან თავი აუშვით, სუფრას მოუსხედით! არა გრცხვენიათ, ღვთის რძლებს დასცინით!—ხუმრობით შეუტია სტუმრებს მღვდლის ცოლმა.

ყველანი ვახშმად დასხდნენ.

მღვდელმა სტავრიმ სუფრა აკურთხა და ყველანი მადიანად ჭამას შეუდგნენ; მხოლოდ სოკოლოვი სჭამდა უკულოდ. მღვდელს წინ ედგა უშველებელი ბოთლი, ქარვისფერ ღვინით სავსე, და ისიც ყველას უსხამდა.

— ღვინო ახარებს გულსა კაცისასა და განამაგრებს სხეულსა,—იძახდა მღვდელი და ყველას რიგ-რიგად უვსებდა თასებს.—გრაფო, დალიე!—ნიკოლჩო, კარგად დაეწაფე, არ შემარცხვინო!—კანდოვ, გამოსცალე, შენ რუსი ხარ, სმა უნდა იცოდე!—ეჭიმო, კარგად დაისველე ხახა, ეს წამალი არ გეგონოს, მადლია უფლისა.—კოლჩო, გადუძახე, შვილო, გადუძახე, მერე რუმინული სიმღერა გვიმღერე: „ლინო, ლინო, აქეთ გადმომხედე“...

მღვდელმა სტავრომ მეტად გაამხიარულა თავის ოხუნჯობით საზოგადოება, უსხამდა და ხელ-ახლა უღვიძებდა ღვინის სმის მადას მოსუფრალთ, თასები ივსებოდა, ერთმანერთს ეჯახებოდა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა.

ვახშმის შემდეგ უფრო გაცხოველდა ლაპარაკი; ბევრ რაზედმედაც ჩამოაგდეს ლაპარაკი. რა თქმა უნდა, მოიგონეს „გენოვევა“ და სტვენა სტეფჩოვისა, რომელიც მღვდელმა სტავრიმ უბოდიშოდ შესაფერის სახელით მოჰნათლა. ოგნიანოვმა ოსტატურად გამოსცვალა ლაპარაკის საგანი და, სხვათა შორის, ღვინოების ღირსების შესახებ დაიწყო სჯა-ბაასი. მღვდელ სტავრისაც ეს უნდოდა და მაშინადვე ჩამოსთვალა—რომელი ღვინო რა ღირსებისა იყო. პიკლინდოლის ღვინო ყველა შამპანურ ღვინოებსა სჯობიანო.

— ეს ღვინო მზესავით ათბობს კაცს, ოქროსავით ენთება, სამართებელსავით სჭრის. ეს ღვინო რომ დაელია, დავით წინასწარმეტყველი გაახალგაზდავდებოდა... ათი წვეთი ამ ღვინისა კაცს ფილოსოფოსად აქცევს, ორმოც და ათი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფედ, ასი წვეთი—წმიდანად!—ისე აღტაცებულად წარმოსთქვა სტავრიმ, რომ დაყუდებულ ბერსაც კი ნერწყვს მოჰგვრიდა პირზე.

მალე ყველამ აიდგა ენა, მოულოდნელად ქუჩიდან მხიარული სიმღერა მოისმა. რომელიღაც ახალგაზდა კაცი, რაც ხმა ერჩოდა, გასძახოდა.

„ვინ უყიდის მძივებსა
ტუდურკინის ლამაზ მილკას,
ლამაზ ვერცხლის მძივებსა?

„მე მიყიდის კირიაკი,—
სულერთავად ვატარებ,
იმას კი გავახარებ!

„ვინ უყიდის თეთრსა კაბას
ტუდურკინის ლამაზ მილკას,
თეთრსა კაბას—ატლასისას?

„მე მიყიდის კირიაკი,—
სულერთავად ვატარებ,
იმას კი გავახარებ!...“

სიმღერა გაათავა ყმაწვილმა და ქუჩაში სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ ამ სიმღერამ ყველა ალაპარაკა მღვდელ სტავრის მეზობელ მილკა ტუდურკინის შესახებ. მილკა ლამაზი ქალი იყო, მაგრამ თავი ნამუსიანად არ ეჭირა. ქალაქში, ვინ იცის, რაებს არა ლაპარაკობდნენ მის შესახებ და რაკი ერთი და ერთი გაუტყდა სახელი, ყველას ისა ჰყავდა ყბად აღებული. პატივცემული მამები ამ ქუჩისა საგონებელს მიეცნენ: ჩვენც გვყავს ქალები და ვაი თუ ბაძით ისინიც გაურცხვდნენო. მილკას მშობლებს ურჩიეს მეზობლებმა, ლილო ბაკირჯიჩის შვილს ჩაჩკოს შენი ქალი გაგიჟებით უყვარს და მიათხოვეო. მაგრამ რაჩკოს მშობლები უარზე იდგნენ: ჩვენ შვილს იმ უნამუსოს როგორ შევრთავთო?

მიზეზი რა არის, რომ ლილო ბაკირჯიჩს მილკას სახელის გაგონებაც კი არ უნდა?—იკითხა მღვდლის ცოლმა,—მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვინ უნდა შერთოს თავის კოლოს მსგავს რაჩკოს? იქნება, ჩორბაჯისა ან ვინმე დიდკაცის ქალი სურს რძლად? მილკას რას უწუნებს, ნეტავი: ახალგაზდაა, ლამაზია... მართალია, შესცდა, მაგრამ უჭკუობით მოუვიდა, მთელი სიცოცხლე უჭკუო ხომ არ დარჩება! რაც ხანი გავა, უფრო ჭკუას მოიკრეფს... თუ კი ერთმანეთი უყვართ, რაღას უცდიან, დაიწერონ ჯვარი და მორჩება... იცხოვრონ ერთად სიყვარულით, როგორც ღმერთმა ჩააგონოთ. ახლანდელზე უარესად ხომ არ იქნებიან?

— თითონ ვაჟიც სულელია, სხვებიც არ უსვენებენ,—სთქვა მღვდელმა სტავრიმ;—საცა კი კინტო-ბიჭები მოიყრიან თავსა, მაშინათვე იმაზე დაიწყებენ ლაპარაკს, ხან ლექსს გამოუთქვამენ... რას იზამ? ქვეყანას პირს ვინ აუკრავს? ხომ მოგეხსენებათ ზოგიერთის ამბავი,—ერთს ასად აქცევენ, რწყილს აქლემს აშობინებენ! არც მილკა ტუდურჩინისამ მოიხვეჭა კაი სახელი! იმის მამას ვუთხარი, როცა ვაჟი მოვიდეს შენს ქალთან, დაიჭირე და ჯვარი გადასწერე-მეთქი. ჯვარის-წერის შემდეგ ყველაფერი დაავიწყდება ხალხსა-მეთქი.

— წინად კი აბობდნენ, ჩორბაჯი სტეფჩოვის შვილს უნდოდა მისი შერთვაო. — სთქვა ერთმა დედაკაცმა; — მაშინ ქალიც ნამუს-ახდილი არ იყო.

— ვინ იცის, ვის არ ურიგებდნენ!... მაგრამ, ბოლოს, გატეხილი სახელი შერჩა ხელში,—ჩაერია მეორე ქალი.

— იცით, კირიაკ სტეფჩოვი ხვალ ლალკა იურდანოვისას ნიშნავს?—ხმა გასცა მესამემ.

ამ სიტყვებმა ექიმს გველსავით უკბინა გულზე.

— ვინ არ იცის, რომ სტეფჩოვს ხარბი თვალები აქვს?!.— სთქვა მღვდელმა სტავრიმ.

— მილკას კი მოსწონს რაჩკო?—იკითხა ოგნიანოვმა და უნდოდა სიტყვა ბანზე აეგდო.

— აბა როგორ გითხრათ?—ჩუმჩუმად კი დაძვრებოდა ქალთან. ეტყობა, ქალსაც მოსწონდა, თორემ რა შვილს გაატარებდა თავისთან!... ამდენი ლარი და ხაზი რა საჭიროა! კაცმა

ორივე უნდა დაიჭიროს და ციმციმ ჯვარი გადასწეროს, მაშინ ხალხიც გაჩუმდება, სალაპარაკო შემოელევა... უფალო იესო ქრისტე... დამიფარე მე ცოდვილი... ხვალ ანდრიობაა და მე კი სულის წასაწყმენდ საგნების შესახებ ვლაპარაკობ. განჩო, აბა ერთი დოლნორეჩული ღვინო დაგვისხი ჯამზე, უნდა ყელი დავისველო, თორემ სულ გამიშრა... ანკო, მიხალჩე, წადით, შვილებო, პატარები ხართ, დაიძინეთ... — უთხრა მღვდელმა შვილებს.

კარი გაიღო და ერთბაშად განჩო შემოვიდა.

— მილკინის სახლში რაღაც საშინელი ყვირილია,—სთქვა განჩომ.

— რა ყვირილია?

— მეც არ ვიცი კარგად,—უპასუხა განჩომ ენის ბორძიკით,—მაგრამ, მე მგონია, რაჩკო ლიდოვი დაიჭირეს. აუარებელ ხალხს მოუყრია თავი.

— თუ რაჩკოა, წავიდეთ, ვნახოთ—რა იქნება.—უთხრა სტუმრებს მღვდელმა.—აბა, შვილებო, წავიდეთ... შეიძლება, მე, როგორც მღვდელი, საჭირო შევიქნე... ხომ იცით, თუ მღვდელმა არ დალოცა, ისე არაფერი იქნება...

ყველანი გავიდნენ.

XXII

ხაფანგში ერთის მაგიერ მეორე გაება

მილკა ტუდურჩინისა მღვდელ სტავრის მეზობლად იდგა. ვიწრო ეზოში, კიბესთან, ოცოდე კაცს თავი მოეყარა და ყაყანებდა. ხალხი თანდათან უარესად ირეოდა. მეზობლებს თანდათან ემატებოდნენ ცნობის მოყვარენი, ორიოდ ლიფლიფაცა სჩანდა. მილკას მამა ყვიროდა; დედა ჰკიოდა და შეშინებულ ქათამსავით იქით-აქეთ ეწყვეტებოდა. მალე რაჩკოს მამაც მოიჭრა, მისწი-მოსწია ხალხსა და კარებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაექანა, რომ იქიდან შვილი გამოეხსნა.. მაგრამ რამდენიმე ლონიერი მეზობელი მივარდნენ და უკან დაახევინეს.

— ეს რა ჯაჯგურია, ძმებო,—ჰყვიროდა რაჩკოს მამა და ისევ წინ იწევდა.

— ბაი ლილო, გაჩერდი,—დაუყვირა ვილამაც,—ვერა ხედავ, რა ამბავია?

— შვილო!—წიოდა დედა მისი,—ამისთანა ქალს არ შევრთავ ჩემ შვილს!—და თან გამწარებით ეცემოდა იმათ, ვინც იჭერდნენ და არ უშვებდნენ წინ.

— რა უნდა უყოთ? უნდა ჩამოახრჩოთ? კაცი ხომ არ მოუკლავს?—ჰკიოდა დედა და თმა-გაწეწილი, გონება-დაკარგული ისევ იწევდა კარებისაკენ.

— როგორც რიგი და წესია, ჯვარს გადავწერთ.

— ასეთი ქალი რძლად არ მინდა!

— შენს შვილს უნდა და ჩვენც ჯვარს გადავწერთ.

დედამ არ იცოდა, რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ საზოგადოების გადაწყვეტილებას ვერას გზით ვერ ეურჩებოდა.

დაიწყო ყვირილი და მოთქმა: „ჩემს შვილს ყელი გამოსჭრეს! მომისპეს სიცოცხლე!.. აი, შავი ჭირი ეცეს, ვინც ჩემს შვილს თვალი ჰკრა და გადამირია!“

ხალხთან ერთად აურზაურსაც ემატებოდა. ამ საერთო არეულობაში ზოგიერთის მაღალი ხმა ისმოდა და ყველანი სხვა-და-სხვას გაიძახოდნენ:

— ჯვარი დასწერეთ! ჯვარი დასწერეთ! სამის დღის უკან ყველაფერი დაავიწყდებათ!—ჰყვიროდა ერთი.

— შეხეთ, ჟანდარმი მოდის!—დაიყვირეს ერთხმად.

შერიფ-ალამ და ორმა პოლიციელმა ხალხი გააპეს.

— ახლავე დავსწეროთ ჯვარი,—დაიბღავლა ვილაცამ.

— მღვდელთან კაცი გაგზავნეთ?—იკითხა გენჩო სტოიანოვმა.

— მე აქა ვარ!—ხმა გასცა მღვდელმა სტავრიმ და თავის სტუმრებითურთ ხალხს გაატანა და წინ წამოდგნენ.—ფიქრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გაქვთ, ქრისტიანული წეს-რიგი ყველაფერი ვიცი... განჩო, წადი და კურთხევანი და ოლარი მომიტანე.

ამ დროს კარიც გააღეს.

— გამოდით!—დაუყვირა ჟანდარმმა.

— მილკა, რაჩკო! გამოდით!—დაუყვირეს სხვებმაც. ყველას უნდოდათ ქალისა და ვაჟის ნახვა, თითქო მანამდე არც კი უნახავთო. ლიფლიფებს მაღლა ასწიეს და გაღებული კარები კარგად გაანათეს. პირველად მილკა გამოვიდა. თავი დახრილი ჰქონდა და ძირს იყურებოდა. ქალმა თავ-ტანი სრულებით დაჰკარგა და ვერაფერი უპასუხა თავის დედას, რომელიც რაღაც გაუგებარ სიტყვებს მოსთქვამდა. მაგრამ ერთბაშად თავი მაღლა აიღო და გაოცებულისა და შეშინებულის სახით შეჰხედა ყველას. მილკა ეხლა უფრო მშვენოდა და გაბრაზებულ მეზობლებს გული მოუბრუნდა. ახალგაზდობა და სილამაზე ბრბოის სიბრაზეს მსწრაფლად აცხრობს ხოლმე. უმეტესობას სახეზე შენდობა და პატიება გამოეხატათ.

— კაი ცოლი იქნება!—ჩაილაპარაკა ვილაცამ.

— რაც იქნება, იქნება... ოღონდ ბედნიერად კი იცხოვრონ,—სთქვა ნესტორ ფრიკალცემ.

მღვდელი სტავრი და მისი სტუმრები წინ იდგნენ და ზოგ მათგანს ქალი ჯერ არ ენახა.

— რაჩკო, შენც გამოდი!—დაუძახა მღვდელმა სტავრიმ და ბნელს ოთახში შეიხედა.

— ნუ გრცხვენიან, ყმაწვილო,—უთხრა მეორემ,—ჩვენ ყველანი გაპატივებთ და მღვდელი სტავრიც საუკუნოდ დაგლოცავთ.

ვაჟი არ გამოდიოდა.

— შიგნით არის? რატომ არ გამოდის?—ჰკითხა მღვდელმა მილკას.

თავით ანიშნა ქალმა, შიგნით არისო, და თან გაოცებით კარებს შეხედა.

ჟანდარმმა ველარ მოითმინა ამდენი და დაუყვირა:

— გამოეთრიე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვებმაც დაუძახეს რაჩკოს. ხალხი კარებს მიუახლოვდა. ცნობისმოყვარეობა ყველას საშინლად გაუცხოვლდათ. მაინც არავინ გამოჩნდა.

მაშინ ჟანდარმი ოთახში შევიდა და ხალხიც შიგ შეჰყვა. კუთხეში გაუნძრეველად ყმაწვილი კაცი ატუზულიყო.

მაგრამ ეს რაჩკო ბაკირჯიჩი არ იყო.

ეს იყო სტეფჩოვი.

ყველანი სახტად დარჩნენ. ჟანდარმმა უკან დაიხია. თავის თვალებს არ უჯერებდა. თავიანთს თვალებს არც სხვები უჯერებდნენ. მღვდელმა სტავრიმ ოლარი ძირს დაუშვა; მისი სტუმრები ერთმანეთს გაოცებით შესცქეროდნენ. სოკოლოვმა გესლიანისა და თან გამარჯვებული სახით შეხედა თავის მეტოქეს; ტუჩებზე ღიმი შეუთამაშდა და ამ ღიმილით ნიშნს უგებდა მტერს; დიდი სიამოვნებით უცქეროდა ამ ამბავს. სტეფჩოვი მოკვდა, შერცხვენილი და მიწასთან გასწორებული, თავის თავს არა ჰგავდა. შეშინებული იყურებოდა იქით-აქეთ. „სტეფჩოვი, სტეფჩოვი, სტეფჩოვი!“ ჩურჩულებდნენ მის სახელს გარშემო. სტეფჩოვმა ხელახლა მიმოიხედა, თითქო ეძებს — სად დავიმალო ან როგორმე ჩქარა გამისკდეს მიწა და თან ჩამიტანოსო!

ამ სახლში როგორ გაჩნდა სტეფჩოვი? მისმა უიღბლობამ მოიყვანა აქ შემთხვევით.

იმ საღამოს, მიხალაკის რომ გამოეთხოვა, პირდაპირ კონაკისკენ წამოვიდა. მაგრამ კონაკის კარებთან რომ მივიდა, გაჩერდა და ყოყმანი დაიწყო. ძალიან გაბოროტებული იყო ბაიჩოზე, მაგრამ პატრიოტიზმის გრძნობამ ამხილა და საგონებელს ჩააგდო. შეეშინდა თავის საქციელისა და გადასწყვიტა მეორე დილას მისულიყო: დილამდე კიდევ ვიფიქრებ, იქნება, უკეთესად წავიყვანო საქმეო. ძონაკიდან ერთ თავის ნათესავთან წავიდა, ქალაქის განაპირად, მაგრამ შინ არ დაუხვდა, და უკანვე გამობრუნდა. სწორედ ამ დროს შემოხვდნენ ექიმი და ოგნიანოკი, რომელნიც მღვდელ სტავრისთან მიდიოდნენ სტუმრად. სტეფჩოვმა იცნო, თანაც შეეშინდა, ამ უკაცურ ქუჩაზე არაფერი მიყონო, და უკან გამოტრიალდა. რომ გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონა, მომდევენო, თავზარდაცემული, რაც ღონე ერჩოდა, გაიქცა. მილკას სახლის ჭიშკარს რომ მიატანა, შიგ შეიჭრა და ეზოში ამოსულ სქელ შამბში თავი შერგო. როცა გარედან ჩამი-ჩუმი მისწყდა, საფარიდან გამოსელა დააპირა. მაგრამ ამ დროს ეზოში ვიღაც ქალმა გაიარა და კიბეზე ავიდა. სტეფჩოვმა მილკა სიარულზე იცნო. ერთ დროს მილკა შეაცდინა და მერე თავი დაანება. ახლა მოაგონდა, მილკას ჩემი მონაწერი წერილები აქვსო, ჩემი ნიშნები თუ გაიგო, შეუძლია ეს წერილები გამოაჩინოს და საჯაროდ შემარცხვინოსო. ვინმე ჩემი მტერი გამოჩნდება და ქალს ურჩევს ასეთ ნაირად იძიოს ჩემი შურიო. სტეფჩოვმა გადასწყვიტა, როგორმე დაეტყუვნა ქალისათვის წერილები, და, თუ შეიძლებოდა, იმაე ღამესვე. ჩუმად მიიპარა კართან და ქალის ოთახში შევიდა.

ეს შეამჩნია მილკას ერთმა ნათესავმა, რომელიც რაჩკოს სდარაჯობდა და უნდოდა მეზობლების რჩევისამებრ მოჰქცეოდა. სიბნელეში სტეფჩოვი რაჩკო ეგონა და მილკასთან ერთად ჩაჰკეტა. მერე გაიქცა მეზობლების დასაძახებლად და ის აურზაური ასტყდა, რომელიც უკვე დავინახეთ.

. . . . . .

ჟანდარმმა მალე მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო.

— ეი, გზა გვიტიეთ, ბატონს პოლიციაში წავიყვან და იქა ვკითხავ ყველაფერს! — შეუტია მრისხანედ ხალხს. ხალხმა ჩოჩქოლი შექმნა.

— პოლიციაში ნუ მიგყავთ, ნუ მიგყავთ! რაც საჭიროა, ყველაფერს აქვე ვიზამთ! — დაიძახა ვილამაც უკანიდან. ალბად ვერ შეამჩნია, რომ რაჩკოს მაგივრად სტეფჩოვი გაება ხაფანგში.

— კაცო, ეს სტეფჩოვია! — სთქვეს ზოგიერთებმა.

— სტეფჩოვი?! როგორ?

ხალხი უარესად აყაყანდა.

— რა ვუყოთ მერე! თუ ჩორბაჯის შვილია, — დაიყვირა ვილამაც, — იმასაც ისე უნდა ვუყოთ, როგორც რაჩკოს: ის ვითომ ვინა ბრძანდება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგნიანოვმა ჩუმად უთხრა ჟანდარმს:

— შერიფ-აღა აქედან მალე წაიყვანეთ როგორმე, ამდენი ხალხი სულ იმას უყურებს... კაცი სირცხვილით დაიწვა.

ოგნიანოვს დაავიწყდა თავისი მტერი და მხოლოდ მსხვერპლსა ჰხედავდა, სირცხვილით მიწასთან გასწორებულს. მისმა გულმა ვერ გაუძლო კიდევ ეცქირნა ადამიანის დამცირებისათვის.

ჟანდარმმა იჭვის თვალით შეხედა ოგნიანოვს.

— თავი დაანებე, შენ რა გინდა? დეე დაიწვას სირცხვილით! — სახელოზე ჩამოსწია სისხლ-მოწყურებულმა სოკოლოვმა.

სტეფჩოვმა მხოლოდ ახლა დაინახა თავისი მდევნელნი. იფიქრა, ალბად ამათ მომჭრეს თავი და ამ სირცხვილში ამათ ჩამაგდესო; მათს პირზე ღიმილიც შეამჩნია. გული ბრაზით აღევსო და ისე საშინლად შეხედა ორსავე, რომ, არ დაუნახავთ, თორემ უეჭველად გულს შეჰზარავდა ერთსაც და მეორესაც...

ჟანდარმმა ხელი მოჰკიდა სტეფჩოვს და გაიყვანა...

— გზა, — დაიყვირა ჟანდარმმა, — ეს თქვენი საქმე არ არის... თქვენ აქ რაჩკო ბაკირჯიჩს ეძებდით. გზა უტიეთ, ბატონებო!

ხალხმა გზა უტია.

— როგორ დაგემართათ? — ჩუმად ჰკითხა გულ-მტკივნეულის სახით შერიფ-აღამ.

— ოგნიანოვმა და სოკოლოვმა გამცეს, — ჩურჩულით უპასუხა სტეფჩოვმა.

ხალხმა იხუვლა და უკან გაედევნა.

XXIII

ორი მოჩვენება

მეორე დღეს უქმე იყო. წინამძღვარი ნათანაილი ეკლესიაში იდგა და ტროპარსა ჰგალობდა. ვიღამაც ხელი ახლო და მოიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინ მუნჩო იდგა.

— რა გინდა, მუნჩო? გასწი აქედან!—უთხრა წყრომით წინამძღვარმა და ისევ ტროპარის გალობა განაგრძო.

მაგრამ მეორეჯერ უფრო ღონივრად მოუჭირა მკლავზე უსინათლომ და ხელს არ უშვებდა. წინამძღვარი ხელ-ახლა მობრუნდა გულ-მოსული და შეამჩნია, რომ მუნჩო მეტად აღელვებული იყო: მოელვარე თვალები შიშით გავსებოდა და მთელი ტანი უკანკალებდა.

— მუნჩო, რა დაგემართა? —მრისხანედ ჰკითხა წინამძღვარმა.

მუნჩომ საზარელის სახით დაატრიალა თავი, თვალები უარესად გადმოკარკლა, გაიბერა და რის წვალებით წამოიყრანტალა:

— რუს-სი-ან... წის...ქვილ...თან... თურ...ქე...ბი!.. —და, იმის მაგივრად, რომ ეთქვა თავისი სათქმელი, ხელების ქნევა დაიწყო, თითქო მიწასა სთხრისო.

წინამძღვარი ჯერ გაოცებული უყურებდა, მერე, ერთბაშად, საშინელმა აზრმა გაურბინა თავში. მუნჩომ, ალბად, იცის რომ წისქვილთან თურქებია დამარხული; და რადგან რუსიანც ახსენა, მთელი საიდუმლოებაც ეცოდინებაო. როგორ! ამას როგორ ვერ მივხვდიო... მხოლოდ ის მოისაზრა, რომ საიდუმლოება მთავრობას შეტყობილი აქვსო!...

— ბოიჩო დაიღუპა! —ბუტბუტებდა განწირულის სახით ნათანაილი; დაავიწყდა ტროპარიცა, გალობაცა, ვერც მამა გედეონსა ხედავდა, რომელიც მეორე მხარეს იდგა და თავითა და ხელებით თავგამოდებით ანიშნებდა, ახლა თქვენ უნდა იგალობოთო.

ნათანაილმა საკურთხეველში შეიხედა, სადაც მამა ბიკენტი სამწირველოდ ემზადებოდა, მამა გედეონს მიანდო ტროპარები და ეკკლესიიდან გავიდა. ერთ წამს უკან თავლაში გაჩნდა, ხოლო მეორე წამში ისარივით მიჰქროდა ქალაქისაკენ.

იმ დღეს საშინლადა ჰყინავდა. ღამით რთვილი დასდო და მდელო და ხის ტოტები თეთრად შეჰპენტა. წინამძღვარი განუწყვეტლივ უჯავრდებოდა თავის შავს ლურჯასა, რომელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ნესტოებიდან ბოლქვა-ბოლქვად გამოსდიოდა ორთქლი. იმასა სჩქარობდა, თუ კი უკვე დაგვიანებული არ იქნებოდა, ოგნიანოვი ეხსნა განსაცდელისაგან. ადრე, ოსმალების მოკვლის შესახებ ნამდვილი მიზეზი არავინ გაიგოსო და ისეთი ზღაპარი შესთხზა და გაავრცელა, რომ ყველამ დაიჯერა და ყველაფერი მიჩუმდა. ახლა ის უკვირდა, ეს მივიწყებული საქმე ვინ გააღვიძა და მცონარა და უმაქნისი უფროსი პოლიციისა ვინ დააყენა ფეხზეო? არა, უეჭველია, ამ საქმეში მოღალატის ხელი ურევიაო. მუნჩო, თუ მართლა იცის კიდეცა საიდუმლოება, ამას არ იზამდა, ამიტომ რომ ოგნიანოვს აღმერთებსო! იქნება, ამ იდიოტმა ისე გასცა თავისი საყვარელი კაცი, რომ თითონაც ვერ მიხვდა, რასაც შვრებოდა! მაგრამ, ყოველსავე შემთხვევაში, საიდუმლოება გამჟღავნდა და ოგნიანოვს მწარე დღე მოელისო.

ქალაქში ჩასვლას მეოთხედ საათის მაგიერ ოთხი წუთი მოანდომა. ცხენი მთლად აქაფებული იყო. ცხენი ძმასთან დასტოვა და ოგნიანოვის სახლამდე ფეხით მივიდა.

— ბოიჩო აქ არის?—იკითხა ნათანაილმა შეშინებულის ხმით.

გავიდა. ეს-ეს არის, სამი პოლიციელი მოვიდნენ და ყველგან ეძებდნენ. ნეტავ, რა უნდათ, ამ წყეულებს? თითქო კაცი მოეკლასო!—უპასუხა გულმოსულმა სახლის პატრონმა.

— რად წავიდა?

— არ ვიცი.

— საქმე ცუდადაა, მაგრამ იმედი კიდევ არის,—თავისთვის უთხრა წინამძღვარმა და სოკოლოვისაკენ გაიქცა. ოგნიანოვი მაინცა და მაინც გულმოდგინედ არ დადიოდა ეკლესიაში და ამიტომ აზრადაც არ მოსვლია—იქ წასულიყო და მოეკითხნა. განკის საყავესთან რომ გაირა, შიგ შეიხედა, მაგრამ ოგნიანოვი არც იქ იყო.

— შინ არის ვინმე, დედი?—ჰკითხა ბერმა, როცა სოკოლოვის ეზოში შეიჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავინ გახლავთ, თქვენო კურთხევავ,—უპასუხა დედაბერმა და ხელიდან ცოცხი გააგდო, რომ ბერთან ხელზე სამთხვევლად მისულიყო.

— ექიმი სადღაა?—ჰკითხა გაჯავრებულად ნათანაილმა.

— რა მოგახსენოთ, მამაო,— უპასუხა დედაბერმა ენამოკიდებით და შეშინებულსავით დაიწყო ყურება.

— უჰ!—ამოიოხრა წინამძღვარმა და უკან გამოტრიალდა.

— დაიცა! დაიცა!—მიაძახა დედაბერმა.

— რა გინდა?—ჰკითხა მოუთმენლად ბერმა.

დედაბერმა იდუმალი სახე მიიღო და ჩუმად უთხრა:

— აქ არის, მაგრამ იმალება, წყეული თურქები დაეძებდნენ... მაპატივე, მამაო?

— მე ის არ დამემალება, რატომ მაშინათვე არ მითხარი,—უთხრა წინამძღვარმა და კარებისკენ გაექანა. დააკაკუნა თუ არა, კარი მაშინათვე გაეღო და დაინახა ექიმი.

— ბოიჩო სად არის?—პირველადვე ჰკითხა წინამძღვარმა.

— რადასთან... რა იყო?—სოკოლოვი მიხვდა, საზარელს რასმე გავიგონებო და გაფითრდა.

— წისქვილთან საფლაესა სთხრიან. ვილამაც გაგვცა.

— ვაიმე, დაიღუპა ოგნიანოვი!—განწირულის ხმით წამოიძახა ექიმმა.—ახლავე უნდა შევატყობინოთ...

— პოლიცია ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა,—განაგრძო აღელვებულმა წინამძღვარმა,—მე ცხენით მოვირბინე, რომ გამეფრთხილებინა... ღმერთო ჩემო, ვინ იცის, რა მოუვა საწყალ ბიჭს! დაღუპა ვილამაც... სად მირბიხარ?—ჰკითხა გაოცებულმა ნათანაილმა ექიმს.

— ბოიჩოსთან... უნდა ვიხსნა როგორმე, თუ კი დაგვიანებული არ არის,—უთხრა ექიმმა და კარი გააღო.

წინამძღვარმა უარესად გაოცებულის სახით შეხედა.

— განა შენც არ გეძებენ?—სჯობს, მე წავიდე...

— არ შეიძლება. შენ რომ რადასთან მიხვიდე, ან ეკლესიაში გამოჩნდე, შეგნიშნავენ და შეიძლება უარესად გაფუჭდეს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ თუ გნახეს, ხომ დაგიჭერენ?

— შეიძლება, მაგრამ ასეა თუ ისე, უნდა შევატყობინო. ბოიჩოს მეტად ცუდი დღე მოელის. მიყრუებულ ქუჩებით მივალ.

ესა სთქვა და სოკოლოვი გაიქცა.

წინამძღვარს თვალებზე ცრემლები მოერია და ისე დალოცა ექიმი.

ოგნიანოვი ამ დილით საქალებო სასწავლებელში უნდა მისულიყო, რადგან აქ უცდიდა ერთი დელეგატი პოლ—ელთა სარევოლუციო კომიტეტისა. ეს სოკოლოვმა იცოდა. რამდენისამე წუთს უკან ეკკლესიის ეზოში გაჩნდა, აირბინა კიბეზე და რადას ოთახში გრიგალივით შეევარდა. რადა ფრიად გააკვირვა სოკოლოვის ასე მოულოდნელად, და ისიც ასე ადრე მოსვლამ.

— ბოიჩო იყო აქა?—ჰკითხა ქალს და გამარჯვების თქმა არც კი გახსენებია.

— ეს-ეს იყო, გავიდა,—უპასუხა რადამ.—რა იყო?

— სად წავიდა?

— ეკკლესიაში... რა დაგემართა? ღმერთო ჩემო!

— ეკკლესიაში?—ძამოიძახა სოკოლოვმა. მეტი არაფერი უთქვამს, ისე გაალო კარი, რომ ეკკლესიაში გაქცეულიყო. მაგრამ მაშინათვე უკან შემოტრიალდა: დაინახა ჟანდარმი, რომელიც ეკკლესიიდან გამოსასვლელ კარებთან პოლიციელებს აყენებდა.

— რა დაგემართა?—დაიკივლა მასწავლებელმა და იგრძნო, უბედურება დატრიალდებაო.

სოკოლოვმა სარკმლიდან პოლიციელები აჩვენა.

— ხედავ, ბოიჩოს ჰყარაულობენ. ვილამაც გასცა, რადა! მეც მეძებენ... ახ! დავიღუპეთ, დავიღუპეთ!—წამოიძახა კვნესით ექიმმა და ხელები თავს იტაცა.

რადა სკამზე დაეშვა მოდუნებული. მისი მრგვალი სახე, შიშისაგან გაფითრებული, შავ თავ-ჩითში უფრო ფერ-წასულად მოსჩანდა. ამ წუთას მარმარილოს უგავდა სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკოლოვი სარკმელს არა სცილდებოდა. პოლიციას ვერ ეჩვენებოდა და თვალებით ვინმე სანდო კაცს ეძებდა, რომ ოგნიანოვთან მიეგზავნა და გაეფრთხილებინა. მოულოდნელად ფრატიუ დაინახა, რომელმაც სარკმელთან ჩაიარა ეკკლესიაში შესასვლელად.

— ფრატე, ფრატე,—დაუძახა ჩუმად,—მოდი აქ!

ბატონი ფრატიუ შორიახლო გაჩერდა.

— ფრატე, მამაკაცების ეკკლესიაში მიდიხარ ხომ?

— ჰოდე,—უპასუხა ფრატიუმ.

— გეხვეწები, თუ ძმა ხარ, მიდი ბოიჩოსთან და უთხარი, კარებთან პოლიცია გელის და თავს უშველე-თქო.

ბატონმა ფრატიუმ შეშინებულის თვალებით შეხედა ეკკლესიას და დაინახა, რომ სამივე კარებთან, მართლაც პოლიციელები იდგნენ. პატარა სახეზე სულელური შიში გამოეხატა.

— მაშ ეტყვი?—ჰკითხა მოუთმენლად ექიმმა.

— მე?... კარგი, ვეტყვი,—უპასუხა ყოყმობით წინდახედულმა ფრატიუმ... მერე იჭვნეულად დაუმატა:

— კარგი და, რატომ შენ თვითონ არ ეტყვი, ექიმო?

— მეც მეძებენ,—ჩურჩულით უთხრა სოკოლოვმა.

ბატონს ფრატიუს სახე უარესად გამოეცვალა და თავი საჩქაროზე მოარიდა ასეთს საშიშს მოსაუბრეს.

— ფრატე, მალე, მალე, გესმის!—მიაძახა სოკოლოვმა.

ბატონმა ფრატიუმ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია, რამდენიმე ნაბიჯი ეკკლესიისაკენ გადასდგა და მერე ერთბაშად მოუხვია ქალების მონასტრისაკენ.

ექიმი ხედავდა ფრატიუს საქციელს და გამწარებული თმას იგლეჯდა. ხედავდა, აი, საცაა, ოგნიანოვს დაუგვიანდება ამბის შეტყობა და მაშინ ღვთის განგება თუ გადაარჩენს უბედურებასაო.

ოგნიანოვი მართლა გასცეს. იმავე ღამეს, სტეფჩოვმა კონაკში, სადაც ის მილკა ტუდურჩინის სახლიდან მოიყვანეს, ბეის ყველაფერი უამბო, რაც რამ გაიგო ოგნიანოვის შესახებ. ამ ლაპარაკის დროს ერთბაშად შემდეგმა აზრმა გაუელვა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. მოაგონდა მოკლულ ემექსიზის ძაღლის ამბავი, რომელიც თვითონ შერიფ-ალამ უთხრა. მაშინ არც ისა და არც ჟანდარმი კარგად არ ჩაჰკვირვებიან ამ საოცარ გარემოებასა. ახლა სტეფჩოვს ყველაფერი ნათლად წარმოუდგა. ძაღლი ისე ჩაცივებით რადა სთხრიდა წისქვილთან მიწას, ოგნიანოვს ისე გაშმაგებით რატომ შეუტია? განა აქ არ უნდა ეძებოს კაცმა იმ ორის თურქის დაკარგვის მიზეზი? ისინი ხომ სწორედ მაშინ დაიკარგნენ, როცა ოგნიანოვი გამოჩნდა ბელაია ცერკოვში? უეჭველად ოგნიანოვი იზამდა ამასაო. სტეფჩოვის ბოროტებით სავსე ჭკუამ ელვის სიმალეზე მოისაზრა ყოველივე ეს და, რაც რამ იქვი და გუმანი ჰქონდა, ურყეველ ჭეშმარიტებად აღიარა.

სტეფჩოვმა ურჩია, ეხლავე მოათხრევინე მიწა ძველ წისქვილის გვერდითაო. ბეიმ მაშინადვე დიდის ამბით ბრძანება გასცა. გადასწყვიტა, დილა-ადრიანად დაეჭირა ოგნიანოვი,— არსად დაიმალოს, ან კიდეე სხვა არავინ მოჰკლასო... ამავე დილას იპოვეს ორი თურქის გვამი და ოგნიანოვის ბედი გადასწყდა. ეკკლესიის კარებთან, როგორც მხეცს, ისე სდარაჯობდნენ. ჟანდარმმა არჩია—კარებთან დაეჭირა და არა შიგ ეკკლესიაში. შიგ რომ ხელი მოვკიდო, შეიძლება, ხალხი აშფოთდეს და ოგნიანოვმაც თავი გამოიდვას და ძალზე დადგესო. მოულოდნელად შევიპყრობ, ეს უკეთესი იქნებაო.

იმ დროს, როცა სოკოლოვი ოთახის ერთს კუთხეში თმას იგლეჯდა და მეორე კუთხეში რადა იწვა უგრძნობლად, კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

ექიმი შეკრთა და ყური დაუგდო. ფეხის ხმა ჯოხის კაკუნთან ერთად თანდათან ახლოვდებოდა და კარებთან შესწყდა კიდეც. ვიღამაც საეკკლესიო კილოზე მონოზნების ცნობილი ტროპარის გალობა დაიწყო: „აკურთხე, უფალო, მონანი შენნი. წმიდა სერაფიმა და მშვიდი ქერუბიმა; შავთვალა სოფია და ბამბიქულა რიფსილია; ბუთხუზა ირინე და მიკნავებული მაგდალინა; ქალბატონი როვოამა, რომელიც, დიდი ხანია, სახლში არ არის“...

— კოლჩო!—დაუძახა ექიმმა და კარი გააღო. ბრმა თამამად შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეკკლესიიდან ხომ არ მოდიხარ, კოლჩო?

— ჰოდე...

— ოგნიანოვი ხომ არ გინახავს?—ჰკითხა მოუთმენლად ექიმმა.

— სათვალები ჯერ არ მომსვლია ამერიკიდან, ასე რომ არ დამინახავს. მაგრამ ვიცი კი, იქ არის, ყველაზე წინ დგას.

ექიმმა სერიოზულის კილოთი უთხრა:

— კოლჩო, ხუმრობას თავი დაანებე. ოგნიანოვს პოლიცია დასდევს და ჟანდარმი ეკკლესიის კარებთან მისს გამოსვლას ელოდება. იმან კი არაფერი იცის. თუ ახლავე არ შევატყობინეთ, უეჭველად დაიღუპება.

— მივდივარ!

— გეხვეწები, კოლჩო!—შეეეედრა რადა, რომელსაც ცოტა იმედი მოეცა.

— მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ პოლიცია მეც დამეძებს, შენ კი ყურადღებას არავინ მიგაქცევს,—უთხრა ექიმმა.

— ოგნიანოვისათვის, თუ საჭირო იქნა, ჩემს საცოდავ სიცოცხლესაც არ დავიშურებ... რა ვუთხრა?—ჰკითხა თანაგრძნობით უსინათლომ.

— ასე უთხარი: „ყველაფერი გაიგეს; პოლიცია ეკკლესიის კარებთან გელოდება, თავს უშველე!“—მერე წარბ-შეკრით დასძინა:—თუ კი ვინმე არ მიუგზავნეს და ეკკლესიიდან გარედ არ გამოიტყუეს...

კოლჩო მიჰხვდა, რამდენად ძვირფასი იყო ყოველი წუთი, და საჩქაროზე გავიდა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასხარა პამფალონი

ძველებური მოთხრობა

ნ. ს. ლესკოვისა

(თარგმანი)

XIII *)

რომ არ შემომხარჯოდა ფული, მე აღარ გავგზავნე დავრდომილი მხედარი სამშობლო ქვეყანაში და იმ ღამის ნაშოვნი ოქრო სულ ჩავფალი მიწაში ჩემ საწოლ ქვეშ. დილით ჭილობი აღარ ავწიე კარებსა და მოვიავადმყოფე თავი,—არ მინდოდა არსად წასვლა ჩვეულებრივ შესაქცევრადა. ვინც კი მოდიოდა დასაძახებლად, ვეუბნებოდი, რომ ავადა ვარ და ამისათვის მინდა გავიდე ქალაქ გარედ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად და სამკურნალო ბალახების საძებნელად-მეთქი. მე კი ჩუმად გავიპარე დალალთან, ისრაელ კაპიტონთან, რომელმაც კარგად იცის სად რა ისყიდება, და ვთხოვე მოეძებნა გასასყიდი მინდორი, სადაც წყარო მომდინარებდეს და ბზის ჩრდილიც იყვეს. დალალმა კაპიტონმა დიდად გამახარა.

— მე მაქვს სახეში სწორედ იმ გვარი მამული, როგორიც შენ გინდაო. და ისე ქებით ამიწერა ის მინდორი, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. მშვენიერი წყაროც არისო, ბზაცა სდგას და ამასთან ამომცენარებს ერთი ბალაზინის ბუჩქიც, რომელიც გარე მოჰფენს მშვენიერ სუნნელებასაო.

---

*) იხ. „მოამბე“ № V, 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ წადი და მიყიდე-მეთქი ეგ მინდორი.

ისრაელი დამპირდა—ამ საქმეს უეჭველად გაგირიგებო.

— აი, ვფიქრობდი, ახლა კი მოვა დასასრული ჩემი უწესო ყოფა-ცხოვრებისა, ახლა კი გავანებებ თავს ყვირილსა და სტვენას, ავიხსნი სამასხარო შესამოსსა, ჩავიცვამ დარბაისლურ ლევიტონსა და თავზედ გადავიკრავ ხელცახოცსა, დღისით ვიმუშავებ მინდორში, საღამოობით ჩამოვჯდები ჩემი ტალავრის წინ და სტუმართ-მოყვარეობაში მივბაძავ აბრამსა.

არ დაგიმალავ შენა, რომ თუმცა მე ესე ვაპიროობდი ჩემის ცხოვრების მოწყობასა, მაგრამ გული თითქო კი მეუბნებოდა, რომ ეს ჩემი დაწყობილება ამაოდ ჩაივლიდა.

კაპიტონიდან რომ გამოვბრუნდი, რაღაც შიშმა ამიტაცა: ვაი თუ გაიგო ვინმემ, რომ მე ბლომა ფული მაქვს, შევიდა ჩემს სახლში და მომპარა ეს ფული?.. გულ-გაშფოთებული გავიქეც სახლისაკენ რაც ძალი და ღონე მქონდა, მივედი თუ არა შინ, დავემხე მიწას და ამოვთხარე ჩემი შენახული; დავთვალე ფული და დამიხვდა ხელ-უხლებლად ორას ოცდა ათი ოქრო, რომელიც კორინთელმა მაჩუქა. ხელ-მეორედ წავფალი ეს ზინათი მიწაში და მეც, როგორც ძაღლი, ზედ წავაწექი.

გინდა, რომ ჭეშმარიტად გაიგო, ვისი უფრო მეშინოდა? მარტო იმ ქურდებისა კი არა, რომელნიც სახლებს ამტვრევენ,— მე უმეტესად მეშინოდა იმ შინაგანა ქურდისა, რომელიც განუწყვეტლად სცხოვრობდა ჩემთან ერთად და მეფობდა ჩემს გულში. მე ვცდილობდი თვალ-წინ აღარ წარმომედგინა სხვისი უბედურება და გაჭირვება: მეშინოდა არ მომაკლდეს ამითი გულის სიმტკიცე და ამ გვარი სიმტკიცე კი ჩემთვის დიდად საჭირო იყო გასასწორებლად ჩემის ცხოვრების კვალისა.

იმ დღეს დალალის ძებნაში და სირბილში ძალიან მოვიღალე, ისე რომ მალე მომეკიდა ძილი, მაგრამ ძილი მქონდა მოუსვენარი: სიზმარში ვნახე, ვითომ მეყიდნა კიდეც კაპიტონის ნაქები მამული; ვიდექი ნათელ სახლში, წინ წამოჩქერდა კამკამი წყარო, ბალაზინის ბუჩქი ავსებდა გარემოს საოცარის კეთილ-სუნნელებითა და ტოტებ-გაშლილი ბზა მიჩრდილებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველია, ამ ყოველ მშვენიერებას თითქო რალაც აფუჭებ-
და: ჩავიხედე წყაროში—შიგ უთვალავი წურბლები ირევოდნენ,
ბზის გარეშემო დახტოდნენ საზიზღარი და უშველებელი მი-
წის ბაყაყები, ბალაზინის ბუჩქის ქვეშ კი იკლაკნებოდა შხამი-
ანი ასპიდი. დავინახე თუ არა ასპიდი, ისე შეეშინდი, რომ
ძილიდან რეტიანივით წამოვხტი და მაშინვე ფულს მივვარდი—
ხომ არავინ მომპარა-მეთქი? ფული იქვე იყო და მეც ზედ ვა-
წექი და ძალ-დაუტინებლივ იმას ვერავინ წაიღებდა. მაგრამ,
ვამბობდი, ეხლა დამასკში არავისთვინ დაფარული აღარ იქნე-
ბა ჩემი ესე უცბად გამდიდრება. კორინთელმა იმისთვის კი არ
გამამდიდრა, რომ საიდუმლოდ დარჩენილიყო ეს,—რასაკვირვე-
ლია, იმას უნდოდა ხმა გავარდნილიყო დამასკში, რომ ის უხვი
და ფრიად მდიდარი კაცია. გაამაყებულ მდიდარს უყვარს, რო-
დესაც შენატრიან და შეაქებენ იმის სიმდიდრესა. მაშ, უეჭვე-
ლია, ეხლა ყველამ იცის, რომ მე ფულები მაქვს, შემომიცვი-
ნდებიან ღამე, ამიკლებენ და ბევრსაცა მცემენ და თუ წინ
აღუდგები, იქნება კიდეც მომკლან-მეთქი.

რადგანაც კარები ჩამოფარებული მქონდა, ძალიან დაცხა
ოთახში, ავდექი და ცოტათი გადავწიე ჭილობი. ქუჩაში ორი
ხაბაზის ბიჭი მიდიოდა, გასასყიდად პურით სავსე კალათები
ეჭირათ ხელში, წინ მიუდიოდათ სახედარი და იმასაც გოდრე-
ბით პური ეკიდა. ბიჭები მიერეკებოდნენ სახედარს და ლაპა-
რაკობდნენ—იცი ვისზე? ჩემზედ!

— შეხედე,—სთქვა ერთმა:—ჩვენი პამფალონი ჭილობსაც
აღარც კი ხდის კარებსა.

— ეხლა რალა საჭიროა მაგისთვის ფარდის აწევა,—უთ-
ხრა მეორემ: — რალად უნდა გრეხა და ყირამალა დგომა:
ეხლა მდიდარია და შეიძლება ეძინოს რამდენიც სურს. შენ
ხომ კარგად გაიგონე რაებს ლაპარაკობდნენ დღეს ჩვენს სახა-
ბაზოში.

— როგორ არა, მე ისე პირ-დაღებული ყურს ვუგდებდი,
რომ ჩვენმა ოსტატმა ერთი კარგიც წამკრა კისერში. ვიღაც
კორინთელს, რომ დაემცრო ჩვენი დამასკელი მდიდრები, უჩუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებია პამფალონისთვის ათასი ოქრო. ეხლა ეს იყიდის კარგ სახლს, ვენახებს და გაინადიმებს შადრევანთანა.

— ათასი კი არა, ოცი-ათასი ოქრო,—გაუსწორა მეორე ბიჭმა:—და ეს ფული წყობილა მარგალიტით მოჭედილ ყუთში. აუცილებლივ, პამფალონი შეიძენს მინდორს და სასახლესაც; მოიწვევს ხოლმე მეცნიერთ და დასტკბება იმათი საუბრობით სული-წმინდაზე.

ამ ლაპარაკიდან ცხადად სჩანდა, რომ მთელმა დამასკმა ზედ-მიწევნით იცოდა ჩემი მოულოდნელი გამდიდრება, და ამასთანავე საჩუქარი კორინთელისა, ერთი ათადაც ექციათ.

და ვის უნდა სცოდნოდა, რამდენი ფული მომცა კორინთელმა, ამ უკანასკნელმა თითონაც კი ნამდვილად არ იცოდა რამდენი ჩამიყარა ხელ-მანდილში. მხოლოდ ზედ-მიწევნით ერთად-ერთმა მე ვიცოდი, საჩუქარი რამდენს შეადგენდა...

მარტო ამითი არ იყო შესანიშნავი ბიჭების ნალაპარაკევი. ერთმა ბიჭმა წარმოსთქვა—ეხლა ყველანი იმასა ლაპარაკობენ, სად შეინახა პამფალონმა ამოდენა სიმდიდრე—ოცი ათასი ოქროო. ვითომ ამის გამოძიებაში ყველაზე მეტად იყო შესული მესალამურე ამმუნი. უნდა გითხრა, რომ ეს ბატონი დაუდეგარი და თავზედ ხელ-აღებული კაცია; ჯერ იყო მხედრადა და ხან ერთ და ხან მეორე ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯარში ჩადგებოდა; შემდეგ მიჰყო ხელი ავაზაკობას და გზებში ძარცვასა, მერე ბერად შევიდა ნიტრიის უდაბნოში. ბერობა მოსწყენოდა და მალე დაბრუნდა დამასკში თავის სალამურით და ერთი შავი უნამუსო ქალიც თან მოიყვანა შიშველი და ნიტრიის ბერის მილოტში წახვეული. აუცილებელია, მილოტი გაუხდია თავის მოძმე ბერისათვის, როდესაც მოუკლავს ისა. მოყოლილი დედაკაცი გაჰყიდა შიშველივე ერთ საუნამუსო სახლში, მილოტი თითონ წამოისხა და ღამეობით ამ გვარ სახლების წინ იდგა და უწმენდდა მტვრიან ფეხებსა გარყვნილ ქალებთან მომავალ ლოთებსა. ჩემი წარმოდგენის დროს ამმუნი ხშირად უკრავდა სალამურსა, მაგრამ გოგოებს კი ძალიან ეჯავრებოდათ ისა და ხშირადაც გააგდებდნენ ხოლმე სახლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან. თითონვე სტყუოდა ამმუნი, ამისათვის რომ თითქო ყვა-
მათებოდა ქალებსა და იმათნაირად წარბებს იღებავდა და ფერს
ისვამდა ლოყებზედა. ამ გვარი მიბაძვა და კამათობა დიდად
ეზიზღებოდათ ქალებსა. ამმუნს მე საშინლად ვძულდი. მე კარ-
გად ვიცოდი, რომ ის აქეზებდა ქუჩის ლოთებსა, დამცემოდნენ
ღამე და ევნოთ რამე ჩემთვისა.

ეხლა, რასაკვირველია, ამმუნს უფრო გაუძლიერდებოდა
სურვილი, რომ მოეყენებინა ჩემთვის რაიმე უბედურება. ამისა-
გან ყველას უნდა მოლოდნებულიყო კაცი—ავაზაკობაში ყოვ-
ლად დახელოვნებული და გამოცდილი იყო ისა. ამმუნს ფუ-
ლიც ეშოვნა, ფულის გასესხებით ბევრ კაცს იმონავებდა და
რასაც კი უბძანებდა, უარის ყოფა არ შეეძლოთ იმათა.

XIV

ამმუნის სახელი გავიგონე თუ არა, მსწრაფლ გამიელვა
აზრმა—რა საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი იმ ჟამად.
კარგა ხანი ვიდექ გაჩუმებული და გონზედაც ველარ მოვედი,
რომ ახალი გამომცხვარი პური მეყიდნა იმ ბიჭებისაგანა.

ჩემი ხელობით მე ყოველთვინ მაძღარი ვიყავი, ღვინოც
ხშირად მერგებოდა ხოლმე, და ეს პირველი დღე იყო, როდე-
საც, თუმცა ოქრო მრავალი მქონდა, უჭმელ-უსმელი დავრჩი.
ამასთან გული მოუსვენრადა მქონდა, და შიში თანდათან მი-
ძლიერდებოდა.

ჭამა ვიღას აგონდებოდა, მე ვკანკალებდი—დარჩება თუ
არა ჩემი სიმდიდრე და სიცოცხლეც კი ხელუხლებლადა და
უვნებლადა. სული ჩემი და ყოველი გრძნობანი აღვსილნი იყვ-
ნენ მხოლოდ ერთი აზრითა: თვალწინ განუშორებლივ მელან-
დებოდა გაშმაგებული ამმუნი თავის ფულით დაკავებულ მო-
ნებითა. აი, ვფიქრობდი, ამმუნს აქამდის მოლაპარაკებულიცა
აქვს თავისავე მსგავს ავაზაკებთანა, რომ დამღუპოს მე. ეხლა
ისინი შეკრებილები იქნებიან სადმე სამიკიტნოში და ჩამობ-
ნელდება თუ არა, დამესხმიან და მომთხოვენ მე ოცი ათას ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსა. ამდენ ფულს ისინი ვერ იპოვიან ჩემს სახლში, მე-ა-ა-ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ტკბილია, არ მინდოდა უდროვოდ სიკვდილი—და ისე ლონივრადა ვკარი ხელი ამ მოულოდნელ სტუმარსა, რომ გადავტყორცნე კედლისაკენა: იქ ეროი კუნძი ეგდო, წამოჰკრა იმას ფეხი და იქვე ჩაიჩოქა. მე ვიფიქრე, ეს ხომ მარტოკა არ იქნება, ამას სხვებიც მალე მოჰყვებიან და ამის დამარცხება კი მე არ გამიძნელდება—ისე ულონოდ მეჩვენა მე ისა. მივვარდი და მაგრა ჩავკეტე ფანჯარა და კარებსაც ურდული გავუგდე. წამოვავლე ხელი ცულსა და გადავწყვიტე, რომ დავცხებ, ვინც კი გაბედავს და შემოვა სახლში, და ამ უცხო სტუმარსაც, რომელიც ისევ კუთხეში ეგდო, თვალს არ ვაშორებდი.

გასაშტერებელი იყო: ეს ვიღაც უცნობი გაუნძრევლად ეკუნტა კუთხეში და ისე პატარა ალაგი ეჭირა, თითქო ბავშვიაო. არაფრიდან არა სჩანდა, რომ იმას რაიმე ცუდი განზრახვა ჰქონოდა ჩემზედ; თითქო ეტყობოდა, რომ ჩემი მომხრე იყო ისა. ბეჯითად თვალს ადევნებდა ყველა ჩემს მოძრაობას, სული ველარ მოებრუნა, ისე უფთხრიალებდა გული და ნელის ხმითა სთქვა:

— მაგრა ჩაკეტე... მაგრა!... პამფალონ!

მე ძალიან გამიკვირდა და გაჯავრებით ვუთხარი:

— მერე! რა გნებავთ ჩემგანა?

— ხელი მომაშველე და დამსვი შენი ლამპარის წინა და მაშინ გეტყვი შენ, რაც მინდა.

— კარგი,—ვუთხარი მე:—სულ ერთია რაც უნდა გწადდეს, აი ჩემი ხელი და აი ალაგი ჩემს ლამპართან.

მივაწოდე ხელი და ფეხზე წამოვაყენე პატარა და ბავშვივით მსუბუქი გვამი.

— შენ კაცი კი არა, ქალი ყოფილხარ!—განცვიფრებით წამოვიძახე მე.

ჩემმა სტუმარმა ნაზის ხმით მიპასუხა:

— დიაღ, პამფალონ, მე ქალი ვარ,—და მაშინათვე გადაიხადა შავი წამოსასხამი და წინ წამომიდგა ახალგაზდა და მშვენიერი ქალი, რომელიც მე თითქოს სადღაც უწინაც მენახა. ტურფა და ლაჟაზ სახეზე აღბეჭდოდა რაღაც საშინელი დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი. თმა ხელოვნებით ჰქონდა დაწნული და ტანზე ესვა ოქრონელი საცხები ამბრა, მაგრამ, ეტყობოდა, ცუდი ყოფა-ქცევისა არ იყო, თუმცა კი უგვაროებს ლაპარაკობდა.

— აბა შემომხედე, კარგი ვარ თუ არა,—მკითხა ამ ქალმა და ცალი ხელით სახეს იჩრდილებდა.

— მაგას კითხვა აღარ უნდა, შენ ძალიან ლამაზი ხარ, მაგრამ რადა ჰკარგავ დროსა. უმჯობესია მითხრა, რა გინდა შენა?

იმან წარმოსთქვა:

— გეტყობა, შენ მე ვერ მიცანი. მე ვარ მაგნა, პტოლომეს და ალბინას ქალი. შემისყიდე, შემისყიდე, პამფალონ, მე პტოლომეს ასული—ეხლა შენ მდიდარი ხარ, და მაგნასთვის ფული საჭიროა, რომ ქმარი და შვილები გამოიხსნას ტყვეობიდან.

მაგნა ღვრიდა ცრემლებს, და სწრაფად იხსნიდა ქამარსა!

XVI

ამ გვარი უცნაური სტუმარი ჯერ არსად შემხვედროდა მე... თავიც გადაედო გასასყიდად, ამასთანავე საშინლად იტანჯებოდა. სწორე გითხრა, ამაების ყურებით მე თითონ გულმა კვნესა დამიწყო და მამედო რალაც ვარამი.

სახელი მაგნა ეკუთვნოდა ერთ მშვენიერ, წარჩინებულს და უბედურ ქალსა დამასკში. მე იმას პატარაობიდანვე ვიცნობდი, მაგრამ მას აქეთ აღარ მენახა, რაც მაგნა გათხოვდა და გაგვშორდა. დედ-მამის სურვილით იმან შეირთო ქმრად ვიზანტიელი რუფანი.

— ქმარა!—წამოვიყვირე მე:—მე გიცნობ შენ, ჭეშმარიტია,—შენა ხარ კეთილ-შობილი მაგნა, ასული პტოლომესი. შენი ყმაწვილობის დროს, მე მამაშენის ნება-რთვით, ხშირად გართობდი ხოლმე თქვენი სასახლის ბაღში ჩემი თამაშობით. ძე კარგად მახსოვს, რომ შენ ხშირად და ალერსით მომცემდი ხოლმე ფულსა, თეთრ პურსა და ხანდისხან ქიშმიშსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროწეულსაცა! მითხარი მალე, რა დაგმართვია შენა, სად არის შენი ქმარი, ნებიერი და ფრიად მდიდარი ვიზანტიელი რუფინი, რომელიც შენ ისე აღტაცებით გიყვარდა? ნუ თუ ის ჩანთქეს ზღვის ზვირთებმა; ანუ იმის სიახალგაზდე მოსპო პონტის ზღვაზე მახვილითა ბარბაროსმა—სკიფმა? სად არის შენი სახლობა, სად არიან შენი შვილები?

თავ-ჩაკიდებული მაგნა იყო გაჩუმებული.

— ეს მაინც მითხარი, როდესაც მოხვედი დამასკში, რატომ არ დასდექი ან შენ ნათესავებთან, ან შენ უწინდელ მეგობარ ქალებთან—ფოტინასთან, ტაორთან, ანუ სილვა-ქალწულთან? რისთვის მოესწრაფებოდი ღარიბ სახლისაკენ ნაძრახის მასხარასი, რომელსაც ეხლა უწყალოდ დასცინოდი,—ვითომ თავის მისყიდვას აპირობდი შენ!

მაგნამ ნაღვლიანად გაიქნია თავი და მიპასუხა:

— პამფალონ, შენ არ იცი ყოველი ჩემი შესაძრწუნი უბედურება და არა მარტო ერთი! მე სრულიადაც არ დაგცინი: მე მოვედი, აქ ხუმრობას ადგილი არა აქვს, რომ მოგესყიდო შენ. ჩემი ქმარი და შვილები დატყვევებულები არიან. ნაღველი ჩემი საშინელი და უზომოა!

— მაშ მითხარი მალე, რაში მდგომარეობს ეგ შენი ნაღველი და თუ რაიმე შველა მე შემეძლება—სიხარულით და დაუყოვნებლივ შეგისრულებ ყველას.

— კარგი, მე სუყველას გიამბობ,—მითხრა მაგნამ.

აი, განდეგილო, როდის მომადგა განსაცდელი და როდის დავიეწყე მე ჩემი აღთქმაც და თვით საუკუნო ცხოვრებაც.

XVII

მე ვიცნობდი მაგნას ყმაწვილობიდანვე. იმათ სახლში არა ვყოფილვარ, მაგრამ ბაღში კი ხშირად მიბარებდნენ პაწია მაგნას გასართობადა. ბევრი მიმდევარი სტუმარი იმათ არა ჰყვანდათ, ამისათვის, რომ ჩინებულ პლოტომეს ამაყად ეჭირა თავი და ის ერიდებოდა დაახლოვებას იმ გვარ პირებთან, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც უკეთურ ცხოვრებაში შემჩნეული ჰყავდა. იმის სახლში არც ერთხელ არ შემოხვევია იმნაირი კრება, რომლისათვისაც საჭირო ყოფილიყო მასხარა. იქ თავს იყრიდნენ ნასწავლი ღვთის-მეტყველები, რომელნიც საუბრობდნენ უძაღლეს საგნებზე და თვით სული-წმიდაზე. პტოლომეს ცოლი, ალბინა, დედა ლამაზი მაგნასი, მიმართულებით წააგავდა თავის ქმარს. მედიდურ დამასკის ქალებს არ უყვარდათ ალბინა, მაგრამ ყველანი თანახმად აღიარებდნენ იმის უბიწოებას და უმანკოებასა. ალბინას ერთგულობა ქმრისა ყველასათვის მისაბაძებელი იყო. ტურფა მაგნა დედას ემზგავსებოდა ხასიათებითაც და სილამაზითაც და ამასთანავე სიახალგაზდე ხდიდა მაგნას გულმოწყალედაცა. პტოლომეს მშვენიერ ბაღს მიჯნადა ჰქონდა ერთი დიდი და ღრმა თხრილი, და იმის იქით იწყებოდა ტრიალი მინდორი. როდესაც აზელლას ქალაქს გარედ სახლში მივდიოდი ხოლმე, გზის შესამოკლებოდ ხშირად ვარჩევდი ამ მინდორზე გავლასა, რადგანაც ეს უფრო პირდაპირი იყო. მე, რასაკვირველია, თან მიმქონდა ჩემი სამასხარო იარაღები და ეს ძაღლიც მიმყვანდა ხოლმე. აკრა მაშინ პატარა იყო და ჯერ კარგად არ იცოდა ისა, რაც საჭირო იყო მასხარას ძაღლისათვისა.

როდესაც ამ მინდორში გავიდოდი და დავუპირდაბირდებოდი პტოლომეს ბაღებსა, დავისვენებდი ხოლმე; ამოვიღებდი ქერის ლავაშსა და საუზმეს, ხან სამხარს, გიახლებოდი. მერე აკრას ვწრთვნიდი თამაშობაში. მე ჩამოვჯდებოდი თხრილის პირადა, შევექცეოდი ლავაშსა და აკრას აქ გაშლილ მინდორზე, გავამეორებინებდი იმასა, რასაც შინ სივიწროეში ვასწავლიდი. ერთხელ მე მოვკარ თვალი მშვენიერ და კარგა ტან აყრილ მაგნასა. დაბურულ მწვანე ტოტებიდან გამოიყურებოდა ისა და დაჰკვირებოდა აკრას თამაშობასა. მე ვითომ ვერა ვხედავდი მაგნასა და მინდოდა, რომ უფრო ბევრად მესიამოვნებინა იმისთვისა და რადგანაც აკრა ჯერ კარგად არ იყო განვითარებული, ერთი კარგი ვადაუშხეილე, რომ უფრო ძნელი ოინები გამოეჩინა. აკრამ საცოდავად შესწკმულვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტოები მსწრაფლ შეირყა და მშვენიერი სახეც ქალისა ფან-ქრა...

ამ შემთხვევამ ისე გამაგულისა, რომ ერთი ორი კიდევ მივარტყი აკრასა. ეს მოჰყვა საცოდავად წკმუილსა და მაშინათვე ლობეს იქიდან შემომესმა:

— შეუბრალებელო კაცო! რადა სტანჯავ მაგ უბედურ პირუტყვსა! რად ატან ძალასა ჰქმნას ისა, რაც წინააღმდეგია მაგის ბუნებისათვისა.

მოვტრიალდი და დავინახე მაგნა, რომელიც დაფოთლილ და დაბალ ლობესთან იყო წამომდგარი; სახე ჰქონდა მრისხანე.

— ნუ გამკიცხავ, პატარა ქალბატონო,—ვუპასუხე მე:— მე არა ვარ უწყალო კაცი, ძაღლის გაწრთვნა ეკუთვნის ჩემ ხელობასა, რომლითაც ესეცა და მეცა ვსაზრდოობთ.

— საძაგელი და საზიზღარია შენი ხელობა და მაგითი გართობას საჭიროებენ საზიზღარივე და უკეთური პირნიცა,— მიპასუხა მაგნამა.

— ოხ, ქალბატონო, ყველანი საზრდოებენ იმითი, რითაც შეუძლიათ ლუკმის შოვნა, და კარგია, თუ კაცი თავის შრომით იკვებება და მოყვასს არ მიაყენებს უბედურებასა.

— ეგ შენ არ შეგეხება; შენ რყვნი შენს მოყვასთა,— წარმოსთქვა მაგნამა, და თვალებში გამოეხატა ის სიმკაცრე, რომელიც ჩვეულებრივი თვისება იყო იმის დედისაცა.

— არა, ქალბატონო,—მივუგე მე: შენ სასტიკად სჯი და მაგას იმიტომ ამბობ, რომ ცხოვრებაში ჯერ შენ არაფერი გამოგიცდია. მე გლეხი კაცი ვარ და არ შემიძლიან გარყვნა უდიდეს წოდების გვამთა.

მე გავბრუნდი და ვაპირობდი ჩემ გზაზე წასვლასა, მაგრამ მაგნას სიტყვებმა შემაყენა:

— შენ არ შეგშვენის ლაპარაკი უმაღლეს წოდების პირებზედა. უკეთესი იქნება... აი დაიჭირე ჩემი ქისა: მე გაძლევ ამას, რომ მაძღრისად აჭამო შენ საბრალო ძაღლსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადმოისროლა აბრეშუმის პარკი, რომელმაც ჩემამდინ ვერ მოაწია; საჩქაროდ ხელი მივატანე, რომ დამეჭირა, და ამ დროს მამისხლტა ფეხი და შიგ ხევის ძირში ჩავარდი.

მეგონა მთელი სხეული სულ დამემსხვრა-მეთქი.

XVIII

ათი დღე დავყავი ხევის ძირში; წყლისაგან ნათხარ მღვიმეში ვიწექი. ღმერთი კაცს არ დაჰკარგავს და ნუგეშად ამ გაჭირებულ დღეებში გამიჩინა მე მაგნა! ეს კეთილშობილი ქალი ყოველ დღე ჩამოდიოდა ჩემს სანახავად და იმოდენა ფაქიზი და უხვი საჭმელი მოჰქონდა, რომ მეცა და აკრასაც კიდეც გვრჩებოდა. რადგანაც მხარი დაშავემული მქონდა და მიხურდა, მაგნა თავის უბიწო ხელებითა მალმალ მაფარებდა სველ ხელსახოცსა. აქ მქონდა შემთხვევა ბაასობისა მიუდარებელ მაგნასთან და სულით ვტკბებოდი, რომ აშკარად ვხედავდი იმის სულის უმანკოებას და ცხოველ ნათელსა იმის გონებისას. მხოლოდ ერთი არ მომწონდა იმაში—არა ჰქონდა დათმენა სხვის ნაკლებობათა და თავის თავის ნამეტანი იმედი ჰქონდა ყველაფერში.

— რატომ,—ამბობდა ისა,—ყველანი ისე არა სცხოვრობენ როგორც დედა-ჩემი და ჩემი მეგობრები ტაორა, ფოტინა და სილვია, რომლების ყოფა-ცხოვრება ეგრეთვე წმინდაა, როგორც ბროლი.

მე ვხედავდი, რომ მაგნას დიდად უყვარდა ესენი და მტკიცედ მიჰბაძავდა იმათ. თუმცა ძალიან ახალგაზდა იყო, ცდილობდა ჩემს მოქცევას, უნდოდა მოვეცილებინე ჩემს ცხოვრებას და როდესაც მე არ ვეთანხმებოდი ამაში, მაგნა ჯავრობდა.

მე პასუხად ვუთხარ ის, რაც ყველასაგან სიმართლედ არის აღიარებული.

— განა შენ არ იცი,—მივუგე მე:—რომ ჭურჭელი ერთი დანიშნულ არს მოსათავსებლად კარგისა და მეორე—მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებლად უვარგისისა? შენ იცოცხლე პატიოსნებისათვის, მე კი ხვედრად მაქვს მონიჭებული საძრახისი ცხოვრება, და როგორც თიხას, განა მე შემიძლიან ავუხირდე ჩემს მეჭურჭლეს? ჩემმა ბედმა გამხადა მე მასხარად და მე მივსდევ ამ კვალსა, როგორც ყელზე თოკ-წაბმული ხარი.

მაგნა ვერ მიხვდა ამ ჩემს ადვილად გასაგებ სიტყვებს და ჩემ ცხოვრებას მიაწერდა მხოლოდ ჩვეულებას:

— ბრძენთაგან ნათქვამია,—მიპასუხა იმან:—რომ ჩვეულება შემოდის ჩვენს გვამში როგორც უცხო მგზავრი, დარჩება ხოლმე როგორც სტუმარი, და შემდეგ მეუფედ გარდაიქცევა. კუპრი, როდესაც მოივლის კასრშია, ახდენს იმას და არაფრისთვის აღარ გამოდგება ის კასრი, თუ არ ისევ კუპრისთვის.

ცხადი იყო, რომ მაგნა თავის აზრში მადრიდა მე მხოლოდ კუპრის კასრსა და ძალიანა ვწუხდი, რომ დაჭრილობა ნებას არ მაძლევდა ამოვსულიყავ ხევიდანა. ამასთანავე ვამჩნევდი, რომ მაგნა თითქო მობეზრდა და თითონაც ფიქრობდა, რა ლონისძიებით ამომიყვანოს ხევიდან და სახლში გამისტუმროს.

ამის ასრულება ადვილი არ იყო: მე არ შემეძლო სიარული და მაგნა ვერას მიშველიდა, რადგანაც სუსტი იყო. ის ვერ გაბედავდა გასტყდომოდა თავის ამპარტავან დედ-მამას, რომ ჩემისთანა საზიზღარ ხელობის კაცთან არამც თუ მსვლელობა, მარტო ლაპარაკიც კი ჰქონდა. ამ მიზეზებითვე ვერც არას მოსამსახურეებს ეტყოდა.

ხშირად ხომ მოხდება, რომ ერთი შეცდომა ჰბადავს მეორეს და ღირსეულ მაგნასაც ესე მოუვიდა. რომ მიშველოს რამე, მე, საძაგელ მასხარას, რომელიც ღირსი არ იყო იმის ყურადღებისა, ის იძულებული გახდა მინდობოდა კიდევ ერთ უცხო კაცსა, სახელად მაგისტრიანსა.

მაგისტრიანი იყო ახალგაზდა მხატვარი და მშვენივრად ამკობდა სურათებით სასახლეების კედლებსა. ერთხელ ხევის პირად თავის სამხატვრო კალმებით მიეჩქარებოდა ისა აზელლასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზელლას აეგო თავის ბაღში ყოვლად შემკული საჩრდილო და მიენდო მაგისტრიანისთვის დახატვა საჩრდილოს კედლებისა იმ გვარის მხატვრობით, რომელიც წარმოადგენდა მხოლოდ მხიარულებას და ლხინსა.

როდესაც მაგისტრიანი მოგვიახლოვდა, აკრამ მაშინვე იცნო და შეჰქმნა საბრალოდ ღმუილი.

მაგისტრიანი შეფერხდა, მაგრამ უმალვე აპირობდა წასვლას,—იქნება მოკლული კაცი გდია ვინმე ხევშიო.

იმ ჟამად მაგნა ლობესთან დგომილიყო. ჩემმა სიბრალულმა გააკადნიერა ის, მწვანე ფოთლები გააპო და მოუწოდა:

— ყმაწვილო! ნუ წახვალ, ვიდრე არ მისცე შემწეობა შენსა მოყვასსა. მაგ ხევში ჩავარდა კაცი და რამდენი დღეა, რაც მადა წევს, საწყალი, დაჭრილი. მე ვერ მოვერევი, რომ ამოვიყვანო, შენ კი ლონიერი კაცი ხარ და ვალდებულებაა შენი უშველო მაგას.

მაგისტრიანი იმ წამსვე ჩამოვიდა ხევში, გამსინჯა მე და გაიქცა ქალაქში მუშების მოსაყვანად, რომ გადამიყვანოს ჩემს სახლში.

სუყველა მსწრაფლად და კარგად შეასრულა და როცა მარტოკა დავრჩით, გამომკითხა: როგორ მოხდა, რომ ჩავარდი ხევში და ან თითქმის ორი კვირა როგორ გასძელი უჭმელ-უსმელიო.

მაგისტრიანი დიდი ხნის და კარგი ნაცნობი იყო ჩემი: მე არაფერი არ დავუმალე იმას ბ სუყველა დაწვრილებით ვუამბე.

და როდესაც ვუთხარი, რომ მაგნა ყოველ დღე მიზიდავდა სადილსა და სველ ხელცახოცს მაფარებდა დაშავებულ მხარზე, ახალგაზდა მხატვარს სახეზედ მოედო ნათელი და აღტაცებით მითხრა:

— ოჰ, პამფალონ! რა ბედნიერი ხარ და როგორა მშურს შენი ბედის წერა! მე დიდი სიხარულით დავიმტვრევდი ფეხებს და ხელებსაც, ოღონდ კი ეს მშვენიერი ქალი ყოფილიყო ჩემს ახლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მაშინვე შევატყე, რომ სიყვარულის ისრებს უწყალოდ დაუკოდავთ მხატვარი და ვწრაფობდი დამეშმოშმინებინა.

— შენ სულ-მოკლე ყოფილხარ,—ვუთხარი მე:—პტოლომეს ქალი მშვენიერია, ამას კითხვა არ უნდა, მაგრამ, ძმაო, ყველა კაცისათვის ჯანის სიმრთელეზე უკეთესი არა იქნება-რა; ამასთანავე პტოლომე ამაყი კაცია და ალბინა ისე ზვაობით სავსეა, რომ თუ სიყვარულის ალმა აღგიტაცა შენა,—უმჯობესია განიქრო შენ ეგ გულის ცეცხლი, რადგანაც მადედან კარგი არა დაიბადება-რა.

მაგისტრიანს ფერი ეკრთო და მითხრა:

— რაღა უნდა დაიბადოს! განა ჩემთვის საკმარი არ არის, რომ მაგნას სიმშვენიერე მოჰფენს ჩემს გვამში რაღაც გონების სიმახვილეს?..

და აღტაცებით გონება ებნეოდა საბრალო ახალგაზდას.

XIX

როდესაც უკვე გავხდი, ერთ საღამოს წავედი აზელლასთან, იქ დამიხვდა მაგისტრიანიცა. დამინახა თუ არა, წამავლო ხელი და ბაღში ჩამიყვანა, მინდა ჩემი ნამუშევარი გიჩვენოვო. ახლად აგებული საჩრდილო კარგა დიდი შენობა იყო და შეადგენდა რამდენსამე განყოფილებას. ყველა განყოფილების მხატვრობა ეთანხმებოდა დღიურ ცხოვრების მიმოსვლას. ამ გვარად, განყოფილებებს სხვა-და-სხვა დანიშნულება ჰქონდათ: ერთი იყო საწოლი, საიდანაც მშვენივრად სჩანდა დილის ცისკარი; მეორიდან სასიამოვნო იყო ამომავალი მზის ცქერა; დანარჩენი განყოფილებანი იყვნენ ცალკ-ცალკე მოწყობილი: მეცნიერების შესასწავლადა, საბანებლად, წყლის გადასავლებლად სიცხეში, სალხინოდა და ერთიც—სალოცავადა... და აი აქა, ერთს მოშორებულ და მყუდრო კუთხე'ში, ცხოველის მხატვრობით წარმოდგენილი იყო სიზმრად ნახული: დიდი ლხინი, მორთულ-მოკაზმული ლამაზი ქალები, რომლების თვითეულად დასახელება მე შემეძლო—ეს იყო სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათები ჩვენი ზნე-გაფუჭებულის ქალებისა. ისინი ისხდნენ ყვავილებით შემოსილნი ყმაწვილ-კაცებთან მდიდრად გაშლილს სუფრაზე. ერთ ვიღაც ახალ-გაზდას ეძინა და პირისახე ჩამხობილი ჰქონდა ყვავილებით სავსე კალათშია. თუმცა პირი არ უჩანდა, მაგრამ ტანისამოსზე მე მაშინათვე ვიცანი, რომ ეს ახალგაზდა იყო თვით მხატვარი მაგისტრიანი. აქვე იყო გამოხატული შემოზღუდული სარბიელი: გამკაცრებული ლომები მიიწევდნენ ერთ ახალ-გაზდა ქალწულისაკენ... და ეს კი უშიშრად და შეურყეველად იდგა და ლოცულობდა. ის იყო მაგნა.

მაგისტრიანს ხელი დავკარი მხარზედა და ვუთხარ:

— მშვენივრად დაგიხატავს! სურათი ძალიანა ჰგავს მაგნასა, მაგრამ რითი იცი, რომ იმას ისეთი მაგარი გული აქვს, რომ გაალმასებული ნადირისაც კი არ ეშინიან? მე კარგად ვიცნობ იმათ ჩამომავლობასა: ყველამ იციან, რომ პტოლომე და ალბინა კეთილშობილი და ამასთან ამპარტავნები არიან, მაგრამ ბედს იმათთვინ აქამომდე არა უვნიარა და იმათ ქალს აქამდის არავითარი განსაცდელი არ მისდგომია.

— რა გინდა სთქვა მაგითი?

— მე მინდა ვთქვა, რომ მშვენიერ მაგნას არავითარი უბედურება არ გამოუცდია, და არ მესმის, რისთვის გამოუსახავს შენ ხელოვანს კალამსა იმის სურათში ეგრეთი უშიშრობა და გულის სიმაგრე წინაშე გაკაპასებული ნადირისა? თუ ეს იგავია, უნდა იცოდე, რომ სააქაოს ცხოვრება ყველა ნადირზე უუსაშინელესია და შეუძლიან მოდრეკა ყველა ადამიანისა.

— მხოლოდ გარდა მაგნასი!

— ოხ, მე მგონია რომ თვით მაგნასიცა!

ეს ვუთხარი იმისათვის, რომ დასწყნარებოდა მხატვარსა გატაცებული სიყვარულის გრძნობანი.

მაგისტრიანმა მსწრაფლად წამიჩურჩულა.

— იცი რა! ამ დღეებში ვნახე მაგნა. მე მიმიწვიეს ფარდების დასახატადა იმის უბიწო საწოლისა. მინამ ხატვას და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწყებდი, მე ვებაასებოდი მაგნასა. სხვათა შორის, შენც მოგიგონა...

მხატვარი შესდგა.

— მაგნა ძალიანა სწუხს, რომ შენ სამასხარო ხელობას მისდევ. მე ვუპასუხე: „ქალო! ყველა ისეთი ბედნიერი არ არის რომ გაატაროს თავისი ცხოვრება ისე, როგორც თითონა სურს-მეთქი. ბედი უწყალოა: შეუძლიან ადამიანი იძულებული გახადოს სვას მხოლოდ ამღვრეული წყაროს წყალი, სადაც უმრავლესი წურბელა ფუთფუთებს და სადაც მოიპოება ასპიდიცა“. მაგნამ არ დაიჯერა ესა და ჩაიცინა.

— ჩაიცინა? — ვკითხე მე...—ეტყობა ქალობა პტოლომესი და ამპარტავანი ალბინასი. სწორედ გითხრა, მე უფრო მიამებოდა, რომ ან გაჩუმებულიყო, ან გულშემტკივნედ ამოეთხრა.

— დიაღ,—მიპასუხა მაგისტრიანმა:—მაგნამა სთქვა: „სიკვდილი სჯობს ნაძრახ სახელსაო,“ და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დაბეჯითებულია ამაში და სრულიად ამ გვარი მიმართულებისაა თითონაცა.

— შენ სისწრაფითა სჯი,—მივუგე მე:—მართალია სიკვდილი უმჯობესია ნაძრახ სახელზედა, მაგრამ შესაძლებელია, რომ ესა სთქვას დედამა, რომელსაც შვილები ჰყავს.

— და განა შენ არ იცი, რა ჰქნა მაკაბელთა დედამა?

— როგორ არა. მაკაბელნი დახოცეს, მაგრამ იმათ დედას რომ დაჰქადებოდნენ შვილების გამოზრდასა ეგრეთსავე მასხარებადა, როგორც ვარ მე, ანუ ფეხთგამბანელთა უნამუსო ქალებისა, და თუ დედა მათი იქნებოდა თვით მაგნა,—არ ვიცი რას უფრო ირჩევდა ესა: სირცხვილსა თუ სიკვდილსა შვილების გადასარჩენადა.

— რისთვის ლაპარაკობ მაგეებსა! — სთქვა მაგისტრიანმა:—და ნუ შეეხების მაგნასა თავის ცხოვრებაში ნურავითარი განსაცდელი.

— მე სრულიად თანაგიგრძნობ მაგ შემთხვევაში და ვისურვებ მაგნასათვის ყოველს კეთილსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს საღამოზედა მაგისტრიანი მოვიდა ჩემთან ძალიან ნაღვლიანი და მითხრა:

— პამფალონ, გაიგე თუ არა ფრიად სამწუხარო ახალი ამბავი: პტოლომე და ალბინა ათხოვებენ თავის ქალსა!

— რისთვის სთვლი მაგ ახალ ამბავს სამწუხაროდ! — ვუპასუხე მე, — არ მესმის, კავშირი ორი შეყვარებული გვამისა რად უნდა იყვეს შესაწუხარი და არა სასიხარულო!

— ყოველთვის ეგრეა, როდესაც მოიწადინებენ შეერთებას უმანკო გულისას გარყვნილებასთან.

— მაგისტრიან! შენ გათქმევინებს მაგას გაშფოთებული გრძნობანი, რომელსაც შური ჰქვიან. მაგგვარი გრძნობა უნდა მოსპო შენს გულში.

— მე დიდი ხანია მოვსპე კიდეც, — მიპასუხა მხატვარმა — მაგნა ჩემი საკოლე არ არის და მე იმის საქმრო, მაგრამ საშინელია, რომ პტოლომეს სასიძო ვიზანტიელი რუფინია.

გავიგონე თუ არა ეს სახელი, კანკალმა ამიტანა და შენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც მე.

ვიზანტიელი რუფინი დიდი გვარის კაცი იყო, ტანადი და საზოგადოდ საუცხოვო მოყვანილი, მაგრამ ამასთანავე საშინელი ცბიერი და გამოქნილი, ისე რომ თვით ვიზანტიაშიც წრე გარდასულადა სთვლიდნენ იმას თავმოყვარე კორინთელი და ბევრი სხვანიცა, რომლებიც ფულებს და ძალ-ღონესაც უწყალოდ ჰფანტავდნენ აზელლასთან. ჩემის დაკვირვებით, ესენი ბევრად სჯობდნენ რუფინსა. პტოლომეს სახლში რუფინი ჩინებულად იყო მიღებული. უნდა მოგახსენო, რომ ეს ახალგაზდა უზომო მატყუარა და მაცდური იყო: მთელი დღე თითქო სახლიდან ფეხს არსადა სდგამდა და კითხულობდა სასულიერო წიგნებსა; საღამოზე კი ეადიოდა ქალაქ გარეთ მოსასმენლად კეთილსათნო ბაასისა. იმ დროებში დამასკის ახლო სცხოვრობდა ერთი ღრმად მოხუცებული განდეგილი მესვეტე; ის დღისით იდგა კლდეზე და ღამით იმის ოხვრა მოისმოდა საფლავიდან. რუფინი დადიოდა იმასთან, და მზის ჩასვლის დროს შეუდგებოდა ლოცვას განდეგილის აჩრდილში... მაგრამ, დახე, რაკი სიბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე მოედებოდა ქალაქსა, ის სხვა ფრთებს შეისხამდა და ბინა-აქროლებდა აზელლასკენ. ჯერ კი შეუხვევდა ხოლმე მაგისტრიანსა და სრულიად შეაცვლევინებდა თავის სახეს... აი საიდან ვიცნობდით მე და ჩემი მეგობარი მაგისტრიანი რუფინსა. ჩვენ ყოველგან დავცინოდით გულში ამ ორ-პირ კაცსა. აზელლამაც სუყველა ესენი კარგად იცოდა და როდესაც მარტოკა დავრჩებოდით, ხშირად გველაპარაკებოდა იმაზე. საზოგადოდ, უნამუსო ქალებს, როდესაც თავისუფლები არიან, უყვართ ბაასი ჩვენთან, რადგანაც მათი შეხედულობით ჩვენში უფრო მოიპოვება წრფელი გული და ჭკუაცა, ვიდრე იმათ წარჩინებულ და მდიდარ სტუმრებში.

აზელლას ძლიერ უყვარდა მხატვარი, მაგრამ ეს სიყვარული ყოვლად უიმედო იყო, ამისათვის რომ მაგისტრიანის სრული გონება და გრძნობანი მიმართულები იყვნენ მხოლოდ ერთად-ერთ მაგნასაკენ, რომლის უბიწო და უმანკო სახე გონებიდან განუშორებელი ჰქონდა იმას. აზელლა გულის მეტყველებით მიმხვდარი იყო ამ საიდუმლოს და ამიტომ უფრო ალერსით და ნაზად ეექცეოდა მაგისტრიანსა. მე და მაგისტრიანი ხანდახან გათენებამდინ დავრჩებოდით ხოლმე აზელლას სახლში. დილით, მზის ამოსვლაზე, როდესაც სტუმრები გამოეთხოვებოდნენ, აზელლა შემოდიოდა ჩვენთან და თვითეულად აგვიწერდა ხოლმე თავის სტუმრებსა, რომლების შორის ყოვლად საზიზღრად სთვლიდა რუფინსა. ის არისო საძაგელი პირმოთნე და თვალთმაქცი და არ შეფერხდება იკისროს, რაც გინდა უკადრისი და სათაკილო საქმე იყოსო. ერთხელ, კორინთელი დიდ ქეიფში შესულიყო და უკონოდ ებნია ფული. ამ შემთხვევის შემდეგ აზელლამ გვითხრა:

— საცოდავი კორინთელი ფარშმანგი... ყველანი უწყალოდ ბრტყვნიან იმასა და როდესაც რუფინიც აქ არის ხოლმე, ცუდი არ იქნება ჯიბეები მოუქექონ ამასა...

ეს ნიშნავდა, რომ რუფინი, შესაძლებელია, ქურდიც ყოფილიყო... აზელლა ყველას კარგად იცნობდა და ძნელად შესცდებოდა, როდესაც ვისმეზე გამოსთქვამდა თავის აზრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ პტოლომე და ალბინა სხვა თვალებით უყურებდნენ ვიზანტიელს; იმათი კეთილი ქალი მაგნა ყოვლად მორჩილი იყო დედ-მამისა და ამათი ნება და სურვილი დაურღვეველი იყო იმისთვის.

უწყალო ბედმა უკუ-მოუქცევლად გადასჭრა... და მაგნა შეიქმნა რუფინის ცოლი.

ცოტა ხნის განმავლობაში რუფინმა თავის მდიდრად გამზითული ცოლი ვიზანტიაში წაიყვანა.

ფ. ხ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გადმოსახლებულების დაბინავება საქართველოში

(ისტორიული წერილი)

III *)

ეხლა ვუამბობთ მკითხველს მოკლე ისტორიას იმისას, თუ ვინ და რა დროს დაბინავდა ქართლ-კახეთში.

პირველად რუსეთიდან საქართველოში გაჩნდნენ ჯარის-კაცნი და მოხელენი. ამ საუკუნის დასაწყისს მოგზაურობა რუსეთიდან საქართველოსკენ დიდის გაჭირვებითა ხდებოდა. ხშირად მგზავრნი სიცოცხლესაც კი ეთხოვებოდნენ. ამის გამო ვაი-ვაგლახით ჩამოსული მოხელე, სამსახურს რომ გაათავებდა, ადვილად ველარ ბრუნდებოდა შინ. ან რას იპოვიდა სამშობლოში სახარბიელოს ოც და ათის, ორმოცის წლის განშორების შემდეგ? სიბერე, მოხუცებულობაც უეჭველია ხელს შეუწყობდა, რომ დარჩენილიყო იმ ქვეყანაში, რომელმაც შეივრდომა და სადაც თვისი ყმაწვილ-კაცობა გაატარა. ამის გამო სამსახურიდან გამოსული მოხელეობა მკვიდრდებოდა ქალაქებად და სოფელს აგრე რიგად არ ეტანებოდა.

ესევე მიზეზი აიძულებდა სამსახურ შესრულებულს ჯარის-კაცებს აქვე ეშოვნათ ბინა. მთავრობა სიამოვნებით ურიგებდა მათ სახნავ-სითეს მამულს, შეღავათს აძლევდა ხარჯსა და გადასახადში. ამ კატეგორიის მოსახლენი დაბინავდნენ მო-

*) იხ. „მოამბე“ № IV, 1899 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტებულ ნაწილად ჯარების შტაბ-კვარტირებთან. ბუნებრივ ბუბირი კაცი ბუნებით გულ-კეთილია, ადვილად იცის სხვისი შევრდომა. თუ ცუდი ჩამგონებელი და გამბრიყვებელი არა ჰყავს გვერდით, რუსის მხვნელ-მთესველი ვერც-კი მოაა ხერხებს სხვტომის ადამიანის ათვალწუნებას. ესაა მიზეზი რომ ამ საუკუნის დასაწყისს დაბინავებულნი ჯარის-კაცნი ადვილად შეეჩვივნენ მეზობელ-ქართველებს, ისწავლეს ქართული, ტანთ-საცმელი ნახევრად ქართული შემოიღეს, ხვნა-თესვის წეს-რიგი ხომ სრულიად ქართული აქვთ. ბაკურიანში დაბინავებულ რუსობამ სრულიად დაივიწყა რუსული, მხოლოდ თითო-ოროლა-ღა ამტვრევს ჩიქორთულად რუსულს..... სწორედ ტკბილი და მშვიდობიანი განწყობილება ჩამოვარდა ქართველებსა და პირველ რუს-მოსახლეთა შორის. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ პირველ მოსახლეთა რიცხვი ცოტა იყო და გარემოება აიძულებდა—მეზობლობა ჰქონოდათ ქართველებთან.

ამათ გარდა საქართველოში დაბინავდნენ რუსის მწვალებელნი. მე-XIX საუკუნის დასაწყისს ალექსანდრე I-ის დ ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს რუსეთში მწვალებლებს სასტიკადა სდევნიდნენ. სხვათა შორის დასასჯელად მწვალებლებს ჩვენსკენა ჰგზავნიდნენ. მაშინდელი ამიერ-კავკასია რუსისთვის ნამდვილი ციმბირი იყო. კავკასიას რუსი, განსაკუთრებით ჯარის-კაცი „დამღუპველ კავკასიას“ ეძახდა. სწორედ, კიდეც შეეფერებოდა ეს სახელი მაშინდელ კავკასიას. ჩამოსახლებულ რუსსა ან მტრის ტყვია ასალმებდა წუთი სოფელსა, ან ციებ-ცხელება ულებდა ხოლმე ბოლოსა. სამოთხედ ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველო დღეს გარდაიქცა მხოლოდ.

მწვალებლები დასობით გამოგზავნეს საქართველოში ოც და ათ, ორმოცსა და ორმოც და ათ წელსა. მომეტებულ ნაწილად მწვალებლები იყვნენ ტამბოვისა, სარატოვისა, ტავრისა, ვორონეჟისა, ორენბურგისა და ენისეის გუბერნიებიდან და აგრეთვე ბესსარაბიის ოლქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაცია აქაც არ ასვენებდა პირველ ხანებში მწვალებლებს და ათას ნაირად აწუხებდა. ამ ჟამად მწვალებელნი მყუდროდ და მშვიდობიანადა სცხოვრობენ და ხელის შემშლელი აღარავინაა. მწვალებელნი დასახლდნენ ამიერ-კავკასიაში მაღლობ ადგილებზე, საცა ბუნება ცივია და მკაცრი. ამ გარემოებამ დიდი სამსახური გაუწია პირველ მოსახლეთ უცხო და შეუჩვეველ ადგილებში. ჰავა ისეთივე ჰქონდათ მწვალებლებს, როგორსაც მიჩვეულნი იყვნენ რუსეთში. ამის გამო არც ბანჯგვლიანი ქუდები და არც ქეჩისაგან გაკეთებული ფეხსაცმელი არ მოუშორებიათ. რაღა თქმა უნდა, რომ ტყავების ხმარებაც ძველებურადვე დარჩათ. ნ. დინგელშტეტის სიტყვით მწვალებელთა ცხოვრება ამიერ-კავკასიაში არაფრით განირჩევოდა იმ წეს-რიგისაგან, რომელსაც უკვე მიჩვეულნი იყვნენო რუსეთში. ამასვე ჰმოწმობს თ. ა. მ. არლუთინსკი. სიღნაღში დაბინავებული რუსები ისე კარგად არიან მოწყობილნი, ისე კარგად შეეჩვივნენ ბუნებასო, რომ რუსეთს დაბრუნების სურვილი აზრადაც არა აქვთო.

მთელ ამიერ-კავკასიაში სულ 78 სოფელია რუსებისა, ცოტაოდენი მათგანი შერეულად ცხოვრობენ სხვა-და-სხვა ტომის ხალხთან. სულ რუსობა ითვლება 7,309 კომლი, ანუ 44,531 სული ორთავე სქესისა.

ტფილისის გუბერნიაში ირიცხება 32 რუსის სოფელი, სახელდობრ: ტფილისის მაზრაში 12; I. გომბორი, 139 კომლი, 518 სული მამრი და მდედრი; II. ოლგინსკოე, 59 კომლი, 146 სული; III. მალხაზოვკა, 89 კომლი, 335 სული; IV. მუხროვანი, 21 კომლი, 81 სული; V. ნოვო-ნიკოლაევსკოე, 27 კომლი, 145 სული; VI. ბელი-კლიუჩი, 165 კომლი, 832 სული; VII. გოლიცინსკი, 53 კომლი, 392 სული; VIII. ელისავეტინსკოე (იგივე პრიუტი) 43 კომლი, 290 სული; IX. კონსტანტინოვსკოე, 228 კომლი, 1031 სული; X. მანგლისი, 149 კომლი, 818 სულ; XI. სერგიევსკოე, 169 კომლი, 788 სული და XII. ვასილიევკა. (ცნობა არ არის, რამდენია მკვიდრი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალქალაქის მაზრაში ითვლებოდა სულ 8 სოფელი, სახელდობრ: I. ბოგდანოვკა, 91 კომლი, 824 სული; II. გორელოე, 156 კომლი, 1343 სული; III. ეფრემოვკა, 91 კომლი, 734 სული; IV. ორლოვკა, 131 კომლი, 1039 სული; V. როდიონოვკა, 105 კომლი, 789 სული; VI. ტამბოვკა, 64 კომლი, 501 სული; VII. ტროიცკაია, 102 კომლი, 704 სული და VIII. სპასკოე, 77 კომლი, 682 სული.

ეს რვა სოფელი დასახლებული იყო დუხობორებით, რომელთა ნაწილი შარშან და წრეულს კანადაში გადასახლდა.

ბორჩალოს მაზრაში შვიდია რუსის სოფელი, სახელდობრ: I. ვორონცოვკა, 255 კომლი, 1095 სული (მალაკნები); II. გერგერი რუსებისა, 84 კომლი, 465 სული; III. ჯალალ-ოღლი რუსებისა, 50 კომლი, 212 სული; IV. ნოვო-ალექსანდროვკა, 40 კომლი, 202 სული, V. ნიკოლაევკა, 52 კომლი, 337 სული; VI მიხაილოვკა, იგივე ნოვო-პოკროვკა, 71 კომლი, 351 სული და VII. პრივოლნოე, 164 კომლი, 1169 სული.

გორის მაზრაში რუსები სცხოვრობენ ათ სოფელში ქართველებთან და ოსებთან ერთად: ბორჯომში 57 კომლი, 201 სული; ბაკურიანში, 10 კომლი, 67 სული; თორში, 17 კომლი, 65 სული და ხაშურში, 39 კომლი, 108 სული.

სიღნაღის მაზრაში რუსებს ოთხი საკუთარი სოფელი აქვთ. სახელდობრ: I. ლაგოდეხი, 41 კომლი, 159 სული; II. ნოვომიხაილოვკა, 45 კომლი, 161 სული; III. ალექსანდროვკა, 93 კომლი, 484 სული და IV. ცარსკიე კოლოდეცი, 210 კომლი, 969 სული.

თელავის მაზრაში სულ 7 კომლია რუსობა, საცა ითვლება 19 სული; თიანეთის მაზრაში სულ არ არის რუსობა.

ეს ცნობანი ამოკრეფილია „Сводъ матеріаловъ...“-იდან, 1886 წ. კომლეულად აღწერილობის მიხედვით კი ტფილისის გუბერნიაში ითვლება რუსობა უქალაქებოდ 3470 კომლი, ან **35,765** სული.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელები გამოიწვია 1817 წ. ვირტემბერგის სამეფოდან უმაღლესმა კავკასიის მთავრობამ იმ აზრით, რომ „ადგილობრივ მკვიდრთათვის ესწავლებინათ საუკეთესოდ მამულისა და ვენახების შემუშავება და აგრეთვე, რომ შრომისა და მუყაითობის მაგალითი ეჩვენებინათ“. მოწვეული იყო სულ 1,400 ოჯახი, მაგრამ ამიერ-კავკასიას მოაწია მხოლოდ 1818 წლის გასულს 486 ოჯახმა. გერმანელები დაასახლეს ტფილისისა და განჯის გუბერნიებში; ექვსი ახალშენი ტფილისის გუბერნიაში და ორი განჯისაში. 1842 წ. კიდევ ჩამოვიდა ვირტემბერგიდან 10 ოჯახი. ესენი დაესახლნენ ჯერ აბასთუმანში და შემდეგ 1848 წ. გადმოასახლეს ტფილისის მაზრაში. 1862 წელს უმამულო ახალშენელებისაგან ცალკე ახალშენი დააარსეს წალკაზე. 1852 წ. კუკია ტფილისს მიაწერეს, ასე რომ ამ ჟამად სულ ცხრა ახალშენია ამიერ-კავკასიაში: ალექსანდერსდორფი—65 კომლი; მარიენფელდი, 77 კომლი; პეტერსდორფი, 60 კომლი; ფრეიდენტალი, 24 კომლი; ელისაბეტტალი, 189 კომლი. ბორჩალოს მაზრაში: ალექსანდერსგილფი, 65 კომლი და ეკატერინენფელდი, 253 კომლი. განჯაში ორია ახალშენი: ანენფელდი და ელენენდორფი; პირველში 116 კომლია და მეორეში 303 კომლი. დასახელებულ ახალშენებში ითვლებოდა 1884 წ. აღწერილობით 850 კომლი და 4,943 სული. 1886 წ. აღწერილობით კი 1043 კომლია. მარტო ტფილისის გუბერნიაში 1886 წ. აღწერილობით 650 კომლია და 5065 სული.

გერმანელების დაბინავება მთავრობას ძვირად დაუჯდა, თითო კომლზე დაეხარჯა თითქმის 2000 მან.,*) მამული აუარებელი მისცა მთავრობამ (იხ. ამ წლის შინაური მიმოხილვა) და აღმოუჩინა მრავალი შელავათი ხარჯისა და ბეგრის გადახდაში. გერმანელები მშვენივრად მოეწყვნენ, გამდიდრდნენ და ჩვენებურ ნიაო გამოლეულ გლეხებს სრულიად არ მოგაგონებენ. გერმანელი ახალშენელის ოჯახი, ბინადრობა და სახლ-

*) ეს ცნობა წრეკანდელ გაზეთ „კავკაზ“-იდან მოგვყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი სწორედ ამერიკელ ფერმერის მოწყობილებასა ჰგავს. ვისაც თავისის თვალით არ უნახავს გერმანელთა ახალშენები, ვერც-კი წარმოიდგენს, თუ რა ნივთიერ კეთილ-დღეობას მიაღწიეს ამ ჩვენის ქვეყნის ხიზან-სტუმრებმა. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლები, რიგზედ ჩამწკრივებულნი ქუჩის პირად სიამოვნებასა ჰგვრის მაყურებელს. სიუხვე მოსავლისა, სიმრავლე საქონლისა, კარგად მოწყობილი სასოფლო სკოლა და ეკკლესია აუცილებელი კუთვნილებაა გერმანელ ახალშენისა. საკვირველი ისაა, რომ გერმანელებმა კი არ ასწავლეს ჩვენებურ ტეტიას მიწის შემუშავება და ვენახის მოვლა, არამედ ტეტიასაგან შეისწავლეს ერთიც და მეორეც. მე ჩემის თვალით ვნახე ახალშენ ელისაბეტტალში ნემენცების ხვნა-თესვა და შემუშავებული ვენახი და ახალი ევროპიული იქ ვერა ვიპოვნე-რა. ისევ ის ჩვენი მამა-პაპური გუთანია ექვს-შვიდ უღელა ხარ-კამეჩით, ზოგან კი ხარებთან ცხენები მიუბამთ. ახალი ევროპიული მხოლოდ ეს ცხენების შებმაა გუთანში *).

გერმანელებმა არ გაუმართლეს ჩვენს მთავრობას იმედები, მეზობელ ხალხს, ე. ი. ქართველებს ჩვენში და განჯაში თათრებს ვერაფერი ასწავლეს. გერმანელები ერთმანეთობას დიდად ეტანებიან, სხვას აგრე რიგად გულსა და სულს არ უხსნიან, სცხოვრობენ კარ-ჩაკეტილნი და სხვისი დარდით აგრე რიგად თავს არ იწუხებენ. სწორედ მათზეა ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა:—ოლონც მე ვიყვე კარგად და ჩემს იქით თუნდ ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

იმედის გაცრუვებაა მიზეზი თუ სხვა სიომ დაჰბერა, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ დღეს მთავრობამ გული აიცრუვა გერმანელებზე და ისეთის მზრუნველობით აღარ ეპყრობა, როგორც წინად. ღვთის წინაშე დღეს გერმანელები

---

*) ამავე ახალშენში მაჩვენეს ერთი მოხუცებული ახალშენელი ახოვანი ტანისა და ძალზედ ჩამომხმარი. გარეგნობით და სახის მეტყველებით სრულებით არა ჰგავდა გერმანელს. არ ვიცი რამდენად მართალია, და ასე კი მითხრეს, რომ ეს კაცი გაგერმანებული იმერელიაო. ელისაბეტტალში დიდმა და პატარამ ქართული ლაპარაკი იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცა საჭიროებენ მთავრობის მზრუნველობას. წელში ისე არიან გამაგრებულნი, რომ სხვის ლოლიაობა და მზრუნველობა სრულიად აღარ არის მათთვის საჭირო.

—

ელლინთა ჩამომავალი ტომი—ბერძნები ეწვია საქართველოს ადრიანოპოლის ხელ-შეკრულობის შემდეგ. ამ საუკუნის ოცდა ათ წლებში, როცა ოსმალეთიდან რუსის გამარჯვებულ ჯარს უკან გამოჰყვა დიდძალი სომხობა, ამათსავე გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ბერძნობაც თან დაედევნა ჯარსა და მოადგა საქართველოს. ბერძნებმა დასაბინავებლად აირჩიეს წალკა, ბორჩალოს მაზრაში, საცა 24 სოფელი დაიჭირეს, ერთიც ტფილისის მაზრაში. მცირედი ნაწილი ბერძნებისა დამკვიდრდა აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში და ერევნის გუბერნიაში, სადაც სულ ორი სოფელია ბერძნებით დასახლებული. ამ ხანად საქართველოს სამზღვრებში ბერძნებსა აქვთ 25 სოფელი და ორიც საქართველოს გარეთ. სულ ამ ოცდა შვიდ სოფელში ითვლებოდა (1884—86 წ.) 2,037 კომლი და 17,027 სული ორთავე სქესისა. ათას რვაას ოთხოცდა ექვს წელს მომხდარი კომლეული აღწერილობიდან კი სჩანს, რომ მარტო ბორჩალოს მაზრაში ბერძნების რიცხვი არის 2636 კომლი, მამრ. სქეს. 10,021 სული და მდედრ. სქესისა—8965, სულ 18,986 ს. მაშასადამე ტფილისში დაბინავებული ბერძნებიც რომ ავიღოთ (388 სული) და მიუმატოდ ახალქალაქისა და გორის მაზრაში ჩასახლებულნიც (ატენისა და ბორჯომის ხეობანი) დავინახავთ, რომ ტფილისის გუბერნიაში ამ ჟამად 20,000 ბერძენია შემოხიზნული.

შემოხიზნულმა ბერძნებმა დაიჭირეს სახელმწიფო ადგილები და მისდევენ ხვნა-თესვას, საქონლის მოშენებას და ქვის თლას. სარწმუნოებით, რაღა თქმა უნდა, მართლ-მადიდებელნი არიან, მაგრამ სამშობლო ენა სრულიად დავიწყებული ჰქონდათ. მხოლოდ მცირეოდენმა იცოდა ბერძნული, დანარჩენი ოსმალურად ლაპარაკობდა. ზნე, ჩვეულება და ასე გაშინჯეთ ტანთ-საცმელიც დღესაც ოსმალური აქვთ. სოფ. წინ-წყაროს (ტფილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრაში ესაა ბერძნების სოფელი; ამ სახელის სოფელი ბერძნებისა ბორჩალოშიც არის, მხოლოდ აქ, ამ წინ-წყაროს ეძახიან აგრეთვე კვირა-ცხოველს) დედა-კაცს ოსმალოსაგან ვერ გამოარჩევ ჩაცმულობით. ოსმალეთიდან მოსულ ბერძნებს ისე ჰქონდათ დავიწყებული სამშობლო ენა, რომ თურმე ზოგიერთა მღვდლები ღვთის მსახურებას ოსმალურად ასრულებდნენ. დღეს გარემოება შეიცვალა. ბერძნებს საკუთარი ინტელიგენცია გაუჩნდათ, რომელიც სცდილობს სასოფლო სკოლების შემწეობით აღადგინოს სამშობლო ენა. ამ სანაქებო მოღვაწეობას ხელს უმართავს აგრეთვე ტფილისის სასულიერო სასწავლებელსა და სემინარიაში კურს დამთავრებული ყმაწვილკაცობა და სამღვდელოება *)

—

„მოამბეში“ უკვე იყო მოყვანილი სასტატისტიკო ცნობანი, (იხ. შინაური მიმოხილვა, ამ წლის მეორე ნომერი) თუ რამდენი ოსი შემოეხიზნა ქართლს ამ საუკუნის განმავლობაში. ოსები ისე ბლომად ჩამოვიდნენ მთიდან ბარში, რომ ქართველი გლეხ-კაცის ცხოვრების ელფერი სრულიად შესცვალეს. მათის წყალობით დაიბადა და უზომოდ გამწვავდა ესრედ წოდებული ხიზანთა საქმე. 1876 წლიდან დაწყებული, დღემდის ადგილობრივი და უმაღლესი მთავრობა სცდილობს როგორმე მოაწყოს ეს საქმე და ჯერაც გადაწყვეტით არ შეგვიძლიან ვსთქვათ — როგორ, ან როდის დასრულდება საქმე. ისეთი სპეციალური დაწესებულება, როგორიცაა საგლეხო საკრებულო, მარტო ხიზნების, ანუ ოსების საქმეს უნდება. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ 80% საჩივრებისა ამ დაწესებულებაში ოსებისაგან მოდის. ბატონ-ყმობა რომ გადავარდა ნაყმევ გლეხთა რიცხვი იყო 14,230 კომლი, დღეს ხიზანთა რიცხვი თითქმის ამდენი-

*) ბერძნების წალკას ერთი სასახელო შვილიცა ჰყავს. ეს გახლავთ ათინის უნივერსიტეტის პროფესორი ლაზარე პავლეს ძე კატანოვი. რამდენადაც გვახსოვს, კატანოვი დაბადებულია ს. ბარმაკსიზში, სწავლა დაამთავრა ტფილისში და შემდეგ სწავლობდა ქქ. კიევსა და ათინაში, სადაც დღეს პროფესორობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეა. სამწუხაროდ 1897 წლის აღწერილობა ჯერ არ არის გამოქვეყნებული, რომ დანამდვილებით შევიტყოთ რამდენია ოსი ტფილისის გუბერნიაში. დაახლოვებით კი შეიძლება სთქვას ადამიანმა, რომ დღეს ოსობა ტფილისის გუბერნიაში იქნება არა ნაკლებ თერთმეტი ათასი კომლისა, ანუ 52,895 სულისა. რაკი უმამულო და უნაყოფო მთამ ველარ ასაზდოვა ოსობა, ძალა-უნებურად ბარად ჩამოვიდა და მთელ ქართლს მოედო ბინის საშოვნელად, ასე გაშინჯეთ, ოსებმა ახალქალაქის მაზრის სამზღვრებსაც კი უწიეს თითქმის. ბორჯომის საბოქაულოს სოფლები: ზემო და ქვემო მიტარბი და მაჭარ-წყალი ოსებითაა დასახლებული; ბაკურიანში რვა კომლია ოსი, გომნაში 17 კომლი, ზეთამზეში—3 და ტიმოთეს-უბანში—1. ეს სოფლები, ბაკურიანის გარდა, თითქმის ზედ აკრავს ახალქალაქის მაზრას. ამას გარდა ოსები კონკურენციას უწევენ იმერლობას ტფილისში მოსამსახურეობაში. დღეს სატახტო ქალაქ ტფილისში ოსობა უფრო მრავალია ხელის მოსამსახურე, ვიდრე იმერლები, რომელთაც ამ ათის წლის განმავლობაში შესამჩნევად აარიდეს პირი ლაქიობა-მოსამსახურობას. ძიძებად კი მარტო ოსის ქალები არიან, ძვირად შეხვდება ადამიანი ამ ხელობაში ქართველს, იმერელს, სომეხს. ერთის სიტყვით, როგორც დიდი ხნით შეგუბებული მდინარე, როცა კი გაარღვევს ზღუდეს, შორს გაიშლება, გაიფანტება და რაც-კი შეხვდება გზაზე სულ წალეკავს და წალამავს, ისე ემართება ოსობასაც. მთა-გორა და განსაკუთრებით ტყე რომ აგრე არ უყვარდეს ოსსა, აქამდისინ ყარაიაზსა და მილის ველ-მინდვრებშიაც გაჩნდებოდა, როგორც ხიზანი, ან თუ გაჭირდა, როგორც იჯარადარი.

1886 წ. კომლეულად აღწერილობიდანა სჩანს, რომ ტფილისში ირიცხებოდა 314 სული ოსი. სულ მთლად გუბერნიაში ითვლებოდა 9486 კომლი და 72,420 სული.*) აქ, რასა-

*) ხიზან ოსების რაოდენობა დაფუძნებულია ჩვენს საკუთარ ანგარიშზე და ამიტომაც ეს რიცხვი არ ეთანხმება ოფიციალურსა. მიზეზი ასე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირველია, ნაანგარიშევია ხიზან ოსების გარდა—სახაზინო და დროებით ვალდებულნი გლეხნიც.

IV

სომხების მოსვლა ჩვენს ქვეყანაში არ ახალია, ძველია. ჯერ ისევ საქართველოს მეფენი დიდის სიამოვნებით და ხალისით იღებდნენ სპარსეთიდან და ოსმალეთიდან გამოქცეულ სომხებს. ქართველებს, როგორც ყველამ ეიცით, ვაჭრობა არ ეხერხებოდათ და არამც თუ არ ეხერხებოდათ, ეჯავრებოდათ კიდეც. უვაჭრობოთ კი ქვეყანას არ შეუძლიან ქვეყნობა. ამისათვის ქართველი მეფენი ხელ-გაშლილნი ხვდებოდნენ სომხებს და ასახლებდნენ ძველად ქალაქებში ვაჭრობა-მრეწველობისთვის. ოსმალეთ-სპარსეთში სომხებს ბევრი შავი დღე უნახავთ და დღესაც სანატრელ მდგომარეობაში არ არიან ამ დაქვეითებულ ქვეყნებში. ყოველი განსაცდელის შემდეგ ან სპარსეთში, ან ოსმალეთში, დაწიოკებული სომხები პირს ჩვენსკენ იზამდნენ ხოლმე, რათა თავი შეეფარებინათ ერთ-მორწმუნე ქართველის ჭერის ქვეშ და მისი მფარველობით შეწუხებული სული მოებრუნებინათ. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს შაჰაბასმა დიდმა საშინლად დააწიოკა სომხეთი. აუარებელი ხალხი გაწყდა მახვილითა, შიმშილ-წყურვილითა და სიცივითა. ეინც კი გადარჩა ცოცხალი, სისწრაფით გაშორდა უმადურ სამშობლოს. სწორედ ამ დროს მოეფინა ევროპის დაბა-ქალაქებს სომხობა და მრავალი მათგანი ჩვენშიაც ჩარჩა. ყარაბაღიდანაც მრავლად იწვევდნენ საქართველოს მეფენი სომეხთა, რომელნიც დაბინავდნენ ქალაქებად და სოფლად. ქართლ-კახეთი სავსეა სოფლებით, საცა სომხობა მრავლადაა დამკვიდრებული. მეტი არ იქნება, რომ დავასახელოთ რამდენიმე სოფელი: ლისი, სამ-

---

თის განსხვავებისა ადვილი ასახსნელია. ოფიციალურ ცნობაში ნაჩვენებია მხოლოდ კამელარიაში მოხსენებული კომლი, ჩვენ ისინიც ჩავთვალეთ, ვინც ჯერ არ აღრიცხულა კამელარიით. უკანასკნელი კამელარია იყო 1873 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილდო, კოდი, გლდანი, კუმისი, ველის-ციხე, ყვარელი, კისტაური, ურიათუბანი, წინანდალი, მუხრანი, რუისი, ალი, დირბი, ახალ-ქალაქი და მრავალი სხვა. ქართლ-კახეთში ძვირად შეხვდები სოფელსა, საცა რამდენიმე კომლი სომეხი არ იყვეს ჩასახლებული. იმისთანა პატარა სოფელშიაც კი, როგორც საღოლაშენია, ათ კომლ ქართველზე ხუთი კომლი სომეხია.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში მოსული სომხობა ისე გაქართველდა, რომ ძნელად გაარჩევს კაცი ქართველისაგან. ენა, ზნე-ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა, ყველაფერი ქართველური შეითვისეს, შეირჩინეს მხოლოდ სარწმუნოება და ლტოლვილება ვაჭრობისადმი. ამ უკანასკნელ დრომდის საღვთ-მიცემო წიგნები სულ ქართული ჰქონდათ და ასე გასინჯეთ ქადაგება საეკლესიო კათედრიდან ქართულად სწარმოებდა. დღეს ყველაფერი შეიცვალა დი ხშირად ისეთ მოვლენას შევხვდებით ხოლმე, რომ ვერაფრით ვერ ავხსნით, თუ არ დამლუპველი გარეშე გავლენით და ჩაგონებით. მაგალითებრ გარდაიცვალა ვინმე მდიდარი და შეძლებული სომეხი სადმე დუშეთს, ან გორს. მთელ თავის ქონებას უანდერძებს მარტო თავისიანებს და მეზობელს კი არ გაიხსენებს. დუშეთია თუ გორია ეს ხომ შენი სამშობლოა, აქა ხარ დაბადებული და აქვე ჩახვალ საფლავსა, ამ ქვეყნის ჰავამ გაგზარდა და სული ჩაგიდგა, შენი წინაპარნი აქ აღიზარდნენ, მათი საფლავნიც აქ არიან და ნუ თუ შენი მშობელი ქვეყნის ბედნიერება, კეთილ-დღეობა არ გიღელვებს გულს, ნუ თუ იმ კუთხის ბედი, სადაც სიყმაწვილე გაგიტარებია, არ უნდა ავსებდეს შენს გულს სიამოვნებით? გულუხვობა თუა, აქ უნდა იჩინოს თვისი მადლი, სხვაგან შორს ხელის გაწოდება აქ რა შუაშია, ან მიკერძება მარტო თავისიანისკენ რა მოსატანია? ჯერ საერთოდ შენიანის ბედნიერებით დასტკბი და მერმე მადლიანი ხელი სხვისკენაც გაიწვდინე. ეგებ ვცდებოდეთ, მაგრამ ჩვენ ასე ვფიქრობთ—ეს განკერძოება ხელოვნურადაა ჩამოვარდნილი და როგორც ბუნებრივის გრძნობის წინააღმდეგ სიმპატიასაა მოკლებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხების მოსვლა საზოგადოდ ამიერ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში სამს პერიოდად უნდა გაიყოს. პირველი ხანა დასრულდა საქართველოს პოლიტიკურ თვით არსებობასთან ერთად. ამ დროს მოსული სომხები მკვიდრისგან აღარ გაირჩევიან და მაშასადამე ისინიც მკვიდრად უნდა ჩაითვალნენ. მეორე ხანა დასრულდა 1828 წელს თურქმენჩაის ტრაქტატით. (10 თებერვალი 1828 წ.) ამ დროს ადირბეჟანის პროვინციის სხვა-და-სხვა ოლქებიდან გადმოსახლდა 8,249 ოჯახობა და დასახლდა ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში. ამ ტალღას ჩვენამდინ არ მოუღწევია.*) მესამე ხანა სომხების დასახლებისა დასრულდა ადრიანოპოლის ხელშეკრულობით 2 სექტემბერს 1829 წ. ოსმალეთიდან ამ დროს გადმოსახლდა 12,655 ოჯახი, ანუ 76,000 სული.**) ამ დროს მოსული სომხობა დაბინავდა ჯავახეთ-საათაბეგოს. სომხების მოსვლა არც ამითი დამთავრდა. დიდ-ძალი სომხობა გადმოვიდა ამიერ-კავკასიაში ყირიმის ომის (1853—54) და რუს-ოსმალოს ომის (1876—77) შემდეგ. სამწუხაროდ ცნობები არ მოიპოვება, სად დაბინავდა ამ ხანებში მოსული სომხობა. აგრედვე არა ვიცით-რა, სად მოიკიდა ფეხი 1894—1896 წლებში შემოსულმა სომხობამ. ყველას ეხსომება, რომ ამ დროს სასტიკად არბევდა სომხობას ოსმალეთი და ამის გამო ვისაც კი გაქცევა შეეძლო, გამოიქცა და კავკასიას შეაფარა თავი. გ. ა. ეზოვის სიტყვით სომხობა ათი-ათასობით („десятки тысячъ армянскихъ семействъ") გადმოიხვეწა რუსეთის სამზღვრებშიო. ბევრს ეხსომება—რა ტანისამოსით, რა შეწუხებულნი და დავაგლახებულნი მოვიდნენ საცოდავები ჩვენს ქვეყანაში. ერთის სიტყვით თუ ოსმალეთში ადმინისტრატიული წესი და მართვა-გამგეობა არ შეიცვალა, თუ სომხების ბედი ამ უბედურ სახელმწიფოში საკეთილოდ არ შეიცვალა, მთელი სომხობა იხუვლებს და ამიერ-კავკასიაში გადმოიხვეწება. ეხლაც ოსმა-

*) მაგდა ნეიმანის სიტყვით 40,000 სული.

**) ამავე მწერლის სიტყვით 90,009 სული. გ. ა. ეზოვის მოწმობით 14,000 ოჯახი ან 90,000 სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონი თამამად ელაპარაკებიან ევროპას: დიდი ხანია სომხეთი დაიღუპა, აღარ არსებობსო; სომხეთი მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია და სხვა არაფერი; არც ერთი პროვინცია არ არის ოსმალეთში, საცა სომხები მკვიდრთა ნახევარს მაინც შეადგენდნენო და აბა სად უნდა მივანიჭოთ ავტონომიაო და სხვა ამისთანა. ოსმალეთმა ერთი იმისთანად კიდევ რომ დააწიოკოს სომხები, როგორც 1894—1896 წ. იყო, შესაძლებელია მართლა, რომ მცირე აზიაში აღარც ერთი სომეხი აღარ დარჩეს სოფლად და სულ აქედ წამოვიდეს. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ისედაც უმამულობით შეწუხებულმა მკვიდრმა როგორ შეივრდომოს ამოდენა მშიერ-მწყურვალი, ტიტველი და ნიათ გამოლეული ხალხი?

არ შეგვიძლიან აქვე არ მოვიხსენიოთ იმათი სახელები, ვინც ხელი შეუწყო სომხების გადმოსახლებას ამიერ-კავკასიაში ამ მეცხრამეტე საუკუნეში. სპარსეთიდან სომხების გადმოსახლების სულის ჩამდგმელად იყვნენ კავკასიის მთავარმართებელი გრაფი პასკევიჩი, არქიეპისკოპოსი ნერსესი, პოლკოვნიკი ლ. ი. ლაზარევი, პოდპოლკოვნიკი მოსე ზაქარიას-ძე არღუთინსკი-დოლგორუკი და სომხეთის ოლქის (Армянская область) უფროსი თ. ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე, რომელიც ქებით იხსენიებს მ. ზ. არღუთაშვილს გადმოსახლების რიგიანად მოწყობისათვის. ჭავჭავაძე იმასაც აღნიშნავს, რომ გადმოსახლების საქმეს დიდად თურმე ეხმარებოდნენ ეჩმიაძინის მონასტრის მიერ გაგზავნილნი სასულიერო გვამნი. უკანასკნელი ფრაზა რუსულად ასეა: „Дѣйствія духовныхъ лицъ, разсылаемыхъ Эчміадзинскимъ монастыремъ, также не мало способствовали успѣхамъ означеннаго переселенія“. სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბბას-მირზა აყვედრიდა გადმოსახლების მოხელეებს, არქიეპისკოპოსს ნერსესას და სამღვდელოებას, რომ ძალით მიგყავთ იმოდენა ხალხი, რომელიც თავის ნებით სამშობლოს თავს არ დაანებებსო. აბბას-მირზას სიტყვით, ნერსესი ემუქრებოდა მღვდლებს, გაგკრეჭავთ და ეკლესიიდან განგდევნით, უკეთუ სპარსეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გადმოსახლდებითო.*) ამ სანაქებო მოღვაწეობისთვის იმპერატორმა ნიკოლოზმა არქიეპისკოპოს ნერსესას უბოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ოსმალეთიდან გადმოსახლების სულის ჩამდგმელი იყო იგივე გრაფი პასკევიჩი. იმპერატორს მოახსენა, რომ თუ სომხებს ნებას არ მივცემთ გადმოსახლებისას, ოსმალონი სულ ერთიანად ამოსწყვეტაენო, რადგან ომის დროს სომხები ჩვენ გვიმართავდნენ ხელსაო. ხელმწიფემ ნება დართო და თითო ოჯახზე უბოძა შესაწევარი 25 მან. ასიგნაციით, სულ ერთი მილიონი მანათი.

პასკევიჩმა დააარსა გადმოსახლების ხელის შემწყობი კომიტეტი, რომელმაც მშვენივრად შეასრულა თვისი მოვალეობა. უბირ ხალხთან ერთად გადმოსახლდა ორი არქიელი, ერთს მათგანს სახელად ეწოდებოდა კარაპეტი. 1837 წ. 1 ოქტ. იმპერატორი ნიკოლოზი ბრძანდებოდა ახალციხეს და ინახულა არქიეპისკოპოსი კარაპეტა, რომელიც წინ მოუძღოდა გადმოსახლებულ სომხებს. (რუსულად: „Посѣтиль арх. Карапета, выведшаго Армянъ изъ Эрзерумскаго пашалыка“). პატრიარქ ნერსესას უბოძა იმპერატორმა წმ. ვლადიმერის პირველი ხარისხის ორდენი. ახალქალაქის მაზრაში დღესაც ახსოვთ მადლიერ სოფლელთ არქიეპისკოპოსი კარაპეტი. სულდელები თავიანთი სოფლის სამზღვრად უჩვენებენ გუთნის კვალს, რომელსაც ეძახიან კარაპეტას კვალს (борозда еп. Карапета).

ბერლინის ხელშეკრულობის შემდეგ სომხები აპირებდნენ გადმოსახლებას, როგორც 1830 წელს, მაგრამ გენერალმა ი. დ. ლაზარევმა (სომეხია) შეაჩერა გადმოსახლება. თვისის სურ-

---

*) იხ. ეზოვის წიგნი, გვ. CXXIX რუსულად: „Если по совѣсти разсуждать, писалъ Аббасъ-мирза полковнику Лазареву, какъ возможно, чтобы нѣсколько тысячъ семействъ по искреннему и добровольному желанію бросили тысячелѣтнюю родину, имѣнія, сады, дома, чтобы остаться безъ мѣста и безъ всего? Главною причиною переселенія народа поставляю переселеніе священниковъ, которое произошло отъ первенствующаго въ Эчміадзинѣ (арх. Нерсеса), который угрожалъ отлучить ихъ отъ сана и вѣры и подвергнуть отвѣтственности даже на томъ свѣтѣ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილით შეაჩერა გადმოსახლება, თუ მთავრობამ უბრძანა გენერალ ლაზარევს, არა სჩანს ნეიმანის წიგნიდან. (გვ. 24).

ამ წერილში გაბნეულს ცნობებს თავი რომ მოვუყაროთ, შემდეგს დავინახავთ: 1886 წ. ტფილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 808,143 სული, აქედან: რუსები 35,755; პოლონელნი და ლიტველნი—1279; გერმანელნი და შვედელნი—5065; ბერძნები—22,171; ქურთები—2,130; ოსები—72,420; სომხები—193,610; ბოშები—81; ებრაელნი—7632; აისორები—269; ქართლ-კახელნი—363,717; თუშები—5624; ფშავები—9155; ხევსურები—6560; მთიულები—2324; იმერლები—9010; მეგრელები—283; თათრები—68,364 და ქისტები—2497. (დანარჩენს აღარ ვიხსენიებთ). სულ ქართველები 396,678 სული, არა ქართველები 411,465, ანუ 49,09% ქართველი და 50,91% არა ქართველი.

ს. ე—ძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომერ-ფაშა სამეგრელოში

მოგონებანი კ. ა. ბოროზდინისა

III *)

ომერ-ფაშის დაბრუნება ეულეგში.

წერილი ინგლისის საპოლიტიკო აგენტის ლენგვორტისა, დედოფალთან მიწერილი, და ომერ-ფაშასთან მყოფის, ფრანგის კოლონელის გრაფ მეფრესი.—გურულ რაზმის გაძლიერება რეზერვებითა.—შიშიანობა ქუთაისში.—ძვირობა.—ომერ-ფაშა იმერეთის საზღვრებს შორდება.—სოფ. ანტოვო.—რუსის ჯარის მოქმედება.—მეგრელთა მილიციონერებმა ზუგდიდში ოსმალოს ლაზარეთი და ლაზარეთთან მყოფი ჯარი შეიპყრეს.—ისკანდერ-ფაშამ ამისთვის შური იძია: დასწვა მთავრის სასახლე და გააჩანაგა ბაღი.—ცეცხლმა როზ-მურდუკის საფეიქროც იმსხვერპლა.—ოსმალოს ჯარის დაბანაკება ქვალონსა და ნაბადას შუა.—მუხრან-ბატონი გაიხმეს უკან; იმის ალაგას ჩადგა გენერალი ბრუნერი.—მეგრელთა მილიციისა და ოსმალების შეტაკება.—ყირიმში ერთის თვის ვადით ზავის ჩამოგდების ამბავი და პარიზში გამართული თათბირი მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ.—მიზეზი ომერ-ფაშის გალაშქრებისა.—დედოფლის როლი ამ გალაშქრების დროს.

26 ნოემბერს დედოფალი უკვე იმერეთს იყო, **ბაბა ხონში.*) მეგრელთა მილიციას წარუძღვა დედოფალი და ცხენის-წყალში გავიდა; რამდენჯერმე მონაწილეობას იღებდა მტე-

*) იხ. „მოამბე“ №№ IV და V.

**) ხონში მთავარი ბანაკი იყო გურულების რაზმისა 1855 წლის ნოემბრიდან ომის გათავებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთან ბრძოლაში. მტრის ბანაკიდან არ უსვენებდნენ, არ ეძინებდნენ —გვებრალებით და თქვენს სიკეთეს-ღა ვფიქრობთო. ერთბაშად ორი წერილი მოუვიდა, ფრანგულად დაწერილი:

მთავარი ბანაკი ოსმალებისა, სამეგრელო,

6 დეკემბერს (25 ნოემბერს), 1855 წელს.

ბატონიშვილო!

„მისის დიდებულების, ინგლისის დედოფლის მთავრობამ კავკასიის ქვეყნებში აგენტად გამომგზავნა. პატივი მაქვს გამოვუცხადო თქვენს უბრწყინვალესობას, რომ მზად გახლავართ შეგარიგოთ თქვენა და მარშალი ომერ-ფაშა, სარდალი ოსმალოს ჯარებისა. თუ კიდევ არ დაუბრუნდით თქვენის სამთავროის რეზინდენციას, ჩვენის აზრით, ამას არა სასურველი შედეგი მოჰყვება, როგორც თქვენთა უფლებათა, ისე თქვენთა ქვეშევრდომთა ბედ-იღბლის შესახებ. მათი მდგომარეობა დღითი-დღე აუტანელი ხდება. რაიცა შეეხება ოსმალთა ჯარის ქცევას, უნდა მოგახსენოთ, რომ მისის უფროსის სიბრძნისა და კეთილ-შობილობის წყალობით, მეგრელები იმათს ძვირს ვერ იტყვიან; გარდა ამისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შემდეგშიაც ასე კარგად მოექცევიან სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ უწესოება შინაურობაში დიდია, მეზობლები ხშირად ესხმიან თავსა და აწიოკებენ; ომერ-ფაშა ამ შემთხვევაში განზე დგას, არაფერში ერევა,—ჩემი საქმე არ არისო. პირიქით, მისნი განზრახვანი, აგრეთვე ჩემნიცა, გვაიძულებენ არ ჩავერიოთ იმ ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში, რომელნიც ოსმალოს დაუპყრია. ამიტომ, თუ რამ უბედურება დაატყდათ თავს სამთავროის მკვიდრთ, ბრალი იმ უფროსების იქნება, ვინც, საჭირო არ იყო ისე, თავის ქვეშევრდომთ თავი დაანებეს. სასტიკად მხოლოდ მაშინ მოიქცევა მარშალი, თუ შინაურმა უწესოებამ საზღვარს გადააცილა; ამ შემთხვევაში ომერ-ფაშა იძულებული იქნება ახალი მთავრობა დააწესოს სამეგრელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, რომ თავისი ჯარი უფრო უზრუნველ ჰყოს ყოველ-ფისაგან ლოდნელ ხიფათისაგან. თქვენის ბრწყინვალებისა და თქვენის შვილების საკუთარი ინტერესი მოითხოვს ეს მძიმე საქმე როგორმე ჩქარა გაათავოთ.

„ჩემი ამხანაგი, ბატონი შამპუაზონი, აგენტი საფრანგეთის სახელმწიფოსი, დროებით სხვაგან გეახლათ, მაგრამ მე ვკისრულობ იმას, რომ ამ საგნის შესახებ ჩვენ ორივე ერთის აზრისა ვართ და მისის მთავრობისაგან იგივე დარიგება აქვს, როგორიც მე ჩემისაგან. იქნება თქვენმა ბრწყინვალებამ საჭიროდ დაინახოთ გეახლოთ თქვენთან. თქვენი სურვილი მაშინ შემიძლია აღვასრულო, თუ უბრძანებთ გზაში არაფერი შემეშალოს.

დავშთები უღრმესის პატივისცემით უმდაბლესი და უმორჩილესი მონა-მოსამსახურე თქვენის ბრწყინვალებისა

ფ. ლონგუორტი“.

აი მეორე წერილიცა, ისიც ფრანგულად დაწერილი:

„ბანაკი და მთავარი სადგომი სოფ. ონტოფოში,

6 დეკემბერს (25 ნოემბერს) 1855 წ.

ბატონიშვილო!

საკვირველი არ არის, რომ თქვენი ბრწყინვალება ამდენს ყოყმობს. მართალია, ამდენი ყოყმობა, როგორც მანდილოსანს, გეპატიებათ, მაგრამ თუ კიდევ გასტანა, საეალალო იქნება თქვენისა და თქვენის შვილების ინტერესებისათვის. რუსები ძლეულ იქმნენ დუნიაზე, ყირიმში, ინგურზე, ყველგან, სადაც კი მტერი შეხვდა. თქვენს ბრწყინვალებას კარგად უნდა ჰქონდეს გაგებული, რომ იმათ არ ძალუძთ კავკასიაში დაპყრობილი ქვეყნები შეირჩინონ. მერე რა ღონე უნდა იღონონ ამისთვის? არაფერი. სულ უკან-უკან იხევენ, ცეცხლს უკიდებენ თავის მალაზიებსა, თავის სურსათსა, კერძო პირთა ქონებასაც არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰზოგავენ, და ამავე დროს ვერა ჰბედავენ და არც შეუძლიათ გაუმკლავდნენ მტერსა.

„მთელ ერთ საუკუნის განმავლობაში უნდა იბრძოლოს რუსეთმა, მთელის საუკუნის განმავლობაში უნდა ღვაროს თავისის ჯარის სისხლი, რომ ოდნავაც არის, დაიპყროს კავკასია, ეს უპატრონოდ დარჩენილი და ყველასაგან მივიწყებული მხარე.

„ევროპამ ახლა თვალები გაახილა; მეტის მოთმენა არ შეიძლებაო და გადასწყვიტა კავკასიის ერნი, გონებრივის სიბნელითა და სიღარიბით შეწუხებულნი, გაათავისუფლოს; ევროპასა ჰსურს, რომ თქვენ შეუერთდეთ განათლებულს ხალხს, რომ იმ განძით და სიმდიდრითა, რომელიც უფალს თქვენის ქვეყნისათვის მოუმადლებია, თქვენვე სარგებლობდეთ.

„ასე და ამ გვარად, ჩვენა გვსურს დამოუკიდებელ და მდიდარ გყოთ და თქვენი ბრწყინვალება კი ყოყმანობს! ნება გვიბოძეთ ბატონიშვილო, მოგახსენოთ, რომ თქვენი ბრწყინვალება ბრძანდებით მეგრელი და მმართველი სამეგრელოსი და არა ქვეშევრდომი რუსეთისა.

„ღმერთმა ჩაგაბარათ თქვენ ინტერესები თქვენის ქვეყნისა, თქვენის შვილებისა, თქვენის კურთხეულის ხარისხისა.

„აქაური ხალხი და ქვეყნები სხვის ხელში თავისდღეში არ იქნებიან, მაგრამ ვინ იცის, მოკავშირე სახელმწიფოებს, შეიძლება, თავი მოჰბეზრდეთ თქვენი ყოყმობით. იტყვიან, ამდენ ხანს ხალხის დატოვება უპატრონოდ არ შეიძლებაო, თქვენზე იტყვიან—ამდენხანს იმიტომა ჯიუტობს, აქედან თავის ნებით იმიტომ გაიხიზნა, რომ მთავრობაზე ხელი აიღოვო და თქვენს მაგივრად სხვა თავადს დანიშნავენ მმართველად.

„მე კარგად მესმის, თუ რა ძნელია ამ შემთხვევაში თქვნი მდგომარეობა, როგორც ქალისა, მაგრამ რაკი თქვენს ბრწყინვალებას მთელი ერის უფროსობა გაბარიათ, რაკი ვალდებული ბრძანდებით იზრუნოთ თქვენი შვილების ინტერესისათვის, უნდა იცოდეთ, რომ საჭიროა ხელის გამოღება, რისამე ქმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თქვენო ბრწყინვალებავ, მაპატიეთ ჩემი გულახდილობა ლაპარაკი; თქვენ თითონ დაინახავთ, რომ ასე გულახდილად იმიტომ მოგახსენეთ ყველაფერი, რომ თქვენის ბრწყინვალების მოწიწებითი პატივისცემა მაქვს.

გენერალურის შტაბის კოლონელი, იმპერატორის ბრძანებით მყოფი მისს ბრწყინვალება გენერალისიმუს ომერ-ფაშასთან.

გრაფი მეფრე...“

ამ ორ წერილიდან ნათლად ჩნდა, რომ ომერ-ფაშა მიხვდა, დედოფალს ზუგდიდში ჩემის რჩევით ვერ მოვიყვანო და უკანასკნელ საშუალებას მიჰმართა,—შეეცადა ფონს გასულიყო მასთან მყოფ ინგლისის აგენტის გრაფ მეფრეს, საფრანგეთის კოლონელის დახმარებით. ძალიან შეეცადნენ ორნივე, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ და ამის შემდეგ ოსმალთ ბანაკიდან დედოფალს წერილი არ მოსვლია.

ამასობაში, გენერალმა მურავიოვმა გურიის რაზმს შვიდი ბატალიონი ჯარი მიაშველა. იმერეთი სიხარულმა მოიცვა, როცა გაისმა—ჯარი სურამს გადმოსცდაო. ქუთაისში ყველანი თავზარ-დაცემულნი იყვნენ: ომერ-ფაშა 25 ვერსის მანძილზე იდგა ქუთაისიდან, ხოლო გურიის რაზმისა ბევრი არაფერი იმედი ჰქონდა ვისმე. ქალაქიდან საჩქაროდ ეზიდებოდნენ კანცელარიის საქმეებს და ხაზინას ტფილისში, სახლების ფასები დაეცა, საცაა ოსმალები შემოვლენ, აქაურობას აიკლებენ და გადასწვავენო და ცდილობდნენ გაეყიდნათ. ამ დროით ისარგებლა ერთმა აფერისტმა და ერთი მშვენიერი სახლი ვრცელის ეზოთი ორას თუმნად იყიდა, ხოლო ერთი წლის უკან იმავე სახლში ათას-ოთხას თუმანს აძლევდნენ, მაგრამ არა ჰყიდდა. სანოვაგე აღარ შემოჰქონდათ, ყველაფერზე საშინლად იმატა ფასებმა: ქილა ფქვილი, მაგალითად, 9 მანეთი ღირდა, ფუთი შაქარი—28 მ., ყოველსავე ამასთან ქაღალდის ფულის ფასი საშინლად დავარდა. მცხოვრებთ სანოვაგისათვის მხოლოდ ოქრო-ვერცხლის ფული მიჰქონდათ, ქაღალდის ფულს არავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულობდა, ასე რომ ზუგდიდში ერთმა მედუქნემ ათ თუმნიანი ქაღალდის ფული ხუთი მანეთის ვერცხლად იყიდა. ამიტომ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სიხარული შეუდგათ ქუთათურებს, როცა გაიგეს—ახალი ჯარი მოდის ჩვენდა საშველადაო.

ომერ-ფაშამ რომ გაიგო, გურიის რაზმს ახალი ჯარი მიაშველესო, იმერეთის საზღვარს თავი ანება. ამავე დროს ტფილისიდან თავადი ბებუთოვი მობრძანდა და ქვაშხოარში დედოფალი ინახულა. ეკატერინემ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა ყველაფერი უამბო.

რაკი რუსებმა ყარსი აიღეს, ოსმალოს მთავარ-სარდალს უკან უნდა დაეხია, სხვა გზა არა ჰქონდა: როცა სამეგრელოზე გაილაშქრა, აზრად მხოლოდ ისა ჰქონდა, რომ გენერალი მურავიოვი ყარსისათვის მოეშორებინა, მაგრამ საწადელს ვერ ეწია. ეს ერთი. მეორეც, იძულებული იყო აქაურობას გასცლოდა იმიტომ, რომ ძალიან სცადა, მაგრამ სამეგრელოს მცხოვრებლებთან ვერავითარი კავშირი დაამყარა, ვერც დედოფალი გადაიბირა თავის მხარეზე. ჯერ მცხოვრებნი მაშინაც კი დაუხვდნენ მტრულად და იარაღიც კი იხმარეს ოსმალთ წინააღმდეგ, როცა რუსებმა თავი გაანებეს აქაურობას. ახლა, როცა რუსები უფრო ღონე მოკრებილნი დაბრუნდებიან უკან მაშინ მით უფრო აიღებენ ხელში იარაღს და ჩემი მდგომარეობაც უფრო საშიში გახდებაო.

ომერ-ფაშას ჯარს, ცხენის-წყლისაკენ წასვლის დროს, მერე მდ. ხობის წყალისაკენ გამობრუნებაზე, მეტად ცუდი დარი შეესწრო, გზებიც მეტად გაუვალი იყო და იმან ძალიან შეასუსტა. გზები იმდენად გაფუჭებული იყო და სოფლებიც ისეთი ხვდებოდა გასაელელი, რომ სოფ. ონტოფოში, მაგალითად, ერთი ზარბაზანი ჩაეფლოთ ტალახში და სოფლელებმა მხოლოდ ერთი წლის უკან ამოათრიეს რის წვალებით. მდინარეები ყველა საშინლად ადიდდა, გადულებელ წვიმებისაგან ყველგან საფლობები გაჩნდა, ასე რომ გურიის რაზმისათვის შეუძლებელი შეიქმნა ოსმალოს რაზმს გასდევნებოდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისი ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენც ის დღე დაგვადგეს, რა დღეც ოსმალოს ჯარს დაადგა ამ გზებით სიარულითაო. გურიის რაზმიდან ერთი ნაწილი გამოარჩიეს, შეურთეს დონელ ყაზახთა ერთი ბატალიონი და ორასი კაცი მილიცია ლენიკის ყაზახთა, ცხენის-წყალში გაიყვანეს და უკან გაადევნეს ომერ-ფაშას.

ზუგდიდში, როგორცა ვთქვით, ოსმალთა ჰოსპიტალი იყო და გარნიზონი, მაგრამ ისკანდერ-ფაშამ თავისი რაზმი წაიყვანა, რომ ომერ-ფაშას შეერთებოდა. სწორედ ამ დროს მეგრელების მილიცია ოსმალთ გარნიზონს დაეცა და უმეტესი მათგანი ტყვედ წაასხა. ეს რომ გაიგო ისკანდერ-ფაშამ, საშინლად გაბრაზდა და განიზრახა მეგრელებისათვის სამაგიერო გადაეხადნა; დაბრუნდა ზუგდიდში, გადაჰბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე, წინასწარ კი სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთები გააზიდვინა, ორანჟერეებიდანაც რის გამოტანა კი შეიძლებოდა, ყველაფერი გაატანინა, ხოლო ბაღში ხეები სულ სირში დააჭრევინა. ამ სახით, ის საუცხოო ბაღი, რომელიც დედოფალმა გააშენა და რომელსაც თვალის ჩინივით უვლიდა, მიწასთან იქმნი გასწორებული. სხვა შენობათა შორის დაიწვა გრაფ როზმურდუკის საფეიქრო. როზმურდუკი ძალიან გაანაწყინა ომერ-ფაშის ასეთმა საქციელმა, წავიდა სტამბოლში და იქ ფრანგების ელჩ ტუვენელთან უჩივლა ომერ-ფაშას. ტუვენელმაც თავი გამოიდო და ოსმალეთის მთავრობას 15,000 მანეთი მიაცემინა როზმურდუკისათვის ზარალის საზღაურად.

მდინარე ცივს რომ გავიდა, ოსმალოს ჯარი ქვალონის სერებზე დაბანაკდა. აქედან თანდათან იხევდა უკან და ომერ-ფაშამ ერთი ნაწილი თავისი ჯარისა ქვალონსა და ყულევს შუა დააყენა, ხოლო მეორე ნაწილი ზღვის პირას გაშალა ყულევსა და ნაბადას შორის. ქრისტეშობისთვეში ი. მუხრან-ბატონი ტფილისში გაიხმეს, ხოლო გურიის რაზმის უფროსობა მის მაგიერ ჩაბარდა გენერალ ბრუნნერს. პირუთვნელი ისტორია გამოაშკარავებს მუხრან-ბატონის მოქმედებას. ხოლო რაიცა შეეხება ბრძოლის ველს, ის ‘ეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი თვის განმავლობაში, ნოემბრის გასულიდან იანვრის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულამდე, მტერი მხოლოდ ახლო-მახლო სოფლების ადგილ-მდებარეობას იკვლევდა და რამდენჯერმე მსუბუქი შეტაკებაც მოუვიდა გურულ რაზმის მოწინავე წყობასთან, რომელიც მდ. ცივის მარცხენა მხარეს იყო დაბანაკებული. მთელ თავის ძალას ომერ-ფაშა ყულევთან იკრეფდა. აქ იშენებდა ქოხებსა, აკეთებდა ბატარეიას და ჯებირებს.

იანვრის გასულისათვის, როცა სამეგრელოის უმეტესი ნაწილი ოსმალოს ჯარისაგან გაიწმინდა, დედოფალი გორდში დაბრუნდა. მთელი თვე-ნახევარი მილიციას არ მოჰშორებია, უკეთ, ცხენიდან არ ჩამომხტარა. ნებიერად და აზიზად გაზდილი დედოფალი იძულებული შეიქნა სავსებით გამოეცადნა მთელი სიმწარე სამხედრო ცხოვრებისა სხვა მილიციონერებთან ერთად: ზამთრის სიცივესა და წვიმაში დღისით ცხენზე იჯდა, ხოლო ღამეს გლეხის ქოხში ათევდა. გორდში თავისი ბავშვებიც მიჰვავარეს, რომელთაც ლეჩხუმის მთის ჰაერმა საუცხოოდ არგოთ. თვენახევრის გაშორების შემდეგ შვილების ნახვამ მეტად ვაახარა დედოფალი; მათმა ტიტინმა სულ დაავიწყა გავლილი გაჭირვება.

თებერვალში გურულებისა და მეგრელების მილიციებს რამდენჯერმე მოუვიდათ ოსმალებთან შეტაკება, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის პირველთ რჩებოდათ, რადგან ადგილ-მდებარეობა ზედმიწევნით იცოდნენ და მტერსაც მოულოდნელად ესხმოდნენ თავზე. მაგრამ საზოგადოდ კი უნდა ვთქვათ, რომ ომი თითქმის ჩაქრა. ორივე მხარე საშინლად დაღალა ოთხის თვის ომიანობამ, უგზოობამ და ზამთრის სიცივემ, თან, ხმაც ისმოდა,—ზავი უნდა ჩამოვარდეს მალეო. მეგრელებსა და ოსმალებს შორის უკანასკნელად შეტაკება მოხდა ხორგასა და ყულევს შუა. თავადმა ჯაიანმა და გუბერნიის სეკრეტარმა გაბუნიამ მდ. ხობისწყალზე დაინახეს ნავი, რომელშიაც ოსმალი ჯარის-კაცები ისხდნენ, მილიციონერებით დაეცნენ, ზოგი ტყვედ წამოასხეს და დანარჩენი დახოცეს. ყულევიდან ჯარის-კაცები მოაშველეს, მაგრამ მეგრელებმა ისინიც დაამარცხეს; ჯაიანი წინიდან ებრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხოლო გაბუნია ზურგს უკანიდან. ოსმალოს კომანდა ყულევში გააქციეს და გამარჯვებულნი უკან გაბრუნდნენ. ეს იყო უკანასკნელი სურათი იმ სისხლის-ღვრის დრამისა, რომელიც მდ. ინგურზე იქმნა დაწყებული.

მარტის დამდეგს ამბავი მოვიდა, რომ ყირიმში ერთი თვით წინასწარი შერიგება მოხდა და პარიზში მოლაპარაკება აქვთ ზავის ჩამოგდების შესახებაო. ამნაირივე წინასწარი მორიგება ჩამოვარდა აქაც; დაიწყო მისვლა-მოსვლა ორსავე მხარეზე და, ბოლოს, აპრილში, უმაღლესი მანიფესტი მოგვივიდა 19 მარტისა ზავის შეკვრის შესახებ.

ომერ-ფაშას ყოველთ უწინარეს აზრად ჰქონდა—მურავიოვი ყარსიდან გაეტყუებინა, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდოდა, რომ რუსეთის მიერ აღებული სამი პროვინცია: აფხაზეთი, სამურზაყანო და, განსაკუთრებით სამეგრელო, ამ სახელმწიფოსათვის ბოეგლიჯნა, სამივე დამოუკიდებელ სამთავროებად გამოეცხადებინა და მათი არსებობა ევროპის ტრაქტატის ძალით უზრუნველ ეყო *). ამ შეთხვევაში, იმდენად ამ პროვინციებისა და მისთა მკვიდრთა დარდი არა ჰქონდათ, რამდენადაც სურვილი იმისა, რომ რუსეთი ეზარალებინათ.

ერთბაშად ადვილი წარმოსადგენი არ არის, თუ რა მოჰყვებოდა ომერ-ფაშის განზრახვის ასრულებას და შავის ზღვის პირად დამოუკიდებელ სამთავროთა დაარსებას მხოლოდ ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს შეიქმნებოდა მიზეზი დაუსრულებელის შფოთისა კავკასიაში და რუსეთს ხელს შეუშლიდა კავკასიის საბოლოოდ დაპყრობის საქმეში.

ეკატერინე დედოფალი, რა თქმა უნდა, არ დაჰყვა ომერ-ფაშისა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა აგენტების ნებას და დუმილით მოიშორა თავიდან სამივე. საქმე ამით გა-

---

*) „Le czar doit être refoulè au délà du Terek et du Kouban, c'est irrè vocablement arrêté dans les conseils des puissances alliées". („რუსის ხელმწიფე თერგისა და ყუბანს იქით უნდა იქმნას გაგდებული: ასე გადაწყდა საბოლოოდ დიდთა სახელმწიფოთა რჩევაზე"). ეს ამოწერბლია ფერხად-ფაშის წერილიდან, რომელიც რუსებს ჩაუვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდა. უდედოფლოდ კი ამ საქმის გაკეთება ამათ არ შეეძლოთ, ამიტომ რომ ეკატერინე სამეგრელოში იყო. მაგრამ ჩვენ კი გვგონია, რომ ომერ-ფაშისათვის უფრო ხელ-საყრელი იქნებოდა, რომ ამ დროს დედოფალი თავისის ოჯახით ტფილისში ყოფილიყო წასული მუხრან-ბატონისა და თავად ბებუთოვის დაბარებით. მაშინ ოსმალოს მთავარ-სარდალს შეეძლო პირდაპირ განეხორციელებინა თავისი სურვილი, რომლითაც დედოფალს აშინებდა წერილებში, სახელდობრ: რაკი ტახტის მემკვიდრე სამეგრელოში არ არის, ეტყობა ხელს იღებს თვისთა უფლებებზეო, და ამიტომ, ოსმალეთის და მისთა მოკავშირე სახელმწიფოთა სახელით, ვნიშნავ მთავრად ერთ-ერთ აქაურ თავადსაო. ამისთვის ყოველივე მზად იყო, მხოლოდ რაკი ახალ კაცს გაამთავრებდა, მისთვის ზურგი უნდა მოემაგრებინა პირველ ხანებში. მაშინ, შესაძლებელია, ყარსის აღების ამბის მისვლის შემდეგ, ომერ-ფაშა იძულებული არ გამხდარიყო საჩქაროდ გაშორებოდა ცხენის-წყალსა. მაშინ მის მიერ დაყენებული მთავრობა ხალხთან მოციქულად და შუაკაცად გაუხდებოდა და იმისა არ შეეშინდებოდა—ხალხი იარაღით დახვედროდა, როგორც სამურზაყანოის საზღვარზე უქნეს. და რაკი ხალხი იმის მხარეს იქნებოდა, თამამად შეეძლო თავის რიცხვ-მრავალ ჯარით რუსის ჯართან ხელ-ახლა გაემართნა ბრძოლა. მარტამდე როგორმე რომ მიეყვანა საქმე და გამაგრებულიყო, რაშიაც სამეგრელოს უგზოობაც ხელს შეუწყობდა, პარიზში მომხდარი თათბირი სამეგრელოს ახალს მთავრობას მოუსწრებდა და ძნელი შეიქნებოდა უარეყოთ უკვე მომხდარი ფაქტი. მაგრამ მთავარსარდალმა, რუსეთის საბედნიეროდ, ვერ გაამართლა ის იმედები, რა იმედებიც ოსმალეთის მთავრობასა ჰქონდა მისი. ევროპაში ყველანი ომერ-ფაშას ამტყუნებდნენ—ყარსიც იმის უხეიროობით აიღეს რუსებმა და სამეგრელოში გალაშქრებამაც იმისივე წყალობით ჩაიარა ასე ფუჭადაო. მერე ომერ-ფაშა დიდხანს იმართლებდა თავს ამის გამო როგორც თავის მთავრობისა, ისე ევროპის პრესის წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე დედოფალი ხელმწიფის კურთხევაზე იყო მიპატიჟებული და მკათათვეში თავისი ბავშვები და თავისი და ნინო გრიბოედოვისა წაიყვანა და პეტერბურგში გაემგზავრა.

მე კი ვისარგებლე ამ შემთხვევით, მის შვილების მასწავლებლობაზე უარი განვაცხადე და კავკასიაში დავრჩი.

ი. ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

30 და 31 მაისი

30 მაისს, პირველად შესდგა ახალის წესდების ძალით ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენელთა კრება, ნაცვლად წინანდელ წევრთა საზოგადო კრებისა. შეიყარა ას ათამდე წარმომადგენელი. თავმჯდომარემ ზედამხედველ კომიტეტისამ უგანათლებულესმა თავადმა პ. ა. გრუზინსკიმ გამოაცხადა, რომ კრება შემდგარია და სთხოვს კრებას საკუთარი თავმჯდომარე ამოირჩიოს. კრებამ ამოირჩია თავმჯდომარედ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

თავ. ანდრონიკაშვილმა დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი თუ არა, თ. პ. ა. გრუზინსკიმ სთქვა, რომ ამ დღეებში გარდაიცვალა თავ. რ. შ. ერისთავი, კაცი, რომელსაც ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეებში მიუძღვის ღვაწლი და რომელიც მხურვალე მონაწილე იყო ჩვენის ბანკის საქმეში და რამდენსამე ხანს ასრულებდა ზედამხედველ კომიტეტის წევრობას და ამიტომაც ჩვენის პატივისცემის გამოსაცხადებლად კრებას ვთხოვ ფეხზე წამოდგომით პატივი ვცეთ გარდაცვალებულსაო. კრებამ აღასრულა წინადადება თ. გრუზინსკისა და ფეხზე წამოდგა.

თავ. ილ. გრ. ჭავჭავაძემ მოახსენა თავმჯდომარეს, რომ ვიდრე საქმეების გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭიროა გადავწყვიტოთ ერთი საქმე. დღეს აქ მოსულნი არიან კრებაზე დასასწრებლად ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და თხოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობენ ნება-დართვას კრებაზე დასწრებისას. § 92 წესდებისა ამბობს, რომ გარეშე პირთ არავითარ შემთხვევაში ნება არა აქვთ კრებაზე დასწრებისა და ეხლა გასარჩევია—ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი გარეშე პირებად უნდა იყვნენ ცნობილნი, თუ არა. თავმჯდომარემ თ. ანდრონიკაშვილმა საჭიროდ სცნო ეს საგანი განერჩია თვითონ კრებას და თავისით დასძინა, რომ, ჩემის ფიქრით, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ ნება უნდა ჰქონდეთ აქ დასწრებისა და ხსენებულ § 92 აკრძალვა ამათ არ უნდა შეეხებოდეს. კრებამ დაადგინა, რომ რადგანაც ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი არავითარ საზოგადო საქმისათვის გარეშე პირნი არ არიან, ამიტომაც მიეცეთ ნება კრებაზე დასწრებისა.

ამის შემდეგ კრების თავმჯდომარემ წაუკითხა კრებას სია მორიგის საქმეებისა, რომელთა შორის პირველი საქმე განხილვაა და დამტკიცება ბანკის მოქმედების წლიური ანგარიშისა. ბ-ნმა გ. ყარანგოზიშვილმა წარმოსთქვა, რომ მარტო დღეს დაგვირიგდა ეგ ვრცელი წლიური ანგარიში და ვერ მოვასწარით შიგ-ჩახედვით გაგვესინჯა და ამიტომ საჭიროა, ანგარიშის გაჩხრეკა სახვალიოდ გადიდვას, რომ დრო გვქონდეს გულ-დასმით გადავსინჯოთ ანგარიშიო. ბ-ნმა ამირალოვმა უპასუხა, რომ ანგარიში ურიგდბოდა ამ ორის დღის წინად, მე მოვედი და ანგარიში მივიღეო; ვისაც სურვილი ჰქონდა ანგარიშის წინა დღითვე გადასინჯვისა, შეეძლო ანგარიში წინადვე მიეღო; ამიტომაც მიზეზი გაჩხრეკის სახვალიოდ გადადებისა შესაწყნარებელი არ არისო. თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო ეს საქმე გარდაეწყვიტა კრებას და ამიტომაც სთხოვა კრებას ამ საგანზე თავისი სურვილი გამოეთქვა: ვისაც გსურთ, დღესვე იყოს განხილული წლიური ანგარიში, გთხოვთ ფეხზე წამოდგეთო. ამ გვარად კრების უმეტესობამ სურვილი გამოაცხადა, დღესვე განხილულ იქმნას წლიური ანგარიში და საკვლავოდ დაევალოს ბანკის გამგეობას, რომ წლიური ანგარიში ადრე ჰქონდეს მომზადებული დასარიგებლადაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაკითხულ იქნა მოხსენება გამგეობისა შესახებ წლიურ ანგარიშისა და ზოგიერთის ცალკე ანგარიშის გამორკვევის და ახსნის შემდეგ კრებამ დაამტკიცა ერთხმობით წლიური ანგარიში ისე, როგორც წარდგენილი იყო. ამასთან ბ-ნმა ალ. თ. ფრიდონოვმა გამოსთქვა, რომ სასურველია ბალანსი ბანკისა აგრე რთულად არ იყოს შემდგარი, როგორც ეხლაო, ბალანსი რაც უფრო მოკლეა და ცხადი, მით უფრო კარგია და ადვილი გასარჩევადაო. გამგეობა დაეთანხმა ბ-ნ ფრიდონოვს და დასძინა, რომ ზოგნი წევრნი ასე რთულად შედგენას ბალანსისას თხოულობდნენ წინადაო.

შემდეგ კრება შეუდგა 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

შარშანდელი წლის სახარჯოდ დანიშნული ფული იყო 67,100 მანეთი. აქედან დახარჯულა მხოლოდ 62,439 მან. და 8 კაპეიკი. წლევანდელის წლისათვის სახარჯოდ წარმოდგენილია ზედამხედველ კომიტეტის მიერ 79,480 მანეთი, შარშანდელისაზე მეტია 12,380 მანეთით.

თ. პ. ა. გრუზინსკიმ მოახსენა კრებას, რომ წელს შესრულდა 25 წელიწადი ჩვენის ბანკის დაარსების დღიდან და მთელს ამ 25 წელიწადს თავ. ილია ჭავჭავაძე ემსახურებოდა ამ ბანკს და გამგეობის თავმჯდომარედ იყო. აქამომდე თავ. ილია ჭავჭავაძეს ეძლეოდა მხოლოდ 3,000 მანეთი წელიწადში ჯამაგირად. ასეთი მცირეოდენი ჯამაგირი არც ერთს თავმჯდომარეს გამგეობისას არ ეძლევა არც ერთს ბანკში. გავიხსენოთ, რომ თავ. ილია ჭავჭავაძეს ღვაწლი მიუძღვის სხვა საზოგადო საქმეებშიაც. გარდა იმისა, რომ ბანკს ემსახურა მთელი 25 წელიწადი, სხვა მხრივათაც სამსახური გაუწიევა ჩვენის საზოგადოებისათვის. პატივსაცემად მისის შრომისა და ღვაწლისა, საჭიროდ ვიცანით აწ ჯამაგირი მოვუმატოთ და 3,000 მანეთის მაგიერ დაენიშნოს 5,400 მანეთი. ამ სახით მადლობის გარდახდა პირველი არ იქნება ჩვენში. ყველამ ვიცით, რომ ჩვენის ბანკის მოძმე ბანკმა ქუთაისისამ ამ სახითვე გადაუხადა მადლობაა საზოგადო მოღვაწეობისათვის თავ. აკაკი წერეთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლსაო, რომელსაც დიდი სამსახური მიუძღვის საზოგადოების წინაშეო, ხოლო თავ. ილია ჭავჭავაძეს, საზოგადო სამსახურის გარდა მიუძღვის 25 წელიწადი საკუთრივ ბანკში სამსახურისაცაო. გაიმართა ამაზე კამათი მხოლოდ იმ მხრით, რა სახით მიეცეს ეგ 2,400 მანეთი. ზოგი ამბობდა, რომ რაკი 25 წელიწადი შეუსრულდა ბანკში სამსახურისა, სამართალი ითხოვს პენსია დავუნიშნოთო, ვიდრე ცოცხალია და თუ პენსიას დავუნიშნავთ ეგ ფული ცოტააო. ზოგი ამბობდა რომ პენსიის დანიშვნის ჯერ დრო არ არისო და ეგ 2,400 მანეთი ჯამაგირს მოეუმატოთ. ვიდრე ბანკს ემსახურებაო, მხოლოდ იმ პირობით, რომ 2,400 მანეთი თავმჯდომარეს ბანკის გამგეობისას კი არ მიემატოს, არამედ მარტო თ. ილია ჭავჭავაძეს, ვიდრე ბანკში მსახურობსო. ბევრი ილაპარაკეს ამის შესახებ, და ბოლოს კრებამ, რომელსაც დაეკითხა თავმჯდომარე, ერთხმად გადასწყვიტა, რომ ეგ 2,400 მანეთი მიემატოს გამგეობის თავმჯდომარის ჯამაგირს, ვიდრე გამგეობის თავმჯდომარედ თავ. ილია ჭავჭავაძე იქნებაო. კრებამ მოიწვია თავ. ილია ქავჭავაძე, რომელიც ამ დროს კრების დარბაზში არ იყო და ტაშის-ცემით მადლობა გამოუცხადა 25 წლის სამსახურისათვის.

ბევრი კამათი გამოიწვია ზოგიერთმა მუხლმა ხარჯთ-აღრიცხვის სიისამ და ბოლოს, როცა ეს მუხლები გამოირკვა და აიხსნა, საზოგადო კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვის სია, წარმოდგენილი ზედამხედველ კომიტეტისაგან უკლებლად. ხარჯთ-აღრიცხვის სიის განჩხრეკის დროს ზოგიერთმა წარმომადგენელმა სარჩელი წარადგინა, რომ დამფასებელთ ჯამაგირები მოემატოსო. თ. ვლ. მიქელაძემ ეს სარჩელი არ შეიწყნარა და სთქვა, რომ საქმეები ხშირად ყოვნდებიან და მგონია ამისი მიზეზა ის არის, რომ ამ სიდიდე-სივრცისათვის, რომელიც ჩვენს ბანკს ემქვემდებარება, ამ ხუთ გუბერნიისათვის ხუთი დამფასებელი მეტად ცოტაოო. ჯამაგირის მომატება საქმეებს ვერ ააჩქარებს, აქ კაცის მომატება უნდაო. ისა სჯობია, რომ ეგ საქმე შემდეგისათვის გადიდვას და მიენდოს ზედამხედველ კამი-
ა გამგეობას ეგ საგანი დაწვრილებით გამოარკვიოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგვიდგინოს თავისი აზრი, საჭიროა თუ არა დამფასებელთ აწ არსებულს რიცხვს მიემატოს კიდევ, თუ არა. გამგეობის წევრმა ბ-ნმა მამაცაშვილმა წარუდგინა კრებას სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში ჩვენის ბანკის რაიონში ბევრი იმისთანა ადგილებია, საცა საადგილ-მამულო კრედიტი უშიშრად ფეხს მოიკიდებს და თუ საქმე ბრკოლდება, მარტო იმისაგან, რომ ამოდენა სივრცეს ვერ გასწვდომია ხუთი დამფასებელი. კრებამ გარდასწყვიტა, რომ ჯამაგირები დამფასებლებისა უწინდელებ დარჩეს და საჭიროა თუ არა დამფასებლების მომატება, ეს მიენდოს შეერთებულს კრებულს ზედამხედველ კომიტეტისას და გამგეობისას, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარმოუდგინოს ან მორიგ და ან საგანგებო კრებას, თუ საჭიროდ დაინახავს.

31 მაისს ხარჯ-აღრიცხვის განხილვის შემდეგ კრებამ მოისმინა ბანკის გამგეობის მოხსენება საზოგადო საჭიროებისთვის გადადებულ ფულის განაწილებისა და ზედამხედველ კომიტეტის აზრი ამავე საგნის შესახებ. ეს ფული სულ 86,410 მანეთი და 29 კაპეიკია. აქედან 62,682 მან. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ (სათავად-აზნაურო სკოლისთვის) უნდა იქნას გადადებული. დანარჩენი ფული გამგეობამ ასე გაანაწილა: 500 მანეთი რუსეთის გუბერნიების დამშეულთა სასარგებლოდ, 1000—მცხეთის ტაძარს, 500 მანეთი—პუშკინის დაბადებიდან ასის წლის შესრულების სახსოვარ საყოფელად, ხოლო 18,728 მანეთი და 29 კაპ. ზემოხსენებულსავე შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად. გამგეობამ შეუძლებლად სცნო შემწეობის აღმოჩენა იმ სხვა დაწესებულებათათვის, რომელთაც ამ აზრით მიჰმართეს ბანკს, როგორც, მაგალითად, დრამატიულ საზოგადოებას, ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოებას, საკომერციო სასწავლებელს, თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს და სხვათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედამხედველმა კომიტეტმა ესევე ფული ასე გაანაწილა: დამშეულთა სასარგებლოდ—500 მან., დრამატიულ საზოგადოებას—1000 მან., მცხეთის ტაძარს—1000 მან., პუშკინის ასის წლის შესრულების სახსოვრად, თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, გორის ქალთა პროგიმნაზიას და მცხეთის დედათა სკოლას—1000 მანეთი და იმ კომიტეტს, რომელსაც აზრად აქვს პარიზის გამოფენაზე ქართული განყოფილება გამართოს—1000 მან., დანარჩენი თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას.

ამ მოხსენების წაკითხვის შემდეგ დ. ა. გურამიშვილი შეეკითხა ზედამხედველ კომიტეტს: იმ კომიტეტმა, რომელსაც აზრად აქვს გამოფენაზე მონაწილეობა მიიღოს, სთხოვა თუ არა ბანკს ფული, ამასთან შეატყობინა თუ არა, რა მონაწილეობა სურს მიიღოს გამოფენაზედ?

წაკითხულ იქმნა ამ კომიტეტის თხოვნა, რომელზედაც 50 კაცს უწერია ხელი და პროგრამმა იმისი, რაც განუზრახავს კომიტეტს. როგორც პროგრამმიდანა სჩანს, კომიტეტს აზრად აქვს შეადგინოს და გამოსცეს რუსულს და ზოგიერთ ევროპიულ ენაზე პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის თხზულებანი საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ: იმის სასულიერო და საერო ისტორიისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მხატვრობისა, მეურნეობისა, მკურნალობისა და სხვათა შესახებ; შეადგინოს კატალოგები წერა-კითხვის საზოგადოებისა და საეკკლესიო მუზეის წიგნთ-საცავებისა ევროპიულს ენებზე; შეჰკრიბოს და გაჰგზავნოს სხვა-და-სხვა ნივთები და სხვა.

თავ. დ. ა. გურამიშვილი. ზედამხედველმა კომიტეტმა გადასდო ამ საქმისათვის (გამოფენისათვის) მხოლოდ 1000 მანეთი, მაგრამ ეს ფული საკმაო არ არის. საჭიროა სულ ცოტა 5000 მანეთი მაინც. დღემდის ვჩივით, რომ ჩვენ თავს არ ვიცნობთო, მაგრამ უფრო საჩივლელი და სავალალოა ის, რომ სხვები არ გვიცნობენ. ეხლა საუკეთესო შემთხვევა გვეძლევა, გავაცნოთ ჩვენი თავი ევროპას. ამიტომ ამ საქმისთვის ფული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა დავზოგოთ. რამდენმამე კაცმა იკისრა საქმის გაძღოლა და ჩვენც უნდა ხელი შევუწყოთ.

ესევე აზრი წარმოსთქვა ზოგიერთმა სხვამაც.

ან. ნატრაშვილი. ჩემის აზრით ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება მცხეთის ტაძარს უნდა მივაქციოთ. ეს დიდება და სახელი საქართველოსი ინგრევა, ჩვენ კი იმდენი არ შეგვიძლიან, რომ შევაკეთოთ და განვაახლოთ. ტაძრის განსაახლებლად შემდგარმა კომიტეტმა ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ 35 ათასი მანათის მეტი ვერ შეჰკრიბა. ეს ფული კი იმდენად მცირეა, რომ სახურავის განახლებასაც არ ეყოფა. ჩემის აზრით ბანკმა 5000 მანეთი მაინც უნდა გადასდოს.

გ. დ. ჟურული. ბანკს აქვს ერთ-გვარი თანხა, სახელდობრ ექსტრა-ორდინარი, რომელიც, წესდების წყალობით, ისე ვერ მოუხმარებია, როგორც სასურველია. ამიტომ საჭიროა წესდება იმ რიგად შეიცვალოს, რომ ამ თანხის მოხმარება შეგვეძლოს. ჩემის აზრით, კარგი იქნება ეხლავე ზედამხედველ კომიცეტსა და გამგეობას მივანდოთ შეადგინოს პროექტი წესდების შეცვლისა.

ნ. ზ. ცხვედაძე. ჩვენი უმთაერესი საზრუნავი დღეს სათავად-აზნაურო სკოლაა. სკოლის პატრონი ბანკია; სხვა დაწესებულებასაც თავისი პატრონი ჰყავს. სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, რის გამო იგი დიდს გაჭირვებაშია. რასაკვირველია, ძალიან კარგი იქნება სხვა დაწესებულებათაც შემწეობა აღმოუჩინოთ, მაგრამ როდესაც სკოლა საჭიროებს, მაშინ სხვებზედ არ უნდა ვიფიქროთ. ჩემის აზრით, მცხეთის ტაძრის განსაახლებლად უნდა გადავდოთ რამოდენიმე ფული, დანარჩენი კი უეჭველად სკოლის შენობის აგებას მოვანდომოთ.

თავ. ი. გ. ამილახვარი. მცხეთის ტაძრისთვის სულ ცოტა 10,000 მანეთი მაინც უნდა გადავდოთ. მცხეთის ტაძარი ჩვენთვის ძვირფასი რამ არის. დღემდის ჩვენი ხალხი და ქვეყანა სარწმუნოებამ შეგვინახა, იმან დაგვიცვა და დაგვიფარა განადგურებისაგან. აუარებელ ბრძოლისა და საზოგადოდ ყოველ გვარ გაჭირვების დროს სარწმუნოება ამხნევებდა და აც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოველებდა ჩვენ წინაპართ. მცხეთის ტაძარი კი უპირველესი ემბაზია საქართველოში სარწმუნოებისა, უტყუარი მოწმეა განვლილ ჭირ-ვარამისა. ამიტომ მეტი უნდა ვიზრუნოთ ამ ტაძრისათვის. ფული არ უნდა დავზოგოთ და უეჭველად 10,000 მანეთი უნდა გადავდოთ.

ვ. რ. ყაფეანი. უპირველეს ყოვლისა ფული ჩვენსავე საკუთარ დაწესებულებას უნდა მოვახმაროთ. სრული ჭეშმარიტება ბრძანა ბ-ნმა ცხვედაძემ, რომ ყველა სხვა დაწესებულებას თავისი პატრონი ჰყავს, სათავად-აზნაურო სკოლის პატრონი კი ბანკია. ამ მხრივ მცხეთის ტაძარსაც კი ჰყავს პატრონი. ამიტომ ბანკს რაც მეტი ფული აქვს სკოლისათვის უნდა გადასდოს.

ბოლოს, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, კრებამ ხმის უმეტესობით ასე გაანაწილა საზოგადო საჭიროებისათვის გადადებული ფული: 1) თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სათავად-აზნაურო სკოლისათვის— 62,682 მან., 2) მცხეთის ტაძარს—5000 მანეთი, 3) იმ კომიტეტს, რომელმაც მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობა უნდა მიიღოს—3000 მან., 4) ქართულ დრამატიულ საზოგადოებას— 1000 მანეთი, 5) რუსეთის გუბერნიების დამშეულთა—500 მან. და 6) პოეტის პუშკინის დაბადებიდან ასის წლის შესრულების სახსოვრად თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს, გორისა და მცხეთის სასწავლებლებს—1000 მანეთი. დანარჩენი 10,228 მანეთი 29 კაპ. სესხად მიეცეს თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებად.

ამის შემდეგ კრება საღამოსთვის გადაიდო.

საღამოს 9 საათზედ, კრების განახლებისას, ლაპარაკი გამოიწვია გ. დ. ჟურულის მიერ დილის კრებაზე აღძრულმა საგანმა ექსტრა-ორდინარის ფულის სხვა რიგად მოხმარებისა და ამ აზრით წესდების შეცვლის შესახებ. მაგრამ, რადგანაც ეს საგანი განსახილველ საგნების სიაში არ იყო მოქცეული, თავმჯდომარემ უადგილოდ სცნო იმის გარდაწყვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ წაკითხულ იქმნა ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ფულის განაწილებისა. ეს ფული სულ 23,831 მან. 51 კაპეიკია. შეერთებულ საკრებულოს ასე გაუნაწილებია: 1) წინამძღვარიანთ-კარის სკოლას—5000 მანეთი; 2) ტფილისში განზრახულ პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად—2,383 მანეთი; 3) 1000 მან.—სასტატისტიკო ბიუროს დასაარსებლად. ამ ბიუროს დანიშნულება ის იქნება, რომ გამოიკვლიოს ტფილისის გუბერნია სასოფლო-მეურნეობის მხრივ; და 4) 15,448 მანეთი 51 კაპ. თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სესხად სკოლის შენობის ასაგებად. ამას გარდა ბანკს გორის მემამულეთა ამხანაგობამაც სთხოვა სესხად 8000 მანეთი, მაგრამ გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა არ შეიწყნარა.

საგანი ბიუროს დაარსებისა აღუძრავს უგან. თავ. ბ. ა. გრუზინსკის. წესდებით სასოფლო-სამეურნეო თანხის დანიშნულება,—ნათქვამია თავ. ბ. ა. გრუზინსკის განცხადებაში,—ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის განკარგებაა, მაგრამ რადგანაც საკმაო ცნობები არ არის შეკრებილი ამ მდგომარეობისა, არ ვიცით რა მხრივ და როგორ დავეხმაროთ მცხოვრებთ. ამ ნაკლის შევსება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც განსაკუთრებული ბიურო იქნება დაარსებული. ბიურომ ადგილობრივ კომიტეტების შემწეობით (ასეთი კომიტეტები უნდა შესდგეს სხვა-და- სხვა დაწესებულების წარმომადგენელთა და ადგილობრივ ინტელიგენციისაგან: მღვდლებისა, მასწავლებლებისა და სხვათაგან) უნდა შეჰკრიბოს ცნობები მეურნეობის, მოსავლის და სხვათა შესახებაო.

ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის მოხსენებას თან ახლავს გ. დ. ჟურულის წერილი ამავე ბიუროს დაარსების შესახებ. ამ წერილში ბ-ნი ჟურული ამბობს, რომ ბანკის ერთი უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ შემწეობა აღმოუჩინოს გუბერნიაში ყოველგვარ სასოფლო-სამეურნეო საქმეს. ამ აზრით ბანკს აქვს განსაკუთრებული თანხები: საზოგადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროებისთვის, სასოფლო-სამეურნეო და ექსტრა-ორდინარული. ამ თანხებით ბანკი მრავალგვარად ემსახურება გუბერნიის მცხოვრებთ, მაგრამ, რათა ეს სამსახური თავის დანიშნულებას არ ასცდეს და უფრო ნაყოფიერი იყოს, საჭიროა დაწვრილებითი ცნობები სოფლის და მის ცხოვრების შესახებ, რომ ბანკმა იქ მიაშველოს ფული, სადაც საჭიროა. დღეს არც ერთ საქმეს არ იწყებენ მანამდე, ვიდრე დაწვრილებით ცნობებს არ შეჰკრებავენ. თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებას აქვს სასტატისტიკო კომიტეტები. შიდა გუბერნიებში ასეთი კომიტეტები საერო დაწესებულებათაც შემოიღეს. გარდა ამისა სტატისტიკური ცნობები რაიმე შუამდგომლობის აღძვრის დროსაც საჭიროა. ეს ბიურო დაარსებულ იქნება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებასთანაო.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა წინამძღვარიანთ სკოლის მზრუნველის ილია წინამძღვარიშვილის თხოვნა სკოლის სასარგებლოდ ერთ ხანად 4000 მანეთის გადადების შესახებ. მზრუნველი სკოლისა თხოვნაში ამბობს, რომ ამას წინად სეტყვამ მეტად დიდი ზარალი მიაყენა სკოლასაო, რის გამო სკოლისათვის დაუყოვნებლივ 4000 მანეთია საჭიროო. ამ საგნის გადაწყვეტა კრებამ ზედამხედველ კომიტეტს მიანდო, იმ პირობით კი, თუ ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, ექსტრაორდინარულ თანხიდან მიეცეს ფული სკოლასაო.

თავ. დ. ზ. ბარათაშვილი. ყოველ წელიწადს წინამძღვარიანთ სკოლას 5000 მანეთს ვაძლევთ და კი არ ვიცით რაზედ და როგორ იხარჯება ეს ფული. ბევრი იმასაც კი ამბობს, რომ სკოლას მხოლოდ 1500 მანეთი უნდებაო. რამდენჯერმე მოვსთხოვეთ ანგარიში მზრუნველს, მაგრამ არც ერთხელ არ წარმოგვიდგინა. ეხლა მაინც დაუდოთ პირობა, რომ ანგარიში უეჭველად წარმოგვიდგინოს.

თავმჯდომარე. თქვენს წინადადებას მხედველობაში მივიღებთ დ მოვსთხოვთ მზრუნველს წარმოგვიდგინოს ანგარიში.

თავ. დ. ა. გურამიშვილი. რამდენადაც მახსოვს ბ-ნი წინამძღვარიშვილი ანგარიშებს წინად ყოველ წელიწადს ადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. თუ ეხლა არ წარმოუდგენია, ამას რაიმე პატივ-სადები მიზეზი ექნება.

ბ-ნი ამირაჯანოვი. სკოლა კარგად არის დაყენებული, საქმეები იქ მშვენივრად მიჰყავთ, ამიტომ 5000 მან. უეჭველად უნდა გადავდოთ, მაგრამ ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა ინგარიშიც მოვთხოვოთ.

თ. დ. გურამიშვილი. სასოფლო-სამეურნეო ფულიდან მცირე რამ იმ დაწესებულებათა სასარგებლოდაც უნდა გადავდოთ, რომელთაც შემწეობა გვთხოვეს, როგორც, მაგალითად, სამუსიკო და საკომერციო სასწავლებლების სასარგებლოდ.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. მაგ ფულს ყველა დაწესებულებას ვერ გავუნაწილებთ და ვინც მოგვმართავს, ყველას ვერ მივცემთ. ჩვენ თვითონ დღეს ბევრი საჭიროება გვადგია. მთელს კახეთში, მაგალითად, იმ კახეთში, რომლის ღვინომაც მსოფლიო ბაზარში საპატიო ადგილი მოიპოვა, არც ერთი მეღვინეობის სკოლა არ არის. საჭიროა ამიტომ ყოველ წელიწადს ამ თანხიდან გადავდოთ ფული ასეთის სასწავლებლის დასაარსებელ ფონდის შესადგენად. ამას გარდა ქიზიყში არსებობს დეპო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის. საჭიროა ამ დეპოსაც დავეხმაროთ რითიმე.

თავმჯდომარე. ეგ საგნები ახალია, განსახილველ საგნების სიაში არ არის მოხსენებული, ამიტომ დღეს ვერ განვიხილავთ.

ბოლოს კრებამ სასოფლო-სამეურნეო თანხა ასე გაანაწილა:

1) 5000 მანეთი—წინამძღვარიანთ კარის სკოლას, 2) 2,383 მ.—პოლიტეხნიკუმს, თუ იგი ტფილისში იქნება დაარსებული და 3) დანარჩენი 15,448 მან. 51 კ. სესხად მიეცეს შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას სკოლის შენობის ასაგებად.

წაკითხულ იქმნა ბანკის დირექტორად ნამყოფის თავ. დ. ავალიშვილის ქვრივის კნ. ო. ე. ავალიშვილის თხოვნა, იმის შესახებ, რომ იმის ქალს, გიმნაზიის მოსწავლეს, სტიპენდია დაენიშნოს ბანკიდან. კრებამ, ზედამხედველ კომიტეტის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილების თანახმად, დაადგინა, დაენიშნოს თავ. დ. ვ. ლიშვილის ობოლს ის სტიპენდია, (350 მან. წელიწადში), რომელიც დიმიტრი ყიფიანის შვილის-შვილს ეძლეოდა და რომელმაც წმ. ნინოს სასწავლებელში სწავლა უკვე დაამთავრა.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ იქმნას ის გარდასახადი, რომელიც მამულების დამგირავებელთ ერთმევათ დაფასების მოსახდენ და გირავნობის ფურცლების მოსამზადებელ ხარჯის დასაფარავად. მოხსენებაში ნათქვამია: ყოველ წელიწადს ბანკის მოქმედების ანგარიშიდანა სჩანს, რომ ჩვენის ბანკიდან ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში უფრო მეტი გირაობები გადადის, ვიდრე იქიდან ჩვენში. სხვა მიზეზთა შორის ერთი უმთავრესი მიზეზი ამისა ისიც არის, რომ გირაოს იმ ბანკიდან ჩვენ ბანკში გადმოტანას დიდი ხარჯი სჭირდება, რაიცა აბრკოლებს ამ გადატანას. ჩვენი ბანკი ტფილისელ დამგირავებელთაგან იღებს 1% სესხისას იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც დაფასებასა და გირავნობის ფურცლების მომზადებას უნდება, ამასთან აქედან $^1/_4$% წინდაწინვე იღებს განცხადების შეტანის დროს, ხოლო $^3/_4$% სესხის გატანის დროს.

გამგეობის აზრით საჭიროა ამ 1% ნაცვლად ტფილისელ დამგირავებელთ $^1/_4$% გამოერთვათ, ისიც სესხის გატანის დროს მხოლოდ იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც გირავნობის ფურცლების მომზადებას სჭირდება.

ამ მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბევრმა აღნიშნა რა, რომ საკრედიტო საზოგადოებაში ქონების დაგირავების პირობები გაადვილებულია, რის გამო ჩვენი ბანკიდან მრაველი მამული გადადის იქ, განაცხადა, საჭიროა, რომ ამ მხრივ ჩვენი ბანკი გათანასწორებულ იქმნას საკრედიტო საზოგადოებასთან, ე. ი. ისეთი ცვლილებანი იქმნას შემოღებული, რომ აქაც ესევე ადვილად შეიძლებოდეს მამულების დაგირავება და გადმოგირავება, როგორც იქ. სხვათა შორის, თავ. ი. გ. ჭავჭავაძემ განმარტა ის მიზეზნი, რომელთა წყალობითაც საკრედიტო საზოგადოებაში უფრო მეტი მამული შედის გი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდ და უფრო მეტი მამული გადადის სათავად-აზნაურო ბანკიდან, ვიდრე იქიდან გადმოდის და აღნიშნა ის უპირატესობანი, რომელნიც კანონმა მიანიჭა ერთობ ქალაქების საკრედიტო საზოგადოებათა მთელ რუსეთში.

პ. რ. ყიფიანმა სთქვა: როგორც ჩვენი ბანკი, ისეც საკრედიტო საზოგადოება, ყოველ ნახევარ წლის გადასახადს ახდევინებს მსესხებელს ბანკის ხარჯისათვის, სათადარიგო და ძირის ფულის და სხვა თანხების სამატად. ეს ნაწილი ნახევარის წლის გარდასახადისა ჩვენს ბანკში დაარსებულია $^3/_8$%. საკრედიტო საზოგადოებიდან რომ გადმოდიან ჩვენს ბანკში, ამ ნაწილს გარდასახადისას იქაც იხდიან და ჩვენ ბანკშიაც, ასე რომ დამგირავებელი ერთს გარდასახადს ორ-კეცად იხდის. ჩემის ფიქრით, შესაძლოა ის შეღავათიც მივცეთ იმ მსესხებელთ, რომელნიც საკრედიტო საზოგადოებიდან გადმოდიან, რომ წლის პირველ ნახევრის ეს ნაწილი გარდასახადისა სულაც არ გამოერთოთ.

ბოლოს, დიდის კამათის შემდეგ, კრებამ გარდასწყვიტა: 1) ტფილისელ სესხის მთხოვნელთ წინადვე არ გამოერთვათ-რა, ხოლო როცა სესხს მიიღებენ $^1/_4$% გამოერთვათ დაფასების და გირავნობის ფურცლების ხარჯის დასაფარავად; 2) ის ნაწილი გარდასახადისა, რომელიც ეხლა ერთმევათ ბანკის ხარჯის გასაძღოლად და სხვა-და-სხვა თანხების სამატად, წლის პირველ ნახევარს აღარ გამოერთვათ იმათ, ვისაც სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან გადმოაქვთ ჩვენს ბანკში დასაგირავებლად მამულები.

დასასრულ კრებამ მოისმინა და შეიწყნარა კიდეც გამგეობისაგან მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკში მოსამსახურეთათვის საპენსიო კასსა იქმნას დაარსებული. ბანკმა ამ კასსისათვის 50,000 მანეთი უნდა გადასდოს—ყოველ წელიწადს 5,000 მანეთი. ამას გარდა კასსის თანხის შესადგენად მონაწილეთ 5% ჯამაგირისა გამოერთმევათ. კრებამ დაავალა გამგეობას, წარუდგინოს უკვე შემუშავებული წესდება მთავრობას დასამტკიცებლად და დამტკიცების შემდეგ გადასდოს 50,000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წელიწადში ხუთას-ხუთასი თუმანი, ვიდრე 50,000 მანეთი შესრულდეს) და გამოვუკლოს მოსამსახურეთ ჯამაგირიდან 5% საპენსიო კასსის თანხის შესადგენად. საპენსიო კასსიდან პენსიის დანიშვნა დაიწყება ათი წლის შემდეგ დაარსებიდან.

1 ივნისს ბანკის წარმომადგენელთა კრება დასრულდა. ამ დღეს კრებამ დაამტკიცა ოქმები და თანამდებობის კაცნი აარჩია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება

30 მაისი

კრება დაიწყო ქალაქის თეატრში შუადღის 12 საათზე. თავმჯდომარეობდა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე თ'დი ა. გ. წულიკიძე. დარბაზის მარცხენა მხარე დაიჭირა ოპოზიციამ, ხოლო მარჯვენა—გამგეობის მომხრეებმა. თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას, მიულოცა კრების დაწყება და ურჩია, მიეტოვებინათ დასური ბრძოლა და უმთავრესი ყურადღება მიექციათ ბანკის საქმეების და მისის მდგომარეობის გამოსარკვევად. შემდეგ კრებას წინადება მისცა თავმჯდომარე ამოერჩია. წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარედ ოპოზიციამ გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი დაასახელა, ხოლო გამგეობის მომხრეებმა კი ქალაქის მოურავი ბ-ნი ლ. თ. ლოლუა.

ერთმა წარმომადგენელთაგანმა ბ-ნმა ი. ა. დუმბაძემ სთხოვა კრებას, გუბარნიის მარშალი უკენჭოდ იყოს ამორჩეულიო. ეს არ მოეწონა ბანკის მმართველს კ. ნ. ჩიკვაიძეს და მკვახედ შენიშნა დუმბაძეს, რომ იგი საზოგადოებაში წესსა და მშვიდობიანობას არღვევს და თავმჯდომარეს სთხოვა, დუმბაძისათვის ამის შესახებ ლაპარაკის ნება არ მიეცა. დუმბაძემ იწყინა ეს შენიშვნა და უპასუხა კალისტრატეს, რომ ბრბოს წინამძღოლის შენიშვნას არ ვაქცევთ ყურადღებასაო. ამ პასუხმა საშინელი ყვირილი გამოიწვია კ. ჩიკვაიძის მომხრეთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბევრმა მოითხოვა დუმბაძის სიტყვები ოქმში შეეტანაო. ყვირილმა და მღელვარებამ დიდ ხანს გასტანა. ზედამხედველის კომიტეტის წევრმა მ. ა. ქიქოძემ ითხოვა სიტყვის ნება. თავის სიტყვაში იგი ამტკიცებდა, რომ ლოლუას, როგორც ზედამხედველის კომიტეტის წევრს, არა აქვს უფლება კრების თავმჯდომარედ იყოს, რადგან ამ კრებამ სხვა საქმეთა შორის ლოლუას მოქმედებაც, როგორც ზედამხედველი კომიტეტის წევრისა, უნდა განიხილოს და დააფასოსო. ამიტომ მისი თავმჯდომარედ ამორჩევა ბანკის საქმეების მიუდგომლად გარჩევასა და დაფასებას ხელს შეუშლისო.

ამ ლაპარაკის დროს ორატორს ვილაცამ ხელი შეუშალა; ქიქოძეს ეგონა, ეს კ. ჩიკვაიძეაო და სთხოვა დაეცლია სიტყვის გათავება. კ. ჩიკვაიძემ უკმეხად უპასუხა: „თქვენ, როგორც გეტყობათ, ჭკუასთან სმენაც გღალატობთო“!...

საზოგადოება არ წყნარდებოდა და ითხოვდა ორი ყუთი დაედგათ: ერთი წერეთლისთვის, მეორე ლოლუასთვის. დაუდგეს ყუთები. ოპოზიციამ მოითხოვა, ყუთები აეხადათ და კენჭი ისე ჩაეგდოთ. გამგეობის მომხრეებმა ესეც იწყინეს და სთხოვეს თავმჯდომარეს, ამომრჩეველებისათვის ამის ნება არ მიეცა. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის დიდი უმრავლესობა ახდილ ყუთებში ისროდა კენჭებს. ორ საათზე არჩევანი გათავდა. თ-დმა ს. გ. წერეთელმა მიიღო 111 თეთრი კენჭი, 86 შავი; ხოლო ლოლუამ—100 თეთრი, 97 შავი.

1 ივნისი

კრება დაიწყო გუბერნატორის კანცელარიის დიდს დარბაზში დილის 11 საათზე. თავმჯდომარეობდა გუბერნიის მარშალი თ. ს. გ. წერეთელი, რომელმაც მიჰმართა კრებას მოკლე სიტყვით და სთხოვა წესიერების დაცვა. „პატიოსნის სიტყვით გარწმუნებთო,—სთქვა ბ-ნმა თავმჯდომარემ,—რომ ჩემის თავმჯდომარეობის ერთად-ერთი სურვილი ის არის, რომ საკმაო სინათლე მოვფინოთ ბანკის აწინდელს მდგომარეობასო“. შემდეგ წაკითხულ იქმნა 30 მაისს კრების შედგენილი ოქმი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც საზოგადოებამ დაამტკიცა. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ი. ჯაიანმა წაიკითხა გამგეობის მოკლე მოხსენება ბანკის მდგომარეობის შესახებ.

ს. თ. ნანეიშვილი. სანამდის ანგარიშს გავარჩევდეთ, მე მსურს საზოგადო მოსაზრებანი წარმოვთქვა გამგეობის მიერ წარმოდგენილ მოხსენების შესახებ. მოხსენება გამგეობისა არ შეიცავს ნამდვილს და სრულს სურათს ბანკის საქმეების მდგომარეობისას. მოხსენებაში სწერია: „ბანკის გამგეობის მიერ აღძრული შუამდგომლობა, რომ სამინისტროს მოეცა უფლება 36 წლ. და 48 წლ. სესხის გაცემისა, დაკმაყოფილებული იქმნა ფინანსთა მინისტრის მიერ მხოლოდ 1895 წლის ბოლოს მთავრობის რევიზორის მოხსენების წყალობითაო. ამ შუამდგომლობის დაკმამაყოფილება დაგვიანდა იმის გამო, რომ 1893 წ. მაშინდელმა საგუბერნიო მთავრობამ თავისი მოსაზრებანი წარადგინა ჩვენის ბანკის საზოგადო კრების სხვა ნაირად მოწყობის შესახებ. ამგვარი მოსაზრებანი გაგზავნილ იყო მთავრობის წინაშე თავად-აზნაურთა კრებისაგანაც.... ეს ადგილი მოხსენებისა სრულიად შესაწყნარებელი და პატივსადები არ არის. ჩვენი საყვედური მაინც უნდა გამოვუცხადოთ გამგეობას, იმიტომ რომ მას ხელთ ჰქონია 1890 წ. ბანკის საზოგადო კრების გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც უნდა ეშუამდგომლნა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა მოეცა უფლება 36 და 48 წ. სესხის გაცემისა, მაგრამ გამგეობამ ამის შესახებ ორის წლის განმავლობაში ყურიც არ გააპანტურა და აი ამ გარემოებამ გამოიწვია ის მოვლენა, რომ დიდ ძალი მამულები ქუთაისის გუბერნიისა გადაგირავდა ტფილისის ბანკში, რომელსაც უკვე ჰქონდა მოპოვებული გრძელ ვადიანის სესხის გაცემის უფლება. მოხსენებაში სწერია: „სიმდიდრე და შეძლებულება ბანკისა ყოველ ეჭვს გარეშეაო, რასაც ჰმოწმობს თითონ მთავრობის მიერ დანიშნული რევიზორიცაო. 1899 წლის პირველ იანვარს ბანკს დარჩენია 152,800 მან. მამულები. ეს მამულები ბანკს დიდ ზარილს ვერ მისცემენო: იყო დრო, როცა ბანკს დარჩენილი ჰქონდა 800,000 მან. მამულებიო“... ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ეს მართალია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ის 800,000 მ. დარჩენილი მამულები არ აძლევს ბანკს იმ ზარალს, რასაც დღევანდელი დარჩენილი მამულები აძლევს. გამგეობას უნდა ნათლად ეჩვენებინა საზოგადოებისათვის, რა ნაირი მამულები დარჩა ბანკს და თითოეულ მათგანს რა ვალი ადევს. გამგეობამ ეს არა ჰქნა. ამის გამო სულ სხვა ნაირი სურათი წარმოგვიდგინა თვალ-წინ.

თ. ნ. ე. თავდგირიძე. ბატონებო, ჩვენი ბანკი რომ ცუდს მდგომარეობაშია, ეს საეჭვო არ არის. ყოველს ნაკლულევანებას, ყოველ უბედურებას პირდაპირ უნდა შევხედოთ, გულახდილად უნდა გავუზიაროთ ერთმანეთს რასაც ვხედავთ და ვგრძნობთ. პირადობას მე აქ არ შევეხები. მე შედარებას მივმართავ, რადგან შედარება ორის ერთგვარი საგნისა უფრო ნათლად დაგვანახვებს მათს ვითარებას. აბა შეადარეთ ჩვენი ბანკი, რომელსაც ერთი ოთხად მეტი ძირითადი თანხა ჰქონდა, ტფილისის ბანკს და თქვენ წარმოგიდგებათ მეტის-მეტად უნუგეშო სურათი ჩვენის ბანკისა! როცა ტფილისის ბანკი თექვმეტ მილიონ მანეთს ამოძრავებს, ჩვენი ბანკი ძლივს-ძლიობით—ორს მილიონს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ სისტემატიურად ყოველ წელს შემოსავალი ბანკისა მცირდება. ეს იმითი აიხსნება, რომ ჩვენის ბანკის გამგეობამ თავის დროზე არ იზრუნა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მოეპოვა, როგორც აქ საფუძვლიანად შენიშნეს და ამასთან არც კონვერსია მოახდინა. ჩვენი ბანკის მსესხებელი ას მანეთზე წელიწადში შვიდ მანეთს იხდის, ტფილისისა კი მანეთით ნაკლებს. რუსეთის იმპერიაში არ არის არც ერთი ისეთი ბანკი, რომ ასეთს დიდ სარგებელს ახდევინებდეს, როგორც ქუთაისის ბანკი. ცხადია, მსესხებლები ტფილისის ბანკს მიჰმართავდნენ. ნუ ასეთს მდგომარეობას ბოლო არ უნდა მოეღოს? ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ჩვენს ბანკს მარტო სავაჭრო მიზანი არა აქვს. იმას საქველ-მოქმედო მიზანიც აქვს; ბანკის შემოსავლით ინახება თავად-აზნაურობის პროგიმნაზია, რომელსაც უსაშუალობისა გამო სული ხდება. ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ბანკის მდგომარეობა ისე გაუმჯობესდეს, როგორც ეს ინტერ-ლისშია.

გამგ. წევრი. თ. ნ. ერისთავი. მოხსენებაში ისეთი არაფერია, რაიცა სინამდვილეს მოკლებული იყოს. შეიძლება რაიმე აკლდეს, რასაც, ჩვეულებრივ, საზოგადო კრება შეავსებს. ხოლო, რაიცა შეეხება იმ გარემოებას, რომ შუამდგომლობა გრძელ ვადიან სესხის შესახებ დაეგვიანეთ, ამისი მიზეზი მრავალია: გუბერნატორის აზრი ჩვენის ბანკის საზოგადო კრებების სხვა-ნაირად მოწყობის შესახებ, რევიზია და სხვ., ასე რომ მარტო გამგეობა არ არის დამნაშავე.

თ. მ. გ. ფალავა. მადლობას ვუცხადებთ თავდგირიძეს დარიგებისათვის, მაგრამ დარიგების მაგივრად რომ დაესახელებინა ის მიზეზები, რის გამოც გამგეობამ ვერ იშუამდგომლა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მიეღო უმჯობესი იქნებოდა. იმ დროს, როცა საზოგადო კრებამ ეს შუამდგომლობა გადასწყვიტა, ისეთი არეულობა იყო საზოგადოებაში, ისეთი ბრძოლა ორის დასისა, რომ გამგეობა თითქმის არც კი არსებობდა. ამის გამო შუამდგომლობასაც ვერ გაჰგზავნიდა; როცა საზოგადოება დამშვიდდა, ესე იგი 1892 წ., გამგეობამ კიდეც გაგზავნა ეს შუამდგომლობა. რომ ბანკს მამულები რჩება და ვერ ჰყიდის, ეს გარემოება სასურველი არ არის, მაგრამ ამის მიზეზი არის ეკონომიური დაქვეითება, წინად მამულს მეტი ფასი ჰქონდა, ეხლა ის ფასი აღარა აქვს და არც ის შემოსავალი, და თუ აქ ვისმე ბრალი ედება, ეს ბრალი უნდა დაედოს დამფასებელ კამისიას, რომლის წევრიც ბ-ნი ნანეიშვილი ბრძანდება. გამგეობას არა აქვს უფლება მოუმატოს იმ ჯამს, რომელსაც გადასწყვეტს დამფასებელი კომისია. რაც შეეხება კონვერსიას, იმის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მისი მოხდენა შეუძლებელია, თუ ბანკმა არ გამოსცა ჯერ უვადო ფურცლები. ხოლო ამ ფურცლების გამოცემა 1891 წ. შეუძლებელი იყო, რადგან იგი ახალი საქმე იყო და მძიმე ტვირთად და ხარჯად დააწვებოდა მსესხებლებს ამ უვადო ფურცლების გამოცემა. ამას გარდა გამორკვეული არ იყო ის პირობები და წესები, რის ძალითაც კონვერსია უნდა მომხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. თ. ლოლუა (ზედ. კომ. წევრი). ბატონებო, ჩვენ საზოგადოებას უწინ სხვა წესი ჰქონდა. კრება უფრო მრავალრიცხოვანი იყო; წესიერებაც უმჯობესი გვქონდა. სამწუხაროდ ჩვენდა, ის უფლება დავკარგეთ. სირცხვილი იქნება, რომ საზოგადოების რჩეულთ არ დაიცვან წესი და რიგი. უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენ მიერ ამორჩეულ თავმჯდომარეს. მე კი ამას ვერ ვხედავ. დავაცალოთ თავმჯდომარეს, რომ მან დაგვიყენოს განსახილველი საგნები და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე განვიხილოთ. თქვენ ახლა იმისთანა საგნებს შეეხევით, რომლის განხილვაც შემდეგ უნდა დავიწყოთ. არ უნდა შევჩერდეთ იმისთანა წვრილმან საკანზედ, როგორიც, მაგალითად, ეს არის; გამგეობამ შუამდგომლობა თებერვალში გაგზავნა, თუ დეკემბერში. რაც შეეხება იმას, რომ ბანკი აგვიანებს დარჩენილის მამულის გაყიდვას, ეს არაფერი საშიშია საადგილ-მამულო ბანკისათვის. ხან ბანკისთვის უფრო სახეიროა, რომ მოიცადოს და მერე გაჰყიდოს. ესეცაა აქ სათქმელი, რომ ჩვენ დავიდარაბას მოვუნდით, გამგეობა გამგეობად არ ვიცანით, ავუტეხეთ ერთი შფოთი და აღარ მივეცით დრო საქმეები ეწარმოებინა.

ს. თ. ნანეიშვილი (წევ. დამფ. კომისიისა). საკვირველად ჰლალატობს მეხსიერება ბ-ნს ლოლუას! ზედამხედველ კომიტეტის 1896 წლის ოქმში, რომელზედაც ხელი უწერია ბ-ნს ლოლუას, სულ სხვა აზრი აქვს გამოთქმული. იქ სწერია: „დახანება დარჩენილის მამულების გასყიდვისა არის დიდი უბედურება ბანკისათვის, ამიტომ გარდაწყვეტილია, რაც შეიძლება მალე გაიყიდოს დარჩენილი მამულები“.... რაც შეეხება თ. ფალავას თქმას, რომ მამულების დარჩენა დამფასებლების ბრალიაო, ამ საგანზე დამფასებელ კომისიას ვრცელი მოხსენება აქვს და თავის დროზე იქნება აქ წაკითხული. საზოგადო კრების მიერ გარდაწყვეტილი შუამდგომლობა გრძელ ვადიანის სესხის გაცემის შესახებ გამგეობამ გაგზავნა მხოლოდ 1893 წელს და არა 1892 წელს, როგორც ამას ამტკიცებს თავადი ფალავა. ამ ხნის განმავლობაში გამგეობა საქმეს კი არ

აკეთებდა, კენჭობიას უნდებოდა. კონვერსიისათვის სად [illegible] რომ მსესხებლებისათვის ძძიმე ტვირთი შეესუბუქებინა. კონვერსიის მოსახდენად სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული გამგეობას, საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, რომელიც მოხდა 1891 წ. კონვერსიის მოხდენისათვის სრულიადაც არ არის საჭირო უვადო ფურცლების გამოცება, როგორც ეს ჰგონიათ დირექტორს თ. ერისთავს და თ. ფალავას. (ამის დასამტკიცებლად კითხულობს ⅀-ს კონვერსიის წესდებისას).

დ. ბ. ხელთუფლიშვილი. გამგეობის მოხსენება უნდა წარმოადგენდეს სარკეს ბანკის მდგომარეობისას, რომ მკითხველს შეეძლოს სრული უნაკლულო სურათი ბანკის ავისა და კარგისა თვალ-წინ დაიყენოს. ეს მოხსენება კი თითქმის არაფერს გვეუბნება. მე არ ვიცი, ეს გარემოება განზრახ ჩაიდინა გამგეობამ, თუ უნებურად მოვიდა. ეს კია, რომ გამგეობის არც ერთ ნაკლულევანების შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგალითად, გამგეობის მოხსენებაში არ არის აღნიშნული, თუ როდის გადასწყვიტა საზოგადო კრებამ, რომ გამგეობას ეშუამდგომლა გრძელ ვადიანის სესხის გაცემისათვის? როდის იყო ეს შუამდგომლობა გაგზავნილი? რამდენი ზარალი ნახა ბანკმა დარჩენილ მამულებში? რით დაჰფარა ეს ზარალი და რამდენი დაჰფარა? ამას გარდა გამგეობას დავალებული ჰქონდა 1891 წელს კონვერსია მოეხდინა, გადის ამის შემდეგ ცხრა წელიწადი და ამ დროის შემდეგ კონვერსიის შესახებ მოხსენებასაც ვერ ვხედავთ! შემცდარი აზრია თ. ფალავასი, ვითომც კონვერსიის შესახებ წესდებანი არ იყო დადგენილი 1891 წ. პირ-იქით, 24 მაისს 1791 წ. ეს წესდებანი მკვიდრად იყო დადგენილი. ამით ისარგებლეს რუსეთის ბანკებმა და ამ წლის განმავლობაში 75 მილიონის კონვერსია მოახდინეს, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ 59 მილიონის კონვერსია მოხდა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მმართველი ბანკისა ბრძოლას უნდებოდა, მაგისთვის არ ეცალაო. საკვირველი თავის გამართლებაა. მაგრამ თუ გინდ დავიჯეროთ, რომ ეს ასე იყო, დანარჩენნი წევრნი გამგეობის და მთელი ზედამხედველი კომიტეტი რაღას აკეთებდნენ? ნუ თუ ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალენი არ არიან საზოგადო კრების გარდაწყვეტილებაზე ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და სისრულეში მოიყვანონ.

განა ბრძოლა მარტო ქუთაისში იყო, ტფილისში კი არ იყო ამ გვარი ბრძოლა? იქ საყვედური მოახვედრეს გამგეობას, რომ ორი თვე დაიგვიანა და მერმე აღძრა კონვერსიის შესახებ შუამდგომლობა. აქ კი ცხრა წელიწადი მიდის და უბრალო მოხსენებაც არ არის ამ საგანზე შედგენილი. ეს მეტის-მეტი დაუდევრობაა და საზოგადოების ინტერესების სასაცილოდ აგდება.

თ. ი. ანაშიძე. ამისთანა მოხსენების წარმოდგენა, როგორც ინება ბანკის გამგეობამ, მიმაჩნია საზოგადოების სასაცილოდ აგდებად. ცხრა წლის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამ არაფერი არ იცოდი ბანკის შესახებ და აი ამ ცხრა წლის შემდეგ გამგეობამ წარმოგვიდგინა ისეთი მოხსენება, რომელთაგანაც ჩვენ ვერასფერს ვერ გავიგებთ. რის თქმა შეიძლება იმ მოხსენებით, რომელიც შესდგება 75 სტრიქონით! განა ეს სირცხვილი არ არის?

გამგეობის თავმჯდომარე **კ. ნ. ჩიკვაიძე.** მე გრძლად მსურს ლაპარაკი, ამიტომ საზოგადოებას ვსთხოვ, ნუ შემაჩერებს, ნუ გამაწყვეტინებს ლაპარაკს; თუ რასმე სალაპარაკო საგნის გარეშე ვიტყვი, მხოლოდ თავმჯდომარემ გამაჩეროს. ჩვენ სურვილი არა გვაქვს დანაშაულობის აღმოჩენისა. ჩვენ გვინდა განურჩევლად უპატიურება მივაყენოთ ადამიანს. პატარა მოხსენება წარმოადგინეო, გვისაყვედურებენ, აბა ეს სასაყვედუროა? იქნება მეტი ვერ შევიძელით, იქნება მეტი ვერ დავსწერეთ. ზოგი ბევრს დასწერს, მაგრამ ამ ბევრის დაწერილიდან არაფერი გამოდის. ან რა მოსატანია აქ შედარება ჩვენის ბანკისა ტფილისის ბანკთან. იქნება ტფილისის ბანკი ისეთ მდგომარეობაში არ არის, როგორც ბევრს ჰგონია. რევიზორმა იქაც ბევრი ნაკლულევანება ნახა. ტფილისის ბანკმა ეს ჰქმნა, ის ჰქმნაო, რა სათქმელია. ჩვენს ბანკს იმასა სთხოვენ, რაც არ შეიძლება მოეთხოვოს. აბა ერთი მიბრძანეთ, 437 ათასი მანეთი ძირითადი თანხა რა დიდი ჯამია, რომ ბევრი მოეთხოვოს ბანკს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოდენი თანხა არა ერთსა და ორს მოსკოველ ვაჭარსა აქვს. საადგილ-მამულო ბანკისათვის ძირითადი თანხას კი არა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა, არა, მნიშვნელობა აქვს იმ უფლებასა, რომლითაც იგი აღჭურვილია, ამ მხრით ტფილისის ბანკი საუცხოვო მდგომარეობაში იყო, ხოლო ქუთაისისა ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ტფილისის ბანკს შეეძლო, რამდენიც უნდა იმდენი გირავნობის ფურცლები გამოეცა, ქუთაი?ის ბანკს მარტო სამასის ათასის ფურცლების გამოცემის ნება ჰქონდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტფილისის ბანკი ურიგო ცილობას გვიწევს. იგი აძლევს მეტს სესხს, ვიდრე ჩვენ. (აქ ჩამოთვალა ის მამულები, რომელთაც ქუთაისის ბანკმა ნაკლები სესხი შეაძლია, ტფილისისამ კი მეტი მისცა). ამას გარდა საზოგადოება ორ დასად იყო გაყოფილი და მათ შორის ბრძოლა უკანასკნელ ხარისხამდის იყო მისული; ეს გარემოებაც ხელს უშლიდა საქმეს. ამას ისიც დაემატა, რომ სიმინდის ფასი დაეცა, ფილოქსერამ ვენახი დალუპა და ბეცრი ცარიელზე დასვა; საზოგაოდდ, ეკონომიური მდგომარეობა ჩვენის გუბერნიისა ძალიან დაქვეითდა. ამისდა მიუხედავად გამგეობამ იმდენი მხნეობა გამოიჩინა, რომ ბანკის მოგება განაძლიერა იქამდე, სადამდეც არაოდეს არ გაძლიერებულა. ერთის სიტყვით, გამგეობამ ბევრი სიკეთე შესძინა საზოგადოებას, რომ წინ არ გადაღობებოდა დამაბრკოლებელი მიზეზები, რის გამო სამინისტრომ არ შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა. გამგეობა მაინც ეცადა და სესხის გაცემა ნახევარ მილიონამდის მიიყვანა.

დამფასებლების კომისიის წევრნიც ბ-ნი ნანეიშვილი და დ. წულუკიძე არ მემორჩილებოდნენ, თავის დროზე არ მიდიოდნენ დასაფასებლად და მთელის წლობით საქმეები ჩერდებოდა. ნანეიშვილი იქ წასასვლელად ეჩქარებოდა, სადაც სალაყბო იყო და გაზეთებში წერას უფრო მეტს დროს ანდომებდა, ვიდრე თავისს სამსახურს. დ. წულუკიძემ კი ასე მითხრა: „შენ როგორ დაგემორჩილები, უკანონოდ ამორჩეული ხარო!“ აი ამისთანა შეეიწროებულ მდგომარეობაში მყოფს გამგეობას მეტი რა მოეთხოვება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. თ. ნანეიშვილი. თუ სალაყბოზე ერბოდით და არაფერს ვაკეთებდით, ეს გამოჩნდება იმ მოხსენებიდან, რომელსაც დამფასებელი კომისია წარმოადგენს საზოგადო კრებას. ხოლო რა ნაირის ერთგულებით, სიბეჯითით და სიყვარულით ეკიდება ბანკის საქმეებს თითონ ბ-ნი ჩიკვაიძე, მე ამის შესახებ არას ვიტყვი, მივმართავ ჩიკვაიძის ორს ამხანაგს თ. ერისთავს და ბ-ნს ჯაიანს (დირექტორებს) როგორც კეთილშობილ კაცებს, იმათ სთქვან საზოგადოებაში ვინ ეკიდებოდა საზოგადო საქმეს აგდებულად ვინ ერთგულად. (საზოგადოება ხმა-მაღლა ითხოვს, თქვან ეს დირექტორებმა).

თ. ნ. ერისთავი (დირექტორი). მე ჩემს სინიდისსა და პატიოსნებას არაოდეს არ გადავუდგები და ნამდვილს ყოველთვის ვიტყვი, მაგრამ ამ საგნის შესახებ ლაპარაკის დრო ეხლა არ არის

ჯ. ნ. ჩიკვაიძე. მე იმით საქმეს არ ვახდენ, რომ სასამართლოებშიაც დავდივარ, ნოტარიუსთანაც, შინაურ საქმეებსაც ვაკეთებ და სხვ.

ს. დ. ჯაფარიძე. ჩვენ აქ ენა-მახვილობის სავარჯიშოდ კი არ მოვსულვართ, ჩვენ გვინდა ჩვენის ბანკის მდგომარეობა გავიგოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ. ბ-ნი ჩიკვაიძე კი მოგვიყვა აქ იმას, წულუკიძემ რა უთხრა კაბინეტში. ეს აქ რა მოსაყვანია, მით უმეტეს, რომ ის კაცი აქ არ არის, რომ პასუხი მისცეს. ჩვენ უნცა დავუკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, რა მიზეზებმა გამოიწვია ჩვენის ბანკის ასე უკიდურესად დაქვეითება. მე ვფიქრობ, რომ აქ სამი უმთავრესი მიზეზია: ერთი ის, რომ დროზე ვერ მოიპოვა ჩვენმა გამგეობამ გრძელ-ვადიანი სესხის უფლება, მეორე ის, რომ კონვერსიაზე ამ ცხრა წლის განმავლობაში გამგეობას არაფერი უფიქრია, მესამე—დარჩენილ მამულების მოვლა და პატრონობა. აი ამ სამის მიზეზის განხილვას უნდა შევუდგეთ, ამას უნდა მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება. ვიდრე ანგარიშს დავამტკიცებდეთ, კომისია ამოვირჩიოთ და მივანდოთ ამ მიზეზების გამოკვლევა და დასურათხატება. ამ აზრს მიემხრო ბ-ნი ხუნდაძეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 ივნისი.

კრების მდივანმა დ. ბ. მდივანმა წაიკითხა გუშინდელი ოქმი, რომელიც მცირედის ცვლილებით დაამტკიცა.

თ. ნ. ე. თავდგირიძე. მე ვსთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, ნება მისცეს ლაპარაკისა თავ. დ. გ. წულუკიძეს (დამფასებელია), რომელზედაც გუშინ ჩიკვაიძე ჩიოდა, რომ არ მემორჩილებაო.

ექ. ს. თაყაიშვილი. გუშინ ბ-ნმა ნანეიშვილმა სთხოვა თ. ნ. ერისთავს დაემოწმებინა მისი განცხადება, რომ გამგეობის თავმჯდომარე გულ-აცრუებულია ბანკის საქმეებზე და თავისს კერძო საქმეებს უფრო მეტ დროს ანდომებს, ვიდრე ბანკის საქმეებს, მაგრამ თ. ერისთავმა ამ თხოვნას გვერდი აუხვია და როგორც ქართულად იტყვიან, სიტყვა ბანზე ააგდო. ჩვენთვის კი საინტერესო იყო, მცირეოდენი ნათელი მაინც მოეფინა ამ საგნისათვის. წარმომადგენელთა უმრავლესობისათვის საჭიროა დაგვიხატოთ საზოგადო სურათი ბანკის მდგომარეობისა და იქ მომქმედთა, ვიდრე ანგარიშის წვრილმან ციფრებისა და რიცხვებისა, საიდანაც ძნელია კაცმა რაიმე განსაზღვრული დასკვნა გამოიყვანოს.

ლ. თ. ლოლუა (წევრი ზედამხედველ კომიტეტისა). ბატონებო, ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ. ზნეობის სიფაქიზის დაცვა ყოველგან და ყოველთვის უნდა იყოს. ჩვენ წინაპრებს, მართალია, უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ, მაგრამ ზნეობით ფაქიზნი იყვნენ, იქნება ახლა ზნეობას სხვა მოთხოვნილება აქვს, მე სიბერის გამო ჩამოვრჩი ამ მოთხოვნილებას; მაგრამ მე ეს ვერ გამიგია, ბ-ნი ნანეიშვილი რატომ ჩამჯდარა გამგეობის მოწინააღმდეგე დასში და თავისის უფროსის წინააღმდეგ ამხედრებულა. იგი უნდა იყოს გამგეობასთან და იცავდეს მისს ინტერესებს.

ექ. ს. თაყაიშვილი. მორჩილება ქვეშევრდომისა უფროსის წინაშე, რასაკვირველია, უნდა არსებობდეს, უამისოდ არავითარი დაწესებულება და საქმე რიგიან გზაზე ვერ დადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისციპლინა უეჭველად მოითხოვს ამას, მაგრამ არის დროდ ადგილი, სადაც უმცროსსაც ისეთი უფლება აქვს, როგორიც უფროსს, მაგალითად, აი ეხლა. და სწორედ იმ ზნეობის სიფაქიზის ძალით, რომელზედაც წელან ასე მშვენივრად ლაპარაკობდა ბ-ნი ლოლუა, ნანეიშვილი ვალდებულია, როგორც კი შეუძლიან, ნათელი მოჰფინოს საკამათო საგანს და ამით თავისი წმინდა მოვალეობა შეასრულოს.

ს. თ. ნანეიშვილი. ბ-ნი ლოლუა ჩემის ზნეობის სიფაქიზეს იმიტომ შეეხო, რომ მე ის გუშინ ორს სიცრუეში დავიჭირე. (ხმაურობაა, პირადობას ნუ ეხებით).

თავმჯდომარე. ბ-ნებო, განვიხილოთ პირველი განსახილველი საგანი—განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედებათა 1893—1894 წ.; აღმოწერა რევიზორის ანგარიშიდან; დარჩენილი მამულები და კონვერსია.

თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. გუშინ ლაპარაკობდნენ, რომ კონვერსია საზარალოაო, რადგან მისის მოხდენის დროს მსესხებლები ჰკარგავენ ას მანეთზე ორ მანეთსაო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ეს დაკარგვა დროებითია, დავკარგავდით მხოლოდ ერთხელ, ეხლა კი მსესხებლები ყოველ წელიწადს ჰკარგავენ უკონვერსიობისა გამო; გუშინ ისიც განაცხადეს, რომ უკონვერსიოდაც შეიძლება მსესხებლების გაჭირვებულს მდგომარეობას ეშველოსო, თუ გადაგირავებას მოვახდენთო. მაგრამ აქაც ისევ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ გადაგირავებისა და კონვერსიის შორის დიდი განსხვავებაა: გადაგირავება გამოიწვევს მსესხებლებისაგან დიდს ხარჯს, რაიცა საჭირო არ არის, თუ კონვერსია მოვახდინეთ. გამგეობას არ მოსწონს, როცა ქუთაისის ბანკს ადარებენ ტფილისისას, მაგრამ თვითონ გამგეობასაც ვერ აუქცევია ამ შედარებისთვას მხარი: ძალაუნებურად იგი თვითონაც ადარებს, როცა ამბობს: „ტფილისის ბანკს უფლებანი მეტი ჰქონდა, საქმეც მისი უმჯობესად წავიდაო“. მართალია, რომ ტფილისის ბანკს მეტი უფლება აქვს, ქუთაისისას ნაკლები, მაგრამ ეს ვისი ბრალია? რასაკვირველია, ბანკის მმართველებისა, რომელთაც არ იშუამდგომლეს სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტროს წინაშე და არ მოიპოვეს ეს უფლებანი. ისიცა სთქვეს, ვითომც ოპოზიციის ერთს წევრს, ლ. ასათიანს შეეფერხებინოს ბანკის საქმეები მის მიერ შედგენილის მოხსენებით, რომელშიაც ჩვენი საზოგადოება ცუდის მხრით არის დახასიათებული მთავრობის წინაშეო, ამის გამო ბანკის საზოგადო კრების უფლებანი შემცირდაო. ჩვენის საზოგადოების დახასიათება ასათიანის მოხსენებაში ისეთი არ არის, რომ ვისთვისმე საწყენი იყოს. ჩვენი საზოგადოება თავისის თვით-ცნობიერებით და განათლებით რომ პარიჟისა და პეტერბურგის საზოგადოების სწორი არ არის, ეს არავისთვის საიდუმლო არ უნდა იყოს; რაიცა შეეხება ბანკის საზოგადო კრების უფლებათა შემცირებას, ეს ასათიანის ბრალი სრულიადაც არ არის. თავად-აზნაურობამ და თვითონ ბანკის გამგეობამაც წარმომადგენლების სხვანაირი პროექტი შეადგინა და არა ისეთი მცირე უფლებიანი, როგორიც ეხლა გვაქვს, მაგრამ მთავრობამ ის ჩვენი პროექტი არ დაამტკიცა. გუშინ დამფასებლების კომისიის მოქმედებას შეეხნენ და სთქვეს, რომ მისი დაფასება საზარალო იყო ბანკისათვისაო. მიეცით ნება ამ კომისიის წევრთ, წარმოგვიდგინონ თავიანთი მოხსენება. ეს განცხადება თ. კ. ლორთქიფანიძისა თანაგრძნობით იყო უმრავლესობისაგან მიღებული.

ერ. ს. ხუნდაძე. გამგეობის თავმჯდომარის განცხადებას, რომ ვითომც მისის მართვის დროს ბანკის შემოსავალს ყოველ წლობით უმატნია, სიფრთხილით უნდა მოვეკიდნეთ. რომ კარგად დავუკვირდეთ ბანკის ანგარიშებს, შევატყობთ, რომ, როცა ბანკს ჰქონია შემოსავალი 90 ათასი მან., ნაკლები ზარალი უნახავს, როცა 114 ათასი მანეთი, მაშინ მეტი ზარალი. ვერ დავეთანხმები ბ-ნს ლოლუასაც, რომელიც გვირჩევს, დარჩენილს მამულს მალე ნუ გავყიდითო, მოვიცადოთო. ბანკის გამგეობამ ცხადად დაგვიმტკიცა, რომ იგი სრულიად ვერ ახერხებს დარჩენილის მამულების პატრონობას და ამის გამო დიდი ზარალი მოსდის ბანკს. ამას ამტკიცებს თვითონ რევიზორიც (ჰკითხულობს ამ ადგილს რევიზორის ანგარიშიდან), მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსთხოვ კრებას, ამოარჩიოს კომისია, რომელიც წარმოუდგენს კრებას ბანკის მდგომარეობის სურათს.

ჯ. ნ. ჩაკაიაძე. კონვერსიის მოხდენის შესახებ მე იმ აზრისა ვარ. რომ ყოველ საქმეში თან-და-თანობა სჯობია, ესე იგი ჯერ მცირე შეეიძინოთ, შემდეგ ცოტა მეტი; არ ივარგებს, რომ ერთჯერად ვითხოვოთ მრავალი უფლებანი და არც ერთი არ მივიღოთ. რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენი მამულები ტფილისის ბანკში გადადის, კიდევ ვიმეორებ, მიზეზი ამისა არის რაოდენობა სესხისა, რომელსაც იძლევა ტფილისის ბანკი. ჩვენმა ბანკმა რომ სესხის რაოდენობა იმ ზომამდის ასწიოს, როგორც ტფილისისაა, დიდად საზარალო იქნება ჩვენის ბანკისათვის. ამის გამო ქუთაისის ბანკი ცილობას არ უწევს. საჭიროა ასპარეზი ბანკის მოქმედებისა გაფართოვდეს; ამ მხრივ ცოტა რამ შეეიძინეთ. მართალია, რომ დარჩენილი მამულები დიდ ტვირთად აწევს ბანკს, მაგრამ სასტიკად ვერ მოვექეცით ამ მამულების გაყიდვას, როგორც ამას ითხოვს კანონი, ასე რომ ზოგჯერ მხარი ავუქციეთ კანონის ამ მოთხოვნილებას, რადგან ეს სასარგებლო იყო ბანკის ინტერესებისათვის.

თავ. ნ. ე. თავდგირიძე. სხვა-და-სხვა გაზეთებში და ისეც ლაპარაკობენ საზოგადოებაში, რომ ბანკის მმართველნი ძალიან ურიგოდ იქცევიან მამულების გაყიდვის დროს. ეს შავი ლაქა უნდა ჩამოირეცხოს გამგეობამ კრების წინაშე, რომ ამით თვითონ კრებაც დამშვიდებულის სინიდისით უყურებდეს თავისს ამორჩეულ კაცებს. ალბად წაკითხული ექნება ბევრს „Новое обозрѣніе"-ში ცნობა, რომ ვიღაც ობლის ივანოვის მამული ბანკში მოსამსახურეთა წყალობით და მეცადინეობით შეუძენია ერთ მოხელეს, რომელსაც ამის გამო სამსახურის ადგილი დაუკარგავს. ხმებია, რომ ბანკში მოსამსახურე კაცები ეგრედ წოდებულ „ოტსტუპნოის" იღებენო. ისიც ყველას ეცოდინება, რომ ჩვენს პატივცემულს მგოსანს აკაკი წერეთელს პენსია ჰქონდა დანიშნული, მაგრამ არაფერი არ მიუღია, რადგან საჭირო ყოფილა ვიღაცეების მოსყიდვა. ეს ამბავი თითონ აკაკი წერეთლის „კრებულში" არის აღწერილი. (კითხულობს იმ ადგილს.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ეს ხმები უსაფუძვლო იყოს, რაიცა დიდად სასურველია, მაგრამ ვაი თუ ეს მართალი იყოს. მე ვთხოვ გამგეობას, ეს ლაქა ჩამოირეცხოს აქ, კრების წინაშე! თავი გაიმართლონ აგრეთვე დამფასებლებმა, რომელთაც ბ-ნი კ. ჩიკვაიძე ბრალსა სდებს, რომ რიგიანად ვერ აფასებდნენო.

თავ. ი. ნ. ნიჟარაძე (დამფასებელი). ზედამხედველმა კომიტეტმა მოგვთხოვა პასუხი, რატომ გვიანდება ზოგჯერ დაფასებათ. ჩვენ ეს პასუხი მივართვით ზედამხედველ კომიტეტს: დაგვიანება ზოგჯერ იმის გამო ხდება, რომ ბანკს ერთი მიწის მზომელი ჰყავს და, სანამ იგი ერთ ადგილს მიწის გაზომას არ გაათავებს, დანარჩენი დამფასებლები უცდიან. რომ დამფასებელი კომისია სინიდისიანად აფასებს მამულებს, ეს ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს. მე პირადად ჩემის ქონებით ვაგებ პასუხს, თუ რომელიმე მამული უსინიდისოდ იქნება დაფასებული. მაგრამ, მე დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ერთ ამისთანა მამულს ვერავინ დაასახელებს. ბანკის ზარალი აიხსნება იმით, რომ რიგიანი მოვლა და პატრონობა არა აქვთ დარჩენილ მამულებს.

თავ. დ. გ. წულუკიძე (დამფასებელია). ჩვენ გვამტყუნებენ, რომ ბ-ნ თოფურიას მამული ნაკლებად დააფასეთ და ამიტომ გადაიტანა ტფილისის ბანკშიო. განა მარტო თოფურიას მამული გადავიდა ტფილისის ბანკში?! მამულები გადადის ტფილისის ბანკში იმიტომ, რომ იქ ნაკლებ სარგებელს ახდევინებენ, იმიტომ, რომ იქ გრძელ ვადიანი სესხია, იმიტომ, რომ იქ კონვერსია მოახდინეს და მრავალი სხვა გარემოებაა, რომელნიც უადვილებენ მსესხებლებს ვალის გადახდას. განა ტფილისის ბანკის გზა კი ია და ვარდით იყო მოფენილი, იმას კი არ შეხვდა მრავალი დაბრკოლება და მთავრობის სხვა-და-სხვა განკარგულება, რომელიც ასე თუ ისე ხელს უშლიდა ბანკის წინ-მსვლელობას? მაგრამ იქაურის ბანკის მმართველებმა თავისის მხნეობით, გამჭრიახობით და საქმის სიყვარულით ყველა დაბრკოლებანი დასძლიეს და გამარჯვებულნი გამოვიდნენ. აქაურს მმართველობას კი მე ვამჩნევ სულ წინააღმდეგ თვისებას; სრულს უზრუნველობას და უდარდელობას იმ საქმისას, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მათთვის საზოგადოებას მიუნდვია. ამ უსაქმურობის მაგვ-ლითს მოგიყვანთ, საიდანაც ცხადად დაინახავთ, სადამდის მი-დის ამ მოღვაწეების უზრუნველობა: 1891 წელს ბანკის სა-ზოგადო კრებამ დაავალა გამგეობას ეშუამდგომლა სამინისტ-როს წინაშე კონვერსიის მოხდენაზე და წარმოიდგინეთ, ამ გარდაწყვეტილების არსებობა ყველას მივიწყებია. ზედამხედვე-ლის კომიტეტის ერთმა წევრმა მდგომარე წლის 10 აპრილს დააწერა ამ ოქმზე: „წავიკითხე მხოლო 10 აპრილს 1899 წ.“

ს. თ. ნანეიშვილი. ბანკის საქმეებს აწარმოებს ოთხი ორ-განო: გამგეობა, დამფასებელი კომისია, ზედამხედველი კომი-ტეტი და წარმომადგენელთა კრება. თითოეულს ამ ორგანო-თაგანს აქვს თავისი განსაზღვრული სამოქმედო ასპარეზი და უფლებანი. ერთს ორგანოს სრული უფლება აქვს შენიშნოს მეორეს ნაკლულევანებანი და ამხილოს ეს. მე არასოდნს არ მიღალატნია სიმართლისათვის და ეხლაც ვიტყვი ამ სიმართ-ლეს; ამტყუნებენ დამფასებელ კომისიას, ვითომც იგი აგვია-ნებდეს დაფასებას და უსაქმობაში ატარებდეს დროს. ამ საგ-ნის შესახებ არსებობს ჩემის ხელით დაწერილი მოხსენება და ოქმი ზედამხედველის კომიტეტისა, რომელმაც ვერც ერთი, ჩვენ მიერ წარდგენილი საბუთი ვერ დაარღვია. აქ ითქვა გამ-გეობის თავმჯდომარის მიერ, რომ სარგებლის შემცირება და გრძელ-ვადიანი სესხი არ იზიდავს მსესხებლებსაო; აბა დააკვი-რდით ანგარიშს (ჰკითხულობს სტატისტიკურ ცნობებს), სადაც ცხადად სჩანს, რომ როდესაც ჩვენმა ბანკმა გრძელ-ვადიანის სესხის გაცემის უფლება მოიპოვა, მაშინვე შემცირდა, თითქმის მოისპო მამულების გადასვლა ქუთაისის ბანკიდან ტფილისისა-ში. ბანკის მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, ამასთან 19 წლიან სესხმა საკმაოდ იკლო (კითხულობს ცნობებს ანგარი-შიდან).

თავ. ნ. ერისთავი. (გამგ. წევრი). მე არ მითქვამს, რომ არ ყოფილა საზოგადო კრების გარდაწყვეტილება კონვერსიის მოხდენის შესახებ. მე ვთქვი მხოლოდ ის, რომ არა ყოფილა გარდაწყვეტილება უვადო ფურცლების გამოცემისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე და თავ. დ. გ. წულუკიძე ამბობენ, რომ კონვერსიის მოხდენა შეიძლება უვადო ფურცლების გამოუცემლადაც. გამგეობას უნდა მოეყვანა სისრულეში 1891 წლის საზოგადო კრების დადგენილება კონვერსიის შესახებ. მრავალი წარმომადგენელი ითხოვს წაიკითხონ ეს დადგენილება. მდივანი კრებისა დ. ბ. მდივანი კითხულობს 1891 წლის 22 მაისის ოქმს, სადაც სწერია: „შესახებ კონვერსიისა, რომლის მოხდენაზე ლაპარაკი აღძრა თ. კ. მ. ლორთქიფანიძემ, კრებამ გარდასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის წინაშე, რათა ნება მოგვცეს მოვახდინოთ კონვერსია 6% სესხისა 5%-ად იმ წესით და საფუძვლით, რომელნიც დამტკიცებულია ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ 24 აპრილს 1891 წელს; ამას დაემატოს ის წესები, რომელთაც საჭიროდ დაინახავს ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა“.

თ. ნ. ერისთავი (გამგეობის წევრი). კონვერსიის მოსახდენად საჭიროა უვადო ფურცლების გამოცემა, რაიცა ითხოვს წესდების შეცვლას.

ამას კ. ნ. ჩიკვაიძემ დაუმატა, რომ წესდების შეცვლა მოითხოვს, რომ კრებას დასწრებოდა წევრთა კანონიერი რიცხვი, რაიცა არ იყო 1891 წლის კრებაზე. ამიტომაც ამ გარდაწყვეტილებას არავითარი ძალა არა აქვს.

თავ. დ. გ. წულუკიძე (დამფასებელია). რას გვიბრძანებ, ბ-ნო ლ. თ. ლოლუა, ის კრება (1891 წლისა) მართლა უკანონოა, თუ კანონიერი? თქვენ ხომ მაშინ ამ კრების თავმჯდომარედ ბრძანდებოდით?

ლოლუამ აიღო იმ წლის ოქმები, გადაფურცლა და სთქვა: „ოქმებში არ არის აღნიშნული კრების წევრთა რიცხვი, ამიტომ მე არ შემიძლიან ვსთქვა, კანონიერი იყო, თუ არა! მე მოვედი ტფილისიდან ქუთაისს 1891 წლის 22 მაისს საღამოს. მთხოვეს თავმჯდომარეობა საზოგადო კრებაზე თავ. ს. გ. წერეთლის მაგიერ, რომელსაც თავმჯდომარეობისათვის თავი დაენებებინა, ასე რომ, მე არ ვიცი, რა მოხდა მაშინ.

თავ. დ. გ. წულუკიძე. ბატონო, როგორ არ იცით არაფერი, ოქმის შავი თქვენი ხელით არის დაწერილი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ა. ლორთქიფანიძე. როგორც სჩანს, თქვენ კრებას არ დასწრებიხართ, რა ხდებოდა იმ კრებაზე არ იცოდით და, რაც სხვამ გითხრათ, ის დასწერეთ და შემდეგ ხელი მოაწერეთ? ხომ ასეა?

ლ. თ. ლოლუა. დიაღ, ასე იყო.

თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე. არ გახსოვთ, ლუარსაბ თეიმურაზის ძევ, რომ მე გთხოვეთ თქვენ, ოქმი კონვერსიის შესახებ შეგედგინათ დაწვრილებით, საფუძვლიანად, რომ სამინისტროში არავითარი დაბრკოლება არ დახვედროდა კონვერსიის მოხდენას?

ლ. თ. ლოლუა. მახსოვს ეგ თხოვნაც.

თავ. გ. მიქელაძე. ეს რა გვესმის; ეს რა ამბები ყოფილა?! საით მიგყავთ საზოგადოება? მართალს ამბობთ, თუ გვატყუებთ, ჩვენ ვერაფერი ვერ გავიგეთ! ეს სირცხვილი არ არის ბანკის მმართველებისათვის? პატრონობა ასეთი უნდა ჩვენს საზოგადოებას?

თავ. დ. გ. წულუკიძე (დამფასებელია). მე მაკვირვებს ბ-ნ ლოლუას საქციელი, რომ იგი 1891 წლის საზოგადო კრების გარდაწყვეტილებას ბანკის სასარგებლოდ არა ხსნის და არ მარტავს.

ი. ა. დუმბაძე. მე ვითხოვ, მოვსპოთ ბაასი 1891 წლის საზოგადო კრების ოქმზე და კითხვა კონვერსიის მოხდენის შესახებ ჩავთვალოთ გამორკვეულად. და, თუ მიუხედავად ამისა, მაინც ამ საგანზე განაგრძობენ ლაპარაკს, მე იძულებული ვიქნები, სიყალბის შესახებ აღვძრა ლაპარაკი. ამ განცხადებამ საშინელი ხმაურობა ასტეხა გამგეობის მომხრეთა შორის და ითხოვდნენ უეჭველად ოქმში შეეტანათ ბ-ნ დუმბაძის განცხადება.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაური მიმოხილვა

ტფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების კრება.— თ. ილია ჭავჭავაძის ღვაწლი ბანკის საქმეში.—ბ. კალისტრატე ჩიკვაიძის დანაშაული.—ბ.ბ. ლოლუას, თოფურიას და ჯორჯიკიას საქციელი კრებაზე.—იმერეთის სამღვდელოების კრება.—† ი. ბ. სტარიცკი.

ამ დღეებში შესდგა და დასრულდა კიდეც ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების კრება, ტფილისისა და ქუთაისისა, ახალის წესით, წარმომადგენელთა თანადასწრებით.

თუმცა ეს ორი ბანკი ერთს და იმავე ხალხში, ერთს და იმავე დროს მოქმედობს, მაგრამ მათ წეს-რიგობასა, საქმის მსვლელობასა და წარმატებაში მეტად დიდი განსხვავებაა. მაშინ, როდესაც ტფილისის ბანკი მუდამ წარმატებაში მიდის და მის მდგომარეობას არსაიდან შიში არ მოელის, ქუთაისის ბანკი დაუძლურდა და დაქვეითდა უკიდურესს მდგომარეობამდი.

ტფილისის ბანკის სათავეში ეს ოცდა ხუთი წელიწადია დგას თ. ილია ჭავჭავაძე. როცა 25 წლის წინად საზოგადოებამ ამოირჩია იგი ბანკის გამგედ, იმას უკვე დამსახურებული ჰქონდა სახელი არა მარტო ნიჭიერი პოეტისა, არამედ ჭკუიანის და მხნე მოღვაწისა, რომელიც წინამძღვრობდა ყოველ საქმეში და ყოველ საჭიროების დროს. დააარსეს თუ არა ბანკი, მთელმა საზოგადოებამ ხელი თ. ჭავჭავაძესაკენ გააშვირა და სთქვა, რომ ეს არის ბანკის გამგის თანამდებობაზე ზედგამოჭრილიო. მშვიდობით და წყნარად აირჩიეს კიდეც მაშინვე ამ თანამდებობაზე. ამისათვის მას არც მეკენჭეების შოვნა დასჭირებია და არც სადილ-ვახშმების გამართვა. მისმა საქმეებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნამ და ნიჭმა განუმზადა მას ეს ადგილი. მას აქეთ გავლილმა 25 წელიწადმა ცხადად დაამტკიცა, რომ საზოგადოება არ შემცდარა მის ამორჩევაში და რომ ეს ჩვენი ნიჭიერი პოეტი მართლა დაუფასებელი საზოგადო მოღვაწეა. ამიტომაც ორკეცად უნდა ვცემდეთ ჩვენ მას პატივსა.

ხე ნაყოფით იცნობა და კაცი ნაღვაწით. ი. ჭავჭავაძის ნაღვაწი ბანკის საქმეში ეხლა ყველას თვალ წინ აქვს. ტფილისის ბანკს ძირის ფულად ჰქონდა 25 წლის წინად 240,000 მანეთი. დღეს კი ბანკს შემოაქვს ყოველ წლობით წმინდა შემოსავალი 200,000 მანეთზე მეტი. მაგალითად, წელს ჰქონდა წმინდა შემოსავალი 232,000 მანეთი. აქედან მიეცა 62,682 მანეთი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, რომელიც ეხლა არის სრული რვა-კლასიანი გიმნაზია, 10,228 მანეთი ამ სკოლისთვის საკუთარის შენობის ასაგებად, რომელიც, იმედია, დასრულდება ამავე ბანკის შემწეობით. ბევრიც სხვა საზოგადო საჭიროება კმაყოფილდება ტფილისის ბანკის წმინდა შემოსავლიდან. ამავე ბანკის შემწეობით შეიძინა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ არწრუნისეული ქარვასლა ტფილისში და სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოებამ—შენობები შუაგულ ქალაქში და სასოფლო მამული სკრაში. სულ ეს უძრავი ქონება თავად-აზნაურობისა და სკოლის საზოგადოებისა ღირებს ერთ მილიონ ნახევრამდი.

თუ მადლიერმა ბანკის საზოგადოებამ ასეთის მოღვაწეობისათვის თ. ილია ჭავჭავაძეს დაუნიშნა საკუთრად 2,400 მანეთი ზედ-მეტი წლიური ჯამაგირი, რასაკვირველია, ვერავინ იტყვის, რომ ან დაჯილდოვებული ამისი ღირსი არ იყოს, ანდა საზოგადოებას მეტის-მეტი სიუხვე გამოეჩინოს. საქმე ის არის, რომ წყაროც აქვს ტფილისის ბანკს ამ ჯილდოს გასაცემად და ისე არ დაემართება ტფილისის ბანკს, როგორც ქუთაისისას დაემართა: დაუნიშნა პოეტს აკაკი წერეთელს პენსია და ვერ მისცა უფულობის გამო.

რაც შეეხება ქუთაისის ბანკს, ძირის ფული მას ერთი ორად მეტი ჰქონდა ტფილისის ბანკზე. დღეს კი მისი მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობა მეტად სამწუხაროა. მას წელიწადში აქვს წმინდა შემოსავალი მხოლოდ 38,000 მანეთამდე, თუმცა ესეც წმინდა შემოსავლად არ ჩაითვლება, რადგან ბანკს აწევს კისერზე მრავალი დარჩენილი მამული, რომელსაც არავითარი შემოსავალი არ შემოაქვს და ამიტომ ზარალი ბანკისა არ არის გამორიცხული შემოსავლიდან. ესეც რომ გამოირიცხოს, წმინდა შემოსავალი არც წელს და არც მოკლე მომავალში სრულებით არ ექნება.

ბანკს არამც თუ მთელი გიმნაზიის კლასები ვერ გაუხსნია, არამედ იმ ოთხი პროგიმნაზიის კლასებისთვის სენაკის განყოფილებით და სამეურნეო სკოლის შემწეობისთვის რაც ფული არის საჭირო, იმის დასაფარავად არ ჰყოფნის ბანკის შემოსავალი და 8,000 მანეთამდე უნდა ისესხოს ბანკმა მომავალ მოგებიდან. ბანკის კრება იძულებული იყო 1,500 მანეთის შემწეობის უარი ეთქვა თავის სკოლისათვის, რომელიც თხოულობდა ამ ფულს სკოლის დამტვრეულ მოწყობილობის განსაახლებლად.

ვინ არის დამნაშავე ქუთაისის ბანკის ასეთის დაქვეითებისა? როგორც ცხადად და ფაქტების შემწეობით საქმე გამოირკვა წარმომადგენელთა კრებაზე, ამის დამნაშავე არის ბანკის გამგეობა საერთოდ და მისი თავმჯდომარე კალისტრატე ჩიკვაიძე განსაკუთრებით.

დავიწყოთ ჯერ იქიდან, რომ ეს გვამი, როგორც ბანკის მოღვაწე, ცოდვით-შობილია, და თუ ყველგან არ მართლდება ხალხის აზრი, რომ ცოდვით-შობილი ცოდვილი იქნებაო, ამ შემთხვევაში კი, ჩვენდა სამწუხაროდ, ნათლად დამტკიცდა.

გავიხსენოთ, როგორ აირჩიეს, ანუ უკედ ვთქვათ, როგორ აარჩევია საზოგადოებას თავი კ. ჩიკვაიძემ ამ ცხრა წლის წინად. აარჩევია თავი და არა აირჩიეს, ვამბობთ იმიტომ, რომ საზოგადოებამ აირჩიაო, იტყვიან მაშინ, როცა საზოგადოება თვითონ იცნობს ამოსარჩევ კაცს, იცის მისი წინანდელი ნაღვაწი, ნიჭი და ცოდნა და შემდეგ ერთმანერთ შორის თათ-

ბირისა, ცნობიერად აძლევს მას უპირატესობას მეორე ადგილზე ჰეზე.

კ. ჩიკვაიძის ამორჩევის დროს არც ერთი ამ პირობათაგანი არ არსებობდა: მისი საზოგადო სარბილზე საზოგადოების სასარგებლოდ მოღვაწეობა არავის არ უნახავს, მისი ნიჭი და ცოდნა არავის არ გამოუცდია, მისი არჩევა არავის თავში არ მოსვლია. სამაგიეროდ თვით მან განიზრახა თავის თავის ამორჩევინება. მიიწვია ნათესავები, მეგობრები, იმხნევა, შეჰკრიბა „ვექილობები", „აიღო ალღო, როგორც სთქვა გ. წერეთელმა — და მიემხრო ახლად აღორძინებულ კლასს სულით, გულით და ჯიბითაც", მოიწვია თავის ხარჯით მეკენჭეები და შეადგინა პარტია, რომელმაც იგი აირჩია, ვინ იცის რა სიმართლით, რადგან „ვექილობები", რომელსაც სიყალბე შესწამეს, მაშინვე გაჰქრა ბანკის გამგეობიდან და დღესაც აღარ სჩანს.

ასეთს გამარჯვებაში კ. ჩიკვაიძის ორს ღირსებას პოულობენ ზოგიერთები, არა-ჩვეულებრივ მხნეობას და საზოგადოების ალღოს აღებას. ორივე ეს თვისება უეჭველია, მაგრამ მისი ღირსება კი საეჭვოა ჩვენთვის. მხნეობა დიდს ღირსებას შეადგენს კაცისას მხოლოდ მაშინ, როცა იგი მიმართულია კარგს საქმეზე და კარგი ნაყოფიც მოაქვს. ეს პირობა აკლია ჩიკვაიძის მხნეობას.

რაც შეეხება „საზოგადოების ალღოს აღებას", ჩვენ ეს ღირსებად არ მიგვაჩნია. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სიტყვების მთქმელსაც არ მიაჩნდა ეს გარემოება საქებურად, როცა იგი უფრო საღ ჭკუაზე იყო და ცოტა არ იყოს ანგარების გამომჟღავნება რცხვენოდა.

ჩვენის აზრით ყოველი საზოგადოების მოღვაწეს და განსაკუთრებით რომლისამე საზოგადო საქმის სათავეში მდგომის მოვალეობა ის არის, რომ საზოგადოებაში სთესოს დიდებული და ჭეშმარიტი აზრები, ფაქიზი ზნე-ჩვეულება და ჩაუნერგოს ხალხს ის იდეალები, რაც ხალხს აკლია და არა შეითვისოს ხალხისაგან ის ცრუ-მორწმუნეობა, ის ზნე-ჩვეულება და ხასიათი, რომელიც საზიზღარია ყოველი ნამდვილ განათლებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კაცისათვის. ერთის სიტყვით, ჭეშმარიტი მოღვაწე უნდა ეცადოს ხალხი აღამაღლოს თვის სიმაღლემდი აზრებისა და ზნეობის მხრით და არა დაიწიოს განუვითარებელ და დაქვეითებულ ხალხის სიმდაბლემდე.

ვინც ამ აზრისა არ არის, იმასთან ჩვენ არაფერი საერთო არ გვაქს, ჩვენ სხვა-და-სხვა ენაზე მოლაპარაკე ვყოფილვართ და მათთვის დაგვილოცნია გზაც და გამარჯვებაც. მანამდი იარონ ამ გზაზე და იხარონ გამარჯვებით, სანამდი მომავალი მათ თვალს არ აუხელთ და არ შეარცხვენთ.

წრევანდელ კრებაზე კ. ჩიკვაიძეს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ოპოზიციამ. თუ გამარჯვება არ დარჩა ამ ოპოზიციას, ის მაინც უეჭველია, რომ ყოველ გონიერ და კეთილ-სინდისიერ კაცის თვალში მას მიუძღვის ორი დიდი ღვაწლი.

ერთი ისა, რომ იგი კი არ მიემხრო რომელსამე ისეთ კანდიდატს, რომელიც თავის ამოჩემებით კანდიდატად თვითონ დაასახელა თავი და როგორც იტყვიან რუსები, „на свой страхъ и рискъ“ აპიროობდა პარტიის შედგენას, არამედ ამოარჩიეს ისეთი კანდიდატი, რომელიც ღირსი იყო მათის აზრით ამ ადგილისა და ჯეროვანად წაიყვანდა ბანკის საქმეს. თვით კანდიდატმა კი არა სთხოვა პარტიას ამომირჩიეთო, არამედ პარტიამ, საზოგადო საქმის სარგებლობისათვის, სთხოვა თავის კანდიდატს დაგვეთანხმე კენჭის ყრაზეო. ამ ბოლოს დროს ქუთაისის ბანკის საქმეში ეს ახალი ამბავია. მხოლოდ ასეთი კანდიდატურა არის წესიერი და პატიოსანი.

მეორე ღვაწლი ოპოზიციისა ის არის, რომ ნათლად და სავსებით გამოარკვია ბანკის უკიდურესი მდგომარეობა და მისი დაქვეითებული მდგომარეობა ამ ცხრა წლის განმავლობაში, ე. ი. მას აქეთ, რაც კალისტრიტე ჩიკვაიძე გამგებლობს იქ.

აი რა დანაშაულობა მიუძღვის კ. ჩიკვაიძეს ამ ცხრა წლის განმავლობაში, როგორც დამტკიცდა კრებაზე: 1) მას ნაკლებად უვლია ბანკში და უფრო მეტ დროს ანდომებდა თურმე იგი თავის კერძო, სავექილო საქმეებს; 2) დროზე არ ეცადა გძელ ვადიან (36 $^2/_3$ წლიანი) გირავნობის ფურცლების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემას, თუმცა საზოგადო კრებამ ეს დაავალა გამგეობას 1890 წელს. ამის გამო ბევრი ქუთაისის მამული გადავიდა ტფილისის ბანკში და ქუთაისის ბანკმა იზარალა 149,056 მან.*) 3) ჯერ არ მოუხდენია კონვერსია 6% გირავნობის ფურცლებისა 5%-ზე, თუმცა საზოგადო კრებამ ორჯელ დაავალა მას ეს საქმე, 1891 და 1893 წწ. ამით მან აზარალა მსესხებლებს 122,700 მან. **) 4) კ. ჩიკვაიძე თავის ნებით ვისაც უნდოდა, იმას მისცემდა შეღავათს და ვადაზე შემოსატანს ფულს ადროვებდა. მათ შორის მდიდარი მსესხებლებიც ყოფილან. არც თვითონ ჩიკვაიძეს და მის ამხანაგს, გამგეობის წევრს ჯაიანს არ შეჰქონდათ დროზე შესატანი ვალი, მაგრამ მათი მამული

-სასყიდად არ დაუნიშნავთ, თუმცა ამას კანონი მოითხოვდა. 5) წინანდელ მუხლში მოხსენებულ უკანონობას ორ გვარი ზარალი მოუტანია: ერთი რომ მსესხებლებს ბევრი ჯარიმა ხდებოდათ, სულ გადახდენიათ 167,000 მან., ***) და მეორე ისა, რომ მეტად დავალიანებულმა მსესხებლებმა მამული ველარ შეირჩინეს და ბანკს დარჩა მათი მამული. 6) ბანკში დარჩენილ მამულებს გამგეობა არ უვლის და შემოსავალი ბანკს არაფერი არ შემოსდის, რისგან ბანკს ზარალი აქვს 200,000 მანეთისა. 7) გამგეობა არ ასრულებდა კანონიერ გარდაწყვეტილებას არც საზოგადო კრებისა და არც ზედამხედველი კომიტეტისას, რომლისთვის კ. ჩიკვაიძეს მეტად უზრდელი სახელი დაურქმევია: „захребетный органъ правленія“.

სხვა, წვრილმანებს რომ არ გამოვუდგეთ, ვფიქრობთ, რომ ზემორე აღნიშნული დანაშაულიც კმარა იმის დასასკვნელად, რომ ამდენი ზარალის მომტანი, აგრე საქმეზე გულ-აცრუებული, აგრე თავხედი და თავის ნების კაცი ბანკის მმართველობისათვის სრულებით უვარგისია.

---

*) იხ. „მოამბე“ № V, სტ. „რა აზარალა ჩიკვაიძემ ქუთაისის ბანკს და მის მსესხებლებს“.

**) იხ. იგივე სტატია.

***) იხ. იგივე სტატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა პასუხი, რომელიც მისცა კ. ჩიკვაიძემ თავის ბრალმდებლებს და რომელიც თავის-თავად ახასიათებს მას და ამტკიცებს, რა ცოდნის, ჭკუის და ზნეობის პატრონი ყოფილა იგი.

აი, ბატონებო, მისი პასუხები, აგერ-ეგერ გაბნეულნი, ვითარცა ობოლი მარგალიტები: „რა სასაყვედუროა", თუ რამე ვერ გავაკეთეთო, „იქნება მეტი ვერ მოვახერხეთო". კონვერსიის თაობაზე ვერ ვიშუამდგომლეთ, რადგან 1893 წ. საზოგადო კრება არ იყო კანონიერიო. ამის შესახებ კრებაზე კი გამოირკვა, რომ გამგეობას არავითარი მსჯელობა იმ გარდაწყვეტილების უკანონობის შესახებ არა ჰქონია, რომ გამგეობას ამ კრების პროტოკოლი წარუდგენია, როგორც კანონიერის კრებისა, კანონისავე მოთხოვნილებისამებრ, ფინანსთა მინისტრისათვის და გაზეთებში დასაბეჭდად და შემდეგ კი დავიწყებია ამ გადაწყვეტილების არსებობა. მართალია, კანონის წინააღმდეგ შეღავათს ვაძლევდი მსესხებლებს და არ ვთხოვდი ვადაზე შესატან ფულს და სხვებთან ერთად არც მე შევიტანე, მაგრამ ჩემის მხრით მე კარგს საქმეს ჩავდიოდიო. ბანკში დარჩენილ მამულებიდან მართლა არაფერი არ შემოდისო, მაგრამ აგრეა სხვა ბანკებშიაცო. მართალია, ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებას არ ვეთანხმებიო, მაგრამ ხან და ხან მე ჩემს თავსაც არ ვეთანხმებიო (самъ съ собою не солиденъ). კომიტეტს, რასაკვირველია, ჩემზე ძალა არა აქვსო, „აბა მუშტიკრივს ხომ ვერ გამიმართავსო". თუ ასეთი ჩემი საქციელი კრებას არ მოსწონსო, კრება არ ამირჩევსო. მართალია, მთელს ჩემს დროს არ ვანდომებდი ბანკის საქმეებს, სავექილო საქმეებზედაც დავდიოდი და ჩემის ფიქრით ბანკის საქმესაც კი ვაკეთებდი და თუ კრება არ მოიწონებს ჩემს მოქმედებას, კრება არ ამომირჩევსო.

ძალლი, როგორც იტყვიან, ამ უკანასკნელ სიტყვებში მარხია. ამით კი ჩიკვაიძემ სთქვა: თქვენ რაც გინდათ, იმაში გამამტყუნეთ, რაც გინდათ, ის დამიმტკიცეთ, მე კი კენჭები მომზადებული მაქვს და არჩეული ვიქნები და გარეშე ამისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც პატივი, არც თავმოყვარეობა, არც სირცხვილი ჩემთვის არ არსებობსო!! ეს კიდევ არაფერი! როცა კ. ჩიკვაიძეს გაზეთებშიც დაუწერეს და კრებაზეც უთხრეს, რომ შენ არჩევნების დროს ქრთამს იძლევიო, იმან ყურიც არ ათხოვა ასეთ ბრალდებას, თითქო აქ არაფერია საწყენი და სამარცხვინოო.

შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ თუმცა გამგეობას დიდი პარტია ჰყავდა და მის შორის განათლებულებიც ერევნენ, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია ოპოზიციის არსებითად საპასუხოდ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მ. ფალავას, რომელმაც ორიოდეჯერ მხოლოდ გაიმეორა კ. ჩიკვაიძის მოსაზრება,

უეჭველია, რომ გამგეობის პარტიის ბურჯი იყო ამ კრებაზე ქუთაისის ქალაქის თავი ლ. ლოლუა, რომელსაც საზოგადოდ უყვარს „რეჩები“ და რომელიც გამოცდილი და შნოიანი მოლაპარაკეა, მაგრამ არსებითი პასუხი არც ერთის მუხლის შესახებ არც მას მიუცია ოპოზიციისათვის. ცხადია, რომ ბ-ნი ლოლუა და ყველა მომხრეები კ. ჩიკვაიძისა გრძნობდნენ ოპოზიციის ბრალდების სიმართლეს.

თუ საქმის გამორკვევით და საცილო საგნების აღსნით ვერ ჰპოვა ბ-ნმა ლოლუამ შესაძლოდ კ. ჩიკვაიძის გამოსარჩლება, სამაგიეროდ საქმის გადაფუჩეჩებით, სიმართლის დამალვით და ფაქტების დამახინჯებით კი მხარი მისცა კ. ჩიკვაიძეს. ამაებში ბ-ნმა ლოლუამ ძლიერ დახელოვნებულად გამოიჩინა თავი და მასთანავე ცხადად დაამტკიცა, რამდენად მოკლებული ყოფილა იგი საზოგადოებრივ ინსტიქტსა, სიმართლის გრძნობას, და მაგიერში რა უზომო თვითნებობის კაცი ყოფილა.

ბ-ნ ლოლუას ასეთის დახასიათების მასალას და საბუთს გვაძლევს მისი საქციელი მხოლოდ იმ კრებაზე, რომელზედაც ეხლა ვამბობთ და რომელიც აღწერილია ანგარიშში. *) საჭირო არ არის ამისათვის შევეხოთ ბ. ლოლუას წინანდელ მოქმედებას საზოგადო ასპარეზზე.

აი რაში გამოიჩინა ბ-ნმა ლოლუამ ის ხასიათი, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ. როცა ბ-ნმა ნანეიშვილმა გამოუ-

---

*) იხ. ეს ანგარიში ამ №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადა კრებას, რომ ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკში არ მუშაობდა და თავისს კერძო, სავექილო საქმეებს უნდებოდაო და ამის მოწმედ თვით გამგეობის დირექტორი, თ. ნ. ერისთავი, ბ-ნი ჩიკვაიძის მომხრე, მოიყვანა, რომელმაც თავის მხრით განაცხადა, რომ ამ საგანზე მე ყოველთვის მართალს ვიტყვი, მაგრამ ეხლა ამის დრო არ არისო (ცხადია, რომ მართალი ყოფილა ბ. ნანეიშვილის განცხადება, თორემ ტყუილი რომ ყოფილიყო, რატომ დრო არ იყო ბ. ჩიკვაიძე გაემართლებინა ბ-ნ ერისთავს?). ბ-ნმა ლოლუამ ეს იწყინა და ბ-ნ ნანეიშვილს ზნეობის სიფაქიზე დაუწუნა. საინტერესო სურათი იქნებოდა კრებაში: ბ-ნი ლოლუა ზნეობას უწუნებს ბ-ნ ნანეიშვილს, რომლის შეურყეველს პატიოსნებას დიდი ხანია იცნობს მთელი შეგნებული და განათლებული საზოგადოება როგორც ქუთაისის, ისე ტფილისისა! ბ-ნმა ლოლუამ უპასუხა ბ-ნ ნანეიშვილს, რომ თქვენ ამას არ უნდა ამჟღავნებდეთ აქ, კრებაში, რადგან თქვენ გამგეობის ერთი მოხელეთაგანი ხართ, ჩვენთან უნდა იყოთ და გამგეობის ინტერესებს უნდა იცავდეთ კრების წინაშეო.—შეუძლებელია კაცმა მოათავსოს ამ ცოტა სიტყვაში ამდენი უსაფუძვლო, შემცდარი და ცრუ აზრი.

ჯერ ერთი, რომ ბ-ნი ნანეიშვილი ლაპარაკობდა კრებაზე არა ვითარცა მოხელე ბანკისა, არამედ ერთი წარმომადგენელთაგანი ბანკის საზოგადოებისა და მისი მოვალეობა იყო გამოერკვია კრების წინაშე მხოლოდ ჭეშმარიტება, მთელი ჭეშმარიტება და არაფერი გარდა ჭეშმარიტებისა. მეორე: ორს მოხელეს ბანკისას შეიძლება მოვთხოვოთ ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთმანერთის აზრი დაიცვან კრების წინაშე, რომლისამე პრინციპიალურ საქმის შესახებ, ისიც იმ შემთხვევაში, როცა ორივე მოხელე თანამოზიარე არიან ერთისა და იმავე აზრისა და ამ აზრისამებრ მოქმედობენ.

სულ სხვა მდგომარეობაა, როცა საქმე პრინციპს კი არ შეეხება, არამედ ბოროტ-მოქმედებას. ამ შემთხვევაში რომ ერთ მოხელეს უთხრათ, შენი ბოროტ-მომქმედი ამხანაგი დაიცევი და მისს სიბოროტეს ნუ გაამჟღავნებო, ეს იგივე იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უთხრათ: შენც ბოროტ-მოქმედი იყავი და საზოგადო საქმეს უღალატეო. მართალია, ბ-ნმა ნანეიშვილმა დიდი ბრალი დასდო ბ-ნ ჩიკვაიძეს, დიდ ბოროტებაში ამტყუნებდა. ცხრა წელიწადს იყო ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკის გამგედ. თუ ამ ცხრა წელიწადს ბანკში არ საქმობდა, კერძო, სავექილო საქმეებს უნდებოდა, მაშ ფული ტყუილად უღია ბანკიდან! დრო მოუპარავს საზოგადოებისათვის და ამ დროსათვის დანიშნული ფული ტყუილად მიუთვისებია. თუმცა ეს ისეთივე ბოროტ-მოქმედებად არ ჩაითვლება, რომ კასიდან ჩუმად ფული აიღოს კაცმა და ჩაჯიბოს, მაგრამ მაინც ბოროტ-მოქმედებაა.

ბ. ლოლუას მოვალეობა იყო წინააღდგომოდა ბ-ნ ნანეიშვილს, ეკიჟინა მისთვის ზნეობა, მართებულობა და სინდისი, უკეთუ ბ. ლოლუა დარწმუნებული იყო, რომ ეს ბრალდება ტყუილი იყო. ამ შემთხვევაში დიაღაც უნდა გამოსარჩლებოდა ბ. ჩიკვაიძეს და აეცილებინა მისთვის უმართლო ცილის წამება. უკეთუ ბრალდების სიცრუეში და ბ. ჩიკვაიძის სიმართლეში აღარ იყო ბ-ნილოლუა დარწმუნებული,—და რომ არ იყო, ამას გვიმტკიცებს, რომ მან არაფერი არა სთქვა თვით ბრალდების წინააღმდეგ,—მაშინ არ უნდა ეკადრა თავის-თავისთვის და კრების პატიოსნებისთვის იმის თქმა, რომ ბოროტ-მოქმედება საზოგადოების წინააღმდეგ, საზოგადოების ინტერესებისთვის მავნებელი, უნდა დაფაროთო. ამას იტყვის მხოლოდ კაცი, რომელსაც არ უღვივის გულში ნატამალიც საზოგადო საქმის ერთგულებისა და რომელიც მოკლებულია, როგორც ზემოდ ვთქვით, საზოგადოებრივს ინსტიქტსა.

მესამე: რა არის ფრაზა „გამგეობის ინტერესებს უნდა იცავდესო“? განა გამგეობას აქვს რაიმე ინტერესი, რომელიც არ ეთანხმება კრების ინტერესს და გარეშეა საზოგადო საქმისა?! ამას იტყვის მხოლოდ ისეთი კაცი, რომელიც ემსახურება ყოველგან და ყოველთვის პირად ინტერესებს და არა საზოგადო საქმეს. დიაღ, ბ. ლოლუა, თქვენისავე სიტყვით უნდა მოგმართოთ თქვენ: „ზნეობის სიფაქიზის დაცვა ყოველგან და ყოველთვის უნდა იყოს. ჩვენ წინაპრებს, მართალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ, მაგრამ ზნეობით ფაქიზნი იყვნენ"! ან რად მივდივართ ასე შორს, წინაპრებთან: თქვენს კრებაზედ ბევრი იყო, თვით თქვენივე მოძმეთა შორის, რომელთაც უნივერსიტეტი არ გაუთავებიათ, მაგრამ არც ერთს მათგანს არ უთქვამს, რომ საზოგადოების წარმომადგენელმა კ. ჩიკვაიძის ბოროტება უნდა დამალოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბ. ჩიკვაიძის ხელ-ქვეით მსახურებდაო.

ეხლა ვნახოთ რამდენად გამოიჩინა ბ. ლოლუამ კრებაზე სიმართლის სიყვარული. როცა გამგეობამ თავის გასამართლებლად დაიწყო დამტკიცება, რომ 1891 წლის ბანკის კრება უკანონო იყო წევრთა რიცხვის ნაკლებობის გამოო, კრებამ ბ-ნ ლოლუას ჰკითხა, როგორც მაშინდელ კრების თავმჯდომარეს, თქვენის აზრით კანონიერი იყო, თუ არა ის კრებაო? ლოლუამ პროტოკოლი გადაფურცლა და უპასუხა კრებას, რომ, რადგან პროტოკოლში არ არის ნაჩვენები წევრთა რიცხვი, მე არ შემიძლია ვთქვა, კანონიერი იყო ის კრება, თუ არაო.—აკი პროტოკოლის შავი თქვენის ხელით არის დაწერილიო, გაახსენა ერთმა წევრმა. მე მხოლოდ ბოლოს თავმჯდომარეობდიო, უპასუხა ბ-ნმა ლოლუამ, და არ ვიცი კრება როგორ შესდგაო. „მე კრებას არ დავსწრებივარო, რა ხდებოდა იმ კრებაზე არ ვიცოდი და რაც სხვამ მითხრა ის დავწერე და იმას მოვაწერე ხელიო".(!!) შემდეგ ისიც გაახსენეს ბ. ლოლუას და გაიხსენა კიდეც, რომ მაშინ ბ. ლოლუას სთხოვეს „კონვერსიის შესახებ ოქმი დაწერილებით, საფუძვლიანად შეედგინა, რათა სამინისტროში არავითარი დაბრკოლება არ დახვედროდა კონვერსიის მოხდენას".

ცხადია, რომ აქ სიმართლეს კუდი უჩანდა და თავს კი უმალავდა ბ. ლოლუა, რის გამო მხცოვანმა წევრმა თავ. გიორგი მიქელაძემ მიჰმართა ბ. ლოლუას ამ სიტყვებით: „მართალს ამბობთ, თუ გვატყუებთ, ჩვენ ვერაფერი გავიგეთ! ეს სირცხვილი არ არის ბანკის მმართველობისათვისო?".

კიდევ ერთი მაგალითი ბ-ნ ლოლუას სამართლიანობისა: როცა კრების თავმჯდომარეს ირჩევდნენ, ზოგიერთები თხოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობდნენ, რომ კენჭის ყრა დახურული არ ყოფილიყო. ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა ბ-ნმა ლოლუამ. მაშინ ლოლუას შენიშნეს, რომ თქვენ არ შეგშვენით ასეთი პროტესტი, რადგან თქვენ იყავით, რომ განმარტეთ ქალაქის არჩევნების დროს, როცა თქვენი კანდიდატურა წამოყენებული იყო, და თქვენ თავმჯდომარეობდით, რომ კანონი არ უკრძალავს არავის ახდილად კენჭი ჩააგდოსო და კიდეც ჩაგდებინეთ ახდილად კენჭი მაღრაძეს თქვენს ყუთში, რომელსაც თქვენვე უდექითო.

მაშ რა არის ასეთი განმარტება, თუ არა თვით-ნებობა, თუ არა უტიფრობა? რას ნიშნავს ეს საქციელი, თუ არა იმის თქმას, რომ როცა მიჯობს კანონს ასე დავატრიალებო, და როცა მიჯობს ისეო?!

როგორც სჩანს კრების ანგარიშიდან მართებულობა ჩვეულებად არ ყოფილა მიღებული გამგეობის მომხრეთა შორის. ამ მხრით ღირსია აღნიშვნისა საქციელი ორის წევრისა, ს. თოფურიასი და ს. ჯორჯიკიასი. ორთავე შეუძლიანთ კალისტრატისებურად სთქვან—„ჩვენც გვისწავლია უნივერსიტეტშიო", მაგრამ ორთავე მოქცეულან ისე, რომ უსწავლელსაც არ ეკადრებოდა.

ბ-ნი თოფურია სრულებით კრებაზე არ დასწრებია, მას კრების არა მოუსმენია-რა და კრებას მისი არაფერი გაუგონია, საქმის გაგება, აზრთა გამორკვევა მას საჭიროდაც არ მიუჩნევია. მის სავალდებულოდ მხოლოდ ის მიუჩნევია, რომ გაჭირების დროს დახმარებოდა გამგეობას. მართლაც, რადგან გამგეობას გასჭირვებია, უწესოების საშუალებით კრება გადაუდვიათ გამგეობის მომხრეთ მეორე დილისთვის და ამ დილისათვის ბ-ნი თოფურიაც, რომელიც კრების დროს ტფილისში ყოფილიყო, სხვებთან ერთად ქუთაისში გაჩენილა!...

ბ-ნ ჯორჯიკიას საქციელი კი კიდევ უკეთესია: როცა გამგეობამ კენჭის ყრისათვის დამზადებული ყუთები თავსმჯდომარეს ჩუმად ხელიდან გამოაცალა და მაგიერი, საგანგებოდ გაკეთებული, მოუტანა, თასვმჯდომარემ უარჰყო ეს ყუთები, რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან დაკეტილი იყო და მისი მოწყობილობა მან არ იცოდა. მაშინ ბ-ი ჯორჯიკია, „რომელიც მთელი კვირა, ამბობს კრების ანგარიში, პირდამუწულ პატარძალსავით იჯდა და ხმა არ ამოუღია, გაიმართა წელში, მარჯვენა მუშტით სტოლზე დააბრახუნა და მარცხენა ხელი ჰკრა ყუთს და თავსმჯდომარისაკენ გააგორა: „რითაა ეს ყუთები გლახა?“ შეჰყვირა მან ხმამაღლა“.

ამ ამბავმა დიდი არეულობა გამოიწვია და კრება გადაიდვა შემდეგის დღისათვის. „კალისტრატეს მომხრეებსაც ეს უნდოდაო,—დასძენს ანგარიში.

ბ-ნი ჯორჯიკია, რომელიც ეგრე უპატიურად, უშვერად და „უზრდელად“ მოეპყრო თავსმჯდომარეს, არის ყმაწვილების „აღმზრდელი“, მას აქვს კერძო სკოლა და კრებას სთხოვა, რომ ჩემი სკოლა პროგიმნაზიად მინდა გადავაკეთოო, შემწეობა აღმომიჩინეთ და 18,000 მანეთი მიმეცითო.

ეს თხოვნაც კარგად ახასიათებს მთხოვნელს. ჯერ ერთი ეს: კიდეც რომ ყოფილიყო ბანკში ფული ასეთის უხვის შემწეობისათვის, ჰქონდა თუ არა უფლება ბ-ნს ჯორჯიკიას ამ შემწეობის თხოვნისა? მომავალი იმედები აძლევდა მას ამის უფლებას, თუ წარსული ღვაწლი? ეს წარსული ღვაწლი მდგომარეობს იმაში, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ დროებით ჩააბარა მას ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა, სადაც თავის უტაქტობით არივ-დარია საქმე. ამის გამო საზოგადოებამ სთხოვა მას თავი დაენებებია დროებით სკოლის გამგებლობისათვის. მან შეუთვალა საზოგადოებას მაკ-მაჰონისებურად „აქ ვარ და აქ უნდა დავრჩეო“ (j'y suis et j'y reste), მაგრამ საზოგადოებამაც გამბეტასებურად უპასუხა: „რადგან არ დაგვემორჩილეთ, უნდა გადადგეთო“ (il faut se soumettre, ou se démettre), სკოლას იგი მოაშორა და მას აქეთ სკოლაში მშვიდობა ჩამოვარდა.

ესეც რომ არ ყოფილიყო, რა წყაროდან უნდა მიეღო ეს ფული ბ. ჯორჯიკიას? ბ. ჯორჯიკია რომ გარეშე პირი ყოფილიყო, რომელმაც არ იცოდა ბანკის მდგომარეობა, კიდევ სხვაა. მაგრამ იგი ზედამხედველი კომიტეტის წევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან კარგად იცოდა ბანკის გაჭირვებული მდგომარეობა, იგი ცხადად ხედვიდა, რომ ბანკმა თავის სკოლას 1,500 მანეთი ვერ მისცა საკლასო მოწყობილობის შესაძენად, რომ უფულობის გამო ამ სკოლას ბევრი რამ აკლია. ოღონდაც იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ იფიქრა, „ძალა აღმართს ხნავსო“, სადაც ასეთი მომხრეები მყავს, როგორებიც ბ.ბ. ლოლუა, ფაღავა, თოფურია და „ძმა-ბიჭი“ კალისტრატე არიან, იქ შეუძლებელსაც შევიძლებთო. მისდა სამწუხაროდ, იმედი გაუცრუვდა და ისიც იყო ჯავრიან გულზე უზრდელობა ჩაიდინა და უწესოება გამოიწვია.

დარწმუნებული ვართ, რომ თუ მკითხველი ასწონ-დასწონის ყოველსავე გარემოებას, რაც მოხდა ქუთაისის ბანკის კრებაზე, გაითვალისწინებს ოპოზიციის საფუძვლიან კრიტიკას, ხმის ამოუღებლობას გამგეობის მოსარჩლეთა მხრით ამ კრიტიკის წინააღმდეგ, ზნეობითს ხასიათს, რომელიც გამოიჩინეს გამგეობის უფრო განათლებულმა მომხრეებმა და დასასრულ ის, რომ გამგეობამ მხოლოდ ოთხის ხმით სძლია ოპოზიციას და ეს ოთხის ხმით ძლევა-მოსილობა მოიპოვა მან ორის ცხადის უწესოებით, რომლითაც გამგეობამ წლევანდელი არჩევნები დაიწყო და დაასრულა კიდეც: მსესხებელთა სიების გამოუცხადებლობა კანონისამებრ წარმომადგენელთა არჩევნების წინ, რათა მარტო გამგეობას შესძლებოდა თავის სურვილისამებრ ამოერჩია წარმომადგენლები, და ბოლოს, გამგეობის წევრთა ამორჩევის დღეს, კენჭის ყრის ძალდაძალ გადადება, რათა მეორე დილისათვის შეეძინათ ის კენჭები, რომელიც აკლდათ,— თუ ყოველსავე ამას მკითხველი გაითვალისწინებს-მეთქი, ვამბობთ ჩვენ, დარწმუნდება, რომ გამგეობა ზნეობით მაინც დამარცხებულია, თუმცა ისიც უეჭველია, რომ ამით გამგეობას არც დასცხება და არც შესცივა.

—

იმ დროს, როცა ქუთაისის ბანკის კრებაზე ასეთი ხმაურობა და აყალ-მაყალი იყო, ქუთაისშივე მომხდარა საზოგადოებისათვის თითქმის შეუჩნეველად, წყნარად და მშვიდობიანად მეორე კრება—იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებო კრება. ამ კრებაზე სამღვდელოებას ორი თვალ-საჩინო საქმე გადაუწყვეტია: 1) იმერეთის სამ-კლასიანი გაბრიელის სახელობის საეპარქიო ქალების სასწავლებელი გარდაქმნილ იქმნას ექვს-კლასიანად და 2) რადგან სანთლის ვაჭრობის საქმეში უწეს-რიგობა აღმოჩენილა, ჩამოერთვას ეს საქმე დეკანოზს დ. ღამბაშიძეს და გადაეცეს იგი ახლად ამორჩეულ კომიტეტს.

სჩანს, რომ იმერეთის საღმვდელოება უფრო ერთგულად ეკიდება საზოგადო საქმეს, რომლის განკარგებისა და სარგებლობისათვის პირადი სიმპატიით არ ხელმძღვანელობს. თუმცა, საზოგადოდ, ჩვენს სამღვდელოებას, გაუნათლებლობის გამო, ბევრი აკლია იმისთვის, რომ თავისი მოვალეობა სავსებით შეასრულოს და ხალხს ნამდვილი სულიერი ხელმძღვანელობა გაუწიოს, მაგრამ ეს კია, რომ იგი მშრომელ ელემენტს შეადგენს ჩვენის ერისას, არ ზოგავს საშუალებას შვილების აღზრდისათვის და სამშობლოს ბლომად უმზადებს განათლებულ შვილებს.

—

ამ დღეებში გარდაიცვალა ქ. პოლტავაში იაგორ პავლეს ძე სტარიცკი, რომლის სახელი პატივით უნდა მოიხსენოს ჩვენმა საზოგადოებამ. განსვენებული იყო პირველი უფროსი თავმჯდომარე ტფილისის სამოსამართლო პალატისა და თანამოღვაწე კავკასიის ნამესტნიკის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა. სტარიცკის დიდი ღვაწლი უდევს იმ რეფორმებში, რომელიც შემოიტანა კავკასიაში დიდმა მთავარმა. სტარიცკის თანამშრომლობით შემოღებულ იქმნა საჯარო მართლ-მსაჯულება სამიჯნო საქმეებში 1863 წელს, ესე იგი მაშინ, როდესაც ჯერ რუსეთშიაც არ იყო ასეთი წარმოება მართლ-მსაჯულებისა. შემდეგ კი, როცა რუსეთში შემოიღეს ახალი წარმოება მართლ-მსაჯულებისა 1864 წელს, დამტკიცებულის წესდების ძალით, კავკასიაშიაც ჩქარა (1868 წ.) შემოიღეს ეს წესდება, თუმცა, სამწუხაროდ მთლად არა; მაგალითად: ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი არ იყო შემოღებული. ამ წესდე-

ბის შემოღებაში უდიდესი წილი ეკუთვნოდა განსვენებულ სტარიცკის.

იმ დროებში ადგილობრივი მთავრობა მოწადინებული იყო, რაც შეიძლება მალე, გაევრცელებინა კავკასიაშიაც ის რეფორმები, რომელიც შემოღებული იქნებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებში. მაშინ არ აბრკოლებდა, როგორც შემდეგში, ყოველს რეფორმას ის მოსაზრება, რომ ადგილობრივი საზოგადოება არ არის მომზადებულიო იმ დაწესებულებისათვის რომელიც შიდა გუბერნიაში შეუტანიათ და ხალხს კიდეც შეუთვისებია.

მეორე დიდი ცვლილება, რომელიც იყო ჩვენში შემოღებული დიდის მთავრის დროს, არის ქალაქის თვით-მმართველობა. ამის დებულება პირველად შემოიღეს 1874 წ. ტფილისის ქალაქში და შემდეგ სხვა ქალაქებშიაც.

მას აქეთ ეს დებულება სწარმოებდა ჩვენში ისე, როგორც რუსეთში. როცა 1892 წ. იგი შესცვალეს რუსეთში, მაშინ ჩვენშიაც სრულებით იგივე ცვლილება შემოიღეს.

ამ ჟამად კი სრულებით განსაკუთრებული კანონი გამოვიდა კავკასიისათვის: 15 მაისს ამა წლისას უმაღლესად დამტკიცდა დროებითი კანონი, რომლის ძალითაც გუბერნიის ქალაქებში ხმოსნებისა და ქალაქის გამგეობის მოხელეთა სამსახურიდან გადაყენების უფლება მიენიჭა მთავარმართებელს. სამაზრო ქალაქებში და დაბებში იგივე უფლება მიენიჭათ გუბერნატორებს.

ამ კანონების გამოცემამდი კავკასიის მთავარ-მართებელმა, როგორც მკითხველებმა იციან, გადააყენა ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრნი ივანენკო და ვერმიშევი. მათ შეიტანეს ამის შესახებ სენატში საჩივარი, მაგრამ სენატს უყურადღებოდ დაუტოვებია ეს უკანასკნელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

1

О народномъ врачеваніи въ Закавказскомъ краѣ, д—ра И. И. Пантюхова. 1899 г.

დოქტორი ი. ი. პანტიუხოვი ცნობილია, როგორც ანტროპოლოგი, მაგრამ თავის შრომებში ის შეეხება მრავალ-გვარ კითხვებს. ეს მრავალ-მხრივობა შრომისა ჩვენს დროში იშვიათი კუთვნილებაა მეცნიერისა. ზემოხსენებულ წიგნში ავტორი განიხილავს ექიმობას კავკასიაში. დოქტორი ი. ი. პანტიუხოვი საფუძვლიანად ამტკიცებს ხალხური ექიმობის უფლებას ჯერ მისთვის, რომ მასზედ აშენებულია თანამედროვე სამეცნიერო მედიცინა; მეორე მისთვის, რომ შინაურ ექიმებს თუ ესენი ნამდვილი ხალხის შვილნი არიან და შთამომავლობით ეტანებიან ექიმობას, მართლა გულწრფელი სურვილი აქვთ დაეხმარონ ავადმყოფს. მათ კარგად იციან ხალხის ზნე-ჩვეულება, მატერიალური მდგომარეობა და ამგვარი ცოდნის ნიადაგზე შესაძლოა ზნეობრივი და ფსიხიკური გავლენა შინაური ექიმებისა და ეხლა ხომ თვით სამეცნიერო საექიმო ლიტერატურაშიაც აღიარებულია. მართლაც, ვინც კარგად ჩაჰკვირვებია ჩვენს ცხოვრებას, დარწმუნებული იქნება, რომ ხალხური ექიმობა არც ისე გვერდ შესავლელია, როგორც ჰფიქრობენ ზოგიერთი სწავლული ექიმებიც. მართალია, აქაც დიდია ბოროტ-მოქმედება, შარლატნობა, რასაც ცოტა ალაგი არ უკავია სამეცნიერო მედიცინაშიაც. რომელი გონიერი ექიმი იტყვის გულ-წრფელად, რომ მოქმედობს ყოველ შემთხვევაში ნამდვილ სამეცნიერო საექიმო ნიადაგზე, იკვლევს ავადმყოფობას და არა ებრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვის მხოლოდ თვით ავადმყოფობის სიმპტომებს. ყველამ იცის გამოცდილებით, რომ მრავალ შემთხვევაში ექიმი მოქმედობს უსაფუძვლო მოსაზრებით და არა მეცნიერულად. შინაური ექიმები, რაღა თქმა უნდა, უფრო ბრმად მოქმედობენ, თუ ისინი ეტანებიან ყოველგვარ ავადმყოფობის მორჩენას, მაგრამ ისინი, ვისაც ზოგი ავადმყოფობა (შთამომავლობით) აურჩევია სპეციალურ საგნად, ხშირად მართლაც იჩენენ ცოდნას და შველიან კიდეც ავადმყოფს. მაგალითად: არჩენენ ჭრილობას, გატეხილს ძვალს, დამწვარს და ბევრს სხვა გვარ ავადმყოფობას. ამნაირად სოფლის ექიმებს მართლა სარგებლობა მოაქვთ ზოგ შემთხვევაში ხალხისათვის, და მათ მიერ ზოგიერთ შემთხვევაში ხმარებულ საშუალების გაცნობა და შესწავლა საჭიროებას შეადგენს ნასწავლი ექიმებისათვის, რადგან ზოგი საშუალება მართლა ძლიერ საყურადღებოა. მაგრამ ამ მხრით ძლიერ ცოტა ნაბიჯი გადაუდგამთ ჩვენს ექიმებს. ჯერ თუ რამე გაუკეთებიათ მათ, მხოლოდ შეუკრეფიათ ის წამლები, რომლებიც არიან ხმარებაში. მაგრამ ჯერჯერობით არ არის ნაცადი, რომელი საშუალება, რომელ ავადმყოფობას შველის. თუმცა შინაური ექიმები ადვილად არ გააცნობენ კაცს იმ წამლის შედგენილებას, რომელსაც ხმაროობენ ამა თუ იმ ავადმყოფობის მოსარჩენად, მაგრამ მაინც შესაძლოა ხშირად გაიგოს ყოველი ეს სწავლულმა ექიმმა, თუ მოინდომებს სოფლის ექიმებთან გულწრფელად დაახლოვებას. მაგრამ სწავლული ექიმები, გატაცებულნი თავისის მეცნიერებით ეჭვის თვალით უყურებენ ყოველ სოფლიურ საშუალებას; გარდა ამისა, აქამდის სწავლული ექიმი იშვიათი სტუმარი იყო სოფლისა და ხალხური ექიმობა ხომ უფრო სოფელში ბუდობს და სოფელშია მხოლოდ ის ადვილად შესასწავლელი. სწავლული ექიმი ძლიერ გატაცებულია ბევრ ნაირად იხმაროს უკვე ცნობილი სამეცნიერო ექიმობაში საშუალება. ხშირად ჰკითხულობთ სამეცნიერო საექიმო გაზეთებში, რომ ამა და ამ ექიმმა ესა და ეს საშუალება იხმარა რომელიმე ავადმყოფის მოსარჩენად და საკვირველი შედეგი დაინახა. სცდის ამ საშუალებას და დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდებით, რომ გატაცებული ექიმი სცდება და თან სევდიანი ეჭვიც გებადებათ: თავის განდიდების სურვილით მთვრალნი ხომ არ არიან ეს ექიმები. მაშინ, როდესაც ხალხური საშუალების ცდა ბევრჯერ და ბევრს შემთხვევაში, ხანდისხან მაინც, მიიყვანდა სასურველს დასკვნამდის ექიმს. დღემდე ექიმები მხოლოდ ჩამოსთვლიდნენ ხალხურ საშუალებებს და როგორ ავადმყოფობას არჩენდნენ ეს საშუალებანი, ამაზე ცოტას ამბობდნენ. ახლო მომავალში ხალხური ექიმობის შესწავლა იქნება, უნდა იყვეს მაინც, პირდაპირი მიზანი იმ ექიმობისა, რომლებიც სოფლად წავლენ. ამ მოკლე მომავალში სოფლად წასული ექიმების რიცხვი არა ნაკლები იქნება თვით ქალაქში მცხოვრებ ექიმებზე, რადგან ეხლა დიდი ყურადღებაა მიქცეული, რათა სოფლებში გარმავლდნენ სასოფლო ქსენონები. მაშინ ექიმები უფრო მიაქცევენ ყურადღებას ხალხურ ექიმობას და არამც თუ დევნას დაუწყებენ ხალხურ ექიმებს, დაიახლოვებენ კიდევაც და მრავალჯერ სცდიან მათ საექიმო საშუალებას. მარტო ამ მხრითაც აქვს ხალხურ ექიმობას არსებობის უფლება, მით უფრო, რომ, როგორც ბრძანებს სამართლიანად დოკტორი ი. ი. პანტიუხოვი, ეს არსებობის უფლება მოუპოვებია დღეს გომეოპატიას, წყლით ექიმობას კნეიპისას, კუზმიჩის ბალახს და სხვ. და ხალხური ექიმობა ხომ თვით ხალხის ცხოვრების მრავალმხრივი დაკვირვების წარმონაშობია.

II

Вліяніе маляріи на колонизацію Кавказа, д—ра И. И. Пантюхова. 1899 г.

მეორე წიგნი ი. ი. პანტიუხოვისა შეეხება სულ სხვა გვარ კითხვას: ციების (მალიარიის) გავლენას კავკასიის დასახლებაზე. ავტორი განიხილავს სხვა-და-სხვა კუთხეს კავკასიისას ჰიგიენის მხრით. მისი აზრით, კავკასიის მკვიდრის ეროვნული ფიზიონომიის დაცვის უმთავრეს მიზეზად უნდა ყოფილიყო ციება, რომელიც მუსრს ავლებდა შემოსულ მტერს, და ეს უკანასკნელი ამის გამო იძულებული იყო ან უკან დაბრუნებულიყო, ან-და შეერთებულიყო მკვიდრთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ულმობელ ციებას აღნიშნავენ გიპპოკრატესგან დაწყებული. ამისათვის, ავტორის აზრით, კავკასიის დასახლების კითხვასთან შეკავშირებული უნდა იყვეს თვით ციების საწინააღმდეგო ზომებიც. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ გადასახლებას, როდესაც არის ის გამოუწვეველი ბუნებრივი მიზეზების გამო და არა ძალდატანებულია, უნდა ჰქონდეს ერთი ძირითადი პირობა. ახალი სამშობლო ალაგი ძლიერ უნდა ჰგავდეს ძველს ჰავის თვისებით, მიწის ნიადაგის ვითარებით, თვით ადგილის გეოგრაფიული მდგომარეობით. ეს არის მიზეზი, რომ გადმოსახლებულებში აქამდის უფრო მოიოდგეს ფეხი ციებიან ალაგებშიაც სომხებმა, ბერძნებმა და რუსებმა კი შედარებით ბევრად ნაკლებად. ამ მხრივ მომეტებული ნაწილი კავკასიისა იმდენად განირჩევა რუსეთისაგან, რომ მართლაც საგულისხმოა ეს გარჩევა. მაგალითად, რომ მივიღოთ სახეში წვიმიანობა ზოგიერთ კავკასიის ალაგებისა, ამ მხრითაც დიდს დაბრკოლებას წარმოადგენენ, ზღვის ახლოს მყოფი ალაგები მაინც.

როდესაც საშუალო რაოდენობა წვიმიანობისა რუსეთში გამოიხატება არა უმეტეს 400 მ.

		წვიმიანი დღეები.	საწვიმრად მომზადებული დღეები.	მოწმენდილი დღეები.
ბათომში	2480 მ.	162	135	60
სოხუმში	1150 მ.	121	127	80
სოჩაში	2300 მ.	120	94	105
იალტაში	530 მ.	100	70	100,

დანარჩენი დღეები კი წელიწადში ღრუბლიანია. ამასთანავე შესამჩნევი განსხვავებაა დღისა და ღამის ტემპერაატურას შუა. ხშირად დიდია განსხვავება ტერმპერატურისა ერთ ვერსზე ნაკლებ მანძილზედაც კი, რაიცა იწვევს შეჩვეულ მკვიდრშიაც კი მომეტებულ ავადმყოფობას ფილტვებისას, სასუნთქავისას, ქარებს და სხვა ავადმყოფობას. კავკასიის ზემოხსენებული არა-ჰიგიენური პირობებით აიხსნება, რომ ზოგ ალაგებში შემოსულა ძველ დროში დიდი კულტურის მქონე ხალხი, მაგრამ მალე მოსპობილა. ზოგან (მაგალითად დაღესტანში) ნახავთ საოცარ ძველ ნივთებს სხვა-და-სხვა რკინეულობისაგან და თიხისაგან გაკეთებულებს. ეხლანდელი დაღესტნის მცხოვრებლები ვერც კი მოიფიქრებენ ამგვარი ნივთების გაკეთებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, მთებში შემოხიზნულა მაღალი კულტურის მქონე ხალხი, მაგრამ გაწყვეტილა.

კავკასიის დასახლებას უცხო ელემენტებით და ამავე დროს მკვიდრის უმიწა-წყლოდ დატოვებას აქვს ერთი ნაკლულევანება, რომელიც არამც თუ არ მოსპობს კავკასიაში არსებულს ავაზაკობას, დანაშაულობას საკუთრების წინაშე, კიდევაც შეუწყობს ხელს. კავკასიაში ავაზაკობის მიზეზი ერთი ის არის, რომ ახლო არიან მეზობლები, რომლების ნავარდობა ისტორიული მოვლენა არის. სპარსეთის მეზობლობა ერთის მხრით, მეორე მხრით ოსმალეთის, დიდხანს იქნება კავკასიაში ავაზაკობის მიზეზი. მაგრამ კავკასიის შუაგულშიაც იმატებს ბოროტ-მოქმედება, თუ საქმე იმ მდგომარეობაში დარჩა, რომელშიაც არის დღეს. ეჭვ გარეშე უნდა ჩავთვალოთ, რომ მიწის მფლობელობას, თვით ფორმას მიწის მფლობელობისას დიდი გავლენა აქვს ადამიანის სულის მდგომარეობაზე. მიდრეკილება ქურდობისადმი და მკვლელობისადმი არ არის მართლა ანტროპოლოგიური თვისება, რომელიც ერთს მეტად აქვს, მეორეს ნაკლებად, ან სრულებიდაც არა აქვს, როგორც ამტკიცებს ვითომ სტატისტიკური ცნობებით პროფესორი სიკორსკი თავის წერილში „Quelques traits de la psychologie des slaves" (Revue philosopique 1898 № 6). პროფესორი სიკორსკის ცოტად და ნაკლებად შემუშავებული სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ იტალიაში, საფრანგეთში და სხვ. მეტი მკვლელობა და ქურდობა ჩაუდენიათ, ვიდრე შუაგულ რუსეთში (აღებულია ერთი წელი, 1887), და ამბობს, რომ ეს ერთა ანტროპოლოგიურ თვისებებით უნდა აიხსნასო. ავტორი ივიწყებს ათასნაირ პირობებს, მიწა-წყლის ურიგობას და პოლიტიკურ არეულობას, მეტადრე იტალიაში, რაიცა ძლიერ ამშლელია ცუდი მიდრეკილების. ივიწყებს, რომ თვით სტატისტიკური ცნობები სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში არ არიან ერთ წესსზე და საკმარისად ერთნაირად შეკრებილ-შემუშავებულნი. მომეტებული ნაწილი კავკასიისა, მეტადრე ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები, ძლიერ მჭიდროდ არის დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლებული. როგორც სჩანს სტატისტიკური ცნობებიდან, თითო მოსახლეს ძლივს უწევს ორი დესეტინა მიწა. ამ მიწაზე უნდა მოიწიოს მოსახლემ ოჯახისათვის და სახელმწიფო გარდასახადისთვის საჭირო ჭირნახული, ამ მიწაზე უნდა შეინახოს საქონელი, რომელიც საჭიროა მეურნეობისთვის. სადაც მიწა-წყალი ნაკლები არის, იქ ხალხი ძალა-უნებურად დაიწყებს ბოგინს, ერთი ადგილიდგან მეორე ალაგას გადასვლას ბედის საცდელად. რადგან ეს ბედის ცდა ძვირად უჯდება ადამიანს, ის ძლიერ მტკიცე ხასიათისაც რომ იყვეს, მაინც აჰყვება ცუდ მიდრეკილებას. ხალხი, რომელიც ათას წლობით ეტანება მეურნეობას, მტკიცედ არის შეკავშირებული მიწასთან, როდესაც გარემოების ძალდატანებით სტოვებს მიწას და სხვაგან გარბის ბედის საცდელად, ჰკარგავს ნიადაგს და ხასიათის სიმტკიცეს. ამ მხრით საინტერესო იყო პატივცემული თავ. ილია ჭავჭავაძის წერილები „ივერია"-ში, სადაც ამტკიცებდა ის მიწის-მფლობელობის ურიგობის დიდ გავლენას კავკასიაში არსებულ ავაზაკობაზე და სხვაგვარ დანაშაულობაზე. ავაზაკობა, ცხადია, თანდათან იმატებს კავკასიაში. მას ძლიერ ცოტად შეამცირებს სწავლა-განათლების გავრცელება კავკასიაში, რომელიც თვით პატივცემულ კ. პ. იანოვსკის აზრით ერთად-ერთი საუკეთესო საშუალება არის ავაზაკობის მოსასპობლად, ამ სწავლა-განათლებას რომ მოხმარებოდა ის აუარებელი საშუალება, რაც ავაზაკობის დევნაში იხარჯება. ავაზაკობას ვერ მოსპობს ვერავითარი ადმინისტრაციული დევნა და დასჯა, თუ იმის ფესვები თვით გზაზე დაუყენებელ ცხოვრებაშია. ვერც მოსული ხალხის კულტურა უშველის რასმეს, რაც საეჭვოა საზოგადოდ და გარდა ამისა, ახალ პირობებში ძალაუნებურად გადმოსახლებული უკვე ნაცად მიწის კულტურას მისდევს, ის ისევ მკვიდრის გამოცდილებით ხელმძღვანელობს. როდესაც გადმოსახლება მართებლობის სხვა გვარ მიზანსაც შეადგენს, რის გამო სახელმწიფო მეტს მზრუნველობას იჩენს გადმოსახლებულებზე, ხშირად მართლიერებაც ირღვევა და მთავრობა ხომ ერთადერთი ნამდვილი შემტანი უნდა იყვეს ცხოვრებაში მართლიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა და თვით კანონების მაკურთხებელი. მომეტებულად ზრუნვა ახლად გადმოსახლებულებზე, მათი დიდ-ძალი მიწით დაჯილდოვება, მაშინ, როდესაც მეზობელი მკვიდრი ჭაპანს იწყვეტს, წელებზე ფეხს იდგამს, რომ ცოტაოდენი მიწა შეიძინოს, რადგან ერთი დესიატინას მქონე ძლივს არის, გამოიწვევს მკვიდრში უკმაყოფილებას, აგრძნობინებს თავს რუსეთის უკანონო შვილად. ძნელი წარმოსადგენი არ არის ეს უკმაყოფილება იქ, სადაც ერთი ან ორი დესიატინა ძლივს შეუძენია ერთს დიდის შრომით, მეორე იძენს 15—30 დესიატინას და ამავე დროს მეტ მფარველობის ქვეშ არის. ძალა უნებურად ამ პირობებში ერთი დაჩაგრულად ჩაითვლის თავს, მეორე კი უეჭველად განებივრდება და ამის მაგალითი დღესაც ბევრია.

განებივრებული, ხელ-შეწყობილი კიდევ მეტს იმედოვნებს და სხვაგან გარბის. ცხადია, გადმოსახლება უნდა მიმდინარეობდეს ძლიერ განსაზღვრულ ფარდებში, ისე რომ არ უნდა იყვეს სხვისი თავ-მოყვარეობა და კანონიერი უფლება შელახული, რადგან ბევრი მკვიდრთაგანიც უმიწა-წყლოდ არის დღესაც. მართალია, როგორც ამბობს პატივცემული ექიმი ი. ი. პანტიუხოვი, დახმარება მთავრობისაგან, ცხოვრება თავაზიან და ზრდილობიან მეზობელთან, (მკვიდრთან) უფრო გამბედავად და დამოუკიდებლად ჰხდის გადმოსახლებულს, მაგრამ ეს მოვლენა დროებითია და არც ისე დიდი ყოფილა რიცხვი გადმოსახლებულების აქამდის, რომ შეეზღუდა მკვიდრის ყოფა-ცხოვრება. დღევანდელი უმიწა-წყლობა მკვიდრის ათი წლის განმავლობაში კიდევ გაორკეცდება, მაშინ მკვიდრი დაჰკარგავს საუბედუროდ თავაზიანობას და ზრდილობას, ამ მშვენიერ ნაშთს წარსულისას. ამასთანავე შურიანი თვალით შეხედავს ის მოსული მეზობლის სიმდიდრეს, ოჯახობას, საქონელს მაინცა-დამაინც დიდი შრომით არ შენაძენს და ადვილად უნდა დაგვეთანხმონ, თუ შრომისათვის ნიადაგი არ მიეცა ხალხს, ძალადობით შეძენის სურვილი გაუძლიერდება, ეს მისთვის რომ, გერცენის არ იყოს, სილარიბეში ბევრი სიცუდეა. ამისათვის, ჩვენი ღრმა რწმენით, კავკასიის დასახლება ის ორივე მხრით მჭრელი მახვილია, რომელიც მოითხოვს მეტს სიფრთხილეს პატრონისაგან. ამ გადმოსახლებით არ უნდა იყოს ძლიერ გატაცებული არც მთავრობა, არც კავკასიის ინტელიგენტი რუსობა. ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ ძალ-დატანებითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და არც უნდა იყოს უარ-ყოფილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვიდრის ბუნებრივი და ამისთვის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. უამისოდ ბოროტება, რომელსაც დღესაც ამჩნევენ და არა რაციონალურად სდევნიან, უფრო იმატებს და ვერავინ ვერ მოიგებს,—ვერც მოსული, ვერც დამხვედრი და ვერც სახელმწიფო. დაიკარგება პატივი კანონიერების და მართლიერებისა და ეს მხოლოდ მისთვის, რომ იქმნას რუსეთში ერთი ანტროპოლოგიური ტიპი ადამიანისა. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ძალით შექმნილი ანტროპოლოგიური ტიპი იდეალთან ძლიერ დაშორებული იქნება. ექიმ ი. ი. პანტიუხოვის წიგნი ამ ტენდენციას მოკლებულია. მისი მიზანი უფრო ჰუმანური მოსაზრება არის.

ის ამბობს, რომ დასასახლებელი ადგილები კავკასიაში მეტი ციებიანია და საჭიროა მეტი ზრუნვა გადმოსახლებულებზე, რომ ტყუილ-უბრალოდ არ ამოწყდნენ ისინი. საზოგადოდ, წიგნში ბევრი საინტერესო ცნობებია მოყვანილი. ეს წიგნი მით უფრო საინტერესოა, რომ ბ. ი. ი. პანტიუხოვი მშვენიერი მცოდნეა კავკასიის და ყოველი კუთხე დავლილი აქვს მას. ექიმი ი. ი. პანტიუხოვი ცნობილი ანტროპოლოგია. მისი ანტროპოლოგიური გამოკვლევა მეტადრე კავკასიის მცხოვრებლებისა ძლიერ საყურადღებოა, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად საფუძვლიანია ზოგი დასკვნა. ამის მიზეზი ის არის, რომ ანტროპოლოგია ძლიერ რთული საგანია. ეს იმის შედეგია, რომ მეტად რთულია ადამიანი თვისი ფიზიკური და ფსიხოლოგიური განწყობილებით, ინდივიდუალური თვისებებით, რომელნიც ხშირად შთამომავლობითაც დაშორებულ ადამიანებს აახლოვებს, ახლობლებს კი აშორებს. ამასთანავე ანტროპოლოგიურ გამოკვლევაში არ უნდა ვივიწყებდეთ ერთ ფაქტორს—მემკვიდრეობითი ძალას, რომელიც ხშირად თავისებურად იჩენს თავს, ან გვიანობს, ან ძლიერ ჩქარობს, ხან ცოტაოდნად იხატება, ხან დიდად. ამისათვის რომელიმე ანტროპოლოგიური დასკვნა რომ ნამდვილი იყოს, საჭიროა მრავალ მხრივი დიდი დროს განმავლობაში მომხდარი დაკვირვება, საკმარისი სტატისტიკური მასალის მეცნიერულად შემუშავება. უამისოდ ზოგი დასკვნა აჩქარებული და ნაკლებად დასაბუთებული იქნება.

ე. გაშაკიძე

რედაქტორი
ალექსანდრე ჭეოანია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი